



# განათლება

კელაქტოკი: თეურ ჯაგოდნიშვილი  
თანაკელაქტოკი: რაფაელ გუსმან ტიკადო

## GANATLEBA

Georgian Technical University  
Georgian Academy of Education Sciences

Editor: Temur Jagodnishvili  
Coeditor: Rafael Guzman Tirado

**№ 1 (28) 2020**

ISSN 2346-8300

**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი**  
**GEORGIAN TECHNICAL UNIVERSITY**

**გ ა ნ ა თ ლ ე ბ ა**

**GANATLEBA**

**ყოველკვარტალური რეფერირებადი და  
რეცენზირებადი სამეცნიერო ჟურნალი**

**1(28)**  
**2020**

# გ ა ნ ა თ ლ ე ბ ა

ყურნალი გამოდის საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის  
სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს 2010 წლის 16 დეკემბრის დადგენილებით  
(ოქმი №7)

---

---

№1 (28), 2020 წელი

---

---

**რედაქტორი** — თემურ ჯაგოდნიშვილი, სტუ პროფესორი, საქართველოს განათლების  
მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი  
**თანარედაქტორი რაფაელ გუსმან ტირადო** — პროფესორი, გრანადის უნივერსიტეტი (ესპანეთი)  
**რედაქტორის მოადგილე - ზურაბ ჩაჩხიანი**, სტუ პროფესორი, საქართველოს განათლების  
მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი

---

---

## საკმედიაციო კოლეგია:

**ლია ქათამაძე** — პასუხისმგებელი მდივანი - ასოცირებული პროფესორი, საქართველოს  
ტექნიკური უნივერსიტეტი  
**კონსტანტინე რამიშვილი** — პროფესორი, განათლების მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-  
პრეზიდენტი  
**ანზორ აბრალავა** — პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი  
**გელა ყიფიანი** — პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი  
**ელისაბედ ხახუტაშვილი** — პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი  
**ივანე ჯაგოდნიშვილი** — პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი  
**ვახტანგ მაღრაძე** — პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი  
**ზურაბ გამეზარდაშვილი** — პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი  
**ლია მეტრეველი** — პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი  
**თამარ ზონდარენკო** — ასოცირებული პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი  
**ნიკო ჯავახიშვილი** — პროფესორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტი  
**დავით გოცირიძე** — პროფესორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტი  
**გიორგი ხუბუნი** — მოსკოვის ლინგვისტური უნივერსიტეტის პროფესორი, რუსეთის  
მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი  
**ირჟი კლაპკა** — პროფესორი, კარლოსის უნივერსიტეტი (ჩეხეთი)  
**ტომას შმიდტი** — პროფესორი, ბერნის უნივერსიტეტი (შვეიცარია)  
**სესილია ოდე** — პროფესორი, ამსტერდამის უნივერსიტეტი (ჰოლანდია)  
**გალინა ტროფიმოვა** — პროფესორი, მოსკოვის ხალხთა მეგობრობის უნივერსიტეტი (რუსეთი)

---

---

**რედაქცია:** თემურ ჯაგოდნიშვილი, რაფაელ გუსმან ტირადო

---

---

**ტექნიკური რედაქტორი:** ასმათ ფიფია

---

---

სტატიაში მოყვანილი ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელი არიან ავტორები

მისამართი: 0175, თბილისი, კოსტავას 77, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ტელ.: (032) 236 57 07

web-გვერდი: <http://gtu.ge/Journals/newsletters>

ელ-ფოსტა: [ganatleba2018@gmail.com](mailto:ganatleba2018@gmail.com)

ISSN 2346-8300

# GANATLEBA

International Science-Pedagogical Journal is published according with the  
decision of Editorial-Publishing Board of 19 December 2010 (act №7)

---

---

№1 (28), 2020

---

---

**Editor** – **Temur Jagodnishvili**, Professor, Georgian Technical University, Academician of  
Georgian Educational Sciences

**Coeditor** – **Raphael Guzman Tirado** – Professor, University of Granada (SPA)

**Sub-editor** – **Zurab Chachkhiani**, Professor, Georgian Technical University, Academician of  
Georgian Educational Sciences

---

---

## EDITORIAL BOARD:

**Lia Katamadze** – Responsible Secretary, Associate professor Georgian Technical University

**Konstantine Ramisvili** – Vice-President of Georgian Academy of Education Sciences

**Anzor Abzalava** – Professor, Georgian Technical University

**Gela Kipiani** – Professor, Georgian Technical University

**Elisabeth Khakhutashvili** – Associate professor, Georgian Technical University

**Ivane Jagodnishvili** – Professor, Georgian Technical University

**Vakhtang Magradze** – Professor, Georgian Technical University

**Zurab Gamezardashvili** – professor, Georgian Technical University

**Lia Metreveli** – professor, Georgian Technical University

**Tamar Bondarenko** – Associate professor Georgian Technical University

**Niko Javakhishvili** – Professor, Ivane Javakhishvili Tbilisi State University

**David Gothsiridze** – Professor, Ivane Javakhishvili Tbilisi State University

**Giorgi Khukhuni** – Professor, Linguistic University of Moscow

**Jiri Klapka** – professor, Karlos University (CZE)

**Tomas Schmidt** – Professor, University of Bern (SUI)

**Cecilia Ode** – University of Amsterdam (NED)

**Galina Trophimova** – Professor, Moscow University of Friendship of People (RUS)

---

---

**Editor office: Temur Jagodnishvili, Raphael Guzman Tirado**

---

---

**Technical editor: Asmat Pipia**

---

---

**The authors are responsible for the accuracy of the facts in the article**

---

---

**Address: 0175, Tbilisi, str. Kostava 77, GTU**

**TEL.: (032) 236 57 07**

**web-said's address: <http://gtu.ge/Journals/newsletters>**

**e-mail: [ganatleba2018@gmail.com](mailto:ganatleba2018@gmail.com)**

**ISSN 2346-8300**

## შინაარსი

### ჩვენი იუბილარები

რევაზ ძნელაძე - 70 .....13

### განათლების მეცნიერება

#### *ქეთევან აბესაძე*

განათლება პანდემიის პირობებში.....17

#### *თეონა შარიქაძე*

ინკლუზიური განათლება .....24

### ჟურნალისტიკა

#### *ქეთევან გიორგობიანი*

პოპულარული ამერიკული ჟურნალები.....28

#### *ლია ქათამაძე*

მედიკორეზენტაციის სოციოკულტურული საფუძვლები ქართულ მედიაში.....36

#### *თამარ გვაზავა*

სოცკონფლიქტების რეზონანსის მახასიათებლები და თავისებურებები  
საინფორმაციო მედიაში.....46

#### *ვაჟა დანელია*

ინფოტეინმენტი, როგორც სპორტისა და შოუბიზნესის სიმბიოზი.....52

#### *ეკა ვეფხვაძე*

პროპაგანდა, როგორც იარაღი და მასთან ბრძოლის ხერხები .....61

#### *სოფიკო ლომთათიძე*

ინფორმაციით მანიპულირებასთან დაკავშირებული ქცევის მოდელები  
სერიალში „ჩემი ცოლის დაქალები“ .....66

#### *ხათუნა საგინაშვილი*

ახალი ღირებულებები პატრიოტიზმის ნაცვლად და ქართული მედია.....73

#### *ნატა ხორავა*

საინფორმაციო ომის ტრადიციული მეთოდები და ახალი ტენდენციები .....81

**ირმა ხურცია-ანდრიაძე**  
ტელევიზიის გავლენა ადამიანის თვითრეალიზების პროცესზე .....87

**თამთა ჯინჯოლავა**  
აუდიტორიის ნდობის ნიშნული ქართული გარემოსდაცვითი  
ჟურნალისტიკისადმი .....92

## **ფილოლოგია**

**თამარ მეტევე**  
ტექნიკური თარგმანი ტექნიკურ უნივერსიტეტში .....97

**ეკატერინა ხომენკო**  
სპეციალური დისციპლინების სწავლების თავისებურებები განათლების  
მდგრადი განვითარების კონცეფციის ფარგლებში ..... 104

**მანანა ასლანიშვილი, ნინო ლომსაძე, სვეტლანა ჩუპრინინა**  
ლექსიკის სწავლების მნიშვნელობა უნივერსიტეტის სტუდენტებისათვის ..... 110

**ინგა ზოიძე**  
რელიგიური ელემენტები ქართულ მწერლობაში  
(თეიმურაზ მეორის შემოქმედების მიხედვით) .....117

**თამარ ტაბატაძე, დოქტორანტი**  
სოციალური ქსელების ლინგვისტიკა (ენობრივ სტილისტური თავისებურებანი ..125

## **სოციალური მეცნიერებები**

**თათია ბილისიეიშვილი**  
სიღარიბის და უმუშევრობის დონე საქართველოში, არსებული მდგომარეობის  
გაუმჯობესება ინკლუზიური ბიზნეს ინკუპატორის დახმარებით..... 132

**პეტრე გელაშვილი**  
საქართველოს ლატენტურ ეთნოკონფლიქტურ ზონებში არასამთავრობო  
ორგანიზაციების საქმიანობის ანალიზი ..... 138

**ელენე გრატიაშვილი**  
ქალთა სამხედრო ჩართულობა აღმოსავლეთ აზიის ქვეყნების (ჩინეთი, იაპონია,  
ჩრდილოეთ და სამხრეთ კორეა) მაგალითზე..... 143

<i>ფიქრია დიდებაშვილი, მარიამ ხეთაგაშვილი,</i> კონფლიქტის არსი, კლასიფიკაცია, ოჯახური კონფლიქტის გავლენა მოზარდებზე .....	151
---	-----

## **სოციოლოგია**

<i>ეკატერინე გვერდწითელი-გოგსაძე</i> კონსენსუსის მიღწევის პროცესში ჯგუფური დინამიკის წარმოჩენის ვიზუალური ხერხი .....	160
---	-----

<i>ფიქრია დიდებაშვილი, გრიგოლ კიკალიშვილი</i> მართვის სოციოლოგიისა და სოციალური ჯგუფების ურთიერთმიმართების საკითხი .....	165
--	-----

## **ფილოსოფია ფსიქოლოგია**

<i>გიორგი მძინარაშვილი</i> სპორტსმენის ფსიქოლოგიური და ფიზიკური თვისებებისა და შესაძლებლობების ერთობლიობა .....	174
---	-----

<i>მარიამ გვილაგა</i> ლოკუს კონტროლი .....	179
---	-----

<i>რამაზ ჩიჩუა</i> პოლიტიკა და ფსიქოლოგია .....	184
--	-----

## **არქეოლოგია**

<i>ირაკლი შიხიაშვილი</i> ამიერკავკასიის უძველესი სავაჭრო-სატრანზიტო გზების შესწავლისათვის .....	194
--	-----

## **ეკონომიკა**

<i>ელისაბედ ხახუტაშვილი</i> მომსახურების მარკეტინგის მეცნიერული ასპექტები .....	200
--	-----

<i>ქეთევან გაფრინდაშვილი</i> შრომითი მოტივაცია და ადამიანური ფაქტორები .....	207
---	-----

## სახსენებისმეტყველო მაცნებრებანი

*თინათინ გოგიშვილი, გიორგი კვარაცხელია, ზაურ ბალაშვარაშვილი*  
ტყესაკავი სამუშაოს პროცესების კომპლექსური მექანიზაციის  
№ 11 ტექნოლოგიური სქემის დამუშავება .....213

*ვალერიან ხუციშვილი, კახაბერ შამათავა, ნუგ ზარ დოლიძე,*  
„ფარისებრი ჯირკვლის <sup>131</sup>I იზოტოპით კვლევისას გამა კამერით  
რეგისტრაციის გაუმჯობესებული მეთოდი .....220

## საერთაშორისო ურთიერთობები

*გიორგი გოგიაშვილი*  
ცხინვალის რეგიონი/სამხრეთ ოსეთში განვითარებული მოვლენები  
2008 წლის ომამდე.....229

## მთის პრობლემატიკა

*ბაჩო ბითარი ხუროშვილი, ელეონორა ჭანია*  
თუშეთის მდგრადი განვითარების ტენდენციები და სახელმწიფოს პოლიტიკა „მთის  
კანონის“ ამოქმედების კვალდაკვალ .....239

## ტელეკომუნიკაცია

*ქეთევან გუნიავა*  
სატელეკომუნიკაციო მომსახურების დანახარჯების კვლევის ძირითადი  
ასპექტები .....250



## CONTENTS

### OUR ANNIVERSARIES

<b>Revaz Dzneladze- 70</b> .....	13
----------------------------------	----

### EDUCATION SCIENCES

#### ***Ketevan Abesadze***

Education during the Pandemic condition .....	17
---	----

#### ***Teona Shariqadze***

Inclusive Education.....	24
--------------------------	----

### JOURNALIZM

#### ***Ketevan Giorgobiani***

American Popular Magazines.....	28
---------------------------------	----

#### ***Lia Katamadze***

Sociocultural Foundation of Media Presentation in Georgian Mass Media .....	36
--	----

#### ***Tamar Gvazava***

Characteristics and peculiarities of resonance of social conflicts into News Media .....	46
---	----

#### ***Vaja Danelia***

Infotainment as Symbiosis of sports and show business .....	52
---	----

#### ***Eka Vepkhvadze***

Propaganda as a weapon and the ways of fighting it .....	61
--	----

#### ***Sophiko Lomtadze***

Models of Information Manipulation Behavior in „My Wife's girlfriends” Serials.....	66
--	----

#### ***Khatuna Saginashvili***

New values instead of patriotism and Georgian media.....	73
--	----

<b><i>Nata Khorava</i></b>	
Information war: traditional methods, new tendencies.....	81
<b><i>Irma Khurtsia-Andriadze</i></b>	
The impact of television on the process of human self-realization .....	87
<b><i>Tamta Jinjolava</i></b>	
Audience trust mark towards Georgian Environmental Journalism.....	92

## P H I L O L O G Y

<b><i>Tamar Mebuke</i></b>	
Technical Translation at Technical University.....	97
<b><i>Ekaterina Khomenko</i></b>	
The Peculiarities of Teaching Special Subjects as Part of the Concept of Education for Sustainable Development.....	104
<b><i>Manana Aslanishvili, Nino Lomsadze, Svetlana Chuprinina</i></b>	
The Importance of Teaching Vocabulary to University Students .....	110
<b><i>Inga Zoidze</i></b>	
Religion and Georgian literature.....	117
<b><i>Tamar Tabatadze</i></b>	
Linguistics of social networks (linguistic stylistic features).....	125

## S O C I A L   S C I E N C E S

<b><i>Tatia Biliseishvili</i></b>	
Poverty and Unemployment in Georgia, Improving the Current Situation with the help of an inclusive business incubator .....	132
<b><i>Petre Gelashvili</i></b>	
Analysis of the activities of NGO in the latent ethno-conflicting areas of Georgia ...	138
<b><i>Elene Gratiashvili</i></b>	
Examples of Women’s Military Participation in East Asian Countries (China, Japan, North and South Korea).....	143

***Piqria Didebashvili, Mariam Khetagashvili***

The essence of conflict, classification of conflict, The effects if family conflicts on children’s condition and behavior ..... 151

**SOCIOLOGY**

***Ekaterine Gverdsiteli-Gogsadze***

A visual way of presenting group dynamics in the process of reaching consensus ..... 160

***Piqria Didebashvili, Grigol Kikalishvili***

The Relationship between Sociology of Management and Social Groups..... 165

**PHILOSOPHY-PSYCHOLOGY**

***Giorgi Mdzinarashvili***

The unity of physical characteristics capabilities of the sportsman..... 174

***Mariam Gvilava***

Locus of control ..... 179

***Ramaz Chichua***

Politics and Psychology ..... 184

**ARCHAEOLOGY**

***Irakli Shikhiashvili***

The study of the ancient trade and transit routes of the Transcaucasia..... 194

**ECONOMICS ARCHAEOLOGY**

***Elisabed Khakhutashvili***

Scientific Aspects of Service Marketing ..... 200

<b><i>Ketevan Gaprindashvili</i></b>	
Labor motivation and human factors .....	207

## NATURAL SCIENCES

<b><i>Tinatin Gogishvili, Giorgi Kvaratskhelia, Zaur Balamtsarashvili</i></b>	
Development of complex mechanization of wood cutting workelov processes № 11 technology scheme.....	213

<b><i>Valerian Khutsishvili, Kakhaber Shamatava, Nugzar Dolidze</i></b>	
A Gamma camera with a <sup>131</sup> I isotope study of the thyroid gland Improved registration method.....	220

## INTERNATIONAL RELATIONS

<b><i>Giorgi Gogiashvili</i></b>	
Developments in the Tskhinvali region /South Ossetia prior to the 2008 war.....	229

## MOUNTAIN PROBLEMS

<b><i>Bacho Bitari Khuroshvili, Eleonora Tchania</i></b>	
Tendencies of sustainable development of Tusheti Region and state policy following the implementation of "Mountain law" .....	239

## TELECOMMUNICATIONS

<b><i>Ketevan Guniava</i></b>	
Management and research of telecommunication services expenses .....	250

## ჩვენს იუბილარებს



რევაზ ძნელაძე - 70

დაბადებიდან 70 წელი შეუსრულდა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებულ პროფესორს რევაზ აკაკის ძე ძნელაძეს.

პროფესორი რევაზ ძნელაძე ცნობილი ფილოლოგი ლინგვისტია, ისეთი საინტერესო ფილოლოგიური მეცნიერების აღირებული სპეციალისტი, როგორცაა ტოპონიმისა. მან სწორედ ამ დარგში შექმნა ფუნდამენტური გამოკვლევები გურიის ტოპონიმისა, რომლებსაც გვერდს ვერ აუვლის გურიის ტოპონიმის სისტემისა თუ გურული დიალექტის ტოპონიმის პრობლემის ვერც ერთი მკვლევარი თუ მკითხველი საზოგადოება.

პროფესორი რევაზ ძნელაძე 1950 წლის 26 იანვარს დაიბადა გურიის ულამაზეს სოფელ ნოღაში, სოფელში, სადაც დაიწერა მნიშვნელოვანი ფურცელი ქართული ფილოლოგიური მეცნიერების ისტორიაში, სოფელ-

ში, რომელმაც საქართველოს მისცა ისეთი დიდი სახელი, როგორცაა აკადემიკოსი აკაკი შანიძე და არა მარტო...

პროფესორი რევაზ ძნელაძე ფილოლოგიების ოჯახში დაიბადა. მამა - აკაკი ძნელაძე, ქართულ ენასა და ლიტერატურას ასწავლიდა სოფელ ნოდის საშუალო სკოლაში (ერთხანს ამ სკოლის დირექტორიც იყო), დედა - შუშანა ლორია იქვე, ქართულ ენა და ლიტერატურასთან ერთად, უცხო ენასაც ასწავლიდა. სწორედ ამ სკოლაში მიიღო დაწყებითი განათლება რ. ძნელაძემ, შემდეგ მან სწავლა აჭარაში განაგრძო და 1967 წელს წარჩინებით (ოქროს მედალზე) დაამთავრა მახინჯაურის ისრაფილ ქემალის ძე ჯინჭარაძის სახელობის საშუალო სკოლა. იმავე, 1967 წელს რ. ძნელაძე ჩაირიცხა თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე, რომლის სრული კურსი წარჩინებით დაასრულა 1972 წელს.

მეცნიერული ძიებებისა და კვლევებისადმი ინტერესი რ. ძნელაძემ სტუდენტობის წლებში გამოავლინა. იგი აქტიურად მონაწილეობდა სხვადასხვა რანგის სტუდენტურ სამეცნიერო კონფერენციების მუშაობაში, იყო თსუ ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოების თავმჯდომარე და გადიოდა პროფესიულ წვრთნას აკადემიკოსების აკაკი შანიძისა და შოთა ძიძიგურის ხელმძღვანელობით. რ. ძნელაძე ყოველმხრივ წარჩინებული სტუდენტი იყო და ეს სათანადოდ დაუფასდა კიდევაც - მას მიენიჭა აკადემიკოს ვარლამ თოფურიას სახელობის სტიპენდიანტობა.

მთელი შეგნებული ცხოვრება რ. ძნელაძემ თბილისის ივ. ჯავახიშვილის უნივერსიტეტს დაუკავშირა. ფილოლოგიის ფაკულტეტის დასრულების შემდეგ იგი იქვე დატოვეს სამეცნიერო მუშაობის გასაგრძელებლად. სხვადასხვა წლებში იყო ახალი ქართული ენის კათედრის ტოპონიმიკის ლაბორატორიის უმცროსი მეცნიერ მუშაკი, მეცნიერი თანამშრომელი, უფროსი მეცნიერ მუშაკი, შემდეგ ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების მეთოდის კათედრის დოცენტი, ამ კათედრის გამგის მოადგილე.

პროფ. რ. ძნელაძემ ამ ასპარეზზედაც მიიქცია ყურადღება პროფესიონალიზმით და ორგანიზატორული ნიჭით, რითაც მას მოღვაწეობის ახალი ასპარეზი გადაეშალა. სხვადასხვა წლებში არჩეული თსუ ფილოლოგიის ფაკულტეტის პროფკავშირული ორგანიზაციის თავმჯდომარედ,

1987-2007 წლებში მუშაობდა ამ ფაკულტეტის დეკანის მოადგილედ სადამო, დაუსწრებელი და ფასიანი სწავლების დარგში (ქართულის და რუსული სექტორების), მაგისტრატურის განყოფილების ხელმძღვანელი. მიუხედავად ამგვარი ინტენსიური ორგანიზაციული მუშაობისა, მან წარმატებით განაგრძო მეცნიერული კვლევები და 1995 წელს დისერტაცია დაიცვა და ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი მოიპოვა. სადოქტორო დისერტაცია გაამზადა, მაგრამ განათლების რეფორმამ გააუქმა მისი საჭიროება. საორგანიზაციო მუშაობასთან ერთად, პროფ. რ. ძნელაძე აქტიურ პედაგოგიურ მოღვაწეობასაც ეწეოდა. 2007-2010 წლებში იყო თსუ ენების სწავლების განყოფილების პედაგოგი. 2010 წლიდან დღემდე არის საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ქართული ფილოლოგიისა და მედიატექნოლოგიების დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი. დრომ ცხადყო, რომ, რ. ძნელაძის ფილოლოგიურ-ლინგვისტიკური ინტერესების შინაარსი უპირატესად პედაგოგიურ მოღვაწეობაში გამოვლინდა. მან არაერთი საინტერესო სალექციო კურსი შექმნა და თავადვე უძღვებოდა სხვადასხვა უნივერსიტეტებში.

სხვადასხვა დროს კითხულობდა ლექციების კურსს ისეთ საგნებში, როგორცაა: „ახალი ქართული ენა“, „ქართული დიალექტოლოგია“, „ქართული ენის სწავლების მეთოდოლოგია“, „მშობლიური ენის სწავლების საკითხები თანამედროვე ლინგვისტურ კონცეფციებში“, „ქართული მეტყველების კულტურის საკითხები“, „ქართული კომუნიკაციური ასპექტები“ და სხვა. ამჟამად საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში კითხულობს ლექციებს „აკადემიური წერის“, „სწავლების მეთოდების“, „კვლევების მეთოდების“ მიმართულებით. იგი ამასთანავე აქტიურ მეცნიერულ კვლევებსაც აწარმოებს. იგი ავტორია 40-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომისა. ამჟამად ინტენსიურად მუშაობს საინტერესო პრობლემატიკის გამოკვლევაზე რომლის სათაური უკვე გამოკვეთილი აქვს და „გურია და გურულები“ ჰქვია.

პროფ. რ. ძნელაძის მეცნიერულ ავტორიტეტს ცხადყოფს ის ფაქტიც, რომ იგი არის 50-ზე მეტი სამეცნიერო წიგნის რედაქტორი თუ რეცენზენტი.

პროფესორი რევაზ ძნელაძის პროფესიული აღიარების მაუწყებელია მისი არჩევა საქართველოს განათლების მაცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად (აკადემიკოსად).

სტუ საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ქართული ფილოლოგიისა და მედიატექნოლოგიების დეპარტამენტი, ჟურნალ „განათლების“ რედაქცია ულოცავს პროფესორ რევაზ ძნელაძეს იუბილეს - დაბადებიდან 70 წლისთავს და უსურვებს დიდი ხნის ბედნიერ სიცოცხლეს და წარმატებებს პროფესიულ მოღვაწეობაში.

საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და  
სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი  
ქართული ფილოლოგიისა და  
მედიატექნოლოგიების დეპარტამენტი  
ჟურნალ „განათლების“ რედაქცია



# განათლების მეცნიერება

## EDUCATION SCIENCES

### განათლება პანდემიის პირობებში

*ქეთევან აბესაძე, დოქტორანტი  
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

#### რეზიუმე

სტატიაში „განათლება პანდემიის პირობებში“ საუბარია იმ საერთაშორისო გამოცდილებაზე, რომელიც დღეის მდგომარეობით არსებობს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში. ვფიქრობ, რომ საინტერესო იქნება იმის გაცნობა, თუ როგორ გაართვეს თავი პანდემიის პირობებში განათლების უწყვეტობის პრობლემას მსოფლიოს სხვადასხვა ზოგადსაგანმანათლებლო სისტემებმა. მნიშვნელოვანია პროცესებზე დაკვირვება, რათა დავადგინოთ, თუ რა გამოწვევები დარჩა ყურადღების მიღმა და რა უარყოფითი მხარეები აღმოაჩნდა დისტანციურ სწავლებას. არანაკლებ აქტუალურია იმის განსაზღვრა, თუ რა მექანიზმები არსებობს აღმოჩენილი პრობლემების თავიდან ასაცილებლად და როგორ უნდა მოხდეს განათლების კრიზისიდან გამოსვლა.

საკვანძო სიტყვები: განათლება, პანდემია, გამოწვევები, საერთაშორისო გამოცდილება, კრიზისი, სამინისტრო.

#### შესავალი

2020 წლის 28 მარტის მდგომარეობით, საერთაშორისო ორგანიზაციის UNESCO-ს მონაცემებით პანდემიის შედეგად მსოფლიოს 161 ქვეყანაში, 16 მილიარდზე მეტი ბავშვი, მოზარდი და სტუდენტი მსოფლიო პანდემიის გამო, იძულებით ჩამოშორდა სასწავლო პროცესს. აღნიშნული რაოდენობა, მსოფლიოს მასშტაბით მოსწავლეთა დაახლოებით 80% შეადგენს.

გადაწყვეტილება საგანმანათლებლო დაწესებულებების დახურვის შესახებ, უპირველესად განპირობებული იყო სოციალური დისტანცირების

მიზნით, რომლის შესახებაც რეკომენდაცია გაიცა მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მიერ. უპირველესად პანდემია არის ჯანმრთელობის კრიზისი და შესაბამისად, სხვადასხვა ქვეყნის ლიდერებმა გადაწყვეტილება სასწავლო პროცესის შეწყვეტის შესახებ, სიცოცხლის გადასარჩენად მიიღეს.

მსოფლიოს 161 ქვეყანა დადგა პრობლემის წინაშე, თუ როგორ უნდა დაძლიოს პანდემიის პირობებში განათლების კრიზისი. ვინაიდან, საგანმანათლებლო დაწესებულებების დახურვა, თუნდაც დროებით, იწვევს თანმდევით პრობლემებს გამწვავებას. რაც სირთულეებს უქმნის, საგანმანათლებლო დაწესებულებებს, მოსწავლეებს, ოჯახებს, დასაქმებულ პირებს და ასევე, ქვეყნების საგანმანათლებლო სისტემებს.

სკოლა არ არის უბრალოდ დაწესებულება სადაც მოსწავლეები სწავლობენ. სკოლა არის ადგილი, რომელიც საზოგადოების (სოციუმის) გრძელვადიან საჭიროებებს და მოთხოვნებს ემსახურება.

### **ძირითადი ნაწილი**

პანდემიის პირობებში ქვეყნების უმრავლესობა დისტანციურ სწავლებაზე გადავიდა. პირველი მათ შორის იყო ჩინეთი, რომელმაც დაახლოებით 170 მილიონ სკოლის მოსწავლესა და სტუდენტს ონლაინ-სწავლება შესთავაზა. უნდა აღინიშნოს, რომ ისევე, როგორც სხვა ქვეყნებისთვის ჩინეთისთვისაც ეს იყო და არის უფრო მეტად ექსპერიმენტული, ვიდრე კარგად აპრობირებული სწავლების მოდელი. შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ დღეს მსოფლიო საგანმანათლებლო სისტემები ერთი დიდი ექსპერიმენტის მონაწილეა და ისევე, როგორც ნებისმიერი ექსპერიმენტის წარმართვის პროცესში, აღნიშნულ შემთხვევაშიც შედეგი უცნობი რჩება მის დასრულებამდე.

ჯერ კიდევ 2020 წლის თებერვლის დასაწყისში ჩინეთის ყველა საგანმანათლებლო დაწესებულება კარანტინის გამო დაიხურა და სემესტრის მიწურულს გამოცხადდა არდადეგები. თუმცა ვითარება არ შეცვლილა ახალი სასწავლო სემესტრის (17 თებერვალი) დასაწყისისთვის, ვინაიდან პანდემიის გამო სასწავლო დაწესებულებები კვლავ ვერ ახერხებდნენ სასწავლო პროცესის აღდგენას.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის განათლების მესვეურთა გადაწყვეტილებით ონლაინ-სწავლებაზე გადასვლა რამდენიმე ეტაპად განხორციელდა. თუმცა აღსანიშნავია, რომ თითოეული ეტაპი ხორციელდებოდა უმოკლეს ვადაში, დაჩქარებული წესით.

პირველი ნაბიჯი იყო, ონლაინ-საგანმანათლებლო პლათფორმების ორგანიზება და საგანმანათლებლო ლიტერატურის ხელმისაწვდომობის გაზრდა. სტუდენტებს, მოსწავლეებს და მათ მშობლებს მიეცათ შესაძლებლობა გაცნობოდნენ სხვადასხვა საგანმანათლებლო პლათფორმებსა თუ საიტებზე,

როგორც სასკოლო ასევე, მხატვრულ ლიტერატურას. ამასთანავე, მათ შეეძლოთ ლიტერატურის არა მარტო გაცნობა, არამედ, მისი გადმოწერა. ასევე, უმოკლეს ვადაში სხვადასხვა სკოლებისა და უმაღლესი სასწავლებლების საგანმანათლებლო საიტებზე განთავსდა ვიდეო გაკვეთილები და ლექციები, ხოლო შემდეგ დაევალა სკოლებს ონლაინ აქტივობებში ჩართვა. დღეის მდგომარებით ჩინეთში დისტანციური ფორმით დაახლოებით 2,5 მილიონი სტუდენტი(ბაკალავრი), დაწყებითი სკოლის 100,9 მილიონი მოსწავლე და 68,1 მილიონი ზედა საფეხურის მოსწავლე იღებს განათლებას.

განათლების მიღების განსხვავებული მოდელი შესთავაზა ფინეთმა სასკოლო ასაკის მოსწავლეებს. დაწყებითი I-III კლასების ის მოსწავლეები, რომელთა მშობლებიც აგრძელებენ მუშაობას, პანდემიის დასამარცხებლად აუცილებელ, სტრატეგიულად მნიშვნელოვან დაწესებულებებში და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ყველა ასაკის მოსწავლე, აგრძელებს სასწავლო პროცესს სკოლაში. სკოლამდელი ასაკის მოზარდებს მოვლისა და საგანმანათლებლო მომსახურების მიღება კვლავ შეუძლიათ განაგრძონ საგანმანათლებლო დაწესებულებებში. ასევე, იმ პირებს, რომელთა მშობლებსაც არ აქვთ საშინაო პირობებში ამგვარი მომსახურების მიწოდების გამოცდილება ან საშუალება. ხოლო სხვა დანარჩენ შემთხვევებში კონტაქტური განათლება დაშვებულია, თუ ეს აუცილებელია განათლების სრული კურსის დასასრულებლად.

რუსეთის ფედერაციამ 2020 წლის 23 მარტიდან 12 აპრილის ჩათვლით გამოაცხადა არდადეგები და კარანტინი. თუმცა ასევე, დააანონსა სწავლების დისტანციური მოდელით გაგრძელების შესახებ.

ისლანდიამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ სკოლები არ დაიხურებოდა იმ შემთხვევაში, თუ შესაძლებელი იქნებოდა სასწავლო პროცესის ისე ორგანიზება, რომ უზრუნველყოფილიყო სოციალური დისტანცია. მაგალითად, თუ კლასში მოსწავლეთა რაოდენობა არ აღემატებოდა 20 მოსწავლეს.

საქართველოს საჯარო სკოლებში პანდემიით გამოწვეული იძულებითი არდადეგები 2020 წლის 9 მარტის ნაცვლად 16 მარტამდე გახანგრძლივდა. მიუხედავად იმისა, რომ არდადეგების პერიოდში არ იყო გამოცხადებული დისტანციურ სწავლებაზე გადასვლა, საჯარო სკოლების ნაწილმა სოციალურ ქსელში დაიწყო მათ მიერ ორგანიზებული ე.წ. „ონლაინ გაკვეთილების“ წარმართვის დამატატურებელი ფოტო მასალის ატვირთვა. 11 მარტს ქვეყნდება ბატონ მიხეილ ჩხენკელის განცხადება, რომელშიც ვკითხულობთ: „ჩვენი ახალგაზრდების ჯანმრთელობაზე ზრუნვიდან გამომდინარე, მივიღეთ გადაწყვეტილება საქართველოს მასშტაბით სასწავლო დაწესებულებებში გამოცხადებული არდადეგები ამ ეტაპზე 1-ელ აპრილამდე გახანგრძლივდეს.

მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, რომ სამინისტროს შემუშავებული აქვს

კონკრეტული საგანმანათლებლო და აკადემიური გეგმა, რომელსაც სკოლები და უმაღლესი სასწავლებლები უახლოეს დღეებში გააცნობენ მოსწავლეებსა და სტუდენტებს. ეს გეგმა გარანტიას იძლევა იმისა, რომ სასწავლო და აკადემიურ პროცესს ხელი არ შეეშლება“.

აღნიშნული განცხადების შემდეგ და დღეის მდგომარეობით კონტაქტური სასწავლო პროცესი შეწყვეტილია 2020 წლის 21 აპრილამდე.

2020 წლის 13 მარტს საქართველოს პრემიერ-მინისტრ გიორგი გახარიას ინიციატივითა და განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ჩართულობით, ელექტრონული წიგნების ინტერნეტ-მაღაზია -lit.ge-ზე საქართველოს ყველა მოქალაქეს ერთი თვის განმავლობაში ეძლევა თავისუფალი წვდომა ამ პლატფორმაზე განთავსებულ „პალიტრა L“-ისა და „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობის“ 2093 ელექტრონულ წიგნზე. ასევე, აღნიშნული ინიციატივის ფარგლებში პალიტრა L-მა მოსწავლეებს უფასოდ შესთავაზა პლატფორმაზე [www.gudabooks.ge](http://www.gudabooks.ge) არსებული 200-მდე აუდიო წიგნი, რომელიც ცნობილი მსახიობების მიერ არის გახმოვანებული.

2020 წლის 15 მარტს სამინისტრო აანონსებს, რომ შემუშავებული გეგმის ფარგლებში, ერთ-ერთ ალტერნატიულ საკომუნიკაციო საშუალებას წარმოადგენს ტექნოლოგიების გამოყენებით დისტანციური სწავლების უზრუნველყოფა TEAMS-ის პროგრამის მეშვეობით, რაც გულისხმობს დისტანციური სწავლების პროცესში Microsoft office 365-ის პროდუქტების გამოყენებას.

2020 წლის 17 მარტს სამინისტრო საგანმანათლებლო დაწესებულებებს სთავაზობს Teams-ში ინტეგრირებულ OneNote Class Notebooks, სადაც მოსწავლეებისა და მასწავლებლებისთვის დავალებებისა და სასწავლო რესურსების ასატვირთად შექმნილია პირადი სამუშაო სივრცე. პროგრამა ასევე, ეხმარება პედაგოგებს სილაბუსის, ქვიზის, კითხვარების მომზადებასა და ონლაინ სასწავლო პროცესის წარმართვაში.

ხოლო 2020 წლის 19 მარტიდან ამოქმედდა მასწავლებელთა მხარდამჭერი სისტემა, რომლის გამოყენებითაც მათ ექნებოდათ შესაძლებლობა, ონლაინ რეჟიმში გაეგზავნათ კითხვები და მიეღოთ კონსულტაცია კონკრეტულ საკითხებზე.

ა.წ. 24 მარტს ქვეყნდება გრიფირებული სახელმძღვანელოების ელექტრონული ვერსიები, რომელთა მხოლოდ წაკითხვა და არა ჩამოტვირთვა არის შესაძლებელი.

ა.წ. 30 მარტიდან კი იწყება პროექტი „ტელესკოლა“, რომელიც მოიცავს სწავლების ყველა საფეხურს და საგნობრივ ჯგუფს. პარალელურ რეჟიმში სკოლებს დაევალა ინფორმაციის შეგროვება, თუ რამდენად ხელმისაწვდომია მათი მოსწავლეთათვის უწყვეტი ინტერნეტ მომსახურება და წვდომა კომპიუტერულ ტექნიკაზე.

ასევე, სამინისტროს მიერ სსსმ მოსწავლეთათვის გაიცა რეკომენდაციები. მინისტრის განცხადებაში ვკითხულობთ: „სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებთან დისტანციური სწავლების ფორმატით მუშაობის პირობებში ძალიან მნიშვნელოვანია მშობლის ჩართულობა და მოტივაცია, რათა ერთგვარი ასისტირება გაუწიონ მოსწავლეებს. ამ მიმართულებით მშობლებთან კომუნიკაციაში ფსიქოლოგებისა და სპეციალური მასწავლებლების როლი ძალიან დიდია“.

ბოლო რეკომენდაცია კი შეეხებოდა, ონლაინ სწავლებისთვის პირველი ქართული ალტერნატიული პლატფორმის - “Feedc Edu”-ის გამოყენების შეთავაზებას.

2020 წლის 6 აპრილს სამინისტროს ოფიციალურ საიტზე (mes.gov.ge) ქვეყნდება ინფორმაცია სათაურით: „OECD-ის ანგარიშში საქართველო დისტანციური სწავლების კუთხით ერთ-ერთ საუკეთესო ნიმუშად არის შეფასებული“. ანგარიში ეყრდნობა საგანმანათლებლო პლატფორმაზე მონაწილეთა რაოდენობას.

ვფიქრობ, რომ მეტად ობიექტურად შეაფასა უკრაინამ თავისი ქვეყნის საგანმანათლებლო რესურსი და 2020 წლის 20 მარტისთვის ის განიხილავდა სწავლების ორ შესაძლო მოდელს. ერთი იყო კარანტინის პერიოდში სწავლის შეწყვეტა და კარანტინის დასრულების შემდეგ სასწავლო პროცესის აღდგენა, ხოლო მეორე სასწავლო პროცესის გახანგრძლივება იმის მიხედვით, თუ რა პერიოდით გახანგრძლივდება კარანტინი. ვინაიდან უკრაინაში განათლების მესვეურნი ცდილობდნენ იმ რისკების თავიდან არიდებას, რომელიც თან ახლავს დისტანციურ სწავლებას. ამ ეტაპზე მათ მიზანშეწონილად მიიჩნიეს დროებით უარი ეთქვათ ონლაინ-სწავლებაზე.

და მაინც, რა საფრთხეები ახლავს დისტანციურ სწავლებას?

სხვადასხვა ქვეყნების დარგის სპეციალისტები გამოყოფენ რამოდენიმე საკვანძო საკითხს. ეს არის:

- უსაფრთხო საგანმანათლებლო პლატფორმების გამოყენება.
- პირადი მონაცემების დაცვა.
- სოციალური უთანასწორობის პრობლემა, რაც გამოჩნდა ონლაინ-ჩართულების პირობებში და გააღრმავა სოციალური სეგრეგაცია (ბულინგისა და დისკრიმინაციის საშიშროება).
- ინფრასტრუქტურისა და ქვეყნის ინტერნეტიზაციის პრობლემა.
- ინტერნეტის, კომპიუტერული ტექნიკისა და ონლაინ-ჩართულებისთვის აუცილებელი ტექნიკური მომსახურეობა.
- ჰიპერ ცენტრალიზებული და მოუქნელი განათლების სისტემა, რომელიც არ იძლევა საშუალებას მოხდეს ცალკეული საჭიროების შეფასება და დიფერენცირებული მოდგომების განხორციელება.

- პედაგოგების მზაობა დისტანციური სწავლებისთვის.
- დისტანციური სწავლების პროცესის ბუნდოვანები. შეფასება, გაკვეთილის ხანგრძლივობა, დავალებების ოდენობა და სხვა.
- დატვირთვა, რომელიც გადავიდა მშობლებზე და მათი მზაობა ამ ტვირთის ასაწევად.
- მშობელთა კომპეტენცია და მოტივაცია, დაეხმარონ მოსწავლეებს სხვადასხვა საკითხების განმარტებასა და მომზადებაში.
- შინ სწავლების შემთხვევაში სკოლამდელი ასაკის მოსწავლეთა კვების ნორმირებული რაციონის დარღვევა და განვითარებაზე ორიენტირებული აქტივობების დეფიციტი.

ცხადია, პრობლემების ჩამონათვალი არ არის სრული, რაზეც შეიძლება ყურადღების გამახვილება. ვინაიდან, თუ ჩვენ ვიმსჯელებთ გლობალური მასშტაბით აღმოჩნდება, რომ თითოეული ქვეყნის განათლების სისტემასა და განათლების მიმღებ ბენეფიციარებს აქვთ დამატებით სპეციფიური პრობლემები.

### **დასკვნა**

დღეს განათლების სპეციალისტები საუბრობენ იმაზე, რომ დისტანციური სწავლება უნდა განიხილებოდეს, როგორც განათლების მიღების ალტერნატიული საშუალება და არა, სწავლების ძირითადი მოდელი. ყველა ერთხმად აღიარებს, რომ პანდემიის პირობებში დისტანციური სწავლება არის ერთგვარი გამოსავალი, თუმცა შესაძლებელია ამ მიდგომის დახვეწა და სამომავლოდ მისი გარკვეულ დონეზე, თუ სწავლების სხვადასხვა საფეხურებზე სასწავლო მოდელად გამოყენებაც.

არავინ იცის როდის დასრულდება პანდემია, შესაბამისად, იმისათვის, რომ ნაკლები სტრესითა და პრობლემებით დავძლიოთ კრიზისი, მნიშვნელოვანია უკვე აღმოჩენილი პრობლემების მოგვარებაზე ზრუნვა (საჭიროების შემთხვევაში ცვლილებები საკანონმდებლო დონეზე) და დისტანციური სწავლების სხვადასხვა კომპონენტის მუდმივი მონიტორინგი.

### **გამოყენებული ლიტერატურა:**

1. კანონი „ზოგადი განათლების შესახებ“.
2. კანონი „სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“.
3. პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარტი. „რეკომენდაციები სკოლებში მოსწავლეთა პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ“.
4. Andersen, S.C. и H.S. Nielsen (2019), «Изучение информации об эффективности», Журнал исследований и теории государственного управления.

5. Bjorklund, A и K Salvanes (2011), «Образование и семейный фон: механизмы и политика», в Е Hanushek, S Machin и L Woessmann (ред.), Справочник по экономике образования, Vol. 3.
6. Burgess, S and E Greaves (2013), «Результаты тестов, субъективная оценка и стереотипы этнических меньшинств», журнал экономики труда 31 (3): 535–576.
7. Carlsson, M, G B Dahl, B Öckert and D Rooth (2015), “The Effect of Schooling on Cognitive Skills”, Review of Economics and Statistics 97(3): 533–547
8. Lavy, V (2015), “Do Differences in Schools' Instruction Time Explain International Achievement Gaps? Evidence from Developed and Developing Countries”, Economic Journal 125.

იხილეთ: საიტები:

9. <http://mes.gov.ge/content.php?id=10272&lang=geo>
10. <http://mes.gov.ge/content.php?id=75&lang=geo>
11. <https://en.unesco.org/covid19/educationresponse/consequences>
12. <https://en.unesco.org/covid19/educationresponse/globalcoalition>
13. <https://www.weforum.org/agenda/2020/04/how-next-generation-information-technologies-tackled-covid-19-in-china/>
14. <https://www.liga.net/health/articles/koronavirus-i-ukrainskaya-shkola-kak-budut-dalshe-uchitsya-vashi-deti-tri-stsenariya>

## Education during the Pandemic condition

*Ketevan Abesadze PhD student  
Georgian Technical University*

### Summary

The article “Education during the pandemic condition” is about the international experience which now exists in different countries of the world. I think that it would be interesting to introduce how the world educational system deals with problem of education continuity during the pandemic.

It is very important to observe the process, to state which challenges are left behind, and which negative sides does the distance learning have? Also it is very actual to define what kind of mechanism do we have to avoid these problems and how to escape from this crisis.

Tags: “education” “pandemic” “challenges” “International experience” “crisis” “Ministry”.

## ინკლუზიური განათლება

*თონა შარიქაძე, დოქტორანტი  
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

### რეზიუმე

ყველა ბავშვს აქვს განათლების ფუნდამენტური უფლება და მას უნდა მიეცეს შესაძლებლობა მოიპოვოს და შეინარჩუნოს სწავლის მისაღები დონე. ყველა ბავშვს აქვს უნიკალური მახასიათებლები, ინტერესები, უნარები და სასწავლო საჭიროებები. საგანმანათლებლო პროგრამები უნდა შემუშავდეს იმგვარად, რომ ითვალისწინებდეს ამ მახასიათებელთა და საჭიროებათა მრავალფეროვნებას. სკოლა უნდა იყოს ხელმისაწვდომი ბავშვზე ორიენტირებული პედაგოგიკითა და შესაბამისი პირობების შექმნის უზრუნველყოფით.

კანონმდებლობამ უნდა აღიაროს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების ბავშვებისათვის შესაძლებლობათა გათანაბრების პრინციპი დაწყებით, საშუალო და შემდგომ განათლებაში იმ დონეზე, რა დონეზეც ეს შესაძლებელია ინტეგრირებულ გარემოცვაში.

სკოლებმა უნდა უზრუნველყონ ყველა ბავშვის აკომოდაცია მათი ფიზიკური, ინტელექტუალური, სოციალური, ემოციური თუ სხვა მდგომარეობის მიუხედავად.

ბავშვზე ცენტრირებული პედაგოგიკა სარგებლის მომტანია ყველა მოსწავლისათვის და საბოლოო ჯამში მთლიანი საზოგადოებისათვის.

საკვანძო სიტყვები: ზოგადსაგანმანათლებლო, ინკლუზია, ინკლუზიური განათლება, სალამანკას დეკლარაცია, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე.

### შესავალი

ინკლუზია ინგლისური სიტყვაა (inclusion) და ქართულად ნიშნავს ჩართვას. ეს ცნება XX საუკუნის მეორე ნახევარში გაჩნდა და სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვთა განათლების უფლების დაცვის საკითხებს დაუკავშირდა.

ინკლუზიური განათლება (inclusive education) არის საგანმანათლებლო მიდგომა და იდეა, რომლის ფარგლებშიც განათლების სისტემა უზრუნველყოფს ყველა ბავშვის თუ მოზარდის ხარისხიან განათლებას ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში იმის მიუხედავად თუ რა ფიზიკური, შემეცნებითი, სოციალური, ემოციური, ლინგვისტური, ეთნიკური, რასობრივი, რელიგიური, სქესობრივი თუ სხვა მახასიათებელი გააჩნიათ. (1; 15)



ძირითადი ნაწილი: 1994 წლის 7-10 ივნისს ესპანეთში, სალამანკაში, ერთმანეთს შეხვდა 92 მთავრობისა და 25 საერთაშორისო ორგანიზაციის 300-ზე მეტი მონაწილე, რათა ხელი შეეწყოს „განათლება ყველასთვის“ მიზნისა და ინკლუზიური განათლების მიდგომის წინსვლისათვის. კონფერენციაზე მიღებულ იქნა სალამანკას დეკლარაცია სპეციალური საჭიროების მქონე პირთა განათლების პრინციპების, პოლიტიკის, პრაქტიკის და სამოქმედო გეგმის შესახებ.(2; 7)

სალამანკას დეკლარაციით სათავე დაედო ინკლუზიური განათლების მოდელის საყოველთაოდ აღიარების პროცესს. საქართველოში ინკლუზიური განათლება განათლების რეფორმის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად 2006 წლიდან იქცა.

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონეა მოსწავლე (შემდგომში სსს მქონე მოსწავლე), რომელსაც თანატოლებთან შედარებით აქვს სიძნელე სწავლაში.

სსს მქონე მოსწავლე შეიძლება იყოს ისეთი მოსწავლე, რომელსაც აქვს:

- ფიზიკური შეზღუდვა
- ინტელექტუალური განვითარების დარღვევა
- სენსორული განვითარების დარღვევა( სმენა, მხედველობა)
- მეტყველების განვითარების დარღვევა
- ქცევითი და ემოციური დარღვევა
- გრძელვადიანი ჰოსპიტალიზაციის საჭიროება
- სოციალური ფაქტორებით გამოწვეული სირთულეები სწავლაში.

ინკლუზიური განათლების განხორციელების ძირითადი მიზანია არ დაუკარგოს საზოგადოებას არც ერთი მისი წევრი, განურჩევლად იმისა, თუ რა სახის შეზღუდვა აქვს მას.

საზოგადოებრივი აზრი სსს მქონე ბავშვის განათლების შესახებ არაერთგვაროვანია: ზოგს მიაჩნია, რომ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში მხოლოდ ის მოსწავლეები უნდა მოთავსდნენ, რომლებიც სავალდებულო სტანდარტებს აკამყოფილებენ. საზოგადოების მეორე ნაწილის აზრით კი ყველა მოზარდი, მისი უნარების მიუხედავად, ერთად უნდა სწავლობდეს.

თუკი ბავშვში სასკოლო ასაკიდანვე განვითარებთ თანამშრომლობის უნარს, მაშინ ასეთ კლასში შეიქმნება მეგობრული ატმოსფერო, სადაც ბავშვები თავს იგრძნობენ უსაფრთხოდ და დაცულად. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის კლასი - ესაა სოციალური ჯგუფი, რომლის მთავარი ფუნქციაა-განუვითაროს უსაფრთხოების გრძნობა თითოეულ მის მონაწილეს.

### **ინკლუზიის დამცველთა არგუმენტები**

1. ყველა მოსწავლეს აქვს განათლების მიღების უფლება ერთ სასწავლო სივრცეში, თანატოლებთან ერთად, რაც ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაშია შესაძლებელი.

2. ინკლუზიურ განათლებას სარგებლობა მოაქვს ყველა ბავშვისათვის: სსს მქონე ბავშვი, მათი შესაძლებლობის გათვალისწინებით, სხვა მოსწავლეების ქცევაზე დაკვირვებით იძენენ სოციალურ ჩვევებს, რაც მეტად მნიშვნელოვანია საზოგადოებაში მათი სრულყოფილი ინტეგრირებისათვის. ინკლუზია ეხმარება ტიპური განვითარების მოსწავლესაც: ასწავლის მათ მიმღებლობას.
3. როდესაც მოსწავლეები ხშირად ტოვებენ ზოგასაგანმანათლებლო კლასს სპეციალურ კლასებში დასასწრებად, თანაკლასელებში მათ ხშირად უჩნდებათ შეზღუდულობასთან დაკავშირებული ზედმეტ-სახელები. გასვლითი პროგრამა ასევე იწვევს ფრაგმენტაციას. მოსწავლეებს უჭირთ სპეციალური განათლების კლასში მიღებული ინფორმაციის შერწყმა ზოგასაგანმანათლებლო კლასში მიღებულ ინფორმაციასთან. (2; 75)

**ინკლუზიური განათლების უპირატესობა და სარგებელი სსს მქონე ბავშვს:**

- ჩვეულებრივ კლასში შესაფერისი განათლებით უზრუნველყოფა აძლევს საშუალებას, თავი არ იგრძნოს სხვებისგან გამორჩეულად.
- კლასის ცხოვრებაში მონაწილეობით და კლასელებთან ურთიერთობით, ეზრდება მოტივაცია და თვითშეფარება.
- თითოეულ ბავშვს აქვს თავისუფალი გადაადგილების საშუალება სკოლაში მაშინ, როდესაც მხოლოდ სპეციალიზებულ კლასში ყოფნა ხშირად იწვევს ბავშვის იზოლაციას.
- თანატოლებთან ურთიერთობით ბავშვი სწავლობს თავისი ასაკისათვის სოციალურად შესაფერის ქცევას რეალურ სიტუაციაში.

**ტიპური განვითარების ბავშვი:**

- კარგად ორგანიზებულ ინკლუზიურ გარემოში იღებს უფრო მრავალმხრივ განათლებას, ვიდრე ჰომოგენურ საკლასო ოთახში.
- ბავშვებს უყალიბდებათ ცხოვრებაში არსებული განსხვავების მიმღებლობა, გაგება და მცირდება ამ განსხვავების აღქმის შიში.
- იზრდება მათი სოციალური შეგნება.
- ყალიბდება ადეკვატური თვითშეფასება.
- ვითარდება ზრუნვის, სხვისი დახმარებისა და თანამშრომლობის სურვილი. (3; 41)

**დასკვნა**

აქედან გამომდინარე შეგვიძლია ვთქვათ, რომ ინკლუზიური განათლება იძლევა ორმხრივი სარგებლიანობის შესაძლებლობას. მისი ძირითადი აზრია, თითოეული მოსწავლის ინდივიდუალობის მიღება და სწავლის პროცესში

მისი გათვალისწინება. სწავლების პროცესი ისე უნდა იყოს ორგანიზებული, რომ ხელი შეუწყოს თითოეული ბავშვის უნარების განვითარებას.

### **ლიტერატურა:**

- 1 პაჭკორია თ. ინკლუზიური განათლება ცნებები და ტერმინები თბილისი 2011
- 2 პაჭკორია თ. კაპანაძე მ. ვისწავლოთ ერთად ინკლუზიური განათლება თბილისი 2008
- 3 გაგომიძე თ. ჭინჭარაული თ. ინკლუზიური განათლების პრინციპები თბილისი „ნეკერი“ 2008
- 4 ჭინჭარაული თ. ჯავახიშვილი ნ. ინკლუზიური განათლების მაჩვენებელი საქართველოში კვლევის ანგარიში 2013 თბილისი
- 5 Фопель К. Как научить детей сотрудничеству Москва 2006

### **Inclusive Education**

*Teona Sharikadze, PhD student  
Georgian Technical University*

### **Summary**

Every child has a fundamental right to education, and must be given the opportunity to achieve and maintain acceptable level of learning. Every child possesses unique characteristics, interests, skills and learning needs. Educational programs should be designed to take into account the diversity of these characteristics and needs. Schools should accommodate pupils within a child-centered pedagogy and provide them with relevant conditions.

Legislation should recognize the principle of equality of opportunities for children with special educational needs in primary, secondary and tertiary education carried out, in so far as possible, in an integrated environment.

Schools must accommodate the needs of every child regardless of their physical, intellectual, social, emotional or other conditions.

Child-centered pedagogy is beneficial to every child and, as a consequence, to society as a whole.

Key words: general educational, inclusion, inclusive education, Salamanca Declaration, student with special educational needs.

# ქუჩნალისტიკა

## JOURNALIZM

### პოპულარული ამერიკული ჟურნალები

*ქეთევან გიორგობიანი, ასოცირებული პროფესორი  
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

#### რეზიუმე

ნაშრომში საუბარია საჟურნალო მედიის შესახებ. აღნიშნულია, რომ ჟურნალებს, რომლებიც ოპერატიულობით ვერ დაიკვებნის, გამოცემის სიხშირიდან გამომდინარე, აქვს მოვლენის უფრო ზედმიწევნით გაშუქების და ღრმა ანალიზის ჩატარების, განსხვავებული თვალსაზრისის მიწოდების და შეჯერების საშუალება. ჟურნალს ეფექტურ სარეკლამო მედიადაც მიიჩნევენ. ნაშრომში ყურადღება გამახვილებულია პოპულარული ამერიკული ჟურნალების შესახებ, რომლებიც ყველა დონის მკითხველზეა გათვლილი და აკმაყოფილებს მათ ინტერესებს. ეს ჟურნალებია: „ლაიფი“ „ნიუს-უიკი“ „ბიზნეს უიკი“ „თაიმი“ „პეოპლი“, „რიდერ დაიჯესტი“, „პლეიბოი“ და სხვები. ასევე განხილულია ის გამოცემები, რომლებიც შედიან ჯგუფში „7 და“ და ცნობილი არიან, როგორც ქალებისთვის და ზოგადად მთელი ოჯახისთვის განკუთვნილი ჟურნალები. აღნიშნულია ისიც, რომ ჟურნალის შინაარსი და ხარისხი დიდად განაპირობებს მის პოპულარობას და გაყიდვის მასშტაბს, ეს კი ბეჭდური გამოცემის არსებობის და გადარჩენის აუცილებელი პირობაა, განსაკუთრებით დღეს, როცა ახალ მედიასთან კონკურენცია ბევრ საფრთხეს ბადებს და ტრადიციულ მედიას დიდი გამოწვევების წინაშე აყენებს.

საკვანძო სატყვეები: საჟურნალო მედია; დანიშნულება; მიზანი; პოპულარობის გამომწვევი მიზეზები; აუდიტორიის მოპოვების და შენარჩუნების გზები; ინფორმირება; სიღრმისეული ანალიზი; გართობა.

## შესავალი

ჟურნალები, გაზეთების მსგავსად, ემსახურება საზოგადოების ინფორმირებას და წარმოადგენს მკს-ს განუყოფელ ნაწილს. თანამედროვე ჟურნალები ყველა დონის მკითხველზეა გათვლილი და აკმაყოფილებს მათ ინტერესებს. რადგან ჟურნალები ყოველდღიურად არ გამოდის, ოპერატიულობით ვერ დაიკვეხნის, ეს არის სწორედ ერთ-ერთი ნიშანი, რაც მას გაზეთისგან განასხვავებს, სამაგიეროდ, ჟურნალს აქვს მოვლენის უფრო ზედმიწევნით გაშუქების, უფრო ღრმა ანალიზის საშუალება, უფრო ვრცელი ინტერვიუს შეთავაზებაც შეუძლია მკითხველისთვის და მრავალფეროვანი თემატიკით დაინტერესებაც. ამიტომ ჟურნალები მთელ მსოფლიოში ძალიან პოპულარულია და მილიონობით ტირაჟით გამოდის. ამჟერად ვისაუბრებთ აშშ-ს ყველაზე ცნობილ ჟურნალებზე.

## ძირითადი ნაწილი

ჟურნალი „ლაიფი“ ძალიან რეიტინგული და პოპულარული იყო ათეულობით წლების განმავლობაში და არა მარტო აშშ-ში. მართალია, დღეისათვის ძველი რეიტინგი აღარ აქვს, მაგრამ მასზე ყურადღების გამახვილება ნამდვილად ღირს. ჟურნალი დააარსა ჯონ ეიმსონ მიტჩელმა 1883 წელს. თავიდანვე ჩაფიქრებული იყო, როგორც გასართობი ბეჭდვის ორგანო ხუმრობებით, სოციალური კომენტარებით და ბევრი ილუსტრაციით. მას საკუთარი დევიზიც ჰქონდა: „არის სიცოცხლე - არის იმედი“. ჟურნალის პოპულარობა დიდი ხნის განმავლობაში იმანაც განაპირობა, რომ მასში ბევრი გამოჩენილი მწერალი, პუბლიცისტი, რედაქტორი, კარიკატურისტი მოღვაწეობდა, მათ შორის გარი ოლივერი, ჩარლზ დანა გიბსონი, ნორმან როკველი. როდესაც 1918 წელს ჯონ მიტჩელი გარდაიცვალა, ჟურნალი შეისყიდა ჩარლზ გიბსონმა 1 მლ. დოლარად. შემდეგ დაიწყო პირველი მსოფლიო ომი, რომელმაც ბევრი რამ შეიცვალა. ადამიანებს სხვა საზრუნავი გაუჩნდა, გადაფასდა ღირებულებები, შეიცვალა ინტერესთა სფერო. ჟურნალმა ბევრი ხელმომწერი დაკარგა და ფინანსური კრახის წინაშე დადგა მიუხედავად იმისა, რომ მასში უმაღლესი დონის პროფესიონალები მუშაობდნენ. 1936 წელს ჟურნალი კიდევ ერთხელ გაიყიდა. გამომცემელმა ჰენრი ლიუსმა 92 000 დოლარი გაიღო „ლაიფისთვის“. დიდია ამ ჟურნალის როლი ამერიკული ფოტოჟურნალისტიკის განვითარებაში. „ლაიფი“ სწორედ თავისი შესანიშნავი ილუსტრაციებით გამოირჩეოდა. სწორედ ეს ბეჭდვითი ორგანო გახდა პირველი სრულად ილუსტრირებული ახალი ამბების ამერიკული ჟურნალი. 1945 წლის 27 აგვისტოს, ნიუ-იორკში, იაპონიაზე გამარჯვების აღნიშვნისას ალფრედ ეიზენშტადტის მიერ გადაღებული ფოტო „მოწყალეების და მეზღვაურის მკლავებში“ საუკეთესო ნამუშევრად აღიარეს.

არსებობის განმავლობაში ჟურნალმა არაერთხელ შეიცვალა ფორმატი და რამდენჯერმე დაიხურა კიდეც. 1936 წლიდან 1972 წლამდე, სანამ არსებობას შეწყვეტდა, იყო ყოველკვირიანი, 6 წლიანი შესვენების შემდეგ, 1978 წელს, განახლებულმა „ლაიფმა“ კვლავ იხილა დღის სინათლე, მაგრამ უკვე თვეში ერთხელ გამოდიოდა. 2000 წელს კვლავ დაიხურა. მისი გამოცემა აღდგა ნიუ-იორკის 11 სექტემბრის ტრაგიკული მოვლენის შემდეგ, მაგრამ ცნობილი ფოტორეპორტაჟების გარეშე. დღეს ჟურნალი 6 კვირაში ერთხელ გამოდის.

ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ჟურნალი აშშ-ში არის „თაიმი“. ჟურნალი კვირაში ერთხელ გამოდის და მნიშვნელოვან ამბებზე ამხვილებს ყურადღებას. საკმაოდ შთამბეჭდავი ტირაჟი აქვს, 3,4 მლ. ეგზემპლარი, ეს უკვე თავისთავად მეტყველებს ჟურნალის წარმატებაზე. „თაიმი“ საშუალებას აძლევს მკითხველს გახდეს ცხელ თემებზე კამათის თანამონაწილე. იხილავს ყველა სფეროში მიმდინარე პროცესებს; ეს არის პოლიტიკა, ეკონომიკა, ბიზნესი, სპორტი, ხელოვნება, რელიგია და ა.შ. ჟურნალის დაარსების თარიღად ითვლება 1923 წელი. მისი დამფუძნებლები კი იყვნენ ჰენრი ლიუსი და ბრაიტონ ჰედენი, რომლებმაც ეს გადაწყვეტილება მიიღეს იელის უნივერსიტეტში ორგანიზაციის „თავის ქალა და ძვლები“ საიდუმლო შეკრებაზე. ჟურნალი გამორჩეული იყო იმიტაც, რომ აქვეყნებდა სხვადასხვა რეიტინგს, დანერგა წლის ადამიანის ნომინაცია. სხვადასხვა დროს წლის ადამიანები გახდნენ იოსებ სტალინი, ადოლფ ჰიტლერი, მიხეილ გორბაჩოვი, მარკ ცუკენბერგი. დღესდღეობით „თაიმი“ დაკავშირებულია ჰოლდინგთან „თაიმ ვარნერი“ (Time Warner). ჟურნალს აქვს ევროპული, აზიური და ავსტრალიური გამოცემები, რომლებიც იბეჭდება ლონდონში, ჰონკონგსა და სიდნეიში.

ჟურნალი „ნიუს-უიკი“ დაარსდა 1933 წელს. მისი დამფუძნებელი იყო „თაიმის“ ყოფილი რედაქტორი ტომას მარტინი. ამიტომ არ არის გასაკვირი, რომ ფორმატით სწორედ „თაიმსს“ წააგავს. ჟურნალის სახელწოდება მიუთითებს იმაზე, რომ მის ფურცლებზე შუქდება ის მოვლენები და ფაქტები, რაც მოხდა კვირის განმავლობაში. რადგან ჟურნალი არ არის გასართობი, არ უთმობს დიდ ადგილს მოდის სიახლეების, ცნობილი ადამიანების ცხოვრების დეტალების აღწერას და ა. შ. უფრო მომზადებული და სერიოზული თემებით დაინტერესებულ მკითხველზეა გათვლილი, რომელსაც სურს გაიგოს აშშ-ს და მსოფლიოს ახალი ამბები, მოისმინოს პასუხი მძაფრ და საორჭოფო კითხვებზე, თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ „ნიუს-უიკში“ შოუ-ბიზნესის სიახლეებზეც მახვილდება ყურადღება. ჟურნალის შტაბბინა ნიუ-იორკში მდებარეობს. მას საზღვარგარეთული გამოცემებიც აქვს, რომლებიც სხვადასხვა ქვეყანაში 7 ენაზე გამოდის. ტირაჟი 3 მლ. ეგზემპლარზე მეტია. 2009 წლიდან ჟურნალი „ვაშინგტონ პოსტისთან“ ერთად მილიარდელმა სიდნი ჰერმანმა შეისყიდა.

საინტერესო ჟურნალია „ბიზნეს უიკი“ ჟურნალის სახელწოდებიდან გამომდინარე, შეიძლება ვიფიქროთ, რომ მას ძირითადად ბიზნესის და ეკონომიკის საკითხებით დაინტერესებული საზოგადოება ეცნობა, რადგან ჩვეულებრივი მკითხველისთვის საქმიანი მსოფლიოს მოვლენები და მათი ანალიზი მოსაწყენია, მაგრამ ასე არ არის. ჟურნალს საკმაოდ მოზრდილი აუდიტორია ჰყავს და დიდი პოპულარობითაც სარგებლობს. „ბიზნეს-უიკში“ იბეჭდება კრიტიკული და მიუკერძოებელი სტატიები. მისი ჟურნალისტები კომპრომისზე არასდროს მიდიან, არ ცდილობენ სიტუაციის შელამაზებას, ამიტომ ბევრი კომპანია ენდობა მასში გამოქვეყნებულ კვლევის შედეგებს და ზოგადად ამ ბეჭდვითი ორგანოს ავტორიტეტს. ჟურნალში გარკვეული ადგილია გამოყოფილი იმაზე სასაუბროდ, თუ რა გავლენას ახდენს პოლიტიკა ბიზნესის სამყაროზე. გავლენა ნამდვილად შესამჩნევია და ჟურნალის თანამშრომლები ცდილობენ თვალი მიადევნონ ამ პროცესს. წელიწადში „ბიზნეს უიკის“ 57 ნომერი გამოდის, ტირაჟი კი მილიონ ეგზემპლარს აღწევს. მას დაახლოებით 5,6 მილიონამდე ადამიანი კითხულობს. ჟურნალს მკითხველი ეცნობა 1929 წლიდან. მთავარი რედაქტორი მაშინ მალკოლმ მური იყო. ჟურნალს ევროპული და აზიური გამოცემებიც ჰქონდა 2005 წლიდან დაიწყო მზადება იმის განსახორციელებლად, რომ ჟურნალი გახდეს გლობალური მთელი მსოფლიოსთვის და ჰქონდეს მხოლოდ ერთი გამოცემა.

ჟურნალ „ხალხის“ (People) პირველი ნომერი 1974 წელს გამოვიდა და მაშინვე მიიპყრო მკითხველის ყურადღება, რადგან იმთავითვე ბევრი ადამიანის ინტერესი დააკმაყოფილა. ამ ბეჭდვით ორგანოში დასაქმებული ჟურნალისტები ცდილობდნენ ყველა სფეროდან მოეძიათ საინტერესო მასალა, ყოფილიყვნენ ჯაშუშები კარგი გაგებით და მედიამომხმარებელი მრავალფეროვანი ინფორმაციით უზრუნველყოთ, ზოგჯერ გაერთოთ კიდევ. მაგ. გამოკითხვის შედეგად დაედგინათ „ყველაზე კარგად და მოდურად ჩაცმული ვარსკვლავი“, „მსოფლიოს საუკეთესო მზარეული“, „ყველაზე სექსუალური მამაკაცი“. ამ პრესტიჟული ნომინაციის გამარჯვებულებს შორის სხვადასხვა დროს მოხვდნენ ბრედ პიტი, ჯორჯ კლუნი და ჯონი დეპი. 1998-2006 წლებში ჟურნალს ახალგაზრდული გამოცემაც ჰქონდა „Teen People“. დღეისთვის ჟურნალის ტირაჟი 3, 625 მილიონ ეგზემპლარს აღწევს.

ლიდერ ჟურნალთა შორის აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ „მკითხველის დაიჯესტი“ (Reader' Digest). ნებისმიერ ადამიანს, რომელსაც სურს ერკვეოდეს მსოფლიოში მიმდინარე პროცესებში, ჟურნალი შესაძლებლობას აძლევს მიიღოს მისთვის სასარგებლო რჩევები, ზოგჯერ გაერთოს და დაივიწყოს ყოველდღიური პრობლემები, ერთი სიტყვით, გახდეს მისი ერთგული მეგობარი. ჟურნალი საკმაოდ კარგად იყიდება. მიზეზი უბრალოა, საინტერესო ინფორმაციები, რომლებიც სხვადასხვა სფეროს მოიცავს.

მკითხველი ჟურნალის ფურცლებზე იხილავს იმას, რაც აუცილებლად და-  
ანტერესებს საზოგადოებას: ჯანმრთელი ცხოვრების წესი, გამორჩეული  
ადამიანების პირადი გამოცდილება, საინტერესო ისტორიები, სასარგებლო  
რეცეპტები, გასართობი და სახალისო თამაშები, ზოგჯერ ანეკდოტებიც.  
აღსანიშნავია, რომ ეს ჟურნალი გამოსცემს წიგნების სერიას „ რჩეული  
თხზულებები რიდერ დაიჯესტისგან“. ჟურნალის ტირაჟიც შთამბეჭდავია,  
12 მლ. ეგზემპლარი. არსებობს „ მკითხველის დაიჯესტი“ გლობალური  
(საერთაშორისო) გამოცემაც, რომელიც მსოფლიოს 70 ქვეყანაში გამოდის 40  
მლ. ტირაჟით. ბეჭდვის ეს ორგანო ვიზუალურადაც განსხვავებულია, საკმაოდ  
კომპაქტურია, ორჯერ მცირეა მისი მოცულობა სხვა ჟურნალებთან შედა-  
რებით. „მკითხველის დაიჯესტი“ დაარსდა 1922 წელს. მის დამფუძნებლე-  
ზად ითვლებიან დევიდ და ლილა უოლესები. ჟურნალის გამოცემა საინ-  
ტერესო ფაქტს უკავშირდება. დევიდი პირველ მსოფლიო ომში დაიჭრა,  
გამომჯობინების პერიოდში მას მოუვიდა იდეა მისთვის მნიშვნელოვანი  
სტატიებისთვის, რომლებშიც სხვადასხვა საკითხები შუქდებოდა, ერთად  
მოეყარა თავი და შეექმნა ჟურნალი. მან ამ იდეას ხორცი შეასხა. კიდევ ერთი  
რამ უნდა აღინიშნოს, ჟურნალი დღემდე ინარჩუნებს კონსერვატორულ შეხე-  
დულებებს პოლიტიკურ და სოციალურ საკითხებზე. ისიც უნდა ითქვას, რომ  
ჟურნალის საქმიანობა ზოგჯერ მიუღებელია საზოგადოების გარკვეული  
წრისთვის. ბოლო დროს აქტიური კრიტიკის ქარცეცხლში მოჰყვა პრესის ამ  
ორგანოს ფურცლებზე ლატარიის გათამაშება, საქმე სასამართლომდე მივი-  
და, რადგან მკითხველთა მოტყუების ცდად და გარკვეულწილად თაღლი-  
თობად მიიჩნიეს.

აშშ-ში საკმაოდ პოპულარულია ე.წ. საოჯახო და ქალებისთვის  
განკუთვნილი ჟურნალები. გამოვეყოფთ რამდენიმე მათგანს. “Ladies’s Home  
Journal”- ამ ჟურნალში საუბარია ყველაფერზე, რაც აინტერესებს ქალებს:  
სილამაზის საიდუმლოებები, კერძების მომზადების რეცეპტები, მოდის  
სიახლეები, ჯანმრთელი კვებისთვის აუცილებელი ინგრედიენტები, რჩე-  
ვები ცხოველების მოვლასთან დაკავშირებით, ბავშვებთან ურთიერთობა,  
თამაშები მათ განსავითარებლად, საუბარი სექსზე. ეს ჟურნალი 1883 წელს  
გამოჩნდა, მანამდე იყო „Tribune and Farmer“-ის დამატება, შემდეგ რე-  
დაქტორის მეუღლემ, ლუიზა კერტისმა გადაწყვიტა გამოეშვა ქალებისთვის  
განკუთვნილი ჟურნალი და სათავეში ჩაუდგა ამ საქმეს. პოპულარობამაც  
არ დაახანა. 1907 წელს გახდა პირველი ამერიკული ჟურნალი, რომელსაც  
მილიონ ეგზემპლარზე მეტი ტირაჟი ჰქონდა. შემდეგ შეიქმნა ორგანიზაცია  
“7 და“, რომელიც ძირითადად ქალთა პრობლემებს ეხებოდა და რომელშიც ეს  
ჟურნალიც გაერთიანდა. პრესის ამ ორგანიზაციის მოთხოვნა თანდათან უფრო  
და უფრო იზრდებოდა და 1960 წელს მისმა ტირაჟმა 6,8 მილიონს მიაღწია.



ჟურნალით დაინტერესებას მისი დაბალი ფასიც უწყობდა ხელს, რადგან რეკლამის განთავსების წყალობით ხერხდებოდა საჭირო თანხის მოძიება. დღესდღეობით წელიწადში ამ ჟურნალის 11 ნომერი გამოდის და ტირაჟი 3,20 მლ. ეგზემპლარს შეადგენს.

შემდეგი ჟურნალიც, რომელზედაც ვისაუბრებთ, შედის ჯგუფში „7 დღე“ და მას ეწოდება „ქალთა დღე“ ( Women’s Day). ეს ჟურნალი ქალებს აწვდის ინფორმაციებს და რჩევებს იმის შესახებ, თუ რა არის აქტუალური და რა უნდა გაითვალისწინონ სახლის მოწყობის დროს, როგორ უნდა მოახერხონ სილამაზის შენარჩუნება და სწორი კვება, რაც ჯანმრთელობის საწინდარია, როგორ უნდა იურთიერთონ ადამიანებთან სხვადასხვა სიტუაციაში, როგორ მოუარონ ბავშვებს და ა.შ. 1936 წელს, პირველ თანამედროვე სუპერმარკეტში, პენსილვანიაში, დაიწყო ამ ჟურნალის გაყიდვა სულ რაღაც 2 ცენტად. დღეს მისი თემატიკა საკმაოდ გაფართოებულია. თავდაპირველად ჟურნალის ყიდვა შესაძლებელი იყო მხოლოდ სუპერმარკეტთა ქსელში A@P. შემდეგ, 1958 წელს, შეისყიდა გამომცემლობამ „Fawcett“. დღეისთვის ჟურნალის ტირაჟი 6,5 მილიონია, თუმცა იყო პერიოდი, როცა მისი ტირაჟი 6,5 მლ ეგზემპლარამდე აღწევდა, ეს იყო 1965 წელს. ჟურნალი თვეში ერთხელ გამოდის და 22 მილიონზე მეტი მკითხველი ჰყავს. მის საიტზე ყოველდღიურად შედის დაახლოებით 70000 ადამიანი.

ჟურნალი „ოჯახური წრე“ (Familu Circle) მთელი ოჯახისთვის არის განკუთვნილი. მიიჩნევენ, რომ საუბარი დღესასწაულებზე, დეკორზე, კვების პროდუქტებზე, სტილზე, სილამაზეზე, მოდაზე, შინაურ ცხოველებზე და ქველმოქმედებაზე ოჯახის ყველა წევრს, ასაკის და ინტერესების მიუხედავად, დაინტერესებს. წელიწადში „ოჯახური წრის“ 15 ნომერი გამოდის 3,8 მლ. ტირაჟით. ეს ჟურნალიც თავდაპირველად სუპერმარკეტის თაროებზე გამოჩნდა 1932 წელს, ვრცელდებოდა მსხვილ სავაჭრო ქსელებში. 1971-1994 წლებში გამოცემას ფლობდა კომპანია “The Neu Jork Times”. ეს ჟურნალიც „7 დის“ წევრია. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ „ოჯახური წრე“ არის ჩარლსტონში ქალთა საჩოგბურთო ტურნირის სპონსორი.

მათ, ვინც დაინტერესებულია სახლის მოწყობით და ბაღის მოვლით, დიდ დახმარებას გაუწევს ჟურნალი “Better Homes and Gardens”. ჟურნალში შეხვედებით კულინარულ რეცეპტებს, რჩევებს სახლისა და ეზოს მოვლის, საოჯახო დღესასწაულების მოწყობის, შინაური ცხოველების მოვლის შესახებ. წელიწადში ამ ჟურნალის 12 ნომერი გამოდის. მის გამოცემას უზრუნველყოფს კორპორაცია “Meredith”. სწორედ ევინ მერედიტმა დააარსა პრესის ეს ორგანო 1922 წელს. ედვინ მერედიტი პრეზიდენტ ვილსონის თანაშემწე იყო სოფლის მეურნეობის დარგში. ჟურნალი დღეს უკვე ბრენდად ითვლება, მისი მარკით გამოდის საოჯახო დეკორის უამრავი სახეობა. ჟურნალი აშშ-ს

ფარგლებს გასცდა. 1978 წლიდან ავსტრალიაშიც იყიდება. არსებობს ამავე სახელწოდების სატელევიზიო შოუც. ჟურნალის ტირაჟი 7,6 მლ ეგზემპლარს აჭარბებს.

ამჯერად კიდევ ერთ ჟურნალზე გავამახვილებთ ყურადღებას. ეს არის 1953 წელს დაარსებული „პლეიბოი“ (Playboy). ჟურნალი თვეში ერთხელ გამოდის, დამაარსებელია ჰიუ ჰეფფნერი, რომლის მიზანი იყო მკითხველს შემდლოლოდა სექსის და სილამაზის სამყაროში. პატივად თვლიდნენ ამ ჟურნალისთვის პოზიორობას და მის ფურცლებზე მოხვედრას ამერიკული კინოს ვარსკვლავები და შოუ-ბიზნესის წარმომადგენლები: მერილინ მონრო, პამელა ანდერსონი, ელიზაბეთ ტეილორი, სინდი კროუფორდი და სხვები. ჟურნალში პერიოდულად ქვეყნდებოდა ცნობილი ადამიანების, მათ შორის მწერლების ნააზრევი. მაგ სტივენ კინგის, არტურ კლარკის, იანა ფლემინგის, სტანისლავ ლემის. ჰიუ ჰეფფნერი წერდა, რომ იგი არასდროს თვლიდა ჟურნალს იმ გამოცემად, რომელიც სექსს ეძღვნებოდა. ჟურნალი, მისი აზრით, მოგვითხრობს ცხოვრებაზე, სადაც სექსს არცთუ მცირე ადგილი უჭირავს. ამიტომ არ იყო შემთხვევითი, რომ გასართობი მასალის გვერდით ქვეყნდებოდა ფიდელ კასტროს, ლუთერ კინგის, იასირ არაფატის, ჯონ ლენონის და სხვათა აზრები და შეხედულებები. დღეს ეს ჟურნალი მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში გამოდის 3 მილიონზე მეტი ტირაჟით.

### **დასკვნა**

ნებისმიერ ადამიანს და ზოგადად მთელ საზოგადოებას აქვს კანონიერი უფლება, მიიღოს მისთვის საინტერესო და სასურველი ინფორმაცია შეზღუდვების გარეშე. ჟურნალიც, ბეჭდური მედიის სხვა საშუალებებთან ერთად, სწორედ ამ ფუნქციის განხორციელებას ემსახურება. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ჟურნალში ხერხდება მოვლენების საღრმისეული ანალიზი, განსხვავებული თვასაზრისის მიწოდება და შეჯერება. ჟურნალებს ეფექტურ სარეკლამო მედიადაც მიიჩნევენ, რადგან დიდი ალბათობით სამიზნე აუდიტორია გაეცნობა სარეკლამო განცხადებებს და, სავარაუდოდ, გამოიყენებს კიდევ. ყველა შემთხვევაში, ჟურნალის შინაარსი და ხარისხი დიდად განაპირობებს მის პოპულარობას და გაყიდვის მასშტაბს, ეს კი ბეჭდური გამოცემის არსებობის და გადარჩენის აუცილებელი პირობაა, განსაკუთრებით დღეს, როდესაც ინფორმაციის მიღების უამრავი საშუალება არსებობს, ახალ მედიასთან კონკურენცია კი ბევრ საფრთხეს ბადებს და ტრადიციულ მედიას დიდი გამოწვევების წინაშე აყენებს.

ლიტერატურა:

1. <https://gsom.spbu.ru/gsom/library/journals/>
2. <http://en.wikipedia.org/wiki/Magazine>
3. Leonard Mogel. The Magazine. 3<sup>rd</sup> Ed. Boston:Globe Pequot, 1992

### **American Popular Magazines**

*Ketevan Giorgobiani, associated professor  
Georgian Technical University*

#### **Summary**

This work tells about media, it's remarkable that magazines, which cannot boast following from their publication frequency, has the opportunity to cover the events thoroughly and to make deep analysis, as well to provide different point of view and reconcile. Magazine is considered as an effective advertisement media. This work underlines popular American magazines, which are counted for all kinds of readers and can satisfy interests, these magazines are: "Life", "News-Week", "Business Week", "Time", "People", "Reader Digest" and "Playboy". Also those circumstances are discussed, which are included in the group "7 sisters" and are known as the magazines for women as well generally for whole families; it's also remarkable that magazine content and quality can greatly condition its popularity and sale scale, which is the necessary term for existing and maintaining the print edition, especially today, when competition with new media can raise many threats and faces it before the great challenges.

Key words: magazine media, importance, goal, informing, deep analysis, entertainment, popularity causing reasons, methods of gaining and maintaining the audience.

## მედიაპრეზენტაციის სოციოკულტურული საფუძვლები ქართულ მედიაში

*ლია ქათამაძე, ასოცირებული პროფესორი  
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

### რეზიუმე

თავისუფალი ინფორმაციული ნაკადების მიმოქცევის პირობებში კომერციული საჭიროება მასმედიის წინაშე ერთ პირობას აყენებს - მრავალრიცხოვანი მასობრივი აუდიტორიის მიზიდვას. ემპირიულ კვლევებზე დამყარებული კომერციული გადაწყვეტილებები რეიტინგული შედეგებით მოწმდება. სოციოლოგიური კვლევების დაკვირვების ობიექტი არის საზოგადოების განსხვავებული ფენების გემოვნება. აუდიტორიის სოციოკულტურულ კვლევას კულტურული მოთხოვნილებების სტრატეგიკაციულ ანალიზამდე მივყავართ. პიერ ბურდიეს, ჰერბერტ განსის და რიჩარდ ა. პეტერსონის კონცეფციების საფუძველზე შესწავლილია ქართული მასმედიური პროდუქტისა და განსხვავებული სოციალური ფენების კულტურული მოთხოვნილებების შესაბამისობა.

საკვანძო სიტყვები: სოციალური სტრატეგიკაცია, გემოვნება, კულტურული მოთხოვნილებები, მედია აუდიტორია, სოციალური ფენები.

### შესავალი

თანამედროვე მედიაპროდუქტი გათვლილია მომხმარებლური საზოგადოების, მასობრივი ცნობიერების ადამიანების, პოპულარული კულტურის მოთხოვნებზე. თავისუფალი ინფორმაციული ნაკადების მიმოქცევის პირობებში კომერციული საჭიროება მასმედიის წინაშე ერთ პირობას აყენებს - მაქსიმალურად მრავალრიცხოვანი, მასობრივი აუდიტორიის მიზიდვას. სხვა საქმეა საზოგადოებრივი მაუწყებლები, არაკომერციული სატელევიზიო არხები და ბეჭდური გამოცემები - ისინი სპეციფიკურ, ვიწრო აუდიტორიებზეა გათვლილი, რომლებიც მასობრივ პროდუქტზე მომუშავე მედიას არ აინტერესებს. ყველაზე გამოკვეთილი მიმართულება, რომელიც მედიაკონტენტის არჩევანს, შერჩევის პრინციპებს განსაზღვრავს, არის აუდიტორიათა ემპირიული კვლევა, რომლის საფუძველზე მიღებული კომერციული გადაწყვეტილებები რეიტინგული შედეგებით მტკიცდება კიდევ. სოციოლოგიური კვლევების, დაკვირვების ობიექტი კი არის საზოგადოების განსხვავებული ფენების გემოვნება. და მიუხედავად იმისა, რომ კრიტერიუმი საფრთხილოდ და დისკრიმინაციულადაც შეიძლება მოგვეჩვენოს, ამ თემაზე მსჯელობის უხერხულობა წინა საუკუნეში დაიძლია. „მაღალშუბლიანთა“ და „დაბალშუბლიანთა“ გემოვნებების, „მაღალი

კულტურის“ (ამთავითვე განვმარტავთ, რომ მიუხედავად სტილისტიკური შეუსაბამობისა, კულტურის შემსწავლელ მეცნიერებებში „მაღალი კულტურა“ ერთ ცნებას აღნიშნავს და გარკვეული შეთანხმება სხვადასხვა ენებში მის გამოყენებასთან დაკავშირებით არსებობს. ქართული ენისთვის ამ სიტყვათშეთანხმების შეუფერებლობის გამო შემდგომშიც ბრჭყალებში ჩავსვამთ), მასობრივი და პოპულარული კულტურის ცნებების შინაარსის გახსნის სითამამე ისეთ მეცნიერებზე მოდის, როგორებიც იყვნენ პიერ ბურდიე, ნორბერტ ელიასი, ჰერბერტ განსი.

კომერციული მასმედიის მიერ გაკეთებული კულტურული არჩევანი ეყრდნობა ყველაზე მრავალრიცხოვანი და მსყიდველუნარიანი სოციალური ფენის დაკვეთას და, შესაბამისად, მოითხოვს სტრატეგიკაციულ ანალიზს. ჩვენი მიზანია, მსოფლიო კვლევების გათვალისწინების საფუძველზე, ქართული მასმედიური პროდუქტისა და განსხვავებული სოციალური ფენების ობიექტური მოთხოვნილებების, აგრეთვე სუბიექტური დაკვეთის შესაბამისობის შესწავლა. ეს, რა თქმა უნდა, ასევე გულისხმობს საქართველოში სოციალური ფენების ჩამოყალიბების თანამედროვე, ჯერ კიდევ დაუსრულებელი, პროცესის გათვალისწინებას, რაც საბჭოთა წარსულის მემკვიდრეობითი სპეციფიკით არის განპირობებული. შესაბამისად, დაკვირვების ობიექტი ქართული მასმედიის სამიზნე აუდიტორია, მისი კულტურული არჩევანია, აგრეთვე სოციალურ სტატუსსა და კულტურის მოხმარებას შორის არსებული კავშირების დადგენა თანამედროვე საქართველოში.

### **ძირითადი ნაწილი**

აუდიტორიების სოციოკულტურულ კვლევას კულტურული მოთხოვნილებების სტრატეგიკაციულ ანალიზამდე მივყავართ. სამეცნიერო დებატებმა ამ მიმართულებით მე-20 საუკუნის მეორე ნახევარი მოიცვა. ევროპაში სოციოკულტურული კვლევა **გემოვნების** სტრატეგიკაციულ ანალიზს პიერ ბურდიემ დააყრდნო, თუმცა ამ საკითხის მიმართ ნორბერტ ელიასის, ჰერბერტ მარკუზეს მიდგომა (ფრანკფურტის სკოლის მიერ კულტურის კლასობრივად დაყოფის სახით) მანამდეც არსებობდა. ნორბერტ ელიასი „ცივილიზაციის პროცესში“ (1) მსჯელობს იმაზე, თუ როგორ გადაიქმნება ბუნებრიობის დათრგუნვის პროცესი სოციალური სტატუსის სიმბოლოში. ბუნებრივი რეაქციები მაღალ კლასში ისეთივე ზიზღს იწვევს, როგორც საჭმელად უვარგისი საკვები. ის, რაც ყველასთვის **ბუნებრივად მოსაწონი**, ადვილად აღსაქმელი და **მოსალოდნელია**, სოციალური იერარქიის ზედა საფეხურზე გემოვნებისთვის საფრთხედ აღიქმება. მართლაც, ყველა ელიტის ამოცანაა, თითქმის ინსტინქტის დონეზე ჩაუნერგოს საკუთარ შვილებს ზიზღი იმ **ბუნებრივი** და **მოსალოდნელი** არჩევანისადმი, რომე-

ლიც სოციალურ კიბეზე დაბლა მდგომ ადამიანებთან ასოცირდება.

და მაინც, ამ პერიოდში ახალი, უფრო ამბიციური და უფრო მეტი ზემოქმედების არგუმენტი ჰომოლოგიაში პიერ ბურდიემ შეიმუშავა თავის ნაშრომში „განსხვავება: მსჯელობის სოციალური კრიტიკა“ („Distinction“ 1979) (2). ბურდიეს ანალიზი უფრო მეტ სიღრმესა და შრეებს მოიცავს, ვიდრე ეს უბრალოდ კულტურის დიფერენციაციაა. კულტურული ველი, ამტკიცებს ის, არანაკლებია, ვიდრე ეკონომიკური, რომელშიც კლასობრივი კონკურენცია ყოველთვის არსებობს. დომინანტი კლასები საკუთარი პოზიციების შესანარჩუნებლად ისევე იყენებენ ადმატებულ კულტურულ კაპიტალს, როგორც ადმატებულ ეკონომიკურ კაპიტალს. სოციალური კლასების, საზოგადოებრივი განსხვავებების შინაარსის გასახსნელად ბურდიემ **გემოვნების კატეგორია** შემოიტანა. ფენებად დაყოფის საფუძველად ის გემოვნებასაც მიიჩნევს - ანუ არა მხოლოდ ეკონომიკურ კაპიტალს, არამედ **კაპიტალის საერთო მოცულობას**, რომელიც **ეკონომიკური, სოციალური და კულტურული** კაპიტალების ერთობლიობას წარმოადგენს. კულტურული და სოციალური შემადგენლების მეშვეობით პიერ ბურდიემ სრულიად თანამედროვე გახდა სტრატეგიკაციული მიდგომა. ესთეტიკური პრიორიტეტები სხვა სოციალური ჯგუფებისა და ფენებისგან გამორჩეულობის, მათი გემოვნებისგან გამიჯვნის არჩევანი უფროა, ვიდრე წმინდა ესთეტიკური პროცესი. ჩაკეტილ სოციალურ ჯგუფებში გემოვნებაზე მართლაც არ დაობენ, ედავებიან სხვა ფენების გემოვნებას. ეს არის სოციალური სნობიზმი, რომელიც სასურველ კლასთან, ფენასთან ასოცირებისა და სხვა სოციალური შრეებისგან გამიჯვნას ეყრდნობა. თუმცა მისი საფუძველი ეკონომიკური ასოცირებითაც არის გამყარებული.

პიერ ბურდიემ და ჰერბერტ განსმა ემპირიულ მონაცემებზე დაყრდნობილი გამოკვლევების მეშვეობით თეორიული ახსნა მოუძებნეს კულტურულ და სოციალურ იერარქიათა შორის არსებულ ურთიერთკავშირს. ჰერბერტ განსი დღემდე ხშირად ციტირებული ავტორია, რომელმაც „მაღალშუბლიანთა“ და „დაბალშუბლიანთა“, აგრეთვე „საშუალოშუბლიანთა“ კულტურული გემოვნებისა და მოხმარების თვალსაზრისით, აშშ საზოგადებაში გემოვნების ხუთი ძირითადი დონე გამოავლინა: მაღალი კულტურის (high) საჯარო გემოვნება, საშუალოზე მაღალი (upper-middle) საჯარო გემოვნება, საშუალოდ დაბალი (lower-middle), დაბალი (low) და კვაზიფოლკორული (quasifolk) საჯარო გემოვნებები. (3) ჰერბერტ განსის ნაშრომი „პოპულარული კულტურა: გემოვნების ანალიზი და შეფასება“ განიხილება როგორც მაგალითი და არგუმენტი იმისა, რომ არსებობს მჭიდრო კავშირი სოციალურ და კულტურულ ფენათა შორის. ჰერბერტ განსის არგუმენტები ამ თვალსაზრისით ორთოდოქსულად შეიძლება ჩაითვალოს.

ჰერბერტ განსის მიერ შემუშავებული კლასიფიკაცია აშშ-ს საზოგადოებაზეა მორგებული, აუდიტორიის კვლევა ძირითადად სოციალური ფენების ფინანსური და ინტელექტუალური განსხვავებების, განათლების შესაბამისი კულტურული ფასეულობების სხვადასხვაობებზეა დამყარებული. მედიის გათვლად ძირითად კრიტერიუმზეა გამახვილებული - აუდიტორიის რიცხოვნებასა და ფინანსურ შესაძლებლობებზე.

იმის დასადგენად, თუ რომელი აუდიტორია აკმაყოფილებს რიცხოვნებისა და მსყიდველუნარიანობის კომერციულ მოთხოვნას ქართულ მედიასივრცეში, გავყვით ჰერბერტ განსის კლასიფიკაციას. მსგავსება-განსხვავებათა გამოვლენა, ქართულ სოციალურ-სტრატეგიკული სპეციფიკის გათვალისწინებით, საშუალებას მოგვცემს სხვადასხვა სოციალურ ფენების საჯარო გამოვლენასა და მედიის კულტურულ არჩევანს შორის არსებული კავშირების გამოსავლენად.

**მაღალი გემოვნების ფენა** ხელოვანების, შემოქმედებითი ელიტის, განსაკუთრებული ინტელექტუალური შესაძლებლობებისა და განათლების მქონე ადამიანებისგან შედგება, რომელთაც არა მხოლოდ უკვე არსებული კლასიკური ხელოვნების, ელიტური კულტურის, არამედ ინოვაციური და ექსპერიმენტული ფორმების აღქმა და შეფასება შეუძლიათ. ის ყველა ქვეყანაშია - სრულიად ინტერნაციონალური ფენა, იმ გაგებით, რომ ერთ საკომუნიკაციო ენაზე საუბრობს და საუკეთესოდ ესმით ერთმანეთის, მიუხედავად ნაციონალური და სხვა ტიპის განსხვავებებისა. როგორც აშშ-ში, ისე საქართველოში ამ ფენის კულტურულ დაკვეთას მედია არ ასრულებს. თუ მსოფლიო მასშტაბით არსებობს ცალკეული არხები, ჟურნალები, გაზეთები, რომლებიც ამ ფენის კულტურულ დონეს შეესაბამება, ისინი არაკომერციული დანიშნულების, სხვადასხვა ფონდებით დაფინანსებული მედია საშუალებებია. მიზეზი მარტივი და გასაგებია - ეს აუდიტორია მცირერიცხოვანია და მასზე მასმედია ვერ გათვლის.

**საშუალოზე მაღალი საჯარო გემოვნების** კატეგორია ქართულ სინამდვილეში იმ სახით, როგორც ჰერბერტ განსი აღვნიშნავს, არ არსებობს. თავად ფენა, როგორც კლასი, მაღალი ანაზღაურების ფინანსისტების, ექიმების, ბიზნესმენების სახით, არის, რა თქმა უნდა, ოღონდ მათი ფინანსური უპირატესობა არ აისახება განსხვავებულ კულტურულ დაკვეთასა და გემოვნებაზე. ეს არ გამორიცხავს, რომ ამ ფენის ცალკეულ წარმომადგენლებს აღმოაჩნდეთ თანხვედრა ამ კლასის კულტურულ მოთხოვნილებებთან. „ასეთი ადამიანები, როგორც წესი, კლასიკურ მუსიკაში ერკვევიან, მაგრამ თანამედროვე და ექსპერიმენტულ კომპოზიციებს არ ცნობენ. ისინი სოლიდური გამოცემების წიგნებს ყიდულობენ, ადგილობრივ სიმფონიურ ორკესტრს ფინანსურად ეხმარებიან და ხანდახან საბალეტო სპექტაკლებსაც

ესწრებიან“(4). თავიანთი განათლებიდან გამომდინარე, ეს კლასი საკუთარი გამორჩეულობის კოდს სწორედ კულტურულ განსხვავებულობაში დებს. ქართველი წარმომადგენლების კულტურული მოთხოვნილებების სპექტრი კი საკმაოდ მრავალფეროვანია - ძალიან დიდი ნაწილი სრულიად ტოლერანტულია მასობრივი კულტურის მიმართ. საქართველოში პროფესიული და ფინანსური წარმატება არ მიგვანიშნებს განათლების თანმდევ ელიტარულ-კულტურულ ჩვევებზე, რომლებიც, როგორც წესი, ერთი სოციალური ფენის ადამიანებს უჩნდებათ ხოლმე. მედია თავის პროდუქტს არ ქმნის ამ გემოვნების მქონე სოციალური ფენის დასაკმაყოფილებლად. მიუხედავად იმისა, რომ მსყიდველუნარიანი კლასია და სარეკლამო პროდუქტისადმი მაღალი მგრძობელობით ხასიათდება, ეს არის მაინც არამრავალრიცხოვანი ფენა და „მათი ერთიანი მსყიდველუნარიანობა არ შეადგენს ქვეყნის მთელი მოსახლეობის იმ ნაწილს, რომელსაც შეუძლია მედიას თავისი გემოვნება უკარნახოს.“(5)

ქართულ რეალობაში არც **საშუალოდ დაბალი საჯარო გემოვნების** აუდიტორია, როგორც ცალკე სოციალური ფენაა გამოხატული, ე.წ. „თეთრ-საყელოიანები“ - საშუალო კლასი, რომელიც არა მხოლოდ პროფესიული საქმიანობის, არამედ სოციალურად შესაფერისი მატერიალური შესაძლებლობებით გამოარჩევს მაღალგანვითარებული ეკონომიკის ქვეყნების ამ ფენას. საქართველოში ეს ფენა კლასად ჩამოყალიბებული ჯერ კიდევ არ არის თავისი სტაბილური ეკონომიკური და სოციალურ-კულტურული ჩვევებით. აშშ-ში მედიის სამიზნე აუდიტორიას სწორედ ეს ფენა წარმოადგენს. არჩევანი განპირობებულია მაღალი რიცხოვნებითა და მსყიდველუნარიანობით. მედიაპროდუქციის დამოკიდებულება სარეკლამო პროდუქციის გასაღების ბაზარზე განპირობებს იმ აუდიტორიის სოციალურ-კულტურული დაკვეთის შესრულებას, რომელიც ამ ორი მაჩვენებლით დომინირებს საზოგადოებაში.

ამერიკული საზოგადოების დიდი მოცულობის მასას აქვს **დაბალი კულტურის საჯარო** გემოვნება, რომელზედაც იყო გათვლილი მე-20 საუკუნის 50-იან, 60-იან წლებში მედიის შინაარსი. კვალიფიციური მუშების, ხელოსნების, ფერმერებისა და, უბრალოდ, დაბალი სოციალური კლასის გემოვნება მნიშვნელოვანწილად არის განპირობებული განათლების დაბალი ხარისხით ან მისი არქონით. ეს არის აუდიტორია, რომელიც აღსაქმელად მარტივ მედიაპროდუქტს მოიხმარს, რომლის გააზრებას სპეციალური მომზადება, ინტელექტუალური დამაბვა არ სჭირდება. დაბალი საჯარო გემოვნების ადამიანები ბეჭდურ მედიაში - კომიქსებს, ტელემედიაში კი ისეთ პროდუქტს ირჩევენ, „სადაც მეტი მოქმედებაა და თუ ეს მოქმედება ძალადობასაც შეიცავს, უკვე კარგია“(6). ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებში ეს ფენა თანდათან მცირდება, რადგან ცდილობს განათლება მისცეს შვილებს, რომლებიც



სოციალურად უფრო დაწინაურებულ საშუალო ფენაში გადადიან. მიუხედავად ამისა, ეს მაინც დიდი მოცულობის ფენაა და თუ მედია დღეს აღარ თვლის მასზე, მიზეზი საშუალო კლასის უკეთესი მსყიდველუნარიანობაა, რაც სამომხმარებლო სპექტრის შედარებით ფართო არეალს მოიცავს. საქართველოში საშუალო კლასის ჩამოყალიბებლობის გამო დაბალი და საშუალო ფენების საჯარო გემოვნებები დიფერენცირებული არ არის, არც საშუალოზე მაღალი საჯარო გემოვნებაა გამოკვეთილი. მედიაპროდუქტი გათვლილია ერთიან მასობრივ კულტურულ მოთხოვნილებაზე, რომელიც მთლიანად მოიცავს ყველა სოციალური ფენის გემოვნებას, გარდა მაღალი საჯარო გემოვნებისა. ის, რომ ქართული მედია სამი სოციალური ფენის ერთგვაროვან გემოვნებას უპასუხებს, თავად ქართული საზოგადოების კლასობრივი და სოციოკულტურული სპეციფიკით არის განპირობებული. იმ პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ ექსპერიმენტში, რომელსაც საბჭოთა კავშირი ერქვა, სოციალური თანასწორობის პრინციპის დაცვა, აგრეთვე განათლებისა და კულტურის სრული ხელმისაწვდომობა ნებისმიერი ადამიანისთვის კლასობრივ სტრატეგიკაციულ თეორიას ამ სივრცეში არაქმედუნარიანად აქცევს. კონკრეტული ადამიანების კულტურულ მოთხოვნილებას არა სოციალური კუთვნილება, არამედ ინდივიდუალური კულტურული გამოცდილება და არჩევანი განსაზღვრავდა. განათლებისა და „მაღალი ხელოვნების“ საყოველთაო ხელმისაწვდომობამ საბჭოთა კავშირში, და შესაბამისად, საქართველოშიც, გამოიწვია ის, რომ კულტურულმა კაპიტალმა დაკარგა ეკონომიკური კაპიტალის გამყარების ფუნქცია. მიუხედავად ამისა, განსხვავებულობის თვალსაჩინო, თუმცა კლასობრიობისგან დაცლილ, მაჩვენებლად მაინც დარჩა. ხელოვნურად შექმნილმა სოციალურმა თანასწორობამ იდეოლოგიური წნეხისა და რეპრესიული მანქანის არსებობის პირობებშიც კი მალე იცვალა მიმართულება და ბუნებრივი განვითარებისკენ გაიკვლია გზა. ეს გამოიხატა იმაში, რომ მუშათა და გლეხთა სახელმწიფოში ინტელიგენცია არაფორმალურ პრივილეგიებულ კლასად იქცა, რომელსაც ძლიერი ეკონომიკური კაპიტალი თუ არა, კულტურული კაპიტალი მაინც აღმოაჩნდა პრინციპული განსხვავებულობის, ელიტურობისა და პრივილეგიებულ სოციალურ ფენად ჩამოსაყალიბებლად. მიუხედავად ამისა, საბჭოთა ინტელიგენცია გარკვეული სპეციფიკით მაინც გამოირჩეოდა - განათლებასა და კულტურაზე წვდომა მისი კლასობრივი პრივილეგია არ იყო, არამედ ნებისმიერი ადამიანის ინდივიდუალურ უფლებას წარმოადგენდა. ამის გამო პოსტსაბჭოთა ქვეყნებში სოციალური სტრატეგიციერება გართულებულია, რადგან საბჭოთა წარსულის მემკვიდრეობითი ინერციით მაღალი კულტურის ან საშუალოზე მაღალი კულტურის საჯარო გემოვნება სრულებით არ გულისხმობს მაღალანაზღაურებადი, სოციალურ კიბეზე

მაღლა მდგომი კლასის კუთვნილებას. კლასიკური ხელოვნების, ელიტური კულტურის ჭეშმარიტი დამფასებლები ყველა დარგში ჯერ კიდევ ძველი ინტელიგენციის წარმომადგენლები არიან. თუმცა სოციოლოგიური კვლევები უკვე ახალ ტენდენციაზეც მიგვანიშნებს. მაგალითად, სოციოლოგი მიხეილ სოკოლოვი ირწმუნება, რომ კულტურული აქტივობის ძირითადი მაჩვენებლები დღეს არის სქესი, ასაკი, შემოსავლები. საკონცერტო დარბაზებს საბჭოთა წარსულის მქონე ადამიანები კი არ ავსებენ, არამედ განათლებული და შეძლებული, აგრეთვე ასეთი მშობლების მიერ გაზრდილი ადამიანები, ვინც ბავშვობიდანვე აღჭურვეს კულტურული კოდებითა და ჩვევებით.(6) ირკვევა, რომ საბჭოთა პერიოდის ინტელიგენცია, რომელიც ასაკობრივად დღეს აშკარად ხანდაზმულთა და საშუალო ასაკის ადამიანებისგან შედგება, თავიანთ კულტურულ ჩვევებს დალატობს. ასაკოვანი ადამიანები მხოლოდ იმ შემთხვევაში იქცევიან თავიანთი კულტურული კაპიტალის შესაბამისად, როდესაც შეძლებულები არიან. კვლევებმა აგრეთვე დაამტკიცა, რომ ამ აუდიტორიის აბსოლუტური უმრავლესობა ქალებია, თუმცა ჩვენთვის საინტერესო კუთხით თუ შევხედავთ, პოსტსაბჭოთა რუსეთში კულტურული მოთხოვნილებები კვლავ შემოსავლებს დაუკავშირდა ანუ ელიტურ კულტურულ კაპიტალად იქცა. ემპირიულად ეს შემდეგში გამოიხატა: ასაკოვანი თუ ქალებისგან შემდგარი აუდიტორია მხოლოდ შეძლებულობის კრიტერიუმის დაკმაყოფილების შემთხვევაში არსებობს. ეს ტენდენცია მიგვანიშნებს, რომ გემოვნების სტრატეგიკაციული თეორია კვლავ ძალაში რჩება და ემპირიული კვლევებით მტკიცდება. იმავეს ვერ ვიტყვით საქართველოზე, სადაც დღეს სოციალური ფენების ეკონომიკური კაპიტალი აცდენილია მათ კულტურულ კაპიტალს. ქართული შეძლებული ელიტის ერთიანი, მასობრივი და მასში შერეული მაღალი, გემოვნება კლასობრივ დიფერენციაციას არ ექვემდებარება. ქართული მედია დაბალი გემოვნებისა და საშუალოდ დაბალი გემოვნების შესაფერის პოპკულტურაზე აკეთებს არჩევანს - მაგალითად, ამერიკული შოუ „ილბლიანი ბორბალი“, „ნიჭიერი“, „საქართველოს ფანოლი“, რომლებიც დაბალი საჯარო გემოვნების შესაფერის აუდიტორიაზე მუშაობს და ქართული „ვოისი“, „ცეკვავენ ვარსკვლავები“, „ექიმები“, „X ფაქტორი“, რომლებიც საშუალოდ დაბალ საჯარო გემოვნებას ემსახურება. იგივე ითქმის სატელევიზიო ტელესერიალებზე, სიტკომებზე. სრულიად მდარე სერიალების გვერდით, რომლებიც არც განათლებას და არც ინტელექტუალურ დამაბვას მოითხოვს, არის ე.წ. „მაღალი ხარისხის სერიალები“, სინამდვილეში ორივე შემთხვევაში მასობრივი კულტურის პროდუქციასთან გვაქვს საქმე.

საინტერესოა ერთი მსოფლიო ტენდენციაც, რომელიც შესაძლოა თავდაყირა აყენებდეს სოციალური გემოვნების თეორიას - ეს არის რიჩარდ ა.

პეტერსონის „ყველაფრისმჭამელი“ („omnivorous“) ინდივიდის კონცეპტი. (7) ემპირიული კვლევების საფუძველზე პოპულარული კულტურის დამცველთა სასარგებლოდ გამოიკვეთა ახალი ტენდენცია. თუ ადრე ელიტა კულტურულ კაპიტალს მასზე დაბლა მდგომი ფენებისგან დისტანცირებისთვის იყენებდა, დღეს საშუალოზე მაღალი კლასი „მაღალ კულტურასთან ერთად მნიშვნელობას ანიჭებს პოპულარულ კულტურასაც, რომლისგანაც, წესით, უნდა დისტანცირდეს - ანუ ყველაფერს განურჩევლად „მიირთმევს“ („ყველაფრისმჭამელი“ გახდა). სოციალური და კულტურული ჰომოლოგიის იდეა ეჭვქვეშ დადგა. რა თქმა უნდა, ამის მიზეზები დემოკრატიზაციის პროცესებში უნდა ვეძებოთ, რადგან თანამედროვეობის ტრენდი სნობიზმზე უარის თქმვაა, კულტურული ღიაობისა და ტოლერანტულობის, დემოკრატიულობის სასარგებლოდ. პეტერსონის კონცეფციის მომხრეები ლიბერალური პოზიციებით გამოირჩევიან, თანაც სავსებით ბუნებრივია, რომ პოსტინდუსტრიულ საზოგადოებაში მასობრივი კულტურის ზეგავლენა უფრო და უფრო გაძლიერდეს და „მაღალ ხელოვნებასთან“ ეკლექტური ფორმების შექმნით ელიტურ გემოვნებაშიც შეიჭრას. ე. წ. მიდკულტურა ამის საუკეთესო მაგალითია (სამი ტენორის, საოპერო და პოპვარსკვლა-ვების ერთობლივი შოუები და სხვ.), რომელსაც მედია დიდი ენთუზიაზმით იტაცებს, რადგან ეკლექტური ფორმების სრული მოულოდნელობა, შეუთავსებლის შეთავსება მაღალი რეიტინგულობის საწინდარია. მასმედია, სამაგიეროდ, საკმაოდ მედიდურად და დამაკნინებლად უარყოფს, ემიჯნება ელიტურ კულტურას მისი არაპოპულარულობის გამო. ანალოგიური დამოკიდებულება აქვს მასობრივ აუდიტორიასაც, რომელიც „მაღალ კულტურას“ არც კი ცნობს ელიტურად და პრინციპულად უპირისპირდება. თუ წინა საუკუნეებში მასები ერთგვარ არასრულფასოვნებას განიცდიდნენ თავიანთი გაუნათლებლობისა და უკულტურობის გამო (კულტურაში ჭეშმარიტი ღირებულების მქონე „მაღალი კულტურა“ იგულისხმებოდა), დემოკრატიზაციამ და მასმედიამ სწორედ მასების განათლების, ინტელექტუალური შესაძლებლობებისა და გემოვნების შესაფერისი კულტურა დაამკვიდრა და „რაც მთავარია, ჰეგემონური უპირატესობით დააჯილდოვა კიდევ.

## დასკვნა

ამრიგად, სოციალური სტრატეფიკაციისა და კულტურული მოთხოვნილებების დაკმაყოფილების თეორიების შუქზე ქართულ რეალობაში სოციალურ ფენებსა და მასმედიის მიზნობრივ აუდიტორიაზე დაკვირვებით ირკვევა, რომ საზოგადოებაში არსებული ქონებრივი განსხვავებები კულტურულ მოთხოვნილებებში არ აისახება. ელიტა, რომელსაც ეკონომიკურის შესაფერისი კულტურული კაპიტალი პრივილეგიურულ მდგომარეობაში

აყენებს, ცალკე კლასად ჩამოყალიბებული სახით საქართველოში არ არის. დაბალი სოციალური ფენების წარმომადგენლებს კი შესაძლოა ელიტური კულტურის შესაფერისი მოთხოვნილებები აღმოაჩნდეთ. ამ სპეციფიკას საბჭოთა წარსული და სოციალურ ფენებად ფორმირების ჯერ კიდევ ჩამოყალიბებელი პროცესი ქმნის. მასმედიის სამიზნე აუდიტორია არის დაბალი საჯარო გემოვნების შესაფერისი მასობრივი კულტურის მომხმარებელი. მაღალი გემოვნების მქონე აუდიტორიის მოთხოვნილებებს მასმედია არ უპასუხებს, მედიაკონტენტი მხოლოდ პოპულარულ კულტურაზეა ორიენტირებული.

**გამოყენებული ლიტერატურა:**

1. ნორბერტ ელიასი, ცივილიზაციის პროცესის შესახებ, ტ.1, თბ., გამომც. „ნეკერი“, 2005 წ. 361 გვ.;
2. პიერ ბურდიე, განსხვავება: მსჯელობის სოციალური კრიტიკა / მთარგმნ.: გიორგი ბარამიძე, თბ., გამომც. „დიოგენე“, 2006წ., 635 გვ.;
3. Gans H. Popular Culture and High Culture : An Analysis and Evaluation of Taste Revised And Updated. New York: Basic Books;
4. დეფლორი /დენისი, მასობრივი კომუნიკაციის გააზრებისთვის, 2009, გვ.234;
5. იქვე, გვ.235.;
6. Соколов Михаил, Культурный капитал и социальная революция, текст лекции 27.03.2017 в проекте : Публичные лекции «Полит.-ру»
7. <https://polit.ru/article/2018/07.09> ბოლო ნახვა 09.03.2020
8. Richard A. Peterson and Roger M.Kern , Changing Highbrow Taste: From Snob to Omnivore, American Sociological Review Vol.61, No 5 (oct., 1996) pp. 900-907.
9. <http://www.jstor.org/stable/2096460> ბოლო ნახვა 09.03.2020

## **Sociocultural Foundation of Media Presentation in Georgian Mass Media**

*Katamadze Lia, associated professor  
Georgian Technical University*

### **Summary**

Commercial need of Mass Media in conditions of free circulation of information flows is to attract a largest mass audience. Empirical research-based business decisions are verified by rating results. The subject of sociological research is the taste of various strata of society.

Sociocultural analysis of audiences leads a stratification analysis of cultural consumption of society. On the basis of the concepts of Pierre Bourdieu, Herbert Gans and Richard A. Peterson is shown the accordance between Georgian media products and cultural consumption of various social strata.

Key words: Social Stratification, Social Strata Taste, Cultural Consumption, Media Audience.

## სოცკონფლიქტების რეზონანსის მახასიათებლები და თავისებურებები საინფორმაციო მედიაში

თამარ გვაზავა დოქტორანტი  
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

### რეზიუმე

XXI საუკუნის უახლესი ხანა სინამდვილის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და საზოგადოებრივი, პოლიტიკური, სოციალური, აქტივობის პერიოდია, სადაც საინფორმაციო მედიის როლი მუდმივად მზარდია, ასევე კონფლიქტური გარემოს ფონზე. საქართველოს ფარგლებს გარეთ დაწყებული პროცესების ანალოგები და მისი გამოძახილი მედიაში, დღეს ორმაგ რეზონანსს იწვევს.

მოცემული კვლევა საინფორმაციო მედიის ერთგვარი რეზონანსული სპექტრის ანალიზია, რაც დღევანდელ დღეს, განვლილი გლობალური კონფლიქტებიდან ამოზრდილი რეალობის წინაპირობაა და რაც საშუალებას გვაძლევს, სხვა ქვეყნებსა და საქართველოს რეალურ სოციოსივრცეში არსებული მედიარეზონანსის მსგავსების, განსხვავებების საფუძველი გამოიკვეთოს და ძირეული ანალიზი ამ მიმართულებით გაგრძელდეს.

სოცკონფლიქტის წარმოშობამდე არსებული მასალის დღევანდელი გადასახედიდან ანალიზი, ნიშნავს სოციუმის ძირეული კონფლიქტური მახასიათებლების მედიარეზონანსის კვლევასაც, რაც ზოგადად სოციალური კონფლიქტების მედიათემით მართვის თავისებურებების ობიექტურ ხედვას ნიშნავს.

საკვანძო სიტყვები: მედიარეზონანსი, სოცკონფლიქტები, საინფორმაციო ანალიტიკური მახასიათებლები.

### შესავალი

სოციალური კონფლიქტების მიზეზების და თავისებურებების ასახვის თანამედროვე და ტრადიციულ სტანდარტებად ქცეული ტენდენციები, დღევანდელ სინამდვილეში ამ პროცესის არა თვითგანვითარებად, ან მხოლოდ კონფლიქტურ, არამედ ანალიტიკურ ჭრილში განხილვის საშუალებას გვაძლევს. ეს თავისთავად ბადებს ახლებური მიდგომების, მყარი პოზიციების ფიქსირების საშუალებას და პრიორიტეტების გამორჩევის საფუძველს მედიაში, ვინაიდან პროცესს ყოველთვის სდევს თავისი პოზიტიური და ნეგატიური შედეგებიც. ჟურნალისტური სტანდარტების სხვადასხვაობას ყოველთვის განაპირობებს (ნაწილობრივ, რა თქმა უნდა), მენტალური პოზიციის ნაწილიც. ამგვარი ცნების საფუძველზე, ჩვენთვის ნაცნობი

სტანდარტების - მედიის თანამონაწილეობის და რეზონანსის ინსპირაციის სახეცვლილება ყოველთვის სახეზეა, მაგრამ არსებობს კიდევ გამოხმაურება, შედეგები, სადაც მენტალური ფაქტორი სოცკონფლიქტის ასახვისას, სხვადასხვა ქვეყნის მაგალითზე განსხვავდება ერთმანეთისაგან.

### **ძირითადი ნაწილი**

მეორადად წარმოქმნილი სოცკონფლიქტის საინფორმაციო ანალიტიკური მახასიათებლები.

ანალიტიკური მახასიათებლები, რომელთა არსებობა დღეს განაპირობებს მედიარეზონანსის დამოკიდებულებას სოცკონფლიქტების მიმართ, ხშირად ავლენს კონფლიქტების ძირეული საწყისებისადმი თემატური დაბრუნების და განმეორების ტენდენციას. დაწყებული 2017 წლის გლობალური მოვლენებიდან, დამთავრებული ქვეყნების შიგნით არსებული მზარდი მედიაინტერესებით, ეს პროცესები მუდმივად განახლებადი და რამდენიმე სოცკონფლიქტისაგან შემდგარი მოტვაცებზე აგებული ანალიტიკური სურათია.

2017 წელს, შეიარაღებული კონფლიქტის მეექვსე წელს, BBC News და CNN -ის საინფორმაციო სამსახურები სირიაში სისხლიანი შეტაკებების შესახებ ინფორმაციას ნახევარ მილიონამდე ადამიანის მსხვერპლით ხსნიდნენ. ეს თემა, საინფორმაციო მედიის ორმოც პროცენტს ფარავდა. 2017 წლის მაისსა და ივნისში, საინფორმაციო საშუალებებში, უფრო მარტივად კი სასწრაფო შეტყობინებებში „სმარტ-მესიჯების“ სახით, მოქალაქეთა სოციალური უთანასწორობის ნიადაგზე წარმოქმნილი უთანხმოების კიდევ ერთი თემა დაემატა ყოველდღიურ ინფორმაციას: მასობრივი შეჯახებები, რომელსაც საფუძვლად უკვე არა შეიარაღებული კონფლიქტი, არამედ ამ კონფლიქტიდან ამოზრდილი მოტივი მართავდა - მატერიალური კრიზისის შედეგად წარმოქმნილი უთანასწორობის კომპლექსის ნიადაგზე სოციალურად დაპირისპირებული ჯგუფების ინტერესები მედიის მიერ გამოცხადებულ ეკონომიკურ კრიზისთან დაკავშირებით.

ეს დინამიკა შეიარაღებული კონფლიქტის დამანგრეველი პერსპექტივიდან წამოსული და შემდეგ უკვე ანალიტიკურად მრავალგზის ინტერპრეტირებული საფრთხეებით აიხსნებოდა პრესაში.

მას შემდეგ, რაც სირიაში კონფლიქტის შედეგად, მხოლოდ 2018-2019 წლებში, მსოფლიო კულტურულმა მემკვიდრეობამ დიდი დანაკარგი განიცადა და „ისლამური სახელმწიფოს“ აგრესიის შედეგად, მორიგმა ვანდალურმა აქტმა, 2015 წელს იმსხვერპლა პალმირას უძველესი ისტორიული ძეგლები, იუნესკოს ნუსხაში შეტანილი ნიმუშები და ტაძრები, საინფორმაციო მედიის ჩრდილო-დასავლურმა ფრთამ (ინგლისური და სკანდინავიის ქვეყ-

ნების პრესის ნაწილი) თავდაპირველად უარი თქვა ამგვარი მოვლენის სოც-კონფლიქტის ჭრილში გადატანაზე - თავად მოვლენა აღემატებოდა თავისი მწვავე დრამატული ხასიათით კონფლიქტის რომელიმე კერძო ანალიტიკური პოზიციიდან შეფასების ტენდენციას. თუმცა, ამ ბარბაროსული აქტის აღსრულების გზაზე, სამი ადამიანის ისტორიულ სვეტებზე სიკვდილით დასჯა, არა მხოლოდ კულტურული მემკვიდრეობის განადგურების, არამედ ზოგადად ტერორიზმის და მისი გამომწვევი მიზეზების თემამდე მივიდა. „თუ ვინ იყვნენ ტყვეები, ან რა მოტივით დასაჯეს ისინი სიკვდილით, ამ დრომდე უცნობია“ - ნათქვამია BBC NEWS-ის მიერ, მაყურებლისთვის შეთავაზებულ სიუჟეტში, სადაც ყველაფერი მიმართულია ფაქტის უარმყოფელი ზნეობრივი ასპექტების ამოქმედებისკენ.<sup>1</sup> თავის მხრივ, მთავარი არსი ამ ვანდალური აქტისა არა თავად აქტი, არამედ მისით გამოწვეული რეზონანსია, რომელმაც შვა ეკონომკური კრიზისით შეწუხებული საზოგადოების რამდენიმე ჯგუფი, ჩართული სერიოზული შეფასებების შედეგად ფორმირებულ სოციალურ ერთიანობაში - მომხრენი რომელნიც თანაუგრძნობენ, გულგრილი საზოგადოება ფაქტის მიმართ, მხარდამჭერნი და მსმენელ-მაყურებელნი. ამ ჯგუფების არსებობა, თვით ფაქტის და ანალიტიკური შეფასებების სხვადასხვა ვერსიების შესწავლის შემდეგ გახდა შესაძლებელი, როგორც სიუჟეტის მომდევნო მონათე-სავე სიუჟეტების გამოხმაურებებში, ასევე სრულიად სხვა მედიის გამოხმაურებებსა და ანალიტიკაში.

თუ 2019 წლის [www.youtube.com](http://www.youtube.com)-ზე სირიის და ზოგადად აღმოსავლეთის კრიზისის ამსახველ მასალას მოძებნით, მხოლოდ ინგლისურ და ფრანგულ ენებზე დაახლოებით 56 000 ვიდეორგოლს ნახავთ, ხოლო ასევე ყველაზე პოპულარულ და მარტივ საძიებო Google-ის საიტებზე, იგივე ენებზე, 200 000 ზე მეტი ზოგადი და სამი თვის განმავლობაში დაგროვილი 60 000-ზე მეტი ანალიტიკური სახის შეტყობინებათა სტილში აგებული ინფორმაციაა.<sup>2</sup> მათ შორის, ყველაზე პოპულარული ჯგუფიც კი არანაკლებ რამდენიმე მილიონის მიერ არის ნანახი მხოლოდ 1 თვის განმავლობაში.<sup>3</sup> სოციალური მედიის მომხმარებელი, საქართველოში არსებულ ნახევარ მილიონზე მეტ ადამიანს შორის, სოცკონფლიქტების განხილვაში თანამონაწილეობის სურვილის მიხედვით, უკვე 40 000-ზე მეტი ანალიტიკური ხასიათის წერილი, ან სტატიაა შეტანილი ქართულ (იშვიათად) სხვა ენებზე, რაც თავისუფლად

<sup>1</sup> Palmyra: Syrian forces 'completely retake' IS-held town  
<https://www.bbc.com/news/world-middle-east-39147612>, Palmyra: IS retakes ancient Syrian city  
<https://www.bbc.com/news/world-middle-east-38280283>

<sup>2</sup> ამ მასალაზე დაკვირვება დაახლოებით თითო თვის ინტერვალით ხდებოდა, რამაც კონკრეტული ათვლისა და რიცხობრივი მონაცემების შედარების საშუალება მოგვცა. შენიშვნა - ავტ. თამარ გვაზავა

<sup>3</sup> დაკვირვების შედეგები გულისხმობს მაქსიმალურად მიახლოებულ ციფრებს, - შენიშვნა ავტ. თამარ გვაზავა.



მეტყველებს იმ ფაქტზე, რომ გლობალური კონფლიქტიდან წარმომქმნილი სოცკონფლიქტების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, ცოდნის მიღებისა და გაცვლის ფორმა ჩვენთანაც იცვლება. ინფორმაციის განახლება ქართულ ვებგვერდებზე მუდმივად მიმდინარეობს. ამ გზით, მედიარეზონანსის ახალი, იმპროვიზაციულ-კონფლიქტური სიმწვავის ნიადაგზე შემდგარი ავტორები საკუთარი ინტელექტუალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებასაც ცდილობენ, თუმცა ხშირად, ამის გამო, ინფორმაცია დაუსრულებლად იცვლის როგორც სახეს, ასევე შინაარსს. ტელემაუწყებლობისაგან განსხვავებით, ასეთ დროს მომხმარებელი ადვილად პოულობს საჭირო მასალას სასურველ ფორმატში.

როგორც სოცქსელებში არსებული ინფორმაცია იუწყებოდა, ორიოდ დღეში, დასავლეთ ევროპის ქვეყნების უმრავლესობაში წარმოიქმნა კონფლიქტის მომხრეთა და მოწინააღმდეგეთა სოციალური უთანხმოების ჯგუფები, სადაც ყოველი მათგანი ნებისმიერ სხვა თემაზეც გამოხატავდა მზადყოფნას დაპირისპირებოდა მეორე ჯგუფს. მეორე მხრივ, ადეკვატურმა რეაგირებამ არ დააყოვნა და სოცკონფლიქტის კიდევ ერთი მხარე, ანტისაომარ, საერთოდ ანტიკონფლიქტურ საზოგადოებრივ აქტივობაში ჩაერთო. თუმცა, არ ამხოლოდ ეს რეალობა, არამედ მეორე, უკვე კარგად ნაცნობი დრამატული მოვლენებიც საფრანგეთში, მედიის ინტერესის და მისი აქტიური მონაწილეობის შედეგად, იგივე დაპირისპირებას და სხვა, მეორად პრობლემებს უსწრებდა წინ.

სოცკონფლიქტი და მისი რეალობა, მისი განვითარების და წარმართვის გზები ხშირად სწორედ მედიარეზონანსზეა დამოკიდებული, ვინაიდან საწყის მიზეზსა და წარმოქმნილ პოზიციით გამოხატულ კონფლიქტებს შორის ჩნდება ეკონომიკური უთანასწორობის ხშირად არა გამოცხადებული თემებიც, რაც მაგალითად - სირიის კონფლიქტის შედეგებშიც იკითხება და სადაც კავკასიაზე იერიშის და საფრთხის შემცველი გზავნილების წარმოქმნა განაპირობა ბლოგებსა და სოცქსელებში, ხოლო საფრანგეთის მოვლენებმა ახალი, არც თუ ბოლომდე გამართლებული სოციალურ-ეკონომიკური მოთხოვნების ნიადაგზე აღმოცენებული აგრესიისადმი ნეგატიურად და პირიქით, საწინააღმდეგოდ განწყობილი საზოგადოება შექმნეს მთელ მსოფლიოში. ამ პროცესსაც მედიის მიერ მშრალად, თუმცა ქვეტესტური დაუმორჩილებლის აგრესიით შექმნილმა, რეპლიკებზე აგებულმა ტენდენციამ შეუწყო ხელი.

### **დასკვნა**

ბუნებრივია, რომ სოცკონფლიქტის არსი თავისთავად იძლევა საშუალებას, მისი ტრანსფორმაცია განხორციელდეს ნებისმიერ მედიასაშუალებას,

ბასა და სოცქსელში. ამ პროცესს თანამედროვე ყოფისა და სისტემურ-საზოგადოებრივი აზროვნების დიდი ნაწილი უჭირავს. სოცკონფლიქტების მედიის არსი, რომელიც როგორც ზემოთ აღინიშნა, სულ უფრო მეტად ინტენსიურად აქტიურდება საზოგადოების აზრის ფორმირების მხრივაც, რაც თავის მხრივ, შინაარსის და კონტექსტის ცვლილებას ემსახურება. სოციალური კონფლიქტის წარმოჩენა მედიაში დროის ფაქტორზეა დამოკიდებული და სწრაფად იცვლის სახეს - ეს გამოჩნდა ორი მასშტაბური მოვლენის, აღმოსავლეთისა და საფრანგეთის მოვლენების საფუძველზე, სადაც სხვა სახის საწყისიდან მოყოლებული, ეკონომიკური და პროგნოზების შემცველი კატეგორიული განცხადებანი წამსვე გაჩნდა მედიასივრცეში. ჯაჭვისებრი ეფექტი - ეს სწორედ ის განმარტებაა, რომელიც დღეს თანამედროვე და კერძოდ ქართული მედიასივრცის მიერ საერთაშორისო სოცკონფლიქტების შეფასებისას იჩენს თავს. ამ პროცესის ანალიტიკური მახასიათებლები უდაოდ კლასიფიცირებას და დეტალურ შესწავლას მოითხოვენ, რაც საქართველოში არსებულ მაგალითებზე კიდევ უფრო მნიშვნელოვანი იქნება, რეალურად არსებული პრობლემატიკის თეორიული რისკების განსაზღვრის მიზნით და მასში მთავარი პორბლემატური სფეროს გამორჩევით.

**გამოყენებული ლიტერატურა:**

1. Agozzino, Alisa (2012). "Building A Personal Relationship Through Social Media: A Study Of Millennial Students' Brand Engagement". *Ohio Communication Journal*. 50: 181–204.
2. Benkler, Yochai (2006). *The Wealth of Networks*. New Haven: Yale University Press. ISBN 978-0-300-11056-2. OCLC 61881089
3. Beshears, Michael L. (2016). "Effectiveness of Police Social Media Use". *American Journal of Criminal Justice*. 42 (3): 489–501. doi:10.1007/s12103-016-9380-4.
4. Blankenship, M (2011). "How social media can and should impact higher education". *The Education Digest*. 76 (7): 39. ProQuest 848431918.
5. Gentle, Anne (2012). *Conversation and Community: The Social Web for Documentation* (2nd ed.). Laguna Hills, CA: XML Press. ISBN 978-1-937434-10-6. OCLC 794490599.
6. Motti Neiger, Oren Meyers and Eyal Zandberg. *On Media Memory: Collective Memory in a New Media Age*. New York : Palgrave MacMillan, 2011
7. McLuhan M., *Understanding Media: The Extensions of Man*. — N.Y.: McGraw Hill, 1964.
8. McLuhan M., Fiore Q. *The Medium is the Massage: An Inventory of Effects*. — N.Y.: Random House, 1967.
9. Kudakwashe Praise Mutukura *A CONFLICT ANALYSIS OF THE IN-*

TERGROUP CONFLICT IN SYRIA; THE CAUSES AND DYNAMICS OF INCOMPATIBLE GOALS [https://www.researchgate.net/publication/328096500\\_A\\_Conflict\\_Analysis\\_of\\_The\\_Intergroup\\_Conflict\\_in\\_Syria\\_The\\_Causes\\_And\\_Dynamics\\_of\\_Incompatible\\_Goals](https://www.researchgate.net/publication/328096500_A_Conflict_Analysis_of_The_Intergroup_Conflict_in_Syria_The_Causes_And_Dynamics_of_Incompatible_Goals)

10. ინტერნეტმასალა;
11. Palmyra: Syrian forces 'completely retake' IS-held town
12. <https://www.bbc.com/news/world-middle-east-39147612>, Palmyra: IS retakes ancient Syrian city
13. <https://www.bbc.com/news/world-middle-east-38280283>
14. <https://ec.europa.eu/eurostat/publications/all-publications>
15. <https://www.bbc.com/russian/features-43386150> 10 вопросов, которые помогут понять конфликт в Сирии 14 марта 2018

## **Characteristics and peculiarities of resonance of social conflicts into News Media**

*Tamar Gvazava, PhD of  
Technical University of Georgia*

### **Summary**

XXI century newest era is the most important reality period of social, political activity where the role of news media is constantly growing even under background of conflict environment. An analogue of processes started outside of Georgia with its echo does cause double resonance today.

Shown research is the analysis of resonance specter of news media that is nowadays done prerequisite from grown up global conflicts and gives us ability to see likeness between Georgian and other countries media resonance of social circle, basis of differences to be outlined and the root analysis to be continued to this direction.

Before social conflict existed data's analysis means media resonance searching of the characteristics of root conflicts in societies which means in general an objective view of social conflicts media theme ruling peculiarity.

Keywords: media resonance, social conflicts, informational analytical features.

## ინფოტეინმენტი, როგორც სპორტისა და შოუბიზნესის სიმბიოზი

*ვაჟა დანელია, დოქტორანტი  
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

### რეზიუმე

საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლამ, მასობრივი ინფორმაციის საშუალებების კომერციალიზაციამ ხელი შეუწყო იმას, რომ გაზეთებისა და ჟურნალების ფურცლებზე, რადიოსა და ტელევიზიაში სულ უფრო მეტ ადგილს იჭერს გასართობი ხასიათის ინფორმაციები, რამაც ახალი ფორმატი - „ინფოტეინმენტი“ ჩამოაყალიბა. ამ მედიამოვლენის საფუძველში დევს პრინციპი, რომლის მიხედვითაც ინფორმაცია საინტერესოა იმ მოცულობით, რა მოცულობითაც გასართობია ან თავშესაქცევად არის წარმოდგენილი. ზოგიერთი მკვლევრის აზრით, ყოველივე ამან ცალკეული გამოცემების ხარისხი დააზარალა, გამოიძევნა „სერიოზული“ ინფორმაციები.

საკვანძო სიტყვები: მედია, ინფორმაცია, ინფოტეინმენტი, გართობა, სპორტის ჟურნალისტიკა, შოუბიზნესი, სპორტის ინდუსტრია, კოგნიტური პროცესები.

### შესავალი

ინფოტეინმენტი (infotainment), ანუ ინფორმაცია გართობით - ეს ტექნიკური ჟარგონი წარმოიშვა მედიის ორი ფუნქციის სახელწოდებების გაერთიანებით: ის შექმნილია ორი ინგლისური სიტყვის აბრევიატული შეერთებით: INFOrmation (ინფორმაცია) და enterTAINMENT (გართობა), რაც ინფორმაციის უფრო გასართობი, თავშესაქცევი ფორმით მიწოდებას გულისხმობს. ტერმინი ინფოტეინმენტი ამერიკის მასმედიის პუბლიცისტურ ნაშრომებში 1980-იანი წლებიდან გამოიყენება.

სწორედ, გასული საუკუნის 80-იან წლებში აშშ-ში საინფორმაციო პროგრამების რეიტინგის დაცემამ ჟურნალისტები აიძულა, სატელევიზიო ამბებისთვის ფორმატი შეეცვალათ. გარდაქმნები შეეხო, უპირველესად, ინფორმაციის არჩევის პრინციპს - „ოფიციალის“ წილი შემცირდა, სამაგიეროდ, გაიზარდა სოციალური და კულტურული თემების რიცხვი. შეიცვალა ინფორმაციის მიწოდების ხერხიც: რეპორტაჟებში პირველ პლანზე წამოიწია დეტალებმა, რომლებიც საინტერესო იყო ყველა მაყურებლისთვის. ახალ ამბებს შორის ცალკე გამოიყო საინფორმაციო-გასართობი პროგრამები. ამ მიმართულებით პიონერად მიიჩნევა ყოველკვირეული პროგრამა „60 წუთი“, სადაც წამყვანებმა აქტიურად ჩართეს რეპორტაჟებში მოვლენების მიმართ საკუთარი დამოკიდებულება, მეტიც - ჟურნალისტები კადრებში

რეპორტაჟების გმირების თანაბრად გამოჩნდნენ, რაც მაშინ ამერიკული ტელევიზიისთვის არატიპური იყო. შემდეგ ეს ფორმა სხვა ტელევიზიებმაც აიტაცეს.

ცხადია, ჩვენ „ინფოტეინმენტის“ ისტორია იმდენად არ გვინტერესებს, რამდენადაც ის ფაქტი, რომ მიმართულება წარმოიშვა არა რომელიმე ამერიკული ტელეკომპანიის მესვეურის კაპრიზების გამო, არამედ აუდიტორიის ინტერესების ცვლილების შესაბამისად. ზოგიერთი მეცნიერის აზრით, ამერიკელი საზოგადოება დაიღალა სერიოზული მასალებისგან; ჯერ კიდევ 1970 წლის სოციოლოგიურმა კვლევებმა დაადასტურა, რომ „მკაცრი“ ამბები მკითხველებს უკვე აღარ აინტერესებდათ.

### ძირითადი ნაწილი

ინფოტეინმენტის პირველი ვრცელი ანალიზი მასმედიის ამერიკელ მკვლევარ ნილ პოსტმანს ეკუთვნის. მის ნაშრომში ინფოტეინმენტი წარმოდგენილია არა უბრალოდ როგორც გარესამყაროს რეალობის გადაცემის საშუალება, არამედ მედიის მეშვეობით გარკვეული მსოფლმხედველობის ანარეკლი [1]. პოსტმანი ემიჯნება კანადელი ფილოსოფოსის - მარშალ მაკლიუენის ცნობილ თეზისს, რომლის მიხედვითაც, „მედია არის გზავნილი“ [3]. იგი მიიჩნევდა, რომ გზავნილი არის ინფორმაცია, ხოლო მედია - ეს არის მეტაფორები, რომლებიც განსაზღვრავენ ჩვენს ცნობიერებას.

ამერიკელი საზოგადოების განვითარების ანალიზის შედეგად, პოსტმანი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ XX საუკუნის მეორე ნახევარში წიგნის კულტურას ტელევიზიის კულტურა ჩაენაცვლა, რომელიც თანამედროვე ადამიანზე უდიდეს ზეგავლენას ახდენს.

„ინფოტეინმენტზე“ საინტერესო შეხედულებები აქვთ გამოთქმული მედიის გერმანელ მკვლევრებს, რომლებმაც ეს ტერმინი ინგლისურიდან 1990-იანი წლების დასაწყისში ისესხეს. 1995 წელს გამოვიდა ანდრეას ვიტვენის ნაშრომი „ინფოტეინმენტი - სატელევიზიო ამბები ინფორმაციასა და გართობას შორის“ [4]. მეცნიერის აზრით, „ინფოტეინმენტში იგულისხმება გასართობი ინფორმაციის დიზაინის ყველა შესაძლებლობა, იქნება ეს თემატიკის არჩევა, თვალსაჩინოებითი (ვიზუალური) თუ ვერბალური მეთოდები“. გერმანელი მეცნიერი ამ ფენომენს ძირითადად რადიო-ტელევიზიას, ნაწილობრივ კი პრესას უკავშირებს.

ინფოტეინმენტის ვიტვენისეულ განმარტებას მხარს უჭრს ლოტარ მიკოსი 2000 წელს გამოქვეყნებულ სტატიაში - „ედუტეინმენტი და ინფოტეინმენტი“ [5]. ის ამ ცნებას ახასიათებს, როგორც საინფორმაციო და გასართობი ელემენტების შეერთებას სტილისტური და ესთეტიკური თვალსაზრისით.

ული ბერნჰარდი 2012 წელს გამოცემულ წიგნში („ინფოტეინმენტი გა-

ხეთში“) მსჯელობს ამ ტერმინის პრესაში გავრცელებაზე, ოღონდ მხოლოდ საპოლიტიკო თემატიკით შემოიფარგლება [6].

გამოკვლევებით დადასტურებულია, რომ ინფოტეინმენტის ფორმატის წარმატებას მკითხველისა თუ მაყურებლის გრძნობებსა და ინტელექტუალურ უნარებზე ერთდროული ზემოქმედება განაპირობებს. ამიტომ ვერ დავეთანხმებით იმ ადამიანებს, რომლებიც „ინფოტეინმენტის“ ფენომენს განსაზღვრავენ გართობისა და საინფორმაციო ელემენტების უბრალო შეხამებად. მართებულად მიგვაჩნია გერმანელი მეცნიერის - ლუის ბოსხარტის შეხედულება, რომლის მიხედვითაც „ინფოტეინმენტი“ ეს არის აღქმის სპეციფიკური საშუალება, რომლის დროსაც კოგნიტური და ემოციური პროცესები ერთდროულად არის ჩართული და ისინი ინფორმაციის მიმართ ინტერესს აღვივებენ [7].

„ინფოტეინმენტი“ ბოლო დროს ფართოდ იკვლევს გზას ქართულ სამეცნიერო ლიტერატურასა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში, როგორც მედიის ახალი მოვლენა, როგორც მედიაეკონომიკური განვითარების შედეგი. მას განსაკუთრებული ადგილი უკავია სპორტის სფეროშიც, რომელიც დიდი ხანია, ორგანულად არის ჩართული შოუბიზნესში თუნდაც იმით, რომ სპორტის ვარსკვლავები კულტურულ ღონისძიებებში მასობრივად მონაწილეობენ.

საგულისხმოა ისიც, რომ სპორტის შოუბიზნესის სფეროსთან ურთიერთობისას არა მარტო სპორტის წარმომადგენლები ერთვებიან ენთატეინმენტის (ინგლისური სიტყვიდან entertainment [entə'teinmənt], რაც სანახაობას, წარმოდგენას, გართობას ნიშნავს) ელემენტებში, არამედ კინოს და ტელევიზიის ვარსკვლავებიც მონაწილეობენ უშუალოდ სასპორტო შეჯიბრებებში, რაც სპორტის ქომაგებში მსახიობების დადებითი იმიჯის ფორმირების პროცესად შეიძლება მივიჩნიოთ.

სპორტისა და შოუბიზნესის სიმბიოზისას ადვილი შესამჩნევია, რომ ბოლო წლებში გართობის ელემენტები სასპორტო ღონისძიებებში სულ უფრო მეტ ადგილს იკავებს (მაგალითად, ტანმოვარჯიშე გოგონების გამოსვლები საკალათბურთო მატჩების შესვენებებისას). დროთა განმავლობაში სასპორტო ღონისძიებებსა და შოუწარმოდგენებს შორის თანდათან იშლება ზღვარი - ხშირად შედეგი და შეჯიბრება უკანა პლანზე გადადის. აი, მაგალითად, ამერიკულ ფეხბურთში.

თანამედროვე მსოფლიოში სპორტი მძლავრ და სწრაფად განვითარებად ინდუსტრიად იქცა. საზოგადოების წინსვლაზე ის სულ უფრო მნიშვნელოვან გავლენას ახდენს. სპორტის ჟურნალისტიკა, რომელიც სპორტის ინდუსტრიას მჭიდროდ უკავშირდება, დღეს მნიშვნელოვან ეკონომიკურ, პოლიტიკურ და სოციალურ საკითხებს წყვეტს, რომლებიც მასობრივ კულტურაში

სპორტის წარდგენასთან არის დაკავშირებული. საქართველოში სპორტის ჟურნალისტიკას კოლოსალური პერსპექტივები აქვს, რადგან ჩვენთან სპორტის ინდუსტრია ახლა იწყებს ჩამოყალიბებას.

ერთი საინტერესო კვლევის შედეგი გვინდა გაგაცნოთ: 2020 წლის იანვარში წყალბურთელ ვაჟთა ევროპის ჩემპიონატზე საქართველოს ნაკრების საფრანგეთის ეროვნულ გუნდთან გამარჯვების შემდეგ შევადგინეთ სამი ტექსტი: 1. მატჩის მიმოხილვა სამ გვერდზე, 2. შეხვედრის ანალიზი გვერდნახევარსა და 3. მიმოხილვა ორ გვერდზე, ტექსტში ჩართული მატჩის ეფექტური მომენტების ამსახველი ოთხი ფოტოსურათით.

საექსპერიმენტოდ შევარჩიეთ სხვადასხვა საჯარო სკოლის მოსწავლეები და უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტები, ქუჩაში შემხვედრი 35 წლამდე ახალგაზრდები და 50 წელს გადაცილებული მამაკაცები, სულ 430 ადამიანი. ავუხსენით მათ ამ ინფორმაციების დანიშნულება. გვანტერესებდა, ვინ რომელ ტექსტს აირჩევდა საქართველო-საფრანგეთის წყალბურთელთა მატჩის შედეგის გასაცნობად.

საინტერესო სურათი მივიღეთ:

**ასაკი 3-გვ. 1.5-გვ. 2-გვ. ფოტოებით**

სკოლის მოსწავლე (85) 0 3 82

სტუდენტი (140) 7 12 121

ახალგაზრდა (125) 12 24 89

50 წ. გადაცილებული (80) 58 12 10

დაკვირვებამ და საექსპერიმენტოდ შერჩეულებთან გასაუბრებამ იმ დასკვნამდე მივიყვანა, რომ ახალგაზრდები ამჯობინებენ ე.წ. ტელეგრაფული, ანუ სმს-ის სტილის კითხვას. ეს პრაგმატიკითაა გამოწვეული: მათთვის დიდი მნიშვნელობა არ აქვს გამარჯვების მიზეზებისა თუ პრობლემების ძიებას - მთავარია საბოლოო შედეგი. ამიტომაცაა, რომ ახალგაზრდები უპირატესობას ანიჭებენ ადაპტირებულ ლიტერატურას, რომელიც მოიცავს ვიზუალურ ინფორმაციას ფოტოსურათებითა და მოკლე ტექსტური შეტყობინებით. ეს, როგორც წესი, კითხვის პროცესის შრომატევადობას ამცირებს.

საგულისხმოა, რომ სათქმელის საინტერესოდ და გასართობად გამოცემაზე ილია ჭავჭავაძემ ჯერ კიდევ 1863 წელს დაწერილ თხზულებაში („კაცია ადამიანი?!“) გაამახვილა ყურადღება: ლუარსაბ თათქარაძის დახასიათებისას მწერალი მოულოდნელად სვამს კითხვას: „მკითხველო, ხომ არ მოგეწყინა?“ და იქვე თავადვე პასუხობს: „რასაკვირველია, მოგეწყინა. აქ არ არის არც სიყვარულის ემშაკობა, არც კაცისკვლა, არც უიმედო ქალის ოხვრა, არც წყალში გადავარდნა, ერთი სიტყვით - რაც ამშვენებს გასართველად დაწერილს მოთხრობასა - ის აქ არაფერი არ არის. მაშ მოგეწყინება, ამას რაღა თქმა უნდა“ [8].

ახალგაზრდების დღევანდელი პრაგმატული კითხვაა შეიძლება ცხოვრების აჩქარებული ტემპის შედეგადაც მივიჩნიოთ. ისიც გასათვალისწინებელია, რომ ამჟამად ფართოდ გავრცელებული კომპენსატორული კითხვაა ახალგაზრდებს ცხოვრების რეალიებისგან ყურადღების გადატანაში ეხმარება. მოზრდილი ტექსტებისა და კლასიკის, ანუ მაღალმხატვრული ლიტერატურის კითხვა, მათი აზრით, მძიმე შრომა და დროის უქმად ხარჯვაა. ამიტომაც არის ჩვენი მომავალი თაობის, მათ შორის - სპორტის ჟურნალისტების ენა ღარიბი ლექსიკონის მქონე, კლიშეებით გაჯერებული.

თამამად შეიძლება იმის თქმა, რომ ახალგაზრდებს გაზეთში დაბეჭდილი ვრცელი მასალები არ აინტერესებთ. ისინი საკუთარ თავს ექსპერტებად მიიჩნევენ და სხვების აზრი (ამ შემთხვევაში - ჟურნალისტის) არ აინტერესებთ. უპირატესობას თავშესაქცევი ფორმით მიწოდებულ ინფორმაციას ანიჭებენ. აქედან გამომდინარე, გამომცემლობებს დროულად მოუწევთ გადაწყობა ინფორმაციის, ანუ ანალიზის მოკლებულ დასურათხატებულ ინფორმაციებზე.

მეცნიერებმა ექსპერიმენტებით დაასაბუთეს, რომ ახალგაზრდები, რომლებიც უფრო კომპენსატორული კითხვით არიან დაკავებული, სოციალურად ნაკლებად ადაპტირებულნი იოლად ექცევიან ბრბოს გავლენის ქვეშ და აგრესიისადმი მეტი მიდრეკილებით გამოირჩევიან, ვიდრე მათი თანატოლები, რომლებიც კლასიკურ ლიტერატურას კითხულობენ. განსაკუთრებით ამის ნათელი დასტურია საფეხბურთო მატჩებისას მოზარდი თაობის წარმომადგენელთა საქციელი.

ყოველივე ზემოაღნიშნული მიგვანიშნებს თუ არა იმაზე, რომ გაზეთების ეპოქა დასრულდა. ამგვარი პესიმისტური განწყობისთვის, ვფიქრობთ, საბაზი არ არსებობს. ცხადია, სირთულეები იქნება და გამომცემლობებს სიახლეებისა და მკითხველთა მოთხოვნებისთვის ფეხის აწყობა მოუწევთ, მაგრამ ეს არ ნიშნავს გაზეთების აღგვას პირისაგან მიწისა. თავის დროზე გაზეთების გამოჩენამ თითქოს წიგნის არსებობას შეუქმნა საშიშროება, მაგრამ ეს ვარაუდი არ გამართლდა. მერე გაზეთი კითხვის ნიშნის ქვეშ რადიომ დააყენა, რადიო - ტელევიზიამ, ეს უკანასკნელი - ინტერნეტმა, თუმცა უნდა ითქვას, რომ ყველას თავისი ფუნქცია აქვს, თავისი მომხმარებელი ჰყავს და ასე იქნება მომავალშიც.

ერთი შეხედვით, ინტერნეტმომხმარებელთა მატებამ ტრადიციული მედიის პოპულარობა მნიშვნელოვნად შეამცირა. მსოფლიოს მასშტაბით ჩატარებულ კვლევებში, მედიასა და ექსპერტთა წრეებშიც გამოიკვეთა ის აზრი, რომ ინტერნეტის პოპულარობის ზეგავლენით, შესაძლოა, ერთ მშვენიერ დღეს მსოფლიოს საზოგადოებამ საყოველთაოდ აღიარებულ სტანდარტულ ბეჭდურ მედიას ადგილი ისტორიაში მიუჩინოს. თუმცა



მოსახლეობის გამოკითხვის შედეგებმა დაადასტურა, რომ ამგვარი წინასწარ-მეტყველება მცდარია. ერთ მოსაზრებას დავიმოწმებთ: ენდრიუ ჰერსტი აღნიშნავს: „იმის მიუხედავად, რომ, როგორც ონლაინ ახალი ამბების რედაქტორი, ახალი მედიის წარმომადგენლად ვითვლები და თითქმის მთელ დღეს კომპიუტერის წინ ვატარებ, გაზეთის დიდი ფანი ვარ. გაზეთები და ჟურნალები ინფორმაციის მიწოდების ყველაზე ეფექტური სისტემებია და ინტერნეტის, მართალია, ყველას დიდ რამედ მიაჩნია, მათ ვერ შეედრება“ [9].

თუმცა არც დიდი ილია ჭავჭავაძის სიტყვები უნდა დავივიწყოთ. „საქართველოს მოამბის“ 1863 წლის ნოემბრის ნომრის შესავალში იგი წერდა: „არც ერთი ჩვენი შინაგანი ცხოვრების გამოჩინება, არც ერთი თითქმის ფაქტი, არც ერთი საქმე, რომელიც ყველას თვალწინ გვიტრიალებდა, რომელიც ყოველი ცოცხალი კაცისათვის საინტერესოა, არამცთუ ვერ ახსნა ჩვენმა ჟურნალმა, არამედ ვერც კი გახედა, რომ მიჰკარებოდა, - თუმცა ზოგჯერ სცადა კიდევ, - იმავე მიზეზით, რომ „დრონი მეფობენ“. ამის გამო ჩვენს ჟურნალს ფერი დააკლდა, „მოამბემ“ შორიდან დაუწყო ტრიალი მას, რაც ახლოდან გასასინჯი იყო“ [10].

შედეგად „საქართველოს მოამბე“ გამოუვალ ფინანსურ მდგომარეობაში აღმოჩნდა - მკითხველთა ერთმა ნაწილმა, რომელიც უკმაყოფილო იყო ჟურნალის მიმართულებით, ხელმოწერის თანხის გადახდაზე უარი თქვა და მალე „მოამბეც“ დაიხურა. ეს მაშინ, როცა ქართველი საზოგადოება მასობრივი საინფორმაციო საშუალებებით განებივრებული, ნამდვილად, არ იყო.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინფოტეინმენტი შეიძლება მივიჩნიოთ ა. მაკლიუენის წინასწარმეტყველებად, რადგან მან განჭვრიტა „ელექტრონული საზოგადოების“ შეტევა და თქვა, რომ წიგნის ბეჭდვის ეპოქის დასრულების შემდეგ („გუტენბერგის გალაქტიკა“) ინფორმაციულ საზოგადოებაში თვით შეტყობინებაზე უფრო მნიშვნელოვანი კომუნიკაციის არხები და ინფორმაციის მიწოდების საშუალებები იქნებაო. ფაქტობრივად, ის ამტკიცებდა, რომ კომუნიკაციის საშუალებები უკვე თავად გახდება გარკვეული შეტყობინება [11].

უფრო ზუსტი იქნებოდა იმის თქმა, რომ ინფოტეინმენტის გამოჩენა განსაზღვრა სამომხმარებლო საზოგადოების განვითარების ტენდენციებით, რის შესახებაც ჯერ კიდევ მე-20 საუკუნის დასაწყისში წერდა ორტეგა ი გასეტი „მასების ამბოხში“ [12]. „ადამიანი მასის“ გამოჩენა, როგორც მას უწოდა ფილოსოფოსმა, გახდა ახალი ინფორმაციული კონტექსტის შექმნის ათვლის წერტილი, რომლის წინაშეც მასობრივი ინფორმაციის საშუალებები მე-20 საუკუნის მიწურულსა და 21-ე საუკუნის დასაწყისში აღმოჩნდნენ.

ინტერნეტკომუნიკაციების მძლავრი განვითარების ეპოქაში მასობრივი ინფორმაციის საშუალებები სულ უფრო მეტად გაირჯებიან აუდიტორი-

ისტვის შეტყობინების უფრო მიმზიდველი ფორმით მისაწოდებლად, რადგან ინფორმაციების ოკეანეში ადამიანები სულ უფრო მძიმედ შეძლებენ სერიოზული ოფიციალური ინფორმაციული ამბების აღქმას; კლასიკური საახალმბებო ცნობებით მათი ყურადღების მიპყრობა გაჭირდება. პოსტინდუსტრიულ ხანაში საზოგადოება სულ უფრო მეტად შეიძენს იმ პუბლიკის მახასიათებლებს, რომელიც ჯერ კიდევ ძველი რომის დროიდან ითხოვს, ცნობილი სატირიკოს იუვენალისის თქმით, „პურსა და სანახაობას“. მასობრივი კულტურის გავლენით ინფორმაციულ სივრცეში სულ უფრო აქტიური გახდება მასობრივი ცნობიერების სტერეოტიპების გამოყენება ორიგინალური სახეების ნაცვლად.

ამ ფონზე ერთი კვლევის შედეგიც გვინდა გაგაცნოთ: მას შემდეგ, რაც შარშან ტაილანდში ლაშა ტალახამე მეოთხედ გახდა მსოფლიოს ჩემპიონი, ასეთი გამოკითხვა ჩავატარეთ:

**ტელემაყურებელი მკითხველი**

- 1. რა ტიტული მოიპოვა ტალახამემ? 45 % 87 %**
- 2. რამდენი კილოგრამი მოაგროვა ორჭიდში? 17 % 35 %**
- 3. რამდენჯერ გახდა მსოფლიოს ჩემპიონი? 53 % 71 %**
- 4. რამდენი რეკორდი დაამყარა? 29 % 42 %**

გამოკითხვამ დაგვარწმუნა, რომ ტელემაყურებელთა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მკითხველთა ძალიან ცოტა ნაწილი ითვისებს მიწოდებული ინფორმაციის შინაარსს. ამის მიზეზი ის არსი, რომ აუდიტორიისთვის მედიის პროდუქციის აზრობრივი, ანუ კოგნიტური პროცესები ემოციურ აღქმაზე ბევრად ნაკლები მნიშვნელობისაა - მთავარია, რომ ტალახამემ ყველას აჯობა და ჩემპიონი გახდა. ნათელია, რომ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში თავშესაქცევობა სულ უფრო გამოდის წინა პლანზე.

ინფოტეინმენტი, რომელმაც ღრმად გაიდგა ფესვები პოლიტიკურ და ეკონომიკურ ჟურნალისტიკაში, სასპორტო სფეროშიც სწრაფი ტემპით მკვიდრდება, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ სპორტი თავისი ბუნებით თავშესაქცევია დამატებითი საშუალებების გარეშეც. მაგრამ დღევანდელი მასობრივი ინფორმაციის საშუალებების განვითარების ტენდენცია არ არის ამორჩევითი. ამდენად, სპორტის ჟურნალისტიკა თანდათან გახდება მთხრობელი თავშესაქცევად თავშესაქცევაზე. მკითხველთა ყურადღების შესანარჩუნებლად ჟურნალისტები იძულებული იქნებიან, სასპორტო ამბები დამაინტრიგებელ ეპიზოდებად გადმოსცენ გაგრძელებებით, ანუ ერთი სასპორტო სიახლე სერიალებს დაემსგავსება.

2019 წლის აპრილ-მაისის მიჯნაზე გაზეთი „ლელო“ ორი კვირაზე მეტი ხნის განმავლობაში აქვეყნებდა მასალებს საქართველოს ნაკრებისა

და ბელგის „გენტის“ ახალგაზრდა ფეხბურთელ გიორგი ჩაკვეტაძეზე: ჯერ დარჩებოდა თუ არა იგი გუნდში, მერე კი - როგორი იყო მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა შემდეგი სათაურებით: „ჩაკვეტაძე დარჩება თუ არა „გენტში“, „რა სჭირს ჩაკვეტაძეს“?, „გიორგი ჩაკვეტაძისთვის სეზონი დასრულდა“, „თითქმის გადაწყვეტილია: ჩაკვეტაძე საოპერაცია“, „გიორგი ჩაკვეტაძეს ოპერაცია არ სჭირდება“, „გენტში“ ჩაკვეტაძეზე გადაწყვეტილება მიიღეს“, „რა ხდება ჩაკვეტაძის მუხლზე“? „რა ხდება რეალურად ჩაკვეტაძის თავს“? რა თქმა უნდა, ოპერაცია!“ „გიორგი ჩაკვეტაძემ ოპერაცია გაიკეთა“... შეიძლება ითქვას, რომ ამ სიუჟეტის განვითარება და გავრცელება ხდებოდა მასობრივი კულტურის და არა საახალამბებო ჟურნალისტიკის კანონებით. აქ მთავარი იყო აუდიტორიაზე აპელაცია, რაც ინფოტეინმენტის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მახასიათებელია.

როგორც მეცნიერები ამბობენ, ინფოტეინმენტი პოსტმოდერნიზმის შვილია. მისთვის დამახასიათებელია განსაკუთრებით დამუხტული სკანდალური და სენსაციური ატმოსფერო, ფაქტობრივად, სერიალების შექმნა, რომლებიც თავად ხდება აუდიტორიისთვის საინტერესო ისტორია.

ადამიანებს მოსწონთ, როცა სერიოზულ მოვლენებს, მოქმედებებს ან იდეებს ძალდაუტანებლად, მსუბუქად, ზოგჯერ ირონიული ფორმითაც აღწერენ. დღეს ხალხისთვის სერიოზული მასალების კითხვა მოსაწყენია, თუ მათში არ არის სიმსუბუქე და იუმორი, თუ ის თავშესაქცევად (გასართობად) არ არის გადმოცემული.

### **დასკვნა**

თამამად შეიძლება ითქვას, რომ ინფოტეინმენტი - ეს არის ბრწყინვალე შესაძლებლობა ისწავლო ის, თუ როგორ უნდა წერო რთული პროდუქტების გაყიდვადი ტექსტი აუდიტორიის როგორც გასართობად, ისე ინფორმირებისთვის. ინფოტეინმენტს თავშესაქცევი მახასიათებლები აქვს მასალის შერჩევით ან გაფორმების მეშვეობით. რადგანაც ინფორმაცია საქონელია, ის მოითხოვს შესაბამის მიმზიდველ შეფუთვას, რაც მიწოდების ფორმას გულისხმობს.

### **გამოყენებული ლიტერატურა:**

1. Postman N. Amusing ourselves to death. New York. 1985;
2. Postman N. Wir amüsieren uns zu Tode: Urteilsbildung im Zeitalter der Unterhaltungsindustrie. Frankfurt-am-Main.2008. S. 19-20;
3. Маклюэн М. Понимание медиа: внешние расширения человека. М., 2003. С. 10;
4. Wittwen A., Infotainment: Fernseh Nachrichten zwischen Information und

- Unterhaltung (Zürcher Germanistische Studien) (Deutsch) Taschenbuch – 1. Mai 1995;
5. Mikos L., Edutainment und Infotainment. Die lebensweltliche Orientierung des Lernens / Information, Emotion, Sensation: Wenn im Fernsehen die Grenzen zerfließen / Hrsg. I. Paus-Haase, D. Schnatmeyer, Cl. Wegener. Bielefeld, 2000. S. 30–43;
  6. Bernhard U., Infotainment in der Zeitung. Der Einfluß unterhaltungsorientierter Gestaltungsmittel auf die Wahrnehmung und Verarbeitung politischer Informationen. Baden-Baden, 2012. S. 23;
  7. Bosshart L. Infotainment im Spannungsfeld von Information und Unterhaltung // Medienwissenschaft Schweiz. 2/1991. S. 1-4.
  8. ილია ჭავჭავაძე, კაცია ადამიანი?! ქართული პროზა, წიგნი VIII, „საბჭოთა საქართველო“, თბ. 1984 წ., გვ. 123-124;
  9. <https://mzarkua.wordpress.com/2015/05/10/ბეჭდური-მედია/>;
  10. „საქართველოს მოამბე“, #11, ნოემბერი, 1863 წელი;
  11. Маклюэн Герберт Маршалл, Галактика Гутенберга. Становление человека печатающего, 2018;
  12. ხოსე ორტეგა ი გასეტი, მასეზის ამბოხი, 1993.

### **Infotainment as Symbiosis of sports and show business**

*Vaja Danelia, PHD student  
Georgian Technikal Universty*

#### **Summary**

The transition to a market economy and the commercialization of the mass media have helped to make entertainment and information space increasingly available in newspapers and magazines, which has created a new format - infotainment. At the heart of this media trend is the principle that information is interesting to the extent that it is entertaining or entertaining.

It can be said boldly that infotainment - this is a great opportunity to learn how to write complex text-selling products for both entertaining and informing audiences. The infotainment features self-destructive features through material selection or formatting. Since information is a commodity, it requires relevant attractive packaging, which implies a form of delivery.

## პროპაგანდა, როგორც იარაღი და მასთან ბრძოლის ხერხები

კვა ვეფხვაძე, დოქტორანტი  
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

### რეზიუმე

“პროპაგანდა მუდამ უნდა იყოს მიმართული მხოლოდ მასისკენ... პროპაგანდა არის საშუალება და ამიტომაც უნდა განიხილებოდეს სწორედ მიზნის თვალთახედვით, და არა სხვაგვარად“ - ჰიტლერი

თანამედროვე მსოფლიოში მიმდინარე პოლიტიკური პროცესი ხასიათდება გეოპოლიტიკური დაპირისპირებით, რომელიც უკვე ტრადიციულად, ყოველ შემთხვევაში, უკანასკნელი 100 წლის განმავლობაში, გადის დასავლეთის (აშშ - ევროპა - ავსტარალია, იაპონია)- აღმოსავლეთის (რუსეთი, ჩინეთი, ირანი) ღერძზე. თუ ადრე, ჯერ კიდევ 30 წლის წინ, ამ დაპირისპირებას გააჩნდა გარკვეულწილად იდეოლოგიური ელფერი-თავისუფალი დემოკრატიები უპირისპირდებოდნენ საბჭოურ კომუნისმს - დღევანდელი დაპირისპირება უწინარესად, ხასიათდება აშშ-ის, როგორც ლიბერალური სამყაროს პოლიტიკური და ეკონომიკური ლიდერის და მსოფლიოში დომინანტური ძალის, გავლენის და როლის შესუსტების მცდელობებს რუსეთისა და ჩინეთის მხრიდან.

ამდაპირისპირებას, პოლიტოლოგების და პოლიტიკური ანალიტიკოსების უმრავლესობა, ჰიბრიდულ ომებად ნათლავს. ჰიბრიდული ომის ერთ-ერთ ძირითად, თუ დამახასიათებელ ნიშნად კი, მიიჩნევა ფართომასშტაბიანი, მულტიმედიური საინფორმაციო კამპანიების, თუ პროპაგანდის წარმოება.

მიმდინარე გეოპოლიტიკურ დაპირისპირებაში, განსაკუთრებულ საფრთხეს წარმოადგენს რუსეთის მხრიდან წარმოებული ტოტალური დეზინფორმაციული, პროპაგანდისტული კამპანია.

### შესავალი

რა არის პროპაგანდა? რა გავლენას ახდენს ის მასობრივ ცნობიერებაზე? რა საშუალებებს იყენებენ პროპაგანდისტათვის?

არსებობს პროპაგანდის (ლათ. propaganda – გავრცელება ) უამრავი განსაზღვრება პროპაგანდა – არის აუდიტორიაზე იდეოლოგიური და პოლიტიკური შეხედულებების, ღირებულებების, წარმოდგენების, ემოციების, იდეოლოგიების ფორმირების გავრცელება, რაც ადამიანისა და საზოგადოების ქცევაზე ახდენს გავლენას.

უკვე ამ განმარტებიდან გასაგებია, რომ პროპაგანდა არ შეიძლება არსებობდეს დამოუკიდებლად. ნებისმიერი პროპაგანდა ეყრდნობა იდეოლოგიას.

იდეოლოგია არის პროპაგანდისტული აქტიურობის ბაზისი.

ერთ–ერთი ძირითადი ბრალდება პროპაგანდის მიმართ იმაში მდგომარეობს, რომ პროპაგანდა არის მანიპულაციის საშუალება, მაგრამ მანიპულაცია – პროპაგანდის მხოლოდ ერთ–ერთი შემადგენელია.

რუსეთის პროპაგანდისტულ ინსტრუმენტებად გვევლინება, რუსეთის ფედერალური ბიუჯეტიდან დაფინანსებული ტელეკომპანია RussiaToday და მულტიმედიური რადიო ჰოლდინგი Sputnik. გარდა ამისა, რუსეთის მთავრობის დაქვემდებარებაში, დასავლელი ექსპერტების აზრით, არსებობს „ტროლების ფაბრიკა“ და გრუ-ს და საგარეო დაზვერვის ჰაკერული გაერთიანებები, როგორც მაგალითად არის Fancy Bear და Cozy Bear. თუმცა, მინდა შევეხო მხოლოდ მედიასაშუალებებს, რომლის მეშვეობითაც, რუსეთი ახორციელებს ფართომასშტაბიან დეზინფორმაციას და ამასთან დაკავშირებულ დისკუსიას, რომელიც დღემდე მიმდინარეობს დასავლეთის თანამეგობრობაში და საქართველოში და რომლის მთავარი საკითხიც არის ის, თუ როგორ უნდა ებრძოლოს, ან რა უნდა დაუპირისპირდეს დასავლეთის და საქართველოს მხრიდან რუსეთის პროპაგანდას.

დასავლეთშიც და განსაკუთრებით საქართველოში, რუსეთის პროპაგანდის ეფექტის ნიველირებასთან ან გავლენის მინიმიზაციასთან დაკავშირებით, არსებობს ორი მიდგომა. პირველი მიდგომა, ითვალისწინებს რუსეთის პროპაგანდისტული არხების აკრძალვას, მაუწყებლის ინსტრუმენტების აღმოფხვრას, ხოლო მეორე მიდგომის თანახმად, რუსეთის პროპაგანდას უნდა დაუპირისპირდეს საინფორმაციო კონტრკამპანია, რომლის მიზანიც იქნება რუსული პროპაგანდის პრევენცია, დეზინფორმაციის გამოვლენა და მხილება.

საქართველოში რუსული პროპაგანდისტული მედიის აკრძალვის მომხრეებს რამდენიმე არგუმენტი გააჩნია:

რუსეთი წარმოადგენს საქართველოსთვის მტრულად განწყობილ სახელმწიფოს, ის არის ოკუპანტი ქვეყანა.

რუსეთის მედიასაშუალებებს აკონტროლებს და აფინანსებს სახელმწიფო ან მასთან მჭიდრო კავშირში არსებული სტრუქტურები (RT, Sputnik, Россия, Первый - სახელმწიფო ბიუჯეტი; HTB- გაზპრომ მედია) და მათ, არ შეიძლება მიენიჭოს დამოუკიდებელი მედია რესურსის სტატუსი.

რუსეთის მედია რეგულარულად ახდენს მტრული პროპაგანდის მაუწყებლობას, რომელიც თავის მხრივ, ახდენს საქართველოს მოსახლეობის გარკვეული ნაწილის დეზინფორმირებას.

არსებობს კიდევ ერთი მოსაზრება, თუმცა არა საქართველოში, რომ ეს არის, მაგალითად, ევროპელების და ამერიკელების მიერ გაზიარებული თვალთახედვა, რაც მდგომარეობს იმაში, რომ პროპაგანდას უნდა დაუპი-

რისპირდეს კონტროპროპაგანდა, რომელიც ოპერატიულად მოახდენს რეაგირებას რუსეთის მიერ წარმოებულ სიყალბეზე, დიფამაციაზე და დეზინფორმაციაზე. რუსეთის პროპაგანდის მხილებას უნდა დაუპირისპირდეს ფაქტი და იმ მეთოდების და საშუალებების მხილება, რომლის მეშვეობითაც რუსული პროპაგანდისტული მანქანა ახდენს ფაქტის დამახინჯებას.

არსებულ დილემას, ასევე ახლავს ეთიკური და ღირებულებითი საკითხების გადაჭრის აუცილებლობა. მაგალითად, რამდენად შეიძლება მტრული, მიზანმიმართულ პროპაგანდაზე ორიენტირებული საშუალება ჩაითვალოს მედია საშუალებად. ან შეიძლება თუ არა, რუსული სერიალი ან დოსტოევსკის ეკრანიზაცია ჩაითვალოს რუსეთის soft power რბილ ძალად, რომელიც ასევე ახდენს გავლენას ადამიანის განწყობების ჩამოყალიბებაზე. ამასთან ერთად, ლიბერალური ღირებულებების დაცვის არგუმენტაციის ქვეშ, აკრძალვის მომხრეები, პარადოქსულად უარყოფენ მთავარ ლიბერალურ პარადიგმას - იდეების (თუნდაც მცდარი) თავისუფალ კონკურენციას, ინფორმაციის (თუნდაც, გაყალბებული ფაქტების) თავისუფალ მიღებას.

ამ პრობლემას ახლავს კიდევ ერთი, ამჯერად, ტექნოლოგიური ასპექტი, თუ კი სახელმწიფომ აკრძალა მტრული პროპაგანდისტული საშუალებები, როგორ აპირებს ამ აკრძალვის ტექნიკურ იმპლემენტაციას.

საინფორმაციო ნაკადის გავრცელების დინამიკა წლიდან წლამდე გვიჩვენებს ერთ შეუქცევად ტრენდს - ინფორმაციის გავრცელების ინტენსივობასთან ერთად, ხდება მისი წყაროების ექსტენსიური გაშლა და საინფორმაციო სივრცე სულ უფრო აქტიურად გადადის სოციალურ ქსელებში და სხვადასხვა მესინჯერ პლატფორმებზე (Facebook, Youtube, Telegram და ა.შ).

მილიონობით ადამიანი მთელს მსოფლიოში უკვე კომპიუტერების მონა გახდა. სამყარო ასეთ თამაშებში წარმოდგენილია ილუზიად, რომელიც შეიძლება გადაკეთდეს და შესაძლებელია მისი გადაპროგრამირება. რეალურ და ვირტუალურ ცხოვრებას შორის საზღვრები იშლება. მეტიც, ადამიანი აღიქვამს რეალურ ცხოვრებას ილუზიად, ვირტუალურს კი – რეალობად. ის ხდება სხვისი იდეებისა და თამაშების მონა, მისი ფსიქიკა კი ინგრევა. ფაქტობრივად, ეს არის „მაიას“ თემის იდეის ტექნიკური განსახიერება: ცხოვრება – ილუზიაა, ადამიანები – კოსმოსურ სპექტაკლში არიან, სადაც ყველაფერი წინასწარ გადაწყვეტილია და დაპროგრამირებულია. პირადი პასუხისმგებლობა თავისი ცხოვრებისათვის და გარშემო მყოფებისათვის წყვეტს არსებობას. რატომ, თუ ყველაფერი უაზრო სიზმარია, თამაში, ვიდაცის ფანტაზია?! სატანიზმის პირდაპირი პროპაგანდა – სატანის, ბოროტებისა და სულების, ზნეობის გაუქმების მოწოდებებია. ამგვარი ფილმები და თამაშები ხელს უწყობს ბოროტებას ყველა ფორმაში.

და „აკრძალული ვაშლის“ ეფექტი? იცვლება ტექნოლოგია, ცნობიერება,

მაგრამ ვერაფერი შეცვლის ადამიანის ცნობისმოყვარეობას და როდესაც შენ, რამეს უკრძალავ მოქალაქეს, ის მომენტალურად იწყებს ალტერნატიული წყაროების მოძებნას, რათა მოიპოვოს თავისთვის საინტერესო ინფორმაცია.

მნიშვნელოვნად უფრო მეტ საფრთხეს წარმოადგენს მასობ-რივი არაპირდაპირი პროპაგანდა, რომელიც ხორციელდება გასართობი გადაცემების ნიღბქვეშ.

პროპაგანდის, როგორც ომის წარმოების შემადგენელი ნაწილის გამოყენება დამახასიათებელი იყო კაცობრიობის მთელი ისტორიისათვის.

ერთი მაგალითი, თუ როგორ შეიძლება ეფექტიანად დაუპირისპირდე რუსეთის პროპაგანდას. რამდენიმე თვის წინ, რუსეთის საინფორმაციო არხების მეშვეობით ატყდა განგაში, რომლის მიზანსაც წარმოადგენდა, მათ შორის საქართველოს მოსახლეობის დარწმუნებას, რომ „ლუგარის ლაბორატორია“ ამერიკელების დაკვეთით აწარმოებს საშიშ ბიოლოგიურ ექსპერიმენტებს, ადამიანის ჯანმრთელობისთვის სხვადასხვა საშიში ვირუსის შტამების გამოსაყვანად. რუსული მედიას მიერ, ასევე ვრცელდებოდა ინფორმაცია, რომ თითქოს ამ ექსპერიმენტების შედეგად, ლუგარის ლაბორატორიამ იმსხვერპლა საქართველოს მოქალაქის რამდენიმე ათეულის სიცოცხლე. საქართველოს მთავრობა, კერძოდ, ჯანმრთელობის პრევენციის ცენტრმა და მისმა ხელმძღვანელმა, ამირან გამყრელიძემ, მეორე დღეს ჩატარებულ ბრიფინგზე, გამოაცხადა, რომ ლაბორატორია არის ღია, როგორც ქართული მედია საშუალებების წარმომადგენლების, ასევე რუსული მედიასთვის და რუსი ექსპერტების და შესაბამისი დარგის სპეციალისტებისათვის. რამდენიმე დღეში, ქართველ ჟურნალისტებს მიეცა ლაბორატორიის ტოტალური დათვალიერებისთვის შესაძლებლობა. ამ წინადადებით, მოსალოდნელად არ ისარგებლა რუსულმა მხარემ.

#### დასკვნა

რუსეთის პროპაგანდიდან მომდინარე საფრთხეს გააჩნია მრავალი ასპექტი და თუმცა, მოქალაქეებს არ უნდა წაერთვას ინფორმაციის მიღების უფლება. და ეს, უკვე წარმოადგენს ახალ გამოწვევას ჟურნალისტისთვის და ახდენს მისი საქმიანობის და თუ გნებავთ მისიის ახალ ტრანსფორმაციას, ვინაიდან ცვალებად სამყაროსთან ერთად, უნდა იცვლებოდეს ჟურნალისტიც.

მოსახლეობის ინფორმირებულობასთან ერთად, ფაქტების და მოვლენების მიუკერძოებელ გამოუქებასთან ერთად, ჟურნალისტი უნდა ახდენდეს ნებისმიერი დეზინფორმაციის, ფეიკის, ყალბი ინფორმაციის მხილებას, მით უფრო, რომ ამ გაყალბებულმა ინფორმაციამ შეიძლება საფრთხე შეუქმნას ჩვენს ქვეყანას და თითოეული ჩვენთაგანის უსაფრთხოებას.



გამოყენებული ლიტერატურა:

1. ვილბურ შრემი „მასმედია და ნაციონალური განვითარება“
2. ნ.ლუმანი - „საზოგადოებრივი კომუნიკაციის სისტემის ცვლილებანი და მასობრივი მედია“
3. ე.ჰეივუდი - „მედია, დემოკრატია, მართვა“

**Propaganda as a weapon and the ways of fighting it**

*Eka Vepkhvadze, PhD student  
Georgian Technical University*

**Summary**

“Propaganda must always address itself to the broad masses of the people... Propaganda is a means and therefore must be considered only from the point of view of the goal” - Hitler

The political process in the modern world is characterized by geopolitical confrontation, which has traditionally, over the last 100 years, passes on the axis of the West (USA - Europe - Australia - Japan) and the East (Russia - China - Iran).

Even 30 years ago, this confrontation had a certain ideological connotation - free democracies opposed Soviet communism. Today's confrontation is characterized by attempts of Russia and China to weaken the influence and role of the United States as a political and economic leader and dominant force in the world.

Most political scientists and political analysts have called this confrontation “hybrid wars”.

One of the main, if not characteristic, signs of a hybrid war is a large-scale multimedia information campaign, or propaganda.

In the current geopolitical confrontation, a total disinformation and propaganda campaign from Russia is considered as a particular threat

## ინფორმაციით მანიპულირებასთან დაკავშირებული ქცევის მოდელები სერიალში „ჩემი ცოლის დაქალები“

*სოფიკო ლომთათიძე, დოქტორანტი  
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი,*

### რეზიუმე

უამრავი ემპირიული გამოკვლევის მონაცემთა გაანალიზების შედეგად დადგინდა, რომ ადამიანების მიერ ახალი იდეებისა და საქონლის მიღების პროცესი ექვს სტადიას მოიცავს: ყურადღებას, ინტერესს, შეფასებას, შემოწმებას, მიღებას, დადასტურებას. ნოვაციის მიღება საერთო სოციალური პროცესია. მასმედიისგან ქცევის მოდელების სესხებით მაყურებელი ეფექტურად სწავლობს ქცევის სრულიად სხვადასხვა სახესა და პრობლემის გადაწყვეტას. „ჩემი ცოლის დაქალები“ ავტორების მიერ წარმოდგენილი ქცევის მოდელები აუდიტორიის დიდი ნაწილის განწყობებსა და ინტერესებს ემთხვევა. სერიალი „ჩემი ცოლის დაქალები“ ნერგავს და კომპესატორულად ამყარებს ქცევის ახალ მოდელებს. ყველაზე ხშირად გაკვირვებისა და დათრგუნვის მეთოდებია გამოყენებული: ან ქცევის სრულიად ახალი მოდელია წარმოდგენილი, მაგალითად, ლგბტ თემის წარმომადგენლის მიმართ, ან მკვეთრად უარყოფითადაა წარმოჩენილი ქცევის ყველასათვის ნაცნობი მოდელი, მაგალითად ცოტნე ცოტაშვილის სახით. ავტორების მიერ წარმოდგენილი ქცევის მოდელები აუდიტორიის დიდი ნაწილის განწყობებსა და ინტერესებს ემთხვევა და, შესაბამისად, სასურველ ეფექტს აღწევს. თითოეულ პერსონაჟს ჰყავს ჩვენთვის კარგად ცნობილი რეალური პროტოტიპი და ქვეყანაში განვითარებულ ყველა აქტუალურ ამბავს ეხმიანება, მაგალითად, როგორებიცაა: ყალბი ახალი ამბები, პირადი ცხოვრების ამსახველი კადრების გავრცელება, ბულინგი, ლგბტ თემა, რელიგიური თემით მანიპულირება და სხვა მრავალი.

საკვანძო სიტყვები: ნოვაციის მიღება, სოციალური ქცევის მოდელები, ინფორმაციით მანიპულირება, მედიის გავლენა.

### შესავალი

მასობრივი კომუნიკაციის კვლევები ძირითადად „ეფექტების“ შესწავლას ეფუძნება. კვლევის ცენტრალური საკითხია, მედიაშეტყობინების რომელი ეფექტები ახდენენ აუდიტორიაზე ყველაზე მეტ გავლენას. უამრავი ემპირიული გამოკვლევის მონაცემთა გაანალიზების შედეგად დადგინდა, რომ ადამიანების მიერ ახალი იდეებისა და საქონლის მიღების პროცესი

ექვს სტადიას მოიცავს: ყურადღებას, ინტერესს, შეფასებას, შემოწმებას, მიღებას, დადასტურებას. ნოვაციის მიღება საერთო სოციალური პროცესია. მასმედიისგან ქცევის მოდელების სესხებით მაყურებელი ეფექტურად სწავლობს ქცევის სრულიად სხვადასხვა სახესა და პრობლემის გადაწყვეტას, ამავე შედეგის მიღწევა სხვა საშუალებით ან ძნელი, ან შეუძლებელი, ან ძალიან ძვირია. დადგენილია, რომ მაყურებელი საკუთარ თავს აიგივებს მასმედიაში წარმოდგენილ მოდელებთან, ხშირად კი აშკარად, პირდაპირ ბამავს მათ. ეს მედიაპროდუქციის მწარმოებლებს ეხმარება მედიის სხვადასხვანაირი ეფექტის წინასწარმეტყველებასა და ინტერპრეტაციაში, რაც აადვილებს სასურველი საზოგადოებრივი აზრის შექმნასა და მასობრივი აუდიტორიას მანიპულაციის სამიზნედ აქცევს, რადგან გადაცემათა ყურებას შემეცნებითი, აქტიური ხასიათი აქვს.

ისიც ცხადია, რომ მედიაორგანიზაციები თავიანთ შეტყობინებებს იმათი გემოვნების შესაბამისად აგებენ, ვისაც ეკუთვნიან, ან ვინც მათ აკონტროლებს, ან ზეწოლის სხვა ჯგუფებისა, რომლებიც მხარს უჭერენ მათს საქმიანობას. ადამიანები კი, ფაქტობრივად, ვერავითარ წინააღმდეგობას ვერ უწევენ. რაც უფრო მეტადაა ადამიანი იმაზე დამოკიდებული, რომ მისი მოთხოვნილებები მკს-ის გამოყენებით დაკმაყოფილდება, მით უფრო მნიშვნელოვანია მედიის როლი მის ცხოვრებაში და შესაბამისად, უფრო ძლიერია ზეგავლენა. მაკროსკოპული, სოციალური თვალსაზრისით, რაც მეტი ადამიანი ხდება მედიაზე დამოკიდებული, მით უფრო ძლიერია მედიის საერთო გავლენა და დიდია მისი როლი საზოგადოებაში. ამგვარად, უნდა არსებობდეს პირდაპირი კავშირი საერთო დამოკიდებულების სიდიდესა და ნებისმიერ მოცემულ მომენტში მედიის მნიშვნელოვანების ხარისხს შორის. ეფექტები იმიტომ კი არ წარმოიქმნება, რომ ასე ყოვლისშემძლე მედიასა და სახელისუფლებო წყაროებს სურთ, არამედ იმიტომ, რომ მედია კონკრეტულ საზოგადოებრივ სისტემაში კონკრეტული აუდიტორიის სურვილებისა და მოთხოვნილებების დაკმაყოფილების მიზნით კონკრეტული სახით მოქმედებს.

მეორეც, მედიის მიერ მოწოდებულ ინფორმაციაზე აუდიტორიის დამოკიდებულების ხარისხი მთავარი ცვლადი სიდიდეა იმის გასაგებად, როდის და რატომ ცვლის მედიაშეტყობინება აუდიტორიის მრწამსს, გრძნობებსა ან ქცევას. საბოლოოდ, ეფექტების წარმოქმნა და მათი ფორმა აუდიტორიის წევრებზეა დამოკიდებული და იმასთანაა დაკავშირებული, რამდენად სჭირდებათ მათ მასობრივი კომუნიკაციის მოცემული საშუალება ან შეტყობინება. [1,121-123]

როგორც ჩანს, „ჩცდ-ის“ ავტორების მიერ წარმოდგენილი ქცევის მოდელები აუდიტორიის დიდი ნაწილის განწყობებსა და ინტერესებს ემთხვევა და სწორედ ეს განსაზღვრავს ამ სერილის ასეთ პოპულარობას და ამიტომაც

დაიწყო 2019 წლის 25 ოქტომბერს სერიალ „ჩემი ცოლის დაქალების“ მე-16 სეზონი „ფორმულას“ ეთერში.

### **ძირითადი ნაწილი**

მე-16 სეზონში გამოჩნდა ნიკა ქავთარაძის პერსონაჟი, რომელიც ე.წ. „ტროლების ქარხნის“ ხელმძღვანელია. [2] ტროლი ინგლისური სიტყვა და ინტერნეტ-სლენგია. ის აღნიშნავს ადამიანს, რომელიც აქვეყნებს არა-ადეკვატურ, ცრუ და პროვოკაციულ ინფორმაციას ფორუმზე, ჩატში, ბლოგზე და ა.შ. სიტყვა „ტროლი“ აღნიშნავს ზებუნებრივ არსებას სკანდინავიური მითოლოგიიდან. სიტყვის „ზებუნებრივი არსების“ მნიშვნელობით გამოყენება ინგლისურ ენაში, ოქსფორდის ლექსიკონის მიხედვით, პირველად 1992 წელს მოხდა, მანამდე კი მახინჯ არსებას აღნიშნავდა სკანდინავიური მითოსიდან. [3] ჩვენში ტროლის სინონიმად იყენებენ ტერმინ ბოტსაც. ბოტი სპეციალურად შექმნილი პროგრამაა, რომელიც პროცესების ავტომატიზაციას ახდენს, ანუ ადამიანის შეგნებული მოქმედების შეცვლა მექანიკური მოქმედებით ხდება. ბოტის ამოქმედება დაშვებულია იმ შემთხვევაში, თუკი იგი კარგად შემოწმდება და მის გამოყენებაზე საზოგადოება დათანხმდება. სპამი კი ელექტრონული წერილის ტიპია, რომელიც იგზავნება პიროვნების ან კომპანიის მიერ, მიმღების დაუკითხავად და ასევე, სურვილის გარეშე. მსგავსი წერილების უმეტესობა სარეკლამო ხასიათისაა. პიროვნებას, რომელიც მსგავს წერილებს აგზავნის სპამერი ჰქვია. მათი ძირითადი მიზანია პროდუქტის პოპულარიზაცია. როგორც ფსიქოლოგები ამბობენ, ტროლებს ნარცისიზმისა და სადიზმისკენ აქვთ მიდრეკილება. ნეგატივი, რომელსაც თესავენ, მათი მთავარი საზრდოა. ინტერნეტ ტროლები ერჩიან გარეგნობას, რასას, ეროვნულობას და ყველაფერს, რაც სხვა ადამიანისთვის სენსიტიურია. არაადეკვატური კომენტარებით დისკუსიებს მიმართულებას უცვლიან და უკონტროლო აგრესიაში გადაჰყავთ, რითაც თვითშეფასებას იმაღლებენ. ტროლი-ეს არის პიროვნება, რომელიც კამათის პროვოცირებით ან აგრესიის გამოვლენით ონლაინ სივრცეში უთანხმოებას იწვევს. ამ მიზნით ის აქვეყნებს, ანუ პოსტავს, პროვოკაციულ, არათემატურ მესიჯებს საინფორმაციო ჯგუფებსა და ფორუმებზე. ის მომხმარებლის/მკითხველის ემოციურ პროვოცირებას ახდენს და ხელს უშლის რაიმე თემაზე ჯანსაღი დისკუსიის წარმართვას. ნიკა ქავთარაძის პერსონაჟი, იგივე ელვირიც, ხომ ასეთი ნარცისიზმით არის დაჯილდოებული, სიამოვნებს, როდესაც ადამიანს ზიანს აყენებს. სოციალური სწავლების გაკვირვების ხერხია გამოყენებული, როდესაც ინდივიდები ითვისებენ ქცევის ახალ მოდელებს ტელეეკრანზე შესაბამისი რეპრეზენტაციის უბრალო ყურებით, ანუ იზრდება იმისი ალბათობაც, რომ ვიღაცას გაუჩნდება სურვილი ელვირის მსგავსი იყოს ან მინიმუმ

მიზამოს მაინც. დაგმობილია სოციუმში მისი მსგავსი ადამიანის არსებობა. დაქირავებული ტროლების მძღავრი იარაღია ფეიქ, ანუ ყალბი ნიუსები (ახალი ამბები). ამისთვის იქმნება მედიაპორტალები, ფეისბუქგვერდები, რომლებიც ე.წ. ცირკულარული რეპორტიინგის ფუნქციას იყენებენ, ანუ რამდენიმე გამოცემა აქვეყნებს ინფორმაციას და ერთმანეთს უთითებენ წყაროდ. ამბავი კი, ყალბია. გავრცელებული მეთოდია შიშის გაღვივებაც. ამ პერსონაჟის გამოჩენა სერიალში კიდევ ერთხელ გვარწმუნებს, რომ ავტორები ნამდვილად ეხმაურებიან ყველა აქტუალურ მოვლენას და საზოგადოებას აჩვენებენ იმ პრობლემებს, რომელთა სიმწვავეც ზოგჯერ არც აქვთ ადამიანებს გაცნობიერებული. „ყალბი ახალი ამბები“ ყვითელი პრესისა და პროპაგანდის ნაირსახეობაა, რომელიც წინასწარდაგეგმილი დეზინფორმაციისაგან შედგება და რომელიც ვრცელდება როგორც ტრადიციული სამაუწყებლო, ისე ახალი ამბების სხვადასხვა არხით, როგორებიცაა – ინტერნეტით, სოციალური მედიით.

2019 წლის 10 ივნისს გაზეთ „ალიაში“ „ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე რომან გოცირიძის სახელით გავრცელდა ცრუ ინფორმაცია. გაზეთი „ალია“ წერდა, რომ რომან გოცირიძე „რუსთავი 2-ის“ ეთერში ზაზა სარალიძის ემოციურ გამოსვლას „სტანდარტულ შოუ პროგრამად“ მიიჩნევდა და ამბობდა: „ის რაც გუშინ ზაზა სარალიძის მხრიდან რუსთავი 2-ის ეთერში ვნახეთ, სტანდარტული შოუ პროგრამა იყო. არ შეიძლება ანგელოზივით შვილი მიწაში ჩააწვინო და შენ თეატრალურის სტუდენტებზე ნიჭიერად თამაშობდე. ნაციონალური მოძრაობა მას მთელი ეს პერიოდი მხარში ედგა, თუმცა მისმა შეცდომებმა ნახეთ რა შედეგი მოიტანა. არ მიკვირს განგებამ რატომ არგუნა ამ კაცს ასეთი განსაცდელი“.[4]

„ალიამ“ წყაროდ 2019 წლის 21 მაისს ფეისბუქში შექმნილი გვერდი „სირცხვილის კორიდორი“, მიუთითა, რომელიც „ნაციონალური მოძრაობის“ დისკრედიტაციას ცდილობს ფოტო და ვიდეომანიპულაციებით. რომან გოცირიძე ამ მასალას პირად ფეისბუქ გვერდზე გამოეხმაურა, ამ ყველაფერს კი „ბინძური ჭორი“ უწოდა და გაზეთს ბოდიშის მოხდას და მასალის წაშლას სთხოვდა. გაზეთი „ალია“, წერს რომ „საბოლოო არაფერი აქვთ“ და უფრო მეტიც-ინფორმაციის დამადასტურებელი ფოტოებიც აქვთ „სქრინის“ სახით. ახლა კი გაზეთ „ალიას“ გვერდზე ამ სტატიას ვეღარ ნახავთ. ეს ინფორმაცია დღემდე ინახება MEDIA CHECKER-მედია მედიისთვის გვერდზე. [4]

რელიგიური თემით მანიპულირება 2019 წლის 15 აპრილს, პარიზის ღვთისმშობლის ტაძარში გაჩენილი ხანძრით დაიწყო. ნოტრდამის ხანძარი მსოფლიო მედიის ერთ-ერთი მთავარი თემა იყო იმ პერიოდში. რომელ საიტზეც თუ ფეისბუქ გვერდზეც არ უნდა შესულიყავით, ყველგან ამ ტაძრის ფოტო იდო. სხვადასხვა საიტზე ვრცელდებოდა ფოტოები, რომლებზეც

აღმოდებელი ტაძრის ფონზე გადაღებული ორი უცნობი, მომღიმარი კაცი ჩანდა. გამოცემები წერდნენ, რომ უცნობები ტაძრის დაწვით გახარებული მუსლიმები იყვნენ, თუმცა ამის დასამტკიცებელი არანაირი წყარო თუ მასალა არ გააჩნდათ, ისინი მხოლოდ ვარაუდობდნენ და ყველა ინტერნეტ გამოცემა ბრმად იმეორებდა. სინამდვილეში, ცალსახად შეუძლებელი იყო იმისი მტკიცება, რომ სიცილის ემოციების გამოხატველი ადამიანები მუსლიმები იყვნენ თუ სხვა რჯულის ადამიანები.

2018 წელს საქართველოში მდებარე, აშშ-ის მიერ დაფინანსებული ლუგარის ლაბორატორიაზე ცრუინფორმაციის გავრცელებაში რუსული საინფორმაციო არხების მონაწილეობას BBC-იმ ვრცელი საგამოძიებო სიუჟეტი მიუძღვნა. 2019 წლის იანვარში, საქართველოში H1N1 ვირუსის გავრცელებასთან ერთად, ქართულ მედიაში ლუგარის ლაბორატორიის თემა ისევ გააქტიურდა. თითქოს ღორის გრიპი ამ ლაბორატორიიდან ვრცელდებოდა და კიდევ ის, რომ ღორის გრიპი ქართულ ბაზარზე არსებული ბანანის მეშვეობით ვრცელდებოდა. ჯერ კიდევ 2016 წელს, თბილისის ფორუმზე, ერთ-ერთი მომხმარებელი წერდა, რომ ბანანებში ღორის გრიპი იყო შეტანილი. რომ შევადაროთ 2019 წლის და 2016 წლის პოსტები, აღმოვაჩინებთ, რომ თემატიკა იდენტურია. ეს ცხადყოფს, რომ ტროლებისა და ფეიკნიუსები ნამდვილად აქტიურად გამოიყენება დეზინფორმაციისა და პროპაგანდისათვის და სერიალი მწვავე პრობლემას შეეხო და წარმოაჩინა ის საფრთხეები, რომლებსაც ასეთი ინფორმაციები ქმნის.

### **დასკვნა**

ამგვარად, სერიალი „ჩემი ცოლის დაქალები“ ნერგავს და კომპესატორულად ამყარებს ქცევის ახალ მოდელებს. ყველაზე ხშირად გაკვირვებისა და დათრგუნვის მეთოდებია გამოყენებული: ან ქცევის სრულიად ახალი მოდელია წარმოდგენილი, მაგალითად, ლგბტ თემის წარმომადგენლის მიმართ, ან მკვეთრად უარყოფითადაა წარმოჩენილი ქცევის ყველასათვის ნაცნობი მოდელი, მაგალითად ცოტნე ცოტაშვილის სახით. „ჩემი ცოლის დაქალები“ ერთადერთი სერიალია, რომელიც ასე მკაფიოდ წარმოაჩენს ქვეყანაში არსებულ პრობლემებს და, ჩვენი აზრით, ძირითადად, ქცევის სწორ მოდელებს ნერგავს. რაც მთავარია, ავტორების მიერ წარმოდგენილი ქცევის მოდელები აუდიტორიის დიდი ნაწილის განწყობებსა და ინტერესებს ემთხვევა და, შესაბამისად, სასურველ ეფექტს აღწევს. თითოეულ პერსონაჟს ჰყავს ჩვენთვის კარგად ცნობილი რეალური პროტოტიპი და ქვეყანაში განვითარებულ ყველა აქტუალურ ამბავს ეხმიანება, მაგალითად, როგორებიცაა: ყალბი ახალი ამბები, პირადი ცხოვრების ამსახველი კადრების გავრცელება, ბულინგი, ლგბტ თემა, რელიგიური თემით მანიპულირება

და სხვა მრავალი. „ფუნქციური ანალიზის“ ძირითადი თეორემა ამტკიცებს: როგორც ერთ მოვლენას შეიძლება სხვადასხვა ფუნქცია ჰქონდეს, ისე სხვადასხვა მოვლენას შეუძლია ერთისა და იმავე ფუნქციის შესრულება. თუ ფუნქცია ხელს უწყობს სისტემის გადარჩენას, გარემოში მის ადაპტაციას, დისფუნქცია უკუეფექტს იძლევა. მასმედიის შინაარსის სხვადასხვა ფორმა ხან ფუნქციურია, ხან დისფუნქციური მთელ საზოგადოებასთან, კონკრეტულ ინდივიდებთან, საზოგადოების სხვადასხვა ქვეჯგუფსა ან კულტურასთან მიმართებაში. მედიაშინაარსის ყველა არსებული სახე და მათი გადამცემი არხები სავსებით შესაძლებელია, ფუნქციურად ჩაითვალოს. ბოლოს და ბოლოს, თუკი საზოგადოება, პირდაპირი მნიშვნელობით, არ იშლება, ეს ნიშნავს, რომ ის დაბალანსებულია. თუ ის დაბალანსებულია, ე.ი. შეიძლება დავასკვნათ, რომ ისეთი ძალების საერთო გავლენა, როგორცაა მედია, მთლიანობაში დადებითია და მხოლოდ ნაწილობრივია უარყოფითი. აშკარად ნეგატიურ ეფექტებს გადაწონის პოზიტიური. [1, 88] ამდენად, რადგანაც „ჩემი ცოლის დაქალები“ მისდამი უარყოფითად განწყობილ მაყურებელთა მწვავე რეაქციასაც კი არ იწვევს, მის მიერ გამოწვეული ეფექტები დადებითად უნდა ჩაითვალოს.

**გამოყენებული ლიტერატურა:**

1. მალაღურაძე თ. „თანამედროვე მასკომუნიკაციური თეორიები და კონცეფციები, თბ., უნივერსალი, 2013;
2. <http://dakalebi.adjara.com/watch/1416> სერია 1 (სეზონი 16); [https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%A2%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%98\\_\(%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%A2%E1%83%98\)](https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%A2%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%98_(%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%A2%E1%83%98))
3. <https://www.mediachecker.ge/ka/analizi/article/72865-parlamentar-roman-gociridzis-sakhelith-gavrcelebuli-yalbi-informacia> .

## **Models of Information Manipulation Behavior in „My Wife's girlfriends” Serials**

*Sophiko Lomtadze*  
*Georgian Technical University*

### **Summary**

Analyzing data from numerous empirical studies has shown that the process of getting new ideas and goods from people has six stages: attention, interest, evaluation, verification, acceptance, validation. Getting innovation is a common social process. By borrowing behavioral models from the media, the viewer effectively learns a completely different kind of behavior and problem solving. The behavior patterns presented by the authors of "My Wife's girlfriends" coincide with the sentiments and interests of a large audience. The series „My wife's girlfriends” introduces and compressively establishes new patterns of behavior. The most commonly used methods of astonishment and inhibition are: either a completely new model of behavior is presented, for example, to an lgbt community representative, or a widely known pattern of behavior that is generally negative, such as Tsothe Tsothashvili. The behavior patterns presented by the authors coincide with the moods and interests of a large audience, and thus achieve the desired effect. Each character has a real prototype well known to us and responds to all the topical stories in the country, such as fake news, personal life spreading, bullying, lgbt, religious manipulation, and much more.

Keywords: Innovation adoption, models of social behavior, information manipulation, media influence.



## ახალი ღირებულებები პატრიოტიზმის ნაცვლად და ქართული მედია

*ხათუნა საგინაშვილი, დოქტორანტი  
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

### რეზიუმე

კაცობრიობის თანამედროვე რეალობაში სახეზე გვაქვს გლობალური მასშტაბის ყოვლისმომცველი პროცესი, რომელიც გავლენას ახდენს არა მხოლოდ კაცობრიობის მატერიალურ ღირებულებებსა და ქვეყნების სუვერენიტეტზე, არამედ ზოგადსაკაცობრიო ფასეულობასა და ადამიანთა მსოფლზედაც. თუკი საქართველოს ისტორიულ წარსულში დედები შვილებს ზრდიდნენ სამშობლოსა და სარწმუნოებისადმი თავდადების სულისკვეთებით, პირადი და სახელმწიფო ინტერესების ურთიერთ-მიმართებაში კი პრიმატი ერის ჯანსაღი ნაწილისთვის ყოველთვის სახელმწიფო ინტერესების მხარეს იხრებოდა, დღევანდელ დღეს ხდება ფასეულობების ერთგვარი გაყალბება და ჩანაცვლება სულ სხვა, „ზოგადსაკაცობრიო“ ღირებულებებითა და სტანდარტებით. როგორია ქართული მედიის როლი ამ პროცესში - ამას ეძღვნება წინამდებარე ნაშრომი.

საკვანძო სიტყვები: ფასეულობათა გადაფასება; მედია, როგორც გადაფასების იარაღი; მედია და პატრიოტიზმი.

### შესავალი

გლობალიზაცია - თანამედროვე ბაბილონის გოდოლია, რომელსაც მიზნად დაუსახავს კაცობრიობის ისტორიაში ხალხთა უპრეცედენტო ერთობის ჩამოყალიბება - ასე თვლის მოაზროვნეთა ნაწილი. დიდია იმ მოაზროვნეთა და მკვლევართა რიცხვიც, რომლებიც გლობალიზაციის გამაღებელი პროცესის უკან კონკრეტულ სუბიექტურ ფაქტორებს ჭკრეტენ, ასეთივე ზუსტად განსაზღვრული, კონკრეტული მიზნებით, მოტივაციით, ტაქტიკითა და სტრატეგიით. ამ მოსაზრებას იზიარებენ რიგი სასულიერო მოღვაწეებიც, რომელთა განმარტებით გლობალიზაციის პროცესს ღრმა რელიგიური ასპექტები გააჩნია და სამყაროს ესქატოლოგიურ განზომილებას უკავშირდება.

თუმცა არიან ისეთებიც, რომლებიც მას ობიექტურ პროცესად მიიჩნევენ და თვლიან, რომ ის მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესისა და მისი თანმდევი - კომუნიკაციების უკიდურესი განვითარების ლოგიკური შედეგია.

ასეა თუ ისე, ერთზე თითქმის ყველა თანხმდება: გლობალიზაციას, ისე როგორც მედალს, ორი მხარე აქვს და მისი კვლევისას მხედველობიდან არ

უნდა გამოგვჩვენოს როგორც დადებითი ასპექტები, ასევე დიდი საფრთხის შემცველი მისი უარყოფითი მხარეები.

გლობალიზაცია, როგორც თანამედროვეობის ერთერთი ყველაზე დიდი გამოწვევა, გავლენას ახდენს არა მხოლოდ მსოფლიო სახელმწიფოების არსებობის ყველა მხარეზე, არამედ მათ მოქალაქეთა ყოველდღიურობაზე. ის ახდენს მსოფლიოს ახალ გადანაწილებას, საზღვრების გამარტივებას (ქვეყნებს შორის უვიზო მიმოსვლა, საზღვრის კვეთა უპასპორტოდ, მხოლოდ ე.წ. აიდი ბარათით), კომუნიკაციების უკიდურეს განვითარებას, ეროვნული ვალუტების კურსის ცვლილებას ან სულაც - მათ გაქრობას (ევროკავშირის ქვეყნებში მიმოქცევის მთავარი ვალუტა გახდა ევრო) და არნახული მიგრაციული პროცესების სტიმულირებას; გლობალიზაცია, ასევე, ცვლის ქვეყნების კულტურას, განათლების სისტემას, ზოგადად, კაცობრიობის ღირებულებათა სისტემას და რაც მთავარია, ახდენს ადამიანის მენტალურ ტრანსფორმაციას.

რა პრიზმაში უნდა განვიხილოთ ეს შეუქცევადი პროცესი და მისი ლოგიკური შედეგები?

მოდერნიზაცია მიმდინარე მოვლენებში პოზიტივს უფრო მეტს ხედავენ, ვიდრე ნეგატივს, ფუნდამენტალისტები და ულტრანაციონალისტები კი - პირიქით, რითაც კიდევ უფრო ღრმავდება უფსკრული ამ უკიდურეს მსოფხედველობით სისტემებს შორის და იზრდება ანტაგონიზმი, თუმცა როგორც ამბობენ სასულიერო მოღვაწენი, ღვთის სამეუფო გზა უკიდურესობებს, რადიკალურ ნაპირებს შორის, სადღაც შუაში გადის.

მაგალითად, გლობალიზაციის მომხრეები თვლიან, რომ მას, ქვეყნებს შორის უსაფრთხოების საკითხებში თანამშრომლობის გზით, მსოფლიოსთვის საყოველთაო მშვიდობის მოტანა შეუძლია, თუმცა ბევრი სასულიერო მოღვაწის აზრით, ამგვარ მშვიდობასაც იანუსივით ორი მხარე აქვს. ისინი ეყრდნობიან წმ. პავლე მოციქულისა და წმ. წერილის განმმარტებლების მოსაზრებას იმის შესახებ, რომ გლობალიზაციის მოტანილი საყოველთაო, მოჩვენებითი მშვიდობა და უსაფრთხოება სამყაროს აღსასულის მოახლოების უტყუარი ნიშანი იქნება: „როცა იტყვიან: მშვიდობა და უსაფრთხოებაო, მაშინ მოულოდნელად დაატყდებათ თავს განადგურება“ (1 თესალონიკელთა 5:2).

### **ძირითადი ნაწილი**

“თანამედროვე გლობალიზაციის “გაზომვის” სხვადასხვა საშუალებები არსებობს. მაგალითად, შვეიცარიული KOF Index of Globalization, რომელიც ითვალისწინებს ეკონომიკურ, პოლიტიკურ და სოციალურ ფაქტორებს. ამ ინდექსის მიხედვით, მსოფლიოს ყველაზე გლობალიზებული ქვეყანა ბელგიაა. ჟურნალი “Foreign Affairs” კი აქვეყნებს ალტერნატიულ მონაცემებს -

2006 წლის ინდექსით სინგაპური სიაში პირველ ადგილზეა.” (3)

სწორედ საქართველოს სინგაპურიზაცია - მისი გადაქცევა უსამშობლო, კოსმოპოლიტი მსოფლიო მოქალაქეებით დასახლებულ ტერიტორიად საქართველოს უახლოეს წარსულში ქვეყნის მმართველი ძალის მთავარ სტრატეგიად იყო განცხადებული, რასაც საკვლევი საგნის კვლევის პროცესში ჩვენ არაერთხელ მივუბრუნდებით.

გლობალიზაციისა და თვითმზნად დასახული მსოფლიო ინტეგრაციული პროცესებისადმი ფრთხილი დამოკიდებულების შესახებ გვაფრთხილებენ თანამედროვე საერო და სასულიერო მოღვაწენი, მათ შორის საქართველოს ეკლესიის საჭეთმპყრობელი:

„საქართველო მხოლოდ მაშინ გადარჩება და დაიმკვიდრებს ღირსეულ ადგილს მსოფლიოში, თუ ის, თავის ტრადიციებზე დაყრდნობით, შექმნის თანამედროვე ტექნოლოგიებსა და მიღწევებზე დაფუძნებულ ქართულ სახელმწიფოს.

ამ ორივე პირობის შესრულება მეტად მნიშვნელოვანია ჩვენი არსებობისა და შემდგომი განვითარებისათვის. თუნდაც ერთ-ერთი მათგანის მოკლება უმძიმესი შედეგის მომტანი იქნება ქვეყნისათვის.

აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ ერთა თვითმყოფადობის უმთავრეს ფაქტორად დღეს კულტურული არეალია რჩება, რადგან მსოფლიო ინტეგრაციის პირობებში თანამედროვე ქვეყნების პოლიტიკური და ეკონომიკური საზღვრები თანდათან კარგავს თავის უწინდელ დანიშნულებას.

კულტურა მხოლოდ მწერლობაში, ხელოვნებასა და მეცნიერებაში არ ვლინდება, არამედ მთელი საზოგადოების ცნობიერებასა და ყოფაცხოვრებაშიც.

გლობალიზაციის პროცესი ბუნებრივად იწვევს იმ ხალხებისა და კულტურების ასიმილაციასა და ზოგჯერ სრულ გაქრობასაც, რომელნიც ვერ გამოიმუშავებენ სათანადო იმუნიტეტს, მაგრამ ეს არ არის ახალი მოვლენა.

ისტორიულად ცნობილი ყველა დიდი იმპერია ცდილობდა განეხორციელებინა გლობალიზაციის ერთგვარი პროცესი. დღეს კი ამან საყოველთაო ხასიათი მიიღო. ჩვენ არ უნდა შეგვეშინდეს ინტეგრაციისა, რადგან წარსულის დიდი გამოცდილება გვაქვს და ვიცით, რომ საუკუნეთა მანძილზე ქართული კულტურა არაერთი უძლიერესი იმპერიის გავლენას განიცდიდა, მაგრამ ღვთის განგებითა და ჩვენი წინაპართა ძალისხმევით არასდროს დაგვიკარგავს თვითმყოფადობა - ეს დღესაც უნდა შევძლოთ.”(4)

„ჩვენ ვცხოვრობთ საშიშ დროში, მსოფლიო გლობალიზაციის დროში. მე აგიხსნით იმას, თუ რა არის გლობალიზაცია. გლობალიზაციის დროს არსებობს სუბიექტი და ობიექტი... მაგრამ ჩვენ, ქართველმა ერმა უნდა

ვიცოდეთ, რისი დათმობის უფლებაც არა გვაქვს – ყოველივე ის წმიდა, რაც ჩვენს მამა-პაპას ჩვენთვის დაუტოვებია.“ (5)

„ჩვენ ვალდებული ვართ, დავიცვათ ჩვენი ეროვნული თვითმყოფადობა და ამ ბრძოლაში ჩვენი მიზანი შეიძლება იყოს მხოლოდ ერთი – გამარჯვება. იმის გასაცნობიერებლად, თუ რა არის საჭირო, რათა ქართველი ერი შექმნილი ურთულესი მდგომარეობიდან გამოვიდეს“; კვლავ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია მეორის სიტყვები გვასწავლის: „აუცილებლად რაღაც ისეთი იდეა უნდა გვქონდეს ერს, ხელისუფლებას, ეკლესიას, რომელსაც გაჰყვება ჩვენი ერი, რომელსაც ხელში აიტაცებს, როგორც ძვირფას საუნჯეს და ამით შეაბიჯებს მომავალში.“ (6)

ამრიგად, კაცობრიობის თანამედროვე რეალობაში სახეზე გვაქვს გლობალური მასშტაბის ყოვლის მომცველი პროცესი, რომელიც გავლენას ახდენს არა მხოლოდ კაცობრიობის მატერიალურ ღირებულებებსა და ქვეყნების სუვერენიტეტზე, არამედ ზოგადსაკაცობრიო ფასეულობასა და ადამიანთა მსოფლხედვაზე. თუკი საქართველოს ისტორიულ წარსულში დედები შვილებს ზრდიდნენ სამშობლოსა და სარწმუნოებისადმი თავდადების სულისკვეთებით, პირადი და სახელმწიფო ინტერესების ურთიერთმიმართებაში კი პრიმატი ერის ჯანსაღი ნაწილისთვის ყოველთვის სახელმწიფო ინტერესების მხარეს იხრებოდა, დღევანდელ დღეს ხდება ფასეულობების ერთგვარი გაყალბება და ჩანაცვლება სულ სხვა, „ზოგადსაკაცობრიო“ ღირებულებებითა და სტანდარტებით. თუკი ხერხეულიძეთა გმირი დედა ომში მოწყვლული შვილის ხელიდან სამშობლოს დროშას ჯერ კიდევ ფეხზე მდგომ სხვა შვილს გადასცემდა, დღევანდელ დღეს ბევრი წარჩინებული მშობელი შვილს ე.წ. ლიბერალური ფასეულობებით ზრდის, რის მაგალითადაც გამოდგება თუნდაც საქართველოს პარლამენტის აწ უკვე ყოფილი თავმჯდომარის სატელევიზიო ინტერვიუს ფრაგმენტი, სადაც იგი გულწრფელად აღიარებს, რომ შვილებს სამშობლოსადმი თავდადების სულისკვეთებით კი არ ზრდის, არამედ ლიბერალური ცნობიერების თავისუფალ ადამიანებად, რომელთაც თუ უნდათ შეეწირებიან სამშობლოს, და თუ არ უნდათ, სხვა არჩევანს გააკეთებენ. (7)

ამგავარი დამოკიდებულება მით უფრო გასაოცარია თანამდებობრივად საქართველოში მეორე პირის მხრიდან, რომელიც, შესაძლოა, ქვეყნის მთავარ-სარდალიც კი გამხდარიყო. მას როგორ უნდა მოეწოდებინა მას სხვისი შვილებისთვის, საქართველო დაიცავით მომხდური მტრისგან?! და რას მოიმოქმედებდა იგი, რომ დამდგარიყო ასეთი განსაცდელი ქვეყანაში - საკუთარ შვილებს უცხოეთში გადამალავდა?! საბედნიეროდ, ჩვენს სამშობლოში ყველა დროში არსებობენ „დედა-ხერხეულიძეები“, რომლებზედაც გადის ქვეყნის სიმძიმის ცენტრი და სწორედ რომელთა ღვაწლითაც მოვედით დღევანდელ დღემდე.

ვფიქრობ, საქართველოს პარლამენტის ყოფილი სპიკერის გამოწვევაში არ არის კერძო პირის ერთი განწყობილი აზრი, არამედ შეიძლება გამოდგეს თანამედროვე გლობალიზაციის პროცესის ერთ სიმპტომატურ მახასიათებელად.

ვნახოთ, თუ ტოვებენ ვაკუუმს სააზროვნო სივრცეში გლობალიზაციის პირმშონი და ანაცვლებენ თუ არა სამშობლოს, ეროვნულობის, პატრიოტიზმისა და მამულისადმი თავდადების ცნებებს სულ სხვა, თანამედროვე, მოდური, საერთაშორისო ფასეულობებით: ადამიანის უფლებებითა და თავისუფლებებით, თვითგამოხატვის უფლებითა და თავისუფალი, ლიბერალური სამყაროს სხვა ღირებულებებით; საითაა მიმართული ყველა საერთაშორისო დეკლარაცია, პაქტი თუ კონვენცია. მაგალითად:

„ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია“ (რომი, 1950 წლის 4 ნოემბერი). ეს დოკუმენტი საქართველოსთან მიმართებაში ძალაშია 1999 წლის 20 მაისიდან;

ადამიანის უფლებათა სფეროში ამ საბაზისო დოკუმენტში არსად არაა მოხსენიებული მოქალაქის, როგორც სახელმწიფოს შემადგენელი ნომინალური უჯრედის მოვალეობები საკუთარი ქვეყნის მიმართ, არამედ ძირითადად მთელი აქცენტი გადატანილია კანონის ფარგლებში მისი პირადი არჩევანისა და ლიბერალური თავისუფლების რეალიზაციის უფლებაზე, რაც თავისთავად არაა ცუდი და რისი უზრუნველყოფაც ამ საერთაშორისო კონვენციით ევალება სახელმწიფოს, როგორც პიროვნული განვითარების გარანტს, თუმცა ეს განვითარება არამც და არამც არაა მიმართული საერთო, ეროვნული, კოლექტიური, სახელმწიფოებრივი ინტერესების მსახურებისკენ, არამედ მხოლოდ რაღაც ამორფული პიროვნული თავისუფლებების რეალიზაციის მიმართულებით.

ამის გარდა, მეოცე საუკუნეში არაერთი საერთაშორისო დოკუმენტი იქნა მიღებული, რომლებიც ასევე ყურადღებას ამახვილებს არა კონკრეტული მოქალაქის მოვალეობებზე საკუთარი სახელმწიფოს მიმართ, არამედ მსოფლიო მოქალაქის უფლებებზე, ვალდებულებასა და ძირითად თავისუფლებებზე.

ამრიგად, მე-19 საუკუნის შემდგომ ფეოდალური ურთიერთობების რღვევის შედეგად კაცობრიობამ რამდენიმე ტრანსფორმაცია განიცადა. მან მოიხადა ბოლშევიკური და ნაცისტური სახადი, ამჟამად კი სულ სხვა გამოწვევების წინაშე აღმოჩნდა: კომუნიკაციების უკიდურესმა განვითარებამ და ერებს შორის ინტეგრაციის პროცესების გაღრმავებამ წარმოშვა იმის საფრთხეები, რომ სუვერენული ქვეყნები ახალი ბაბილონის გოდოლის ნაწილებად, ხოლო ამ ქვეყნის მოქალაქეები - საკუთარი სამშობლოს პატრიოტების ნაცვლად მსოფლიო კოსმოპოლიტ, მუტანტ მოქალაქეებად იქცნენ, რომლებსაც ტრადიციული ეროვნული ღირებულებების ნაცვლად ამ ბოლო ათწლეულებში

თავს მოხვეული ახალი ღირებულებათა სისტემა ამომრავებთ.

ამ შემთხვევაშიც ჩვენთვის, როგორც მედია მკვლევარებისთვის, საინტერესოა მედიის, განსაკუთრებით კი ქართული ჟურნალისტიკის როლი ხსენებულ პროცესებში.

საკვლევად ავიღეთ 2018 წლის 11-დან 20 ივლისის ჩათვლით პერიოდი. ქართული ტელეარხების დიდ უმრავლესობაში ხსენებულ საკვლევ პერიოდში არცერთხელ არ ხსენებულა სიტყვა „სამშობლო“. ამ მხრივ გამონაკლისად შეიძლება მივიჩნიოთ საზოგადოებრივი რადიოს ერთადერთი გადაცემა „ლიტერატურული საუბრები თამაზ ტყემალაძესთან ერთად“, სადაც დროის ამ ინტერვალში სამშობლოს ცნებამ რამდენჯერმე გაიჟღერა. სწორედ მშობელი ერისა და სამშობლოსადმი ერთგულება არის ის ერთადერთი იარაღი, რომელსაც შეუძლია ერის, ეკლესიისა და ხელისუფლების გაერთიანება.

მთელი საკვლევი პერიოდის განმავლობაში ქართული ტელეარხების აბსოლუტურ უმრავლესობაში არ ყოფილა ხსენებული ასევე სიტყვა „გლობალიზაცია“; შესაბამისად, არ მოწყობილა დისკუსიები თანამედროვეობის ამ დიდი გამოწვევის დადებითი და უარყოფითი მხარეების, მისგან მომდინარე საფრთხეების შეფასებით.

საკვლევი პერიოდის განმავლობაში ძირითადი არხების - „რუსთავი2“-ის, „იმედის“, ტვ-პირველის, საზოგადოებრივი მაუწყებლის, „იბერიის“ ტელეგადაცემების მთავარი თემები იყო: სამთავრობო ცვლილებები, ნატოს სამიტი, კრიმინალის მომატება, ფეხბურთის მსოფლიო ჩემპიონატი.

ახალი ამბების განხილვის საგანი იყო სმიტების ამერიკული ოჯახის ტრაგედია და მასთან დაკავშირებული ვერსიები, თუმცა არასად დასმულა კითხვა - როგორ და რა დამსახურების გამო მიენიჭა ამ ოჯახს ორმაგი მოქალაქეობა და საერთოდ, რა ხდება უცხელებისთვის მოქალაქეობისა და ბინადრობის უფლების მინიჭების თვალსაზრისით, მაშინ როცა ეს პროცესი მეტად გართულებულია თუნდაც ძირძველი ქართველების - ფერეიდნელებისთვის.

### **დასკვნა**

მედია მკვლევარები წარმოდგენილი საკვლევი საგნის შეფასების დროს ვაწყდებით დაუბალანსებელი, ცალმხრივი ინფორმაციის უწყვეტ ნაკადს, რომელიც ჭარბად და უწყვეტად მოედინება ყველა ქართული ტელე თუ რადიო არხიდან.

„ერაყის პირველი ომის შემდეგ, 1991 წელს, პრეზიდენტმა ბუშმა შემოიტანა ცნება “ახალი მსოფლიო წესრიგი”. ეს უკანასკნელი, ბუშის აზრით, გულისხმობდა ტერორისტებისა და ტირანების წინააღმდეგ ომს. 90-იანი წლები განსაზღვრა ინტერვენციონიზმმა, რომელმაც უარყო მულტილატერა-

ლიზმი. 2001 წლის 11 სექტემბრის შემდეგ დაიწყო “გლობალური ომი” ტერორიზმის წინააღმდეგ. ევროკავშირის მიდგომა ამ ომთან მიმართებაში არ გულისხმობს ხისტი ძალის გამოყენებას. სახეზე გვაქვს უნილატერალიზმისა და მულტილატერალიზმის დილემა. მისი გადაწყვეტა არ იქნება მთლიანად პოლიტიკური დისკურსის საკითხი. სავარაუდოდ, გლობალიზაციის სხვა ასპექტები დიდ გავლენას მოახდენს პოლიტიკური დუალიზმების გადაჭრაზე.“ (8)

ასეთი მრავალწახნაგოვანი საკითხია თანამედროვეობის ეს უდიდესი გამოწვევა, თუმცა ქართული მედია დუმს ამ თვალსაზრისით და თითქოს შეთქმული სამმოსავით საკუთარ მაყურებელსა და მსმენელსაც სრულ უცნობლობაში ამყოფებს.

მედია სრულ ინდეფერენტულობას იჩენს პატრიოტიზმის, სამშობლოსადმი თავდადების, თვალსაჩინო ისტორიული მაგალითების პოპულარიზაციის თვალსაზრისით. საეთერო ბადეებში, ფაქტობრივად, არ მოიპოვება ამგავარი შინაარსის შემცველი გადაცემები. თითქმის არსად არაა ისეთი მარადიული ღირებულებების ხსენება, როგორებიცაა „სამშობლო“, „პატრიოტიზმი“, „მამულისადმი თავდადება“ და ა.შ. არ მიმდინარეობს დისკუსიები გლობალიზაციის პროცესისა და მისგან მომდინარე საფრთხეების გარშემო, რის გამოც საზოგადოება დეზორიენტილებული და თვითდინებაზეა მიშვებული, მაშინ როცა მედიას საინფორმაციო ომების ეპოქაში ამ თვალსაზრისით უდიდესი სიკეთის მოტანა შეუძლია და ვალდებულიცაა ასე იღვაწოს. სამაგიეროდ მედიიდან უხვად იფრქვევა ახალი, მოდური, საერთაშორისო „ფასეულობები“ - ადამიანის უფლებები, თავისუფლებები და მათგან მომდინარე ვექტორები და ამდენად, თამამად შეიძლება ითქვას - თანამედროვე ქართული მედია ქცეულია ფასეულობათა გადაფასების მძლავრ იარაღად.

#### **გამოყენებული ლიტერატურა:**

1. <http://globalizationforus.blogspot.com/2010/06/4.html>
2. <http://modusgio.blogspot.com/2008/01/blog-post.html>
3. <http://modusgio.blogspot.com/2008/01/blog-post.html>
4. პატრიარქის სააღდგომო ეპისტოლე, თბილისი, 2006 წ.
5. პატრიარქის ქადაგება, 2008წ.
6. პატრიარქის ქადაგება, 2004 წ.
7. [https://www.youtube.com/watch?time\\_continue=4&v=R4L5wsITxWM](https://www.youtube.com/watch?time_continue=4&v=R4L5wsITxWM)
8. <http://modusgio.blogspot.com/2008/01/blog-post.html>

## **New values instead of patriotism and Georgian media**

*Khatuna Saginashvili, PhD student  
Georgian Technical University*

### **Summary**

Recent reality of the world faces to global, all-embracing process, impinging not only on country sovereignty and material values , but also on universal one and peoples' point of views. While throughout the history Georgian mothers used grow children aware of dedication to native country and spiritual faith and trustworthy part of society used to give primacy to state interests rather than to self egocentrism, nowadays, quite common fact is fabrication of values, superseded them by completely different values and standards, as a subject matter of this research.

Key words: overestimating value of tool; media as overestimating values of tool; Media and patriotism



საინფორმაციო ომის ტრადიციული მეთოდები და ახალი  
ტენდენციები

ნატა ხორავა, სტუ-ს დოქტორანტი

რეზიუმე

უკანასკნელმა ათწლეულებმა აჩვენა, რომ საინფორმაციო ტექნოლოგიების და ინფორმაციის გავლენა ადამიანზე და საზოგადოებაზე არის უპრეცედენტო. თანამედროვე მსოფლიოში, ახალი ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად, ომისა და ბრძოლის სხვა საშვალეები გამოჩნდა, რომელიც განსხვავდება ომის წინარე კატეგორიებისგან. ინფორმაციულ საზოგადოებაში გადამწყვეტ როლს, ყველაზე დიდ სიმდიდრეს და სტრატეგიული მნიშვნელობის რესურსს ინფორმაცია წარმოადგენს. ის, ვინც ინფორმაციას ფლობს, ფლობს ასევე ძალაუფლებასაც. თუმცა, ინფორმაცია თავისთავად არაფერია, თუ მისი გავრცელების ინსტრუმენტები და შესაბამისი ინფრასტრუქტურა არ გაგაჩნია. დღესდღეობით, ინფორმაცია სახელმწიფო სტრატეგიულ რესურსს წარმოადგენს, რომელიც ადგენს მისი განვითარების დონეს და ფუნქციონირების თავისებურებებს. ეს ნიშნავს რომ საზოგადოების დაცულობის დონის შემცირებისათვის საკმარისია დავარღვიოთ მისი კომუნიკაციური პროცესები და ხელი შევეშალოთ ინფორმაციის გაცვლას. სტატიაში განხილულია, ინფორმაციული ომის სხვადასხვა ასფექტები, როგორც ბრძოლის ყველაზე ინტელექტუალური სახეობები თანამედროვე ინფორმაციულ - ეპისტემოლოგიური პარადიგმის პირობებში.

გამოკვლევულია: ფორმები, მეთოდები და ტენდენციები ინფორმაციული ომებისა. ინფორმაციული და კომუნიკაციური ტექნოლოგიების, საომარ - პოლიტიკურ მიზნებში გამოყენების სპეციფიკა. მოყვანილია, სხვადასხვა ძალისხმევათა მაგალითები, როდესაც იყო მცდელობა შეექმნათ სტრუქტურა რომელიც ინფორმაციულ პროცესებზე აგებდა პასუხს.

გამოტანილია დასკვნა, ინფორმაციული ომების ახალი სტადიის დადგომის შესახებ. ინფორმაციით ბრძოლა, საომარი ოპერაციების უზრუნველყოფის საშუალება ხდება და ამდენად ის დამოუკიდებელი მოვლენად იქცევა. ინფორმაციული ომის აწმყო მოითხოვს, არამხოლოდ ახალი გამოცდილების გააზრებას, არამედ ახალი თეორიების გენერირებასაც რომლებიც მიმართულია საკუთარი ინფორმაციული სივრცის დაცვისკენ. ასევე, იზრდება დამანგრეველი შესაძლებლობები ინფორმაციული ომებისა და მოთხოვნები, სახელმწიფოს მხრიდან ინფორმაციული უსაფრთხოების უზრუნველყოფისა. მნიშვნელოვან საკითხად რჩება, ინფორმაციულ ომში სპეციალისტების კომპეტენციის ზრდა და სამოქალაქო ცნობიერების დაცვა.

რაც წარმოადგენს პრიორიტეტს ინფორმაციულ-ფსიქოლოგიური წინააღმდეგობის დაცვისას.

საძიებო სიტყვები: ინფორმაციული ომი, ინფორმაციული წინააღმდეგობა, საინფორმაციო იარაღი, საინფორმაციო სივრცე, ცნობიერება.

### **შესავალი**

გლობალიზაციის თანამედროვე პროცესებმა მიგვიყვანა ერთიანი მსოფლიო საინფორმაციო სივრცის შექმნისკენ, რომელშიც ინფორმაცია: იბადება, განიცდის ცვლილებას, ინახება და იცვლება სუბიექტებს შორის - ადამიანებს, ორგანიზაციებს და სახელმწიფოებს შორის. თანამედროვე საზოგადოებას, მისი ინფორმაციული სიჭარბით „ცივილიზაციის ხმაურსაც“ (Цыганов 2007, 79) უწოდებენ. ზოგიერთი მკვლევარი, ინფორმაციას ადარებს „ბუნებრივ რადიაციას“ რომელსაც შეუძლებელია თავი დავაღწიოთ. ინფორმაცია ონტოლოგიურია იმ აზრით, რომ განმსჭვალავს სოციალური სამყაროს სიცოცხლის ყველა სფეროს. ის არის საფუძველი, რომელზეც შენდება სამყაროს ერთიანი სურათი. ინფორმაციული შემადგენელი, მყოფობს როგორც ფიზიკურ სამყაროში ობიექტების ენერგეტიკული ან სტრუქტურული მახასიათებლების სახით, ასევე სოციალურ რეალობაშიც სადაც ის არსებობს ცოდნის სახით. მესამე ტალღის ცივილიზაცია, რომელიც აჩქარებს ინფორმაციულ ნაკადებს და ინფორმაციის სიღრმისეულ სტრუქტურებს. ცვლის ამ ტალღას მივყავართ ინფოსფეროს წარმოქმნისკენ, რომელშიც ადამიანი ამუშავებს და კონცენტრირებას ახდენს თავისი ინფორმაციულ - კომუნიკაციური კომპეტენტურობის შესაბამისად. თანამედროვე კულტურა პოსტმოდერნისა, ახდენს აქტუალიზებას არა ადამიანის რეალობასთან ურთიერთობისა, არამედ მის რეპრეზენტაციას. ადამიანის ქცევა განპირობებულია, არა ობიექტური რეალობის ანარეკლით, არამედ, სუბიექტისთვის რეალობის შესახებ სუბიექტური წარმოდგენებით. მიმდინარეობს, თავისებური რეალური ობიექტების ვირტუალური ობიექტებით ჩანაცვლება - ხატებებით, რომლებიც სოციალური ურთიერთობებისა და კულტურული ფენომენების სიმულირებას ახდენენ. დამდგარი „უწონადობის ეპოქა“ საზრისისაგან თავისუფლება, არ ითხოვს კრიტიკულ აზროვნებას და შესაძლებელს ხდის ცნობიერების მანიპულირებასა და პასიურობას როგორც მის საბოლოო მიზანს.

### **ძირითადი ნაწილი**

#### **საინფორმაციო ომის ზეგავლენა ინდივიდსა და საზოგადოებაზე:**

ინდივიდუალურ და საზოგადოებრივ ცნობიერებაში ჩამოყალიბებული რეალობა ექვემდებარება გარე ზემოქმედებას. ინფორმაციული ნაკადების

ზემოქმედების თავისებურებას დღესდღეობით წარმოადგენს ის, რომ ის მიზანმიმართულად ხორციელდება. ფორმირებული ინფორმაციული სივრცე, ინფორმაციული წინააღმდეგობისთვის ასპარეზი ხდება. სადაც მიზანს წამოადგენს ცოდნა და სუბიექტის ცნობიერება. საინფორმაციო ომი, ეს არის ფორმით ფსიქოლოგიური, შინაარსით ცივილიზაციური - სამუალებებით კი ინფორმაციული. რომელშიც ნგრევისა და გარდაქმნის ობიექტს წარმოადგენს ცნობიერება, მოწინააღმდეგის მოსახლეობის ღირებულებითი სისტემა. ადამიანის ღირებულებითი სისტემების, მისი ხალხის კულტურასთან კავშირის სიცხადე მიუთითებენ ფაქტზე, რომ ამ ომში ნგრევის ობიექტს წარმოადგენს ერის სულიერი ერთობა. მოწინააღმდეგის კულტურული ქერქი, კულტურული იდენტობა და შრეები. ომი კავშირშია დაბყრობასთან, შეჭრასთან და გარდაქმნასთან აგრესიის ობიექტის ცნობიერებისა. ის იწყება ამ უკანასკნელის ცნობიერებაში საკუთარ ჩამნაცვლებელი მიზნების ჩანერგვით. მას აქვს პროცესის ფორმა ის ცვლის ღირებულებით ორიენტირებს და მთავრდება მოწინააღმდეგის ცნობიერების მარცხით. მისი თვითიდენტიფიკაციის და თვითგანსაზღვრების უნარის განადგურებით. ახალი ყოფიერების, რეალობის მიღებით და შედეგად ქვეყნის მიყვანა არაორიენტირებად მდგომარეობამდე, დეზორიენტაციამდე. საინფორმაციო იარაღი, აზიანებს და ანგრევს დეზინტეგრაციის გზით ცნობიერებას. ის ასევე იყენებს ინფორმაციულ კომუნიკაციური სივრცის პრიმიტივიზაციასაც, სივრცისა რომელშიც ცხოვრობს ცნობიერება; ტელეკომუნიკაციური ტექნოლოგიებით ხდება სახე-ხატებისა და ტექსტების მიწოდება, რომლებიც ცნობიერის მუშაობას აფერხებენ; ხდება, იდენტიფიკაციის ხერხებისა და ფორმების რღვევა რასაც იდენტურობის დაკარგვისკენ მივყავართ და ასევე ღირებულებითი სისტემის განადგურება, სადაც ჩანაცვლება ხდება სიმულაკრებით რომლებსაც ახლავს რღვევა და შემდეგ ცნობიერების დაბყრობა და კულტურული გადაბირება, რაც გულისხმობს მოწინააღმდეგისთვის გლობალური და სტრატეგიული მიზნების დასახვის ჩამორთმევას.

სატელევიზიო კულტურის გაჩენა საინფორმაციო ომის ახალ, მძლავრ მექანიზმებს ბადებს. სატელევიზიო ეკრანი განსაკუთრებით მიკერძოებული დისკურსის ტირაჟირებას ახდენს. ოპერირებს ინფორმაციულ-ვირტუალურ ობიექტებთან, არა მხოლოდ ინფორმაციით, არამედ გაცემულ ინფორმაციაზე, უკუკავშირით. ამ ტიპის ომში "საეკრანო" კულტურა იქცევა საომარ მოქმედებათა თეატრად. სატელევიზიო ეკრანზე დემონსტრირებული მოქმედება წარმოადგენს განსაკუთრებული სახის "ანგაჟირებულ" დისკურსს, რომელიც საინფორმაციო-ვირტუალური ობიექტებით ოპერირებს, ამდენად, არა მხოლოდ ინფორმაცია, არამედ მისი განხილვა და მასზე რეაგირებაც "მეთვალყურეს" მიეკუთვნება. ამრიგად, ეკრანს მიღმა მყოფი სუბიექტის

ავტონომიურობაზე საუბარი აქტუალობას კარგავს. მეტიც, ეჭვქვეშ დგება თვით არაანგაჟირებულობის და შეფასების ობიექტურობის შესაძლებლობაც კი, რადგანაც საუბარია არა რეალურ მოვლენაზე, რა ობიექტურობის რიგს განეკუთვნება, არამედ სიმულაციაზე. აქედან გამომდინარე, კონსციენტალური იარაღისა და ასეთივე ომების ანალიზისას ერთერთ უმთავრეს მომენტს ის წარმოადგენს, რომ უბრალოდ შეუძლებელი ხდება მოვლენაზე დაკვირვება. მაყურებელი იმ რეალობის ტყვეობაში ექცევა, რაც ვიღაცის მიერ გარკვეული მიზნის მისაღწევადაა ფორმირებული. კონსციენტალური ომი ეს ბატონობის ახალი ფორმაა, რამდენადაც საუბარია ცნობი ერების მართვაზე, ის ახალი რეალობაა იდეოლოგიურ დაპირისპირებასთან, საინფორმაციო ომთან და კონტროლოპაგანდასთან მიმართებაში. „საომარ მოქმედებათა თეატრს“ ამჯერად ადამიანის ცნობიერება წარმოადგენს, რაც მას უნიკალობას სძენს და ჩვეულებრივი ომისგან განასხვავებს. გასული საუკუნის 90-იანი წლების ბოლოს, აშშ-ის ადმინისტრაციის ანალიტიკური ცენტრის RAND-ის ექსპერტებმა დ.არკილამ და დ.რონფელდმა გააშუქეს ინფორმაციული, კიბერ და ქსელური ომების საინფორმაციო სტრატეგიები. მათი თვალსაზრისით მიზანშეწონილი იქნებოდა არსებულის გააზრებით კიბერსივრცისა და საინფორმაციო სფეროს, როგორც გარკვეული ერთობლიობის ერთიან ახალ "ნოსფეროში" გაერთიანება, რაც დაეფუძნებოდა იდეებს, სულიერ ფასეულობებს და ეპისტემოლოგიური ეთიკის პარადიგმას, ეს კი "რბილი ძალით" ჩაანაცვლებდა "უხეში ძალის" ტრადიციულ პოლიტიკას, რომელიც ურთიერთდაპირისპირების მატერიალურ შემადგენელზეა აქცენტირებული. თანამედროვე "ახალ ომს", როგორც არსთა და ცოდნის ომს მიესადაგება სპეციალური ტერმინი "ახალიპოლიტიკა", რომლის ფორმირებაც მიმდინარეობს (Arquilla, Ronfeldt, 1999). თავდასხმითი საინფორმაციო მოქმედებების ცვლილებებსა და სტრატეგიულ ამოცანას წარმოადგენს აქტიური ზემოქმედების მოხდენა გადაწყვეტილების მიმღებ პიროვნებაზე ანუ ადამიანზე, ავტომატური სისტემებისა და შეიარაღების საშუალებების სანაცვლოდ (გრინიაევი, 2002, 22). ინფორმაციული ომის მიზანი ხდება მოწინააღმდეგის ეპისტემოლოგია ანუ იდეები, ნარატივები, ცოდნა (Szaf-ranski, www). ამრიგად, საინფორმაციო ომი წარმოადგენს "საომარი დაპირისპირების ყველაზე ინტელექტუალურ ვარიანტს, რამდენადაც ამ შემთხვევაში ზემოქმედების სუბიექტი და ობიექტი ადამიანის აზროვნება, ცნობიერებაა.

### **დასკვნა**

შეიძლება დავასკვნათ, რომ თანამედროვე ომი — არსთა ომია. ჩვეულებრივი ომისგან განსხვავებით, რომლის სამიზნეც ადამიანის სხეულია, ინ-

ფორმაციულ ანუ არსთა ომში მიზნად ცნობიერებაზე ზემოქმედება ხდება. სოციოსისტემის ინფორმაციული კომპონენტი ძალზედ მოწყვლადი და მნიშვნელოვანია, რადგან ინფორმაცია არა მხოლოდ გადაცემადია, არამედ იგი წარმოადგენს ნებისმიერი სისტემის საინფორმაციო ბირთვს. იგი ცვლის როგორც ინდივიდუალურ ასევე მასობრივ ცნობიერებას, რასაც შედეგად ამ უკანასკნელის შეცვლა-ტრანსფორმირება მოსდევს. სწორედ ამიტომაც, რომ პოსტ-ინდუსტრიული მედიის სამყაროში სახელმწიფოები დაინტერესებულნი არიან მათთვის ხელსაყრელი ინფორმაციული გარემოს დაცვა-ჩამოყალიბებით. საინფორმაციო ომი არსებითად ტოტალურია იმ თვალსაზრისით, რომ არ წარმოადგენს ომს არა არმიათა, არამედ ერებს შორის, რაც ითხოვს სახელმწიფოს ყველა რსურსის მობილიზებას. იგი მიმდინარეობს გლობალურ საინფორმაციო სივრცეში და იყენებს ყველაზე დამანგრეველი ხასიათის იარაღს— სიტყვას და ინფორმაციას. ამასთანავე ეს ომი უნივერსალურია, რამდენადაც მისი წარმოება შესაძლებელია საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში, რაც მოიცავს ეკონომიკას, პოლიტიკას, სოციალურ, სამხედრო თუ სულიერ საკითხებს; მეორეც, - ის თვითკმარია და შეუძლია თავიდან აიცილოს შეიარაღებული ბრძოლის ტრადიციული საშუალებები, ასევე შეეხამოს სხვა საბრძოლო მეთოდებს, წარმოდგენილ იქნეს კომპლექსში. ინფორმაციული ომი ფლობს მკაფიო სტრუქტურას. ის ინფორმაციულ სივრცეში მიმდინარეობს - ეს ეპისტემიოლოგიური, ცოდნისა და არსთა სივრცეა, სადაც საინფორმაციო ტექნოლოგიები წარ-მოქმნიან, გადასცემენ და ინახავენ არსს, რომელსაც არსებული სინამდვილის ტრანსფორმაციის უნარი შესწევთ. ინფორმაციული ცივილიზაციის განვითარების კვალდაკვალ ისინი იმ საწარმოო ძალად იქცევიან, რომლებიც ქმნიან ინფორმაციას, ცოდნას ანუ იმ არსს რაც ინფორმაციულ ბრძოლებში წარმოადგენს აგრესიის ობიექტს. ინფორმაციული ომი წარმოადგენს საბრძოლო მოქმედებათა ნაირსახეობას, რომლის იარაღად იქცევა ინფორმაციის დამუშავების მოწყობილო ბები და მეთოდები. იქმნება შესაძლებლობა მიზანმიმართულად, სწრაფად და უჩინრად მახერხდეს ზეგავლენის მოხდენა მოწინააღმდეგის სამხედრო და სამოქალაქო საინფორმაციო სისტემებზე, მისი პოლიტიკის, ეკონომიკის, სამხედრო მზადყოფნის, მთლიანობაში კი ეროვნული უსაფრთხოების ძირის გამოსათხრელად.

**გამოყენებული ლიტერატურა:**

1. Аронсон Э., Пратканис Э. Эпоха пропаганды: Механизмы убеждения, повседневное использование излоупотребление. СПб.: прайм-ЕВРОЗНАК, 2003. 384 с.
2. Гриняев С.Н. Поле битвы – киберпространство. Теория, приемы, средства, методы и системы ведения информационной войны. М., 2004. 428 с.
3. Людендорф Э. Мои воспоминания о войне 1914-1918 годов. М., 2015. 448 с.
4. Матвейчев О. «Мягкая сила» против атомной бомбы. М.: Книжный мир, 2016. 352 с.
5. Почепцов Г.Г. Информационные войны. Новый инструмент политики. М.: Алгоритм, 2015. 256 с

**Information war: traditional methods, new tendencies**

*Nata Khorava, PhD student  
Georgian Technical University*

**Summary**

Studies of recent decades show that information and information technology have an increasing impact on the lives of individuals and societies. Today, information is a strategic resource of the state, determining the level of its development and the features of its functioning. This means that in order to reduce the level of public protection, it is insufficient to disrupt its communication processes and to prevent the exchange of information. The paper examines various aspects of information warfare as one of the most intelligent types of confrontation in the context of the modern information-epistemological paradigm. The forms, methods and tendencies of information wars, the specificity of the use of information and communication technologies for military and political purposes are explored. Examples of efforts of different countries in the field of creating structures responsible for information processes are given. The authors conclude that a new stage of information wars is coming, within which information confrontation ceases to be a means of providing combat operations and becomes an independent phenomenon. The present information war requires not only a comprehension of new experience, but also the generation of new theories aimed at protecting your own information space. The destructive possibilities of information wars, as well as the requirements for ensuring information security of the state, increasing the competence of information fighters in the sphere of information and technical war, as well as protecting the Social philosophy.

Keywords: Information war, information warfare, information weapons, information space, conscience.

## ტელევიზიის გავლენა ადამიანის თვითრეალიზების პროცესზე

*ირმა ხურცია-ანდრიაძე, დოქტორანტი  
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

### რეზიუმე

„თუ ადამიანის განწყობა სტერეოტიპული და არასწორი შეხედულებებისაგან შექმნილი ბარიერებით არის შეზღუდული, მისთვის ნაყოფიერი და ცვლილებებისთვის აუცილებელი იმპულსის გზა ჩახერგილია“ - წერდა დიდი მეცნიერი დიმიტრი უზნაძე. მსოფლიოში განხილული არაერთი სამეცნიერო კვლევა თუ ექსპერიმენტი ცხადყოფს, რომ, დღეს უამრავი ადამიანი ტელევიზიის მიერ დამკვიდრებული შეხედულებებით და სტერეოტიპებით აზროვნებს. ტელევიზია - ე.წ. „ფანჯარა გარესამყაროში“, გვაჩვენებს იმას, საითაც კამერაა მიმართული ანუ ვირტუალურ სუბიექტურ რეალობას და არა - ობიექტურ სინამდვილეს. რეალურად, ტელევიზიას შეუძლია შექმნას პროდუქცია, რომელიც მისცემს მაყურებლებს ცოდნას ჩვენს საოცარ სამყაროზე; გააცნოს საინტერესო ადამიანები, ჩამოუყალიბოს საზოგადოებას ემპათიის გრძნობა, განუვითაროს აზროვნება, შეცვალოს ჩვენი ცხოვრება უკეთესობისკენ. აღნიშნული მიმართულებით მასმედიას უდიდესი პოტენციალი გააჩნია, მაგრამ ამის ნაცვლად ტელევიზია გვევლინება, როგორც ბარიერი პიროვნული განვითარების გზაზე.

საკვანძო სიტყვები: პიროვნული განვითარება, თვითაქტუალიზაცია, ფსიქოლოგიური გავლენა, თვითრეალიზება, ჰუმანისტური მიდგომა.

### შესავალი

სატელევიზიო ახალი ამბები, რომლებსაც ადამიანები სამყაროში მიმდინარე მოვლენებზე ინფორმაციის მისაღებად უყურებენ, სინამდვილეში მუდმივი სტრესის წყაროს წარმოადგენენ. ყოველდღიურად ნეგატიური შინაარსის სიუჟეტები მაყურებლებში იწვევენ ნეგატიურ ემოციებს. ისინი მოქმედებენ არამხოლოდ ადამიანის მიერ გარესამყაროს განცდაზე, არამედ - თვითაქტუალიზაციაზე და უდიდეს ზეგავლენას ახდენენ ადამიანის თვითრეალიზების პროცესზე.

ტელევიზია ქმნის საზოგადოებაში ნეგატიურ ემოციურ ფონს, განსაკუთრებულ ფსიქო-ემოციურ მდგომარეობას, რომელიც თავის მხრივ ნეგატიურად აისახება თვითაქტუალიზაციის პროცესზე. თვითრეალიზების მოთხოვნილებას ყველა ფსიქოლოგიური მიმდინარეობა განიხილავს, როგორც ადამიანის განვითარებისთვის აუცილებელ, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან პირობას.

ჩვენს სტატიაში შევეცდებით მოკლედ გავანალიზოთ რამდენიმე მეცნიერული მიდგომა.

### **ძირითადი ნაწილი**

ჰუმანისტური თეორია განსხვავებულ ახლებურ ჭრილში განიხილავს ადამიანის ბუნებას.

ჰუმანისტური ფსიქოლოგია შეისწავლის ადამიანს, როგორც ერთიან უნიკალურსისტემას, რომელიც გვევლინება არაწინასწარი, მზამოცემულობით, არამედ წარმოადგენს მხოლოდ ადამიანისათვის დამახასიათებელ თვითრეალიზების, თვითაქტუალიზაციის „ღია შესაძლებლობას.“

ჰუმანისტური ფსიქოლოგიისათვის ყოველი ადამიანი განუმეორებელი, უნიკალურია, ამიტომ თითოეული შემთხვევის ანალიზი ისევე მნიშვნელოვანი, საინტერესო და გამართლებულია, როგორც საყოველთაო სტატისტიკური განზოგადება. ადამიანის მიერ სამყაროს აღქმა და ასევე საკუთარი თავის განცდა გარემომცველ სამყაროში წარმოადგენს მთავარ ფსიქოლოგიურ რეალობას. ჰუმანისტური მიდგომით, ადამიანს გააჩნია უწყვეტი განვითარებისა და თვითაქტუალიზაციის შესაძლებლობა - პოტენციალი; ის თავისუფალია შინაგანი დეტერმინანტებისაგან იმ ღირებულებათა სისტემის წყალობით, რომლითაც ცხოვრებაში არჩევანის გაკეთების დროს ხელმძღვანელობს.

ჰუმანისტური მიდგომა ფსიქოლოგიაში ახლოს არის ეგზისტენციალურ ფილოსოფიასთან (ეგზისტენცია - არსებობის საზრისი), რომლის მთავარ და მნიშვნელოვან პრინციპს წარმოადგენს ადამიანის მისწრაფება, ლტოლვა იპოვოს თავისი არსებობის ჭეშმარიტი აზრი; ის ბიჰევიორიზმისა და ფსიქოანალიზის შემდეგ, განიხილება როგორც ოპტიმისტური „მესამე ძალის“ ფსიქოლოგია. ამ მიდგომის მიხედვით, ადამიანი იმაზე უფრო მეტია, ვიდრე სტიმულ-რეაქცია ან ცხოველურ ლტოლვათა ერთიანობა. იგი ორიენტირებულია, მიმართულია მომავლისაკენ, საკუთარ შესაძლებლობათა და უნართა რეალიზაციისაკენ; ასევე ჰუმანისტური შეხედულების თანახმად, ადამიანი მიილტვის აიმაღლოს რწმენა საკუთარი შესაძლებლობების შესახებ; ის ასევე მზადყოფნაშია „იდეალური მე“-ს ფორმირებისათვის.

როგორია თვითრეალიზებული , თვითაქტუალიზებული პიროვნება?

აბრაამ მასლოუ გვთავაზობს შემდეგ განმარტებას:

თვითრეალიზებული ადამიანი რეალობას ადექვატურად აღიქვამს, ჩვეულებრივ ყოველდღიურ ყოფით მოვლენებშიც ხედავს რაღაცას მისთვის და საზოგადოდ საინტერესოს.

- ხასიათდება არამხოლოდ საკუთარი თავის, არამედ - სხვათა პატივისცემით და მიმღებლობით, ისეთის როგორც არის;



- არის უშუალო, ბუნებრივი, სადა;
- ცენტრირებულია პრობლემებზე და არა მხოლოდ საკუთარ „მე“-ზე;
- არის დამოუკიდებელი, ავტონომიური, ხასიათდება „ნების თავისუფლებით“;
- ახასიათებს ადამიანის სიყვარული, საზოგადოებრივი ინტერესი, თანაგრძნობის, ემპათიის უნარი;
- მისთვის დამახასიათებელია ღრმა, პიროვნებათშორისი, ინტერპერსონალური დემოკრატიული სტილის ურთიერთობები;
- ეთიკურია და ცდილობს დაიცვას ზნეობრივი ნორმები, ერთმანეთისაგან მიჯნავს მიზანსა და საშუალებებს;
- გააჩნია იუმორის გრძნობა;
- კრეატიული, შემოქმედებითი პიროვნებაა;
- პატივს სცემს როგორც კულტურულ კონტექსტს, ამასთან ისწრაფვის შინაგანი დამოუკიდებლობისკენ.

ბუნებრივია და არ იქნება გასაკვირი იმის აღნიშვნა, რომ თვითაქტუალიზებულ ადამიანებს ახასიათებთ სისუსტეებიც. მაგ. შეიძლება იყვნენ სხვათათვის მოსაწყენნი ან ჯიუტები ან ზედმეტად ამაყნი, და სხვ.

აბრაამ მასლოუს თეორიის ცოდნა და სწორი გამოყენება ნამდვილად წაადგებოდათ ტელევიზიის მესვეურებს. მაგრამ დღეს მასმედია აბსოლუტურად განსხვავებულ, საპირისპირო შეხედულებებს ავითარებს და შესაბამის საზოგადოებრივ აზრს ქმნის, რომლის მიზანს ნამდვილად არ წარმოადგენს ჯანსაღი, თვითრეალიზებული ადამიანებისაგან შემდგარი საზოგადოების ჩამოყალიბება.

გავაუმჯობესოთ ადამიანის ბუნება და ამით ყველაფერი გაუმჯობესდება - ნახევარი საუკუნის წინ გამოთქმული მასლოუს ეს მოწოდება დღესაც ძალზედ აქტუალურად ჟღერს, განსაკუთრებით კარგად მოერგებოდა ეს გამონათქვამი მასობრივ საინფორმაციო საშუალებებს, მათ საქმიანობას. გავაუმჯობესოთ მასმედია და ამით ყველაფერი გაუმჯობესდება!

თვითაქტუალიზაცია - იგივე თვითრეალიზება, ეს ტერმინი ჰუმანისტურ ფსიქოლოგიაში გამოხატავს პროცესს ან აქტს, რომლის დროსაც პიროვნება შეიმეცნებს, „პოულობს საკუთარ თავს“, ავითარებს საკუთარი უნიკალური შესაძლებლობების მაქსიმუმს, აცნობიერებს საკუთარ ინდივიდუალიზმს.

კ.როჯერსი მიიჩნევს, რომ ადამიანებს ზოგადად ახასიათებთ შინაგანი თვითრეალიზების მოთხოვნილება, რომელიც მიმართულია კომპეტენტური, ჯანმრთელი და შემოქმედებითი ფუნქციონირებისათვის.

თვითაქტუალიზაციამდე, თვითრეალიზებამდე გზა გრძელია და ამასთან რთულიც. ამ გზაზე ადამიანს უწევს ურთიერთობა როგორც გარემოსთან და სხვა ადამიანებთან, ასევე თანდათან უყალიბდება შეხედულება იმის

შესახებ, თუ თავად ვინ არის იგი რეალურად, სხვაგვარად რომ ვთქვათ, ის იქმნის წარმოდგენას საკუთარ „მე“-ზე, რაშიც როგორც უკვე აღვნიშნეთ, მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის ტელევიზიასაც. მედიის ეს მძლავრი საშუალება საზოგადოებას უყალიბებს ცხოვრებისეულ პრინციპებს, რომლებიც ხდებიან „მე-ს“ განუყოფელი ნაწილი და განსაზღვრავენ წესებს, რომელთა მიხედვითაც ადამიანი აღიქვამს საკუთარ თავს და გარესამყაროს.

### **დასკვნა**

თვითრეალიზება იგივე თვითაქტუალიზაცია - მნიშვნელოვანი ფენომენია, მაგრამ რთული მისაღწევი. ეს არის ზრდა-განვითარების პროცესი, ქმნადობა, რომელიც პიროვნების შესაძლებლობების მობილიზებას გულისხმობს, იმ უნარების გამოვლენას, რომლებიც თითოეული ადამიანისთვის ინდივიდუალურია. ჰუმანისტური ფსიქოლოგიის წარმომადგენელთა უმრავლესობას მიაჩნია, რომ თვითრეალიზება არის ადამიანის ნორმალური არსებობის მნიშვნელოვანი ცენტრალური ფაქტორი; თუმცა, მის მიღწევას დიდი სიმტკიცე და ნებისყოფა სჭირდება. განსაკუთრებით რთულია ის თანამედროვე ადამიანისთვის, რომელიც ტელევიზიის მიერ ჩანერგილი შეხედულებებითა და სტერეოტიპებით აზოვნებს. როდესაც მასმედია ცდილობს ყოველი ადამიანი, თავისი ბუნებით სრულიად უნიკალური, ერთმანეთს დაამსგავსოს.

### **გამოყენებული ლიტერატურა:**

1. ირაკლი იმედაძე - ფსიქოლოგიის საფუძვლები. გამომცემლობა „მწიგნობარი“, თბილისი, 2011წ.
2. ირაკლი იმედაძე - ფსიქოლოგიის ისტორია. გამომცემლობა „მწიგნობარი“, 2008წ.
3. გაბრიელ ქიქოძე - ცდისეული ფსიქოლოგიის საფუძვლები. საპატრიარქოს საღვთისმეტყველო კომისია, თბილისი, 2012წ.
4. დიმიტრი ნადირაშვილი - სოციალურ-ფსიქოლოგიური გავლენა . გამომცემლობა „ნეკერი“, თბილისი , 2009წ.
5. მარინა ბალიაშვილი - სოციალური ფსიქოლოგიის საფუძვლები . გამომცემლობა „მწიგნობარი“, თბილისი, 2010წ.
6. დიმიტრი უზნაძე - ზოგადი ფსიქოლოგია. გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“, თბილისი, 2006 წ.
7. დიმიტრი უზნაძე - განწყობის ფსიქოლოგია. გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“, თბილისი , მეოთხე გამოცემა, 2006წ.
8. შოთა ნადირაშვილი - განწყობის ანთროპოლოგიური თეორია. ბაკურ

სულაკაურის გამომცემლობა, თბილისი, 2014წ.

9. რევაზ ქვარცხავა - სოციალური ფსიქოლოგია.
10. ფილიპ ზიმბარდო, რიჩარდ გერიგი - ფსიქოლოგია და ცხოვრება
11. Rainer K. Silbereisen and Xinyin Chen – Social Change and Human Development

### **The impact of television on the process of human self-realization**

*Irma Khurtsia-Andriadze, PhD student  
Georgian Technical University*

#### **summary**

"If the human mind is constrained by the barriers created by stereotypical and inaccurate attitudes, the path to productive and necessary momentum for change is stuck," wrote great scientist Dimitri Uznadze. Numerous scientific studies and experiments in the world show that today many people think with stereotypes and beliefs established by television. Television - so called The "window into the world" shows us where the camera is directed, it shows virtual subjective reality, not objective reality. In fact, television can create products that give viewers an insight into our wonderful world; Introduce interesting people, form empathy, develop thinking, change our lives for the better. In this respect, the media has great potential, but instead, television is seen as a barrier to personal development.

Keywords: Personal Development, Self-actualization, Psychological Influence, Self-Realization, Humanistic Approach.

## აუდიტორიის ნდობის ნიშნული ქართული გარემოსდაცვითი ჟურნალისტიკისადმი

*თამთა ჯინჯოლავა, დოქტორანტი  
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

### რეზიუმე

საქართველო ორჰუსის კონვენციის წევრი სახელმწიფოა, რაც ავალ-დებულებს გარემოსდაცვითი ინფორმაციის ხელმისაწვდომობას. გარემოზე ინფორმაციის მიღება საქართველოს კონსტიტუციითაც არის განსაზღვრული: „ყველას აქვს უფლება, დროულად მიიღოს სრული და ობიექტური ინფორმაცია გარემოს მდგომარეობის შესახებ“ - საქართველოს კონსტიტუციის 37-ე მუხლის მეხუთე პუნქტი.

ბუნებას შეუძლია რესურსების განახლება და ხელახალი შევსება, თუმცა ჩვენს ეპოქაში ადამიანები იმაზე სწრაფად მოიხმარენ ბუნებრივ რესურსებს, ვიდრე შევსება/განახლება მოესწრებოდა. ამას კი საბოლოო ჯამში მივყავართ გარემოს დეგრადაციამდე.

ადამიანების საწარმოო საქმიანობის შედეგად გარემოსადმი მიყენებული ზიანის შედეგები გავლენას ახდენს დედამიწის ზედაპირზე, აზოტისა და ატმოსფერული ნახშირბადის ციკლზე. შედეგად ვიღებთ დაბინძურებულ ჰაერს, წყალს, ნიადაგს, საკვებს, კლიმატის ცვლილებებით გამოწვეულ კრიზისებს, რაც პირდაპირპროპორციულად აისახება ჩვენი ჯანმრთელობის ხარისხსა და სიცოცხლის ხანგრძლივობაზე.

იმისთვის რომ მოხდეს გარემოსდაცვითი უფლებების დაცვა, მნიშვნელოვანია ინფორმაციის ღიაობა და მედიის სარედაქციო ფოკუსის მიმართვა გარემოსდაცვით საკითხებზე. მედიის აქტიურობა ხელს შეუწყობს გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლებასაც.

საკვანძო სიტყვები: გარემო, გარემოს დაცვა, მედია, ორჰუსის კონვენცია.

### შესავალი

იმის გასაგებად, თუ როდიდან მოექცა გარემოსდაცვითი საკითხები მედიის დღის წერიგში და რამდენად დიდია მედიის გავლენა გარემოზე ზემოქმედების მქონე პოლიტიკურ გადაწყვეტილებებზე, გავიხსენოთ გარემოსდაცვითი ჟურნალისტიკის საწყისები.

გარემოსდაცვითი ჟურნალისტიკა 1960-1970-იან წლებში გაჩნდა. იმ დროისათვის ცნობილი გაზეთებიდან გარემოსდაცვით თემებზე სტატიების მომზადებაში პიონერი გერმანული ყოველკვირეული გაზეთი „Der Spiegel“- იყო, სადაც დაბეჭდილი სტატიებიდან ყველაზე ყურადსაღებია „ქალაქი

სმოგმი”(1962წ), „ტყეები სიკვდილის პირას (1981წ), „კლიმატური კატასტროფა-კიოლოს კათედრალი წყლის ქვეშ” ... პარარელურად, გამოჩნდენ სხვა გამოცემებიც, რომლებიც ცდილობდნენ გარემოსთან დკავაშრებული პრობლემების იდენტიფიცირებას და საზოგადოების ინფორმირებას. ყველაზე მნიშვნელოვანი ამ მხრივ ამერიკელი ბიოლოგის და მწერლის ავტორობით გამოსული წიგნი „Silent Spring” მიიჩნევა, რომელიც 1962 წლის 27 სექტემბერს გამოიცა .ის სინთეზური პესტიციდების გამოყენებას და მრწველობაზე მის მძიმე შედეგებს შეეხებოდა.წიგნმა გარემოსდაცვითი მოძრაობის შექმნა განაპირობა, უფრო მეტიც ამ დროს დაარსდა გარემოს დაცვის პირველი სააგენტოც.

პოსტინდუსტრიულ პერიოდში ეკონომიკურად მომგებიანი პროექტების განხორციელების სიჭარბის გამო ჩამოყალიბდა გარემოსადმი მომხარებლური დამოკიდებულება.გარემოსდაცვით თემებზე მომუშავე ჟურნალისტები მოვლენების კვალდაკვალ ცდილობდნენ ალარმისტული ზარების შემოკვრას და საზოგადოების დარაზმვას გარემოს დასაცავად. გარემოს დამცველი ჟურნალისტების მნიშვნელობა სულ უფრო და უფრო მეტად იზრდებოდა. მათ მნიშვნელობას უსვამს ხაზს მარკ შაპერიც „გარდიანისთვის” მომზადებულ გახმაურებულ სტატიაში: რა ხდება მაშინ, როდესაც გარემოსდამცველი ჟურნალისტი ისვენებს?” **„გარემოს წინაშე ყველაზე მეტად დამნაშავეები სწორედ ის კომპანიები არიან, რომლებსაც საფონდო ბირჟებზე მოწინავე პოზიციებზე ვხედავთ. გარემოსადმი მათ დესტრუქციულ მოპყრობას მივყავართ სუფთა სასმელი წყლის დეფიციტამდე, ტყეების დეგრადაციამდე ... და რა ემართებათ ამ დროს ჟურნალისტებს,რომლებსაც ხელთ ამის დამადასტურებელი დოკუმენტები უფარდებათ? მათ უბრალოდ კლავენ!”**

მაგრამ რა ხდება მაშინ,როდესაც ჟურნალისტები თავიანთი სურვილით დუმან? როცა გარემოსდაცვითი პრობლემის შედეგს აშუქებენ და არ ინტერესდებიან მიზეზებით. „ვაშინგტონ პოსტის” მიმომხილველი-კატრინ ვან დე ჰუველი სტატიაში „რატომ არ საუბრობს მედია კლიმატის ცვლილებებზე ყოველდღე?” აღნიშნავს: **„აუდიტორიის შეძრწუნება ხანძრის შუაგულში აღმოჩენილი ცხოველების კადრის ჩვენებით ადვილია, მაგრამ რატომ არ ვწერთ გამომწვევ მიზეზებზე, კლიმატის ცვლილებებზე და საერთოდ იმაზე რისი შედეგიც ნელა დგება?”**

ჟურნალისტიკაში გარემოსდაცვითი მიმართულება დღეისათვის ერთერთ ყველაზე საშიშ დისციპლინად მიიჩნევა. ეს სამწუხარო რეალობა მოწმობს იმას, თუ რამდენად აუცილებელია გარემოსდამცველი ჟურნალისტების მიერ თვალყურის მიდევნება იმ პოლიტიკური გადაწყვეტილებებზე, რომლებსაც გარემოზე ზემოქმედების მოხდენა შეუძლიათ. ამასთან, გარემოსდაცვითი ინფორმაციის გავრცელება ზრდის აუდიტორიის ჩართულობას გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

გარემოს დაცვითი ჟურნალისტიკის მნიშვნელობა საქართველოსთვის ძალიან დიდია, მით უმეტეს თუ გავითვალისწინებთ საექვო გზმ-ების გაცემას, მსხვილბიუჯეტური კომპანიებისგან შემარბილებელი ღონისძიებების შეუსრულებლობას, სუსტ გარემოსდაცვით პოლიტიკას. ამის მიუხედავად, საქართველოში გარემოსდაცვითი ჟურნალისტიკა, როგორც ცალკე დისციპლინა არ არსებობს, ამიტომაც გარემოს დაცვაზე მომუშავე ჟურნალისტებს (იშვიათი გამონაკლისების გარდა) აკლიათ საკითხის სიღრმისეულად ცოდნა და უჭირთ მიზეზ-შედეგობრივი კავშირების ძიება. რაც შეეხება გაშუქების მრავალფეროვნებას, ქართული მედიისთვის „მწვანე, ნამდვილად არ არის ახალი შავი“ და პრობლემები შუქდება იმის მიხედვით, თუ რომელი მხარის პოლიტიკურ ინტერესთანაა კვეთაში. არის შემთხვევები, როდესაც ჟურნალისტებს უარს ეუბნებიან გარემოსთან დაკავშირებულ ინფორმაციაზე. ასეთ დროს მედიამ აუცილებლად უნდა მოითხოვოს განმარტება უარის თქმის მიზეზებზე და აუხსნას აუდიტორიასაც.

როგორც უკვე აღინიშნა, საქართველო ორჰუსის კონვენციის წევრი ქვეყანაა. ორჰუსის კონვენციის პრინციპები სრულად არის ასახული საქართველო-ვეროკავშირის 2014 წელს გაფორმებულ ასოცირების შეთანხმებაშიც. ორჰუსის კონვენციის პრინციპებია:

1. გარემოსდაცვით ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა

2. გარემოსთან დაკავშირებულ საკითხებზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობა

3. მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობა




ქართულ მედიას ძალიან დიდი ძალა აქვს იმის საჩვენებლად ხდება თუ არა რეალურად ორჰუსის კონვენციით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება. მასვე შეუძლია საზოგადოების აღჭურვა ეკოლოგიური უფლებების ცოდნით.

იმის გასარკვევად, რამდენად ენდობიან ქართულ მედიას (ამ შემთხვევაში-ტელემედიას) მაყურებლები, ონლაინ-კვლევა ჩავატარე. 19-დან 50 წლამდე ასაკის 300 ადამიანი შემდეგი კითხვარის მეშვეობით გამოვიკითხე:

1. თვლიდნენ თუ არა ქართულ ტელემედიას გარემოსდაცვითი პრობლემების ობიექტურ გამშუქებლად? (ცხრილი #1)

2. იცოდნენ თუ არა მათი ეკოლოგიური უფლებების შესახებ? (ცხრილი #2)

3. საჭიროების შემთხვევაში, გამოთქვამდნენ თუ არა სურვილს რომ ტელემედიით გაშუქებულიყო მის სოფელში/ქალაქში/რეგიონში არსებული გარემოსთან დაკავშირებული პრობლემა? (ცხრილი #3) შედეგები ასე გამოიყურება:



**დასკვნა**

კვლევის შედეგებმა ცხადყო, რომ მიუხედავად ნდობის დაბალი მაჩვენებლისა, საზოგადოება მაინც მზადაა გარემოსდაცვით თემებზე მედიასთან აქტიურად სათანამშრომლოდ. ქართულ გარემოსდაცვითი ჟურნალისტიკას კი თავის მხრივ, დიდი შრომა მოუწევს აუდიტორიის ნდობის ნიშნულის გასაუმჯობესებლად, რათა მათ მიერ გაშუქებულ ინფორმაციას ჰქონდეს ფასი და მოჰყვეს ადეკვატური უკუკავშირი.

თუ გავითვალისწინებთ სწრაფი ტემპით მზარდ გარემოზე ზემოქმედების მქონე კომპანიების საქმიანობებს საქართველოში და ასევე, ქართული მედიის ფრაგმენტულ გაშუქებას კარგი იქნება გაიზარდოს თემების მრავალფეროვნება, გავრცელების არეალი და გადაამზადონ ჟურნალისტები, რათა მათ შეძლონ გარემოსდაცვითი ინფორმაციის მოპოვება და გასაგები ენით ახსნა აუდიტორიისთვის.

**გამოყენებული ლიტერატურა :**

1. ორჰუსის კონვენციის განხორციელება საქართველოში, ალტერნატიული ანგარიში, მწვანე ალტერნატივა, აპრილი, 2014
2. სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი „მედიის როლის გაძლიერება ბუნების კონსერვაციის სფეროში“ სახელმძღვანელო მასალა. თბ. 2016

3. საქართველოს კონსტიტუცია
4. <https://www.barillacfn.com>
5. <http://eiec.gov.ge.ge>
6. [www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge) <https://www.wikipedia.org/>

## **Audience trust mark towards Georgian Environmental Journalism**

*Tamta Jinjolava, PHD student  
Georgian Technical University*

### **Summary**

Georgia is a member country of the Aarhus Convention. In the mandate of Aarhus convention is beside else provide access to environmental information. The right to obtaining information about the environment is also defined in the Constitution of Georgia: "Everyone has the right to receive complete and objective information on the state of the environment on time" - paragraph 5 of Article 37 of the Constitution of Georgia.

Nature can renew and replenish resources, but nowadays people consume natural resources faster than they can replenish/renew. This ultimately leads to environmental degradation. The results of people's over-consumption affect the Earth's surface, nitrogen, and atmospheric carbon cycles. As result, we gained polluted air/water/soil/food and climate change crises, which directly influence the quality of our health and longevity.

In order to protect environmental rights, is important to be open to information and to address the media's editorial focus on environmental issues. Media activism can also help raise environmental awareness.

Keywords: Environment, Environmental Protection, Media, Aarhus Convention.



---

---

ფილოლოგია

PHILOLOGY

---

---

**Technical Translation at Technical University**

*Tamar Mebuke, professor  
Georgian Technical University*

**Abstract**

Development of ability to work independently with special texts in a foreign language and translate them represents the main aim of the course in technical translation for students at Technical Universities. This ability will give them an advantage of always being up-to-date with the latest achievements in their fields of study, maintain meaningful professional communication with their colleagues from all over the world, and conduct research and independent work at a modern level. The paper deals with problems of teaching technical translation at Technical Universities at the bachelor and post-graduate levels.

Key words: technical translation, technical university, English for specific purposes

I. It has become a demand for young specialists at many firms and companies to be able to read, translate and communicate in the course of their work in at least one foreign language. As in most spheres of engineering and technology the working language is English, students of Technical Universities should have good knowledge of the language to be successful in their future career. Technical progress and economic connections with partners from all over the world pose their demands for the knowledge of the English language, which has become almost the only means of international communication in all spheres of human activities. Economic and scientific development in many countries usually happens

due to the import of new technologies and other theoretical and practical innovations from the developed countries. All these are accompanied with documentation, usually written in the English language. Most scientific articles, reflecting recent advances, are also in the English language. All these trends in modern life require from specialists of technical professions ability to read and translate a large amount of material and documents. They are expected to read, translate, process, use in their work and disseminate among their colleagues information from the latest scientific articles, annotations, directions for exploitation of different devices, patents and their descriptions, and other materials connected with their business, commercial activities, and communication.

Hence, the need for Technical Universities to give their students adequate level of foreign language knowledge that will enable their graduates to meet the needs of the modern work market and be competitive at it, which is impossible without substantial work at developing appropriate theoretical knowledge and practical skills which are necessary for young engineers to perform their work competently.

II. The work should begin at the bachelor level with explanation of lexical, semantic, grammar and style differences of the native and target languages with consequent studies of theoretical and practical basis of technical translation. The most important part of translation studies is appropriate selection of texts for translation that should reflect the needs and peculiarities of the fields of engineering in which young specialists might find employment (Jandoeva 2007).

Theoretical studies should deal with peculiarities of scientific and technical terminology in the lexical-semantic system of the language, relevant and irrelevant usage of special terms, their structural and semantic peculiarities, analysis of lexical properties of scientific and technical terms, and means of their formation.

During practical course of technical translation the emphasis is on overcoming different difficulties in translation from the source language into the target language and vice versa, and on mastering skills of technical translation and methods of lexical, semantic and grammar transformations that are used in this type of translation. Development of new skills should go along with the development of logical reasoning, ability to accept alternative decisions, and tolerance of opinion of the others (Japarova 2015). The aim of the instructor is to teach students the basics of technical translation which they will be able to use in their future, profession connected work.

Instructors should stimulate students' interest in translation by choosing relevant texts for translation which reflect an increasing level of difficulty of translation problems and the scope of implementation of technical terms from the subjects that are associated with general studies of their students. As technical English is so wide in its scope and embraces so many spheres of human activity, it is impossible to know terms from all disciplines. That is why students should be taught technical English that is applicable to their future profession. Correct selection of texts for translation will foster not only development of skills of technical translation, but also the ability of logical, scientific reasoning and creative work.

Though teaching technical translation has become a must for Technical Universities, studies revealed (Japarova 2015) that there are certain difficulties that should be considered in advance, such as poor knowledge of: 1 the English and native languages, 2 style of technical documentations and articles, and 3 means of automatic translation. As in most cases students will have to translate technical texts from English into a native language, it is important to have a good knowledge of both languages, as well as a feeling of style that is characteristic to technical and scientific literature. Acquiring this knowledge is impossible without reading a lot of special literature in both languages, as well as without analyzing already translated texts.

As school education does not always give future students sufficient knowledge and skills to write competently even in their native language, university instructors have to deal with many additional difficulties (Japarova 2015). As one way out a method of text modeling was suggested (Alexseeva 2001) that combines both text analysis and synthesis. Text modeling involves composing a text that resembles in style and genre a text for translation. Work should start with texts of general content, e.g. with popular science texts, which will make the work more interesting for students and help them develop skills for work with more specific texts. Work consists of: 1 choosing a text of appropriate content and level in the English language, 2 lexical, syntactic and stylistic analysis of the text and of a comparable text in a native language, 3 modeling a similar text in the native language according to previously revealed during the analysis properties, 4 identifying translation problems in the source text, 5 written translation of the text into a native (target) language.

Teaching of technical translation should continue at the post-graduate level,

as the knowledge of a foreign language is nowadays considered to be a part of general competences of Masters in all sciences. Post graduate students will need foreign languages for deepening their knowledge of special subjects which they will be able to use for their future scientific work, research, in writing Master`s papers and theses, getting employment, in business, professional, and private communication.

Consequently, the aim of foreign language teaching at post-graduate courses at Technical Universities is to develop students` ability to use the English language for practical and research work in their fields of engineering, as well as to improve their professional level, search for better jobs, increase possibilities of promotion, career advancement, and successful business and personal communication with colleagues from all over the world. Courses of technical translation should have the aim of developing skills necessary for reading the latest scientific articles from foreign periodicals, writing papers for publication in foreign journals, translating articles from the native language into English and vice versa, and ability to present and discuss papers at international conferences and symposiums (Jarinova 2016).

English language courses at the post-graduate level should begin first of all with the restoration of previously acquired knowledge because of the gap in the studies between bachelor and post graduate levels, which due to the existing programmes lasts for two years. They should include a brief revision of grammar and general vocabulary which will help to proceed to the study of the English language for specific purposes. English for specific purposes courses must include thorough study of grammar and vocabulary specific to a definite field of science, as well as vocabulary necessary for business communication and employment (Stepanova 2010). Knowledge of the English language for specific purposes includes vocabulary from a definite field of science in which the students major, the knowledge of which will enable them to write and review papers and theses, and translate articles from the latest publications. At the same time the courses should include developing skills for writing resumes and cover letters, responding and asking questions at interviews, conducting oral and written communication after getting employment.

Special attention should be paid to developing skills of oral communication that the graduates will need for making presentations at the conferences and during profession-connected conversations, such as an interview with an employer and

oral negotiations. As grammar is the layer of a language which enables adequate expression of ideas and their correct understanding, grammar part on the studies must contain the constructions that are most likely to be used during written and oral communication and work at technical translation. Grammar skills are also developed during the work on technical translation when students learn similarities and differences of language structures of the source and target languages and peculiarities of their implementation and function in scientific and technical literature, the best ways of their translation from one language into another.

In this way post-graduate students enlarge their knowledge of the language and acquire practical skills of work with a text in a foreign language. Work on translation should be focused on specific to the future profession texts with emphasis on the quality of translation. Students should be aware of the requirements for a good translation, such as: translation should meet the standard norms of a literary language, correspond to the style of scientific and technical writing, and adequately convey the meaning of the source text (Anikieva 2014).

To achieve fluency students have to revise respective grammar rules, have a substantial vocabulary of special terms and expressions, and master skills of work with a text in a foreign language. Texts for translation should be written by native speakers articles on the field of study in which the students major. Such articles are widely available on internet and post-graduate students need to acquire a skill of finding relevant information from all available sources, process and translate it.

Technical and scientific texts generally contain a large number of terms – special words and word combinations used to denote definite notions in a given field of science. Correct translation of such terms is possible when a person understands their meanings and the notions they represent. That is why the choice of technical texts for translation should be based on the subjects the students study. If a student clearly understands the subject matter of the article he/she has to translate and is acquainted with the respective terminology in the native language, he/she will have no difficulty in understanding, and even guessing without using a dictionary equivalents of many special terms in the target language. Special attention should be paid to terms that consist of more than one word and to abbreviations and acronyms that are widely used in special texts. Students should be taught the

skills of work with special dictionaries and on-line sources in order to find their meanings. Development of ability to work independently with special texts in a foreign language and translate them represents the main aim of the course in technical translation for post-graduate students. This ability will give students an advantage of always being up-to-date with the latest achievements in their fields of study, maintaining meaningful professional communication with their colleagues from all over the world, and conducting research and independent work at a modern level.

III. Competent technical translation is based on good knowledge of both source and target languages, good translation skills and background knowledge of the field of translation (Klimzo 2006). Post-graduate students should be competent and well-read in the texts on their profession in order to translate special texts relevantly and have the ability to express complex technical notions and meanings in a clear and understandable language. Good knowledge of terminology in the native language and the subject matter of special texts will help them in acquiring translation skills. In view of the above said, technical translation may be regarded as a course of studies that represents an important part of professional education that fosters development of modern, high-level competences in post-graduate students.

**Bibliography:**

1. Аникеева И.Г. 2014 Условие формирования готовности студентов к переводческой деятельности. Сборник научных трудов Международной научно-методической конференции. Ответственный редактор Т.И. Руднева. Издательство: Самарский государственный университет. Самара.
2. Джандоева П. В. 2007 Методика обучения научно-техническому переводу Харьковский гуманитарный университет «Народная Украинская Академия» (ХГУ «НУА») [www.rusnauka.com/18\\_NiIN\\_2007/Philologia/22781.doc.htm](http://www.rusnauka.com/18_NiIN_2007/Philologia/22781.doc.htm)
3. Т.Е. Жапарова 2015 Проблемы и их решения в обучении техническому переводу студентов- бакалавров Вестник КазНПУ, Алматы
4. Жаринова Е.Г. 2016 Проблемы обучения научно-техническому переводу студентов-магистрантов технического ВУЗа // Интернет-журнал «Мир науки» 2016, Том 4, номер 6 <http://mir-nauki.com/PDF/49PDMN616.pdf>

5. Климзо Б.И. 2006 Ремесло технического переводчика. – М.: “Р. Валент”, – 508 с.
6. Красневская З.Я. 2009 Этот скучный перевод: об особенностях англо-язычных научно-технических текстов, и не только о них: Практическое пособие / З.Я. Красневская. – Минск: Дикта. – 172 с.
7. Степанова М.М. 2010 Современные подходы к обучению иностранному языку в магистратуре неязыкового вуза. Научно-технические ведомости СПбГПУ. Гуманитарные и общественные науки. 2010. – С. 109 – 114.

### ტექნიკური თარგმანი ტექნიკურ უნივერსიტეტში

*თამარ მეზუკე, პროფესორი  
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

### რეზიუმე

დარგობრივ ტექსტებთან უცხო ენაზე დამოუკიდებელი მუშაობა და მათი თარგმნის უნარ-ჩვევების გამომუშავება წარმოადგენს ტექნიკურ უნივერსიტეტში ტექნიკური თარგმნის სწავლების ძირითად მიზანს. ეს ცოდნა მისცემს კურსდამთავრებულებს შესაძლებლობას თვალი ადევნონ სამეცნიერო სიახლეებს პრესაში, წარმართონ პროფესიონალური კომუნიკაცია თავიანთ კოლეგებთან საზღვარგარეთიდან და ჩაატარონ დამოუკიდებელი კვლევითი მუშაობა თანამედროვე დონეზე. სტატიაში განიხილება ტექნიკური თარგმნის სწავლების საკითხები ტექნიკური უნივერსიტეტის ბაკალავრიატის და მაგისტრატურის საფეხურებზე.

# The Peculiarities of Teaching Special Subjects as Part of the Concept of Education for Sustainable Development

*Ekaterina Khomenko,  
Candidate of Philology,  
Belarusian National Technical University, Belarus (Minsk)*

## **Abstract**

The article focuses on the integrated learning of technical university students, which means the involvement into the process of lecture preparation and the lecturing itself both subject lecturers and the English language lecturers.

Content and language integrated learning is regarded as means to develop the skills of perceiving and understanding foreign-language professional speech.

Key words: education system, integrated learning, special subject, listening skills, academic lecture, text addressee, pragmatic function, communicative competence.

## **I. Introduction.**

The modern education system has witnessed the formation of the strategy called *Education for Sustainable Development*. The main idea of this strategy is to change the contents and the form of education and at the same time to secure the education system management in order to assure the training of the new generation specialists. It is supposed that the educational process following the sustainable development goals and corresponding to the national legislation and international demands must agree with the generally recognized management principles such as planning, implementing, examination and analysis provided by the senior staff. The strategy mentioned above considers the use of innovative educational technologies while teaching special subjects, taking into account the multicultural peculiarities of students, etc.

The globalization of several economical, ecological and technical problems raises the necessity to train specialists with the knowledge of English. Such specialists should be able to study modern scientific literature in different specialities, master various educational programs, understand lectures, participate in the international programs. Thus foreign language training has become one of the main elements of the future professional activities performed by the graduates of technical universities. Due to this a lot of attention is being paid to the integrated learning of technical university students. This kind of learning means the understanding of lectures on special subjects in English. The preparation of



lectures and the lecturing itself should involve both subject lecturers and the English language lecturers.

## **II. The main part.**

The foreign language training of the students of the Belarusian National Technical University (BNTU) is being produced as a part of the modules «Social communication» and «Professional foreign language». The course «Professional foreign language» plays a special role in forming the professional foreign-language communicative competence of students. This competence implies the ability to fulfill certain communicative intentions with reference to a specific communicative situation and to recognize communicative intentions of the second person. It also considers the ability to perceive and understand the represented information when reading and listening and to interpret this information depending on one's own communicative goals.

**ორთოგრაფიული შეცდომების დაშვება და აბრევიატურის გამოყენება მომხმარებლების მიერ ძალიან ხშირია სოციალურ ქსელში.**

*fan club isnt a joke didnt make it up!*“ - *fan club isn't a joke didn't make it up.*

*Mamajust left.*”

*hye*

*\*hey*”

*hey...yera crazy, but you cook so good Im on top of it.*”

„su“- ‘shut up’, ‘ty’ – thank you, ‘wb’ – welcome back, ‘gm’ – good morning და ა.შ.  
*wow u work at some puter lab?*”

„*i said wait for me i wanna see*“.

„*ang said when she see's her again, she's just gonna punch her*“

„*she gonna just sit there lookin pretty.*”

„*u dont care bout me no more.*”

„*yikes;*”

„*ah my lawnmower wont start.*”

„*hey ryan.*”


*hahah*“ **სადაც ‘hahah’ ნიშნავს გადახარხარებას.**

ამ პოსტში გამოყენებულია კუთვნილებითი ნაცვალსახელი ‘your’-ის ნაცვლად აბრევიატურა ‘ur’ და ასევე ‘U’ **ნაცვალსახელი** ‘you მაგივრად.’ ასევე სიტყვა ‘guy’ ასევე არასტანდარტულად წერია.

პოსტებში გამოყენებულია 3 წერილობითი მოდელი, რათა წინადადება სრულად იქნას გადმოცემული. პირველი ნიმუში შედგება ისეთი წინადადებისგან, სადაც არის გამოყენებული შემდეგი აბრევიატურები: ‘gd,’ ‘thnks,’ and ‘frnds.’ მეორე მოდელი არის გადახრა (დევიაცია), რათა შემოკლდეს სიტყვები: ‘nyt’ და ‘n8.’ ხოლო მესამე მოდელში სიტყვები გაზვიადებულია და გადამეტებულია, მაგ: ‘mah,’ ‘thx,’ ‘guyss,’ და ‘ollllllll’.

ზემოთ განხილული პოსტები გვიჩვენებენ იმას, რომ სოციალურ ქსელში ყველას თავისი ინდივიდუალური სტილისტიკა აქვს აბრევიატურის გამოყენებაში. (Colin, კოლინი, 2013, 87).





გრაფიკი 1. სოციალურ ქსელში ლინგვისტური მახასიათებლების გამოყენების სიხშირე

გრაფიკი ასახავს ინტერნეტ სლენგის გამოყენების სიხშირეს, მისი პოპულარობის საფუძველზე. ყველაზე პოპულარული ლინგვისტური მახასიათებელია ონომატოპეა (მაგ: გაკვირვებითი ემოციური მართლწერა, Hahahah, wah და woohoo). გამოკითხულთა ნახევარზე მეტი აღნიშნავს, რომ ისინი იყენებენ ომოფონს (მაგ: u, რომელიც არის you), აკრონიმი (მაგ: lol რომელიც წარმოადგენს შემოკლებულს - laughing out loud), არასწორი სიტყვების მართლწერა (მაგ: dun ასახავს don't), Code Switching (მაგ: გარემოება, როდესაც გამოიყენება ერთზე მეტი ენა წინადადებაში), აბრევიატურა (msg - ასახავს - message), Repetition (მაგ: okayokay). ნახევარზე მეტი აღნიშნავს, რომ ზოგჯერ გამოიყენებენ ახალ ჟარგონს (მაგ: gooling და tweeting). ყველაზე ნაკლებად პოპულარული ინტერნეტ ჟარგონი არის leet, რომელსაც 68 პროცენტი საზოგადოებისა არასოდეს არ გამოიყენებდა ადრე.

**დასკვნა**

კოდირებული ენა გამოიყენება სოციალურ ქსელში. ეს ენა აღწერს იმ სიმბოლოებს და აბრევიატურას, რომელსაც იყენებს სოციალური ქსელის მომხმარებელი. საზოგადოება სხვადასხვა რაოდენობით იყენებს ამ

კოდირებულ ენას, ეს დამოკიდებულია იმაზე თუ ვინ და რამდენად ხშირად იყენებს სოციალურ ქსელს მომხმარებელი.

თანამედროვე ლინგვისტიკა კომუნიკაციური ლინგვისტიკაა, რომლის-თვისაც ენა ადამიანებს შორის კომუნიკაციის დამყარების საშუალებას წარმოადგენს. ლებანიძის თანახმად, კომუნიკაციური ლინგვისტიკის კონცეპტუალური ბირთვი ისეა აგებული, რომ ერთ მხარეს წარმოადგენს ლინგვისტური პრაგმატიკა, ხოლო მეორეს - ტექსტის ლინგვისტიკა. მოძრაობა სინტაქტიკიდან პრაგმატიკისაკენ და მეორე მხრივ, ნიშნის არასრული ტიპიდან ისეთი სრული ტიპისაკენ, როგორცაა ჰიპოთეტურად ტექსტი. ამ ორი მიმართულების გადაკვეთის წერტილში შეიქმნა და ვითარდება ის, რასაც კომუნიკაციური ლინგვისტიკა ვუწოდებთ(ლებანიძე, 2004, გვ. 153).

ჩვენი აზრით, ქართული ენა თავისი ისტორიითა და უნიკალურობით, რომელიც ერთ-ერთი უძველესია მსოფლიოში, ნამდვილად ვერ გუობს ბარბარიზმსა თუ ჟარგონს, ამიტომაც ჩვენი თაობა და მთლიანად საზოგადოება, განსაკუთრებული დამოკიდებულებითა და მოწიწებით უნდა ვექვე-ოდეთ მშობლიურ ენას. ბოლო წლებში ქართულ ენაში უამრავი უცხოური და არატრადიციული ტერმინები შემოვიდა და დამკვიდრდა. სამწუხრათა, რომ დღესდღეობით ქვეყანაში გაუქმებულია ენის ნორმების მარეგულირებელი სამსახური და არ არსებობს ინსტანცია, რომლის პრეროგატივაც იქნებოდა ქართული ენის სიწმინდის დაცვა-გაფრთხილება. ჩვენს სინამდვილეში, მშობ-ლიური ენის დაცვის საკითხი ნამდვილად საყურადღებოა და სახელმწიფომ ყველანაირი პრევენცია უნდა განახორციელოს მისი დაცვისათვის. სახელ-მწიფოსთან ერთად, ამ საქმეში განსაკუთრებული პასუხისმგებლობა მოდის საზოგადოებასა და იმ ასაკზე, რომელიც ნებსით თუ უნებლიეთ ხელს უწყობს ახალი ტენდენციების ჩამოყალიბებასა და მის 'მოდურობას' სალაპარაკო ენაში, ეს კი ნამდვილად დაუშვებელია (ახალგაზრდა იურისტი, 17.04.2008).

#### **გამოყენებული ლიტერატურა:**

1. ლადარია ნ. - სოციო ლინგვისტიკა - თბ., 2002. - გვ., 132;
2. პასი ო. - თარგმანი-სიტყვიერება და სიზუსტე - თბ., 2002. - გვ., 50;
3. ღამბაშიძე რ. - ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგია და მისი შედგენის ძირითადი პრინციპები - თბ., "მეცნიერება", 1986;
4. Crystal David - English in the New World. BabiloniaN1 - 2002;
5. Crystal. - Language and the Internet; "A linguistic revolution?" - Cambridge, 2003;
6. Erll, Astrid - "Literatur als Medium kollektiven Gedachtnisses". Erll Astrid/ Nunning Ansgar (Hgg.) Unter Mitarb. Von Birk Hanne/Neumann Brigit - 2005

7. Pieter Meurs, Nicole Note and Diederik Aerts - The "Globe" of globalization. Kritike volume five, number two - 2011. - 10-25;
8. Pascale, A. (05.02.2014). How Social Media Is Changing Language Usage and What Marketers Need to Know About It. <http://www.clickz.com/clickz/column/2326906/how-social-media-is-changing-language-usage-and-what-marketers-need-to-know-about-it>
9. Washenko, A. (17.06. 2015). The 75 Most Important Social Media Acronyms. <https://sproutsocial.com/insights/social-media-acronyms/>

### **Linguistics of social networks (linguistic stylistic features)**

*PhD Student Tamar Tabatadze  
Georgian Technical University*

#### **Summary**

Language contacts today are faster and more flexible than ever before a new form of interpersonal communication emerged. According to British linguist David Crystal "One of the most powerful means of mass media exchange is the World Wide Web" (WWW - The World Wide Web in English).

In recent times, the situation has changed dramatically. On the one hand, social media has evolved so much that to some people it has become more like traditional media. On the other hand, traditional media itself has begun to use social media. Recently Facebook has become

A popular social network that is growing and developing very fast. In this social network, and not only in it, the public expresses their ideas and feelings when writing statuses and posts.

According to the theoretical underpinnings of contemporary interdisciplinary cultural studies, "Social networking is not just a means of conveying and disseminating information. It is a highly influential phenomenon. Thanks to such an influence, linguistic formulas established by (or through) the social network are perceived as acceptable forms".

**Key words:** Language, media, social network

# სოციალური მეცნიერებები

## SOCIAL SCIENCES

სიღარიბის და უმუშევრობის დონე საქართველოში, არსებული  
მდგომარეობის გაუმჯობესება ინკლუზიური  
ბიზნეს ინკუპატორის დახმარებით

*თათია ბილისიევილი - დოქტორანტი  
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის*

### რეზიუმე

წინამდებარე ნაშრომში გამოკვლეულია სიღარიბე და უმუშევრობა საქართველოში. სიღარიბე ეს არის ნორმალურ საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის უუნარობა, ვინაიდან ასეთ ცხოვრებაში ჩართვისთვის უპირველესად საჭიროა ფინანსური რესურსების ფლობა, ღარიბებს კი სამწუხაროდ, ეს რესურსი არ გააჩნიათ.

ქვეყანაში მოსახლეობის უმუშევრობის მაღალ მაჩვენებელს მივყავართ სიღარიბესთან. სახელმწიფოს მიერ ყოველ კვარტალურად საქტატის მიმართ დაკვეთილ ჩატარებული კვლევებში მირებული შედეგების მიხედვით აუცილებელია რეფორმების ჩატარება მიღებული მაჩვენებლების შესამცირებლად. ამ რეფორმებში კი შეგვიძლია მოვიხსენიოთ ინკლუზიური ბიზნესის ბიზნეს ინკუპატორების ჩამოყალიბება და მათი განვითარება საქართველოში.


საკვანძო სიტყვები: სიღარიბის დონე, უმუშევრობის დონე, საქტატი, ეკონომიკური განვითარება, სტატისტიკა, სიღარიბე, ინკლუზიური, ბიზნეს ინკუპატორი.

**შესავალი**


სიღარიბის გამომწვევი უმთავრესი მიზეზია ქრონიკული უმუშევრობა, უმუშევრობის მაღალი დონე და მისი მასშტაბები, რომელიც პირდაპირ პროპორციულად ზეგავლენას ახდენს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე. უმუშევრობა მთელ მსოფლიოში განიხილება, როგორც ურთულესი სოციალურ-ეკონომიკური მოვლენა. საქართველოში კი „უმუშევრობა ყველაზე მწვავე სოციალურ-ეკონომიკური პრობლემა და აქტუალური გამოწვევაა. იგი გვევლინება ქვეყანაში სიღარიბის განმაპირობებელ მთავარ ფაქტორად,,.

**ძირითადი ნაწილი**

საქართველოში სიღარიბე რამდენიმე მაჩვენებლით განისაზღვრება, ესენია: რეგისტრირებული სიღარიბისა და ფარდობითი სიღარიბის მაჩვენებლები. შეიძლება ითქვას, რომ ყველაზე ზუსტ სურათს ე.წ რეგისტრირებული სიღარიბის მაჩვენებელი გადმოსცემს, რომელიც მოიცავს სახელმწიფო საარსებო შემწეობის მიმღებ მოსახლეობას. აღნიშნულის უკეთ გააზრებაში დაგვეხმარება ის სურათი, რომელიც გვიჩვენებს სიღარიბის მაჩვენებლებს რიცხვით გამოხატულებაში.



**გრაფიკი №1. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური**



**გრაფიკი №2-საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური**


ადამიანის მიერ საკუთარი უმუშევრობის აღქმა ხშირად არ ემთხვევა ოფიციალური სტატისტიკური მეთოდოლოგიით განსაზღვრულ უმუშევრობას. მაგალითად, ბევრი, ვისაც სასურველი სამსახური არა აქვს, მაგრამ მუშაობს, თვლის, რომ უმუშევარია. ასევე მიაჩნია, თუკი უმაღლესი განათლება აქვს და შესაფერის ადგილზე არ მუშაობს. ხშირად ადამიანი თავს მხოლოდ მაშინ აღიქვამს დასაქმებულად, თუ ხელფასი აქვს დანიშნული (დაქირავებულია). ასე გაჩნდნენ „უმუშევარი“ ტაქსის მძღოლები, საცალო ვაჭრობით დაკავებული ფიზიკური პირები, სოფლის მეურნეობაში საკუთარ მიწაზე დასაქმებულები და ა.შ. ოფიციალური სტატისტიკით კი ისინი უმუშევრებად არ ითვლებიან.

საქართველოში არსებული სტატისტიკის მეთოდოლოგიით რომელიც კვარტალურად დგინდება, დამსაქმებლად ითვლება „15 წელზე უფროსი მოქალაქე, რომელიც საანგარიშო პერიოდში ასრულებდა განსაზღვრულ სამუშაოს ხელფასის ან სხვა სახის ანაზღაურების (ფულით ან ნატურით) მიღების მიზნით. აგრეთვე პირი, რომელსაც აქვს სამუშაო ადგილი, მაგრამ სხვადასხვა მიზეზის გამო დროებით არ მუშაობს.

თვითდასაქმებულად კი ითვლება მესაკუთრე, რომელიც მოგების ან ოჯახის რჩენის მიზნით (ფულით ან ნატურით) მუშაობს. ასევე თვითდასაქმებულად ითვლება პირი, რომელიც ოჯახურ საწარმოში ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე (უსასყიდლოდ) მუშაობს.


უმუშევრად ითვლება 15 წლის და უფროსი მოქალაქე, რომელსაც გამოკითხვის დრომდე შვიდი დღის მანძილზე ანაზღაურების ან სხვა სარგებლის მიღების მიზნით არ შეუსრულებია არცერთი საათის სამუშაო“.

საქტატის მიხედვით 2019 წლის III კვარტალში ეკონომიკურად აქტიურმა მოსახლეობამ შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობის (15 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობა) 62.5 პროცენტი შეადგინა. წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შემცირებულია როგორც მოსახლეობის აქტიურობის დონე, ასევე დასაქმების დონე, შესაბამისად 1.8 და 0.9 პროცენტული პუნქტით.



**გრაფიკი №3-საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური**

უმუშევრობა მაღალია როგორც ქალაქად, ისე სოფლად. უმუშევრობის დონე გაცილებით დაბალია სასოფლო დასახლებებში, საქალაქო დასახლებებთან შედარებით. უმუშევრობის დონე გაცილებით დაბალია სასოფლო დასახლებებში, საქალაქო დასახლებებთან შედარებით. საქტატის მიხედვით 2019 წლის II კვარტალში წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით უმუშევრობის დონე საქალაქო დასახლებებში 0.6 პროცენტული პუნქტით, ხოლო სასოფლო დასახლებებში 0.8 პროცენტული პუნქტით არის შემცირებული.



გრაფიკი № 4-საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

თუმცა, სინამდვილეში უმუშევრობის შემცირება არა დასაქმების ზრდამ, არამედ ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის წილის შემცირებამ გამოიწვია.

უმუშევრობის პროცენტული კლება, ასევე გამოწვეულია მხოლოდ და მხოლოდ სამუშაო ძალის რიცხოვნობის კლებით, მაჩვენებლის შემცირების მიზეზად ასევე შეგვიძლია ვივარაუდოთ მოსახლეობის მიგრაცია. სამწუხაროდ უმუშევრობამ პროცენტულად იკლო, მაგრამ დასაქმებულების რეალური რიცხოვნობა დაკლებულია.

სიღარიბის დონე, ისევე როგორც უმუშევრობის დონეს, ნულამდე ვერასდროს დავიყვანთ, მაგრამ შესაძლებელია მისი შემცირება. საქართველოში სიღარიბის აღმოფხვრის, სამუშაო ადგილების შექმნისა და უმუშევრობის შემცირების მიზნით, სახელმწიფომ აქცენტი გააკეთოს ეკონომიკური მდგომარეობას გაუმჯობესებაზე, იკლუზიური ბიზნების განვითარებაზე, განათლებაზე, სამუშაო ადგილების ზრდაზე, ქარხნებისა თუ დაწესებულებების გახსნაზე, დასაქმების სფეროში შრომის კანონმდებლობის ხშირ განახლებაზე, სოციალური პარტნიორების სისტემების განვითარებაზე.

### **დასკვნა**

ამრიგად, ზოგადი დასკვნის საფუძველზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ სიღარიბე და უმუშევრობა ურთიერთდაკავშირებულია ერთმანეთთან. უმუშევრობის გაზრდა იწვევს სიღარიბის დორის გაზრდას. ქვეყანაში უმუშევრობა პრობლემას წარმოადგენს არა მხოლოდ ინდივიდისთვის, არამედ სახელმწიფოსთვისაც, ქვეყანაში სიღარიბის და უმუშევრობის დონე პირდაპირ დაკავშირებულია ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობაზე.

აუცილებელია გამოვიყენოთ ყველა რესურსი, გავითვალისწინოთ სხვა ქვეყნების გამოცდილება და დავძლიოთ ის უკიდურესი სიღარიბე, რომელიც დღეს საქართველოშია. ამისთვის კი აუცილებელია ხელი შევუწყოთ ინკლუზიური ბიზნესის განვითარებას საქართველოში.

### **გამოყენებული ლიტერატურა:**

1. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური „დასაქმება და უმუშევრობა საქართველოში 2019 მესამე კვარტალი.
2. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური "დასაქმება და უმუშევრობა საქართველოში 2019 მეორე კვარტალი.
3. <https://bm.ge/ka/article/umushevropa-111-mde-shemcirda----ratom-da-vis-tvlis-saqstati-dasaqmebulad/43809>
4. <https://www.radiotavisupleba.ge/a/%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%96-%E1%83%92%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%98-%E1%83%A3%E1%83%9B%E1%83%A3%E1%83%A8%E1%83%94%E1%83%95%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%90-%E1%83%93%E1%83%90-%E1%83%93%E1%83%90%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%99%E1%83%90%E1%83%96%E1%83%94/29780718.html>
5. <https://factcheck.ge/ka/story/37711-sigharibis-zrdis-realuri-mizezebi-dabali-ekonomikuri-zrda-umushevropa-samomkhmareblo-phasebis-mateba>
6. <https://jam-news.net/2015-%E1%83%AC%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%A8%E1%83%94%E1%83%9B%E1%83%93%E1%83%94%E1%83%92-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%A8/?lang=ka>  
<https://forbes.ge/blog/186/umuSevroba%2C-romelic-ar-Cans>



<http://forbes.ge/news/960/umuSevrobis-problema>

7. <http://www.nplg.gov.ge/gsd/cgi-bin/library.exe?e=d-00000-00---off-0civil2--00-1----0-10-0---0---0prompt-10---4-----0-11--10-ka-50---20-help---00-3-1-00-0-0-01-1-0utfZz-8-00&cl=CL1.21&d=HASH015aeb058ab77280116c8c4f.4.3.3&gt=1>

**Poverty and Unemployment in Georgia, Improving the Current Situation with the help of an inclusive business incubator**

*Tatia Biliseishvili, PhD, Professor  
Georgian technical university*

**Summary**

This paper investigates poverty and unemployment in Georgia.

Poverty is the inability to participate in normal social life, as engaging in such a life requires financial resources first, and the poor, unfortunately, do not have the resources.

The high unemployment rate in the country leads to poverty.

According to the results of the surveys commissioned by the state on a quarterly basis, the reforms needed to reduce the figures are necessary.

In these reforms we can mention the establishment of inclusive businesses, business incubators and their development in Georgia.

## საქართველოს ლატენტურ ეთნოკონფლიქტურ ზონებში არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობის ანალიზი

*პეტრე გელაშვილი, დოქტორანტი  
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

### რეზიუმე

თუ ადრე საერთაშორისო ორგანიზაციები საერთაშორისო არენაზე მოქმედებენ, ხოლო სახელმწიფოს რეგიონები გავლენას მხოლოდ შიდაპოლიტიკურ პროცესებზე ახდენდნენ, დღესდღეობით პირველნი აქტიურად ერევიან შიდაპოლიტიკურ საქმეებში (კონფლიქტების დარეგულირება, ადამიანების უფლებების დაცვა, საფინანსო პოლიტიკის გატარება და სხვ.), ხოლო მეორენი პოლიტიკურ ხელმძღვანელობასა და პროფესიონალ დიპლომატებთან პარალელურად საგარეო პოლიტიკის გავლენიანი მონაწილეები ხდებიან [1].

ზემოთ აღნიშნულ კონტექსტში საინტერესოა საქართველოში, მათ შორის ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობის ანალიზი, ვინაიდან მათი უმრავლესობის დაფინანსებას და მხარდაჭერას სწორედ საერთაშორისო ინსტიტუტები ახდენენ, შესაბამისად შესაძლოა მათზე გარკვეული ირიბი ან პირდაპირი ზეგავლენაც გააჩნდეთ.

საკვანძო სიტყვები: ეთნოპოლიტიკური კონფლიქტები, საერთაშორისო ორგანიზაციები, არასამთავრობო სექტორი, პოტენციური ეთნოკრიზისული კერები.

### შესავალი

ლატენტური ეთნოკონფლიქტური ზონები საქართველოს ეთნოტერიტორიული მოწყობის თავისებურებებიდან გამომდინარე მრავალრიცხოვანია. ისინი საზღვრისპირა რაიონებს მოიცავენ, რომლებიც ისტორიულად ჩამოყალიბდნენ, როგორც ბუფერული ზონები მეზობელ სახელმწიფოებთან. ეს რეგიონები ძირითადად ქართველი მოსახლეობის სიმცირით გამოირჩევიან, ამასთან დომინირებული ეთნიკური უმცირესობები ქმნიან ერთგვარ „ეთნიკურ მიკროტერიტორიებს“ და ცხოვრობენ საქართველოს იმ ტერიტორიებზე, რომლებიც ამ ეთნიკური ჯგუფის სამშობლოს ესაზღვრება - სომხები (სამცხე-ჯავახეთში) - სომხეთს, აზერბაიჯანელები (ქვემო ქართლში) - აზერბაიჯანს, ლეკები (კახეთში) - დაღესტანს, ქისტები (პანკისის ხეობაში) - ჩეჩნეთს და ა.შ (გამონაკლის წარმოადგენენ ბერძნები და წარსულში ნინოწმინდის რაიონის ტერიტორიაზე კომპაქტურად მცხოვრები ე.წ. „დუხობორები“) [2].

გამომდინარე პრობლემის სიმწვავიდან საჭიროა სათანადო ყურადღების გამახვილება ზემოაღნიშნულ რეგიონებზე, კონფლიქტების ფარულ სტადიაში დაკონსერვებისა და განმუხტვის სახელმწიფოებრივი პოლიტიკის დროული შემუშავება. თანამედროვე ეტაპზე ამ კუთხით მუშაობა სახელმწიფო ორგანოების, მათ შორის სპეცსამსახურების, აგრეთვე საერთაშორისო ორგანიზაციებისა და არსამთავრობო სექტორის საქმიანობის ერთ-ერთ პრიორიტეტად უნდა იქცეს, რათა მოხდეს ადრეულ ეტაპზე ეთნოკონფლიქტების გამოვლენა, მათი დარეგულირების გზების დასახვა, ძალთა დაბალანსება, რაც თავიდან აგვაშორებს სეპარატიზმს და ურთიერთობების დაძაბვას მეზობელ სახელმწიფოებთან.

ამ თვალსაზრისით განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს სამცხე-ჯავახეთის რეგიონი, კერძოდ ახალქალაქისა და ნინოწმინდის (ნაკლებად ახალციხის, ასპინძის, ადიგენისა და ბორჯომის) რაიონები, რომელთა ეთნიკურ-რელიგიური შემადგენლობა მათ ფეთქებადსაშიშ კერებად აქცევს. ამ რეგიონში კონფლიქტის გაღვივება გამოიწვევს კავკასიაში გეოპოლიტიკური სტაბილურობის დარღვევას და კრიზისში მეზობელი ქვეყნების ჩათრევას.

### ძირითადი ნაწილი

სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტის და ფონდ „ღია საზოგადოება – საქართველოს“ პარტნიორობით, ასევე ფონდ Brot fur die Welt-ისა და ევროკავშირის (EU) მხარდაჭერით საზოგადოებრივ ორგანიზაციებს შორის ინფორმაციის გაცვლის, კომუნიკაციის გაუმჯობესების, რესურსების გაზიარების მიზნით შეიქმნილ ვებპორტალზე - [www.csogeorgia.org](http://www.csogeorgia.org) განთავსებული მონაცემებით საქართველოს მასშტაბით სულ 1075 საზოგადოებრივი ორგანიზაცია ფუნქციონირებს, რომელთა მუშაობის ძირითადი სფეროებია: ახალგაზრდული და ბავშვთა; განათლება; ადამიანის უფლებები; სამოქალაქო საზოგადოება და დემოკრატია; სოციალური საკითხები და სხვა. მათ შორის ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში ფუნქციონირებს: სამცხე-ჯავახეთში - 70; ქვემო ქართლში - 69; კახეთში - 71 ორგანიზაცია [3].

უნდა აღინიშნოს რომ ხსენებულ პორტალზე არ იძებნება წარსულში ჯავახეთში საკმაოდ აქტიური მოქმედი და ხშირად დესტრუქციული საქმიანობით გამორჩეული ორგანიზაცია არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი სახალხო მოძრაობა „ჯავახკი“ (საიდენტიფიკაციო კოდი 223353500), რომელსაც სამოქალაქო რეესტრის მონაცემებით სტატუსი - „აქტიური“ გააჩნია [4]. ნიშანდობლივია ისიც, რომ არცერთ საძიებო სისტემაში არ იძებნება წარსულში სასამართლოს მიერ რეგისტრირებული ეთნიკურ საკითხებზე მომუშავე რიგი ორგანიზაციებისა, რომელთა შორის არიან: „ახალციხის შ. აზნავურის სახელობის საქველმოქმედო რეგისტრირებული

კავშირი”; “ახალციხის სომხური ეროვნული საზოგადოება ინვალიდთა კავშირი ნაზარეთი”; “ახალციხის რაიონის სომხური ეროვნული საზოგადოებრივი კავშირი”; “ეთნოკავშირთა შორის ინიციატივები დემოკრატიის განვითარებისათვის სამცხე-ჯავახეთის რეგიონში”.

ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლების პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის დასადგენად, ღია საზოგადოების ფონდის მიერ 2019 წელს ჩატარებული კვლევის მიხედვით არასამთავრობო ორგანიზაციებში მუშაობს რესპოდენტთა 8.1%, ხოლო 3.2%-ს უთანამშრომლია მათთან. კვლევამ აგრეთვე აჩვენა, რომ გამოკითხულთა მხოლოდ 24.3% ენდობა ხსენებულ სექტორს, რესპოდენტთა დიდმა ნაწილმა კი არ იცის ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების სამუშაო თემატიკა ან, თვით მათი არსებობაც კი თავიანთ რეგიონში/დასახლებაში [5].

ასევე საინტერესოა, რომ კვლევაში მონაწილეთა მნიშვნელოვანი ნაწილი (19.4%) მიიჩნევს, რომ არასამთავრობო სექტორის პრიორიტეტული მიმართულება ადგილობრივი ინფრასტრუქტურული პრობლემების მოგვარება უნდა იყოს, 12.5%-ის აზრით, არასამთავრობო ორგანიზაციებმა ცნობიერების ამაღლების კუთხით უნდა იმუშაონ, 9.5%-ის აზრით, ეს უნდა იყოს ეთნიკური უმცირესობების პოლიტიკური მონაწილეობის გაზრდაზე მუშაობა, 8.9% მიიჩნევს, რომ მათ მუშაობა ახალგაზრდული პოლიტიკის მიმართულებით უნდა დაიწყონ, 8.3%-ის აზრით - არასამთავრობო ორგანიზაციები მათ უნდა დაეხმარონ იურიდიული მომსახურებით, ხოლო 8% თვლის, რომ პრიორიტეტული ასევე, ქართული ენის სწავლებაც უნდა იყოს [5].

### **დასკვნა**

თანამედროვე ეტაპზე კავკასიაში, მცირე აზიასა და ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე პროცესებმა შესაძლოა გარკვეული გავლენა იქონიონ საქართველოზეც, კერძოდ მის ეთნიკურ-რელიგიური თვალსაზრისით მოწყველად რეგიონებზე და იქ ნაციონალისტურ-სეპარატისტული იდეების მატარებელი ძალების გააქტიურება გამოიწვიონ. პრობლემის სიმწვავიდან გამომდინარე საჭიროა რიგი ადმინისტრაციულ-სამმართველბრივი ზომების მიღება და კონკრეტული ღონისძიებების გატარება, მათ შორის:

- სახელმწიფო ორგანოების, არასამთავრობო სექტორის, საერთაშორისო ინსტიტუტების მჭიდრო კოორდინაციის პირობებში მოხდეს რეგიონის პრობლემატიკის კომპლექსური საფუძვლიანი შესწავლა და განხორციელდეს მხარის სპეციფიკასთან ადაპტირებული პროგრამები;
- მოხდეს სასაზღვრო კონტროლის ეფექტურობის ამაღლება;
- მაქსიმალურად გამოაშკარავდნენ ის ძალები და პიროვნებები, რომლებიც შესაძლოა მხარს უჭერდნენ და აღვივებდნენ შუღლს ეროვნულ-

რელიგიურ ნიადაგზე, სეპარატიზმს, ექტრემიზმს. მათ მიმართ გატარდეს ადექვატური სამართლებრივი მოქმედებები;

- გატარდეს კარგად გააზრებული, სამართლიანი ეროვნული და რელიგიური პოლიტიკა;
- მოხდეს განმანათლებელი საქმიანობის გააქტიურება და სხვა.

#### გამოყენებული ლიტერატურა:

1. Константинова Н., Кротова М., Синова И. Международные отношения и внешняя политика стран зарубежной Европы: учебное пособие. – М., СПб. : Изд-во СПбГУЭФ, 2012. – 163 с.
2. ფუტყარაძე თ., ბერიძე ნ., ფუტყარაძე ქ., ბეჟანიძე მ., იაკობიძე ქ. ეთნონტერესთა კონფლიქტი და თანამედროვე საქართველოს პოლიტიკური დაქუცმაცება. თბილისის დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი: პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა XVI კონფერენციის ნაშრომები. თბ. 2009. გვ. 121-125. ISSN 1987-7722.
3. საზოგადოებრივ ორგანიზაციებს შორის ინფორმაციის გაცვლის, კომუნიკაციის გაუმჯობესების, რესურსების გაზიარების ვებპორტალი ხელმისაწვდომია: <https://csogeorgia.org/ge/organizations?-searchQuery=&regionID=4> უკანასკნელად გადამოწმდა 18.01.2020
4. ა(ა)იპ სახალხო მოძრაობა „ჯავახვი“ (საიდენტიფიკაციო კოდი 223353500), ხელმისაწვდომია: [https://enreg.reestri.gov.ge/main.php?value=%E1%83%AF%E1%83%90%E1%83%95%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%99&state=search\\_by\\_name](https://enreg.reestri.gov.ge/main.php?value=%E1%83%AF%E1%83%90%E1%83%95%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%99&state=search_by_name) უკანასკნელად გადამოწმდა 18.01.2020
5. ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლების პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის კვლევა. ღია საზოგადოების ფონდი. 2019. 92 გვ. ხელმისაწვდომია: <https://osgf.ge/wp-content/uploads/2019/05/Analytical-Report-ISSA-GEO.pdf> უკანასკნელად გადამოწმდა 18.01.2020

## **Analysis of the activities of NGO in the latent ethno-conflicting areas of Georgia**

*Petere Gelashvili, PhD student  
Georgian Technical University*

### **Summary**

If earlier international organizations operate in the international arena, and the regions of the state have been influenced only by domestic political processes, with the former actively involved in domestic affairs (conflict resolution, human rights, financial policy, etc.), while the latter are influential foreign policy actors alongside political leadership and professional diplomats. It should also be noted that the above-mentioned actors often pursue different goals than the state and employ unconventional methods and methods to achieve them.

In the context of the above, it is interesting to analyze the activities of NGO in Georgia, including regions densely populated by ethnic minorities, since most of them are funded and supported by international institutions, and thus may have some indirect or direct impact on them.

key words: ethnopolitical conflicts, International organizations, Non-Governmental Sector, Potential ethnocritical hearths

## ქალთა სამხედრო ჩართულობა აღმოსავლეთ აზიის ქვეყნების (ჩინეთი, იაპონია, ჩრდილოეთ და სამხრეთ კორეა) მაგალითზე

*ელენე გრატიაშვილი, დოქტორანტი  
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

### **რეზიუმე**

შეიარაღებულ ძალებში ქალთა რაოდენობა თითქმის ყველა ქვეყანაში იზრდება. დღესდღეობით არასრულადაა შესწავლილი აღმოსავლეთ აზიაში არსებული მდგომარეობა, რომელიც ერთადერთი რეგიონია, სადაც ცივი ომი ისევ მიმდინარეობს და სადაც მოქალაქეობა როგორც დემოკრატიულ, ისე არადემოკრატიულ რეჟიმებში ხშირად განსაზღვრულია სამხედრო და გენდერული ტერმინებით.

ჩრდილოეთ კორეასა და ჩინეთში, სადაც ქალები არიან ეკონომიკურად უფრო აქტიურნი, მათი სამხედრო საქმეში ჩართულობა შედარებით მაღალია. ხოლო, სამხრეთ კორეასა და იაპონიაში, სადაც ქალთა ეკონომიკური აქტივობის დაბალი დონეა, მათი მონაწილეობა სამხედრო საქმეში კვლავაც შეზღუდულია. მიუხედავად იმისა, რომ დღესდღეობით ქალთა სამხედრო ინტეგრაციას მეტი ყურადღება ეთმობა, ხშირ შემთხვევაში მათ მიმართ ადგილი აქვს სხვადასხვა სახის დისკრიმინაციას და ზოგჯერ კულტურაც გარკვეულწილად დამაბრკოლებელ ფაქტორს წარმოადგენს.

საკვანძო სიტყვები: გენდერული თანასწორობა, დისკრიმინაციული პოლიტიკა, ქალთა ინტეგრაცია, სექსუალური შევიწროვება.

### **შესავალი**

შეიარაღებულ ძალებში ქალის როლი დემოკრატიული ქვეყნების უმეტესობაში კვლავაც დებატების საგანია, თუმცა სამხედრო შესაძლებლობები ქალთათვის ბოლო ათწლეულების განმავლობაში მკვეთრად გაიზარდა. დღესდღეობით ნატო-ს წევრ სახელმწიფოთა უმრავლესობაში ქალებს შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ შეიარაღებულ ძალებში და როგორც ირკვევა, მათი არსებობა სამხედრო საქმიანობათა სულ უფრო ფართო სპექტრში საერთო აღიარების საგანია. ამის მიუხედავად, სამხედრო მოსამსახურე ქალების მიმართ ხშირად მაინც ადგილი აქვს დისკრიმინაციულ პოლიტიკასა და ქმედებებს. მაგალითად, ბევრ ქვეყანაში ქალებს ეკრძალებათ საბრძოლო თანამდებობების დაკავება. გარდა ამისა, ისინი ხშირად აწყდებიან დისკრიმინაციას კარიერაში. მათი დაწინაურება ხელმძღვანელ პოზიციებზე მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში ხდება. შეიარაღებულ

ძალებში ქალებისადმი დამოკიდებულების კუთხით დიდი განსხვავებაა არა მხოლოდ სხვადასხვა სახელმწიფოებს შორის, არამედ თვით ერთი სახელმწიფოს ფარგლებში არსებულ არმიამი, საზღვაო და საჰაერო ძალებში.

დღესდღეობით, ქალთა რაოდენობა ჩინეთის სამხედრო ძალებში უტოლდება აშშ-ს, ხოლო ჩრდილოეთ კორეაში მათი რიცხვი შეადგენს მთლიანი სახალხო არმიის 10%- ზე მეტს.<sup>1</sup> მიუხედავად ფართომასშტაბიანი რეფორმებისა და თითქმის სრული ინტეგრაციისა, ქალთა გასაოცრად დაბალი პროცენტული მაჩვენებელია იაპონიისა (5,4%) და სამხრეთ კორეის შეიარაღებულ ძალებში (4%).

ბოლო ორი ათეული წელია მეცნიერები იკვლევენ, თუ რა კავშირი შეიძლება არსებობდეს სხვადასხვა სტრუქტურულ, ინსტიტუციურ, კულტურულ და საერთაშორისო ფაქტორებსა და ქალთა სამხედრო საქმეში ჩართულობის ხარისხს შორის, განსაკუთრებით ჩრდილოეთ ამერიკის და დასავლეთ ევროპის ქვეყნებში, მაგრამ არასრულად არის შესწავლილი და გაანალიზებული აღმოსავლეთ აზიაში არსებული მდგომარეობა, რომელიც ერთადერთი რეგიონია, სადაც ცივი ომი ისევ მიმდინარეობს და სადაც მოქალაქეობა როგორც დემოკრატიულ, ისე არადემოკრატიულ რეჟიმებში ხშირად განსაზღვრულია სამხედრო და გენდერული ტერმინებით.

ორ არადემოკრატიულ ქვეყანაში - ჩინეთსა და ჩრდილოეთ კორეაში, სადაც “პარტია აკონტროლებს იარაღს“, სადაც ქალები არიან ეკონომიკურად უფრო აქტიურები, მათი სამხედრო საქმეში ჩართულობა შედარებით მაღალია. მეორეს მხრივ, სამხრეთ კორეასა და იაპონიაში, სადაც ქალთა ეკონომიკური აქტივობის დაბალი დონეა და ხშირია დამაბული სამოქალაქო-სამხედრო ურთიერთობები, ქალთა ფუნქციები და მათი მონაწილეობა სამხედრო საქმეში კვლავ შეზღუდულია. ამდენად, ქალთა სამხედრო საქმეში ჩართულობის დონე დაბალია.

კვლევების მიხედვით, კონფუციურ ქვეყნებში, განსაკუთრებით კი დემოკრატიულ იაპონიასა და სამხრეთ კორეაში, ექსპორტზე ორიენტირებული ეკონომიკა სათანადოდ ვერ უზრუნველყოფს საჯარო სფეროში ქალთა ეკონომიკური შესაძლებლობების განვითარების ზრდას და ამასთან ერთად, კულტურაც, გარკვეულწილად, დამაბრკოლებელ ფაქტორს წარმოადგენს. ამ ქვეყნებში ტრადიციული სამხედრო სტრუქტურის მსგავსი იერარქიის კომპლექსური სისტემის შექმნით, სამსახურებში დამკვიდრებულია ჰეგემონიური მასკულინური გარემო, სადაც ქალთა სუბორდინაცია და სექსუალიზაცია ნორმად მიიჩნევა, ხოლო მაღალი თანამდებობები და

<sup>1</sup> Comparative Analysis of Women’s Military Participation in East Asia, Lana Obradovic, <http://resmilitaris.net/ressources/10217/89> . (“North Korean Forces Increasingly Manned by Women Soldiers”, World Tribune, January 24, 2007 [http://www.worldtribune.com/worldtribune/WTARC/2007/ea\\_nkorea\\_01\\_25.html](http://www.worldtribune.com/worldtribune/WTARC/2007/ea_nkorea_01_25.html), )



მაღალანაზღაურებადი სამსახურები მამაკაცებისთვისაა განკუთვნილი.

ჩინეთში, ქალთა კომუნისტურმა ემანსიპაციამ და საზოგადოებრივ სფეროში კონფუციანიზმის აღმოფხვრამ, ხელახლა განსაზღვრა და ჩამოაყალიბა სქესობრივი როლები და დროთა განმავლობაში ამის შედეგი აისახა თანასწორუფლებიანობისა და შრომის ძალებში ქალთა მონაწილეობის უფრო მაღალ მაჩვენებელში. გენდერული საკითხების მკვლევარი ქსიოლინ ლი ამტკიცებს, რომ ქალთა ომში მონაწილეობის დიდი ხნის ისტორიასთან ერთად, კომუნისტური პარტიის მიერ გენდერული თანასწორობის ხელშეწყობამ, ფაქტობრივად უდიდესი წვლილი შეიტანა თანამედროვე ჩინეთის სამხედრო სფეროში ქალთა ჩართულობაში.<sup>1</sup> სამხრეთ კორეაში, ქალთა სამხედრო ჩართულობა კვლავ შეზღუდულია.<sup>2</sup> ქალბატონები აღქმულნი არიან, როგორც სამხედრო ეფექტურობისა და სამხედრო ნაწილების ერთობის შემასუსტებლები.

ჩინეთსა და ჩრდილოეთ კორეაში, შეიარაღებული ძალები იმართება კომუნისტური პარტიისა და სამხედრო ხელმძღვანელობის მიერ, ხოლო იაპონიისა და სამხრეთ კორეის შეიარაღებულ ძალებს ხელმძღვანელობს დემოკრატიულად არჩეული სამოქალაქო რეჟიმი. მოლოდინების საპირისპიროდ, ქალთა სამხედრო სფეროში ჩართულობის უფრო მაღალი მაჩვენებლის მქონე ქვეყნებს აქვთ ეკონომიკური განვითარების შედარებით დაბალი დონე. 2014 წლის მონაცემებით მშპ ერთ სულ მოსახლეზე ჩინეთში შეადგენდა 10,756 \$; ხოლო ჩრდილოეთ კორეაში - 1,800 \$. ეს მაჩვენებელი ბევრად უფრო მაღალია იაპონიისა და სამხრეთ კორეაში ( იაპონია- 34,883 \$; სამხრეთ კორეა- 27,168 \$), სადაც ქალთა სამხედრო ჩართულობა შედარებით ნაკლებია. მათგან მხოლოდ იაპონიას ჰყავს მოხალისეებისგან შექმნილი შეიარაღებული ძალები, რომლის მიზანი ძირითადად თავდაცვითია. დანარჩენი სამი ქვეყნის სამხედრო სამსახურები ეყრდნობა სავალდებულო გაწვევას და აქვს როგორც თავდაცვითი, ასევე საიერიშო ფუნქცია.

ჩინეთში 1967 წლიდან, ოფიციალურად დაიწყო ქალთა ინტეგრაცია სახალხო ლიბერალურ არმიაში და ყოველწლიურად შესაძლებელი გახდა 7500 ქალბატონის რეკრუტირება. თანდათანობით უფრო მეტ სამოქალაქო განათლების მქონე პროფესიონალ ქალბატონს მიეცა სამხედრო საქმეში ჩართვის და სტაბილური კარიერის გაგრძელების შესაძლებლობა. მთავრობის მხრიდან არმიის მოდერნიზებასა და მისი იმიჯის დახვეწის მცდელობის საპასუხოდ, ნიჭიერ და უმაღლესი განათლების მქონე ქალების სამხედრო

<sup>1</sup> LI, Xiaolin, "Chinese Women in the People's Liberation Army : Professionals or Quasi-Professionals ?", *Armed Forces & Society*, vol.20, n°1, October 1993, pp.69-83.

<sup>2</sup> CHOI, Jung-min, "Women Activists in South Korea's Peace Movement", pp.116-120 in Ellen Elster & Majken Jul Sørensen, eds., *Women Conscientious Objectors : An Anthology*, London, War Resisters International, 2010

საქმიანობაში ჩართვის სურვილმაც იმატა, რადგან შეიარაღებულ ძალებში მსახურება ისეთ პრივილეგიებს სთავაზობდა მათ, როგორცაა სწავლის დაფინანსება და დასაქმების შესაძლებლობები. თუმცა, ჯერ კიდევ ბევრი მდედრობითი სქესის ჯარისკაცი მუშაობს კომუნიკაციის, ჯანმრთელობის დაცვის და ადმინისტრაციის ქვედანაყოფებში. ჩინეთის მთავრობას გააჩნია შესაბამისი პოლიტიკა და ყოველმხრივ უწყობს ხელს ქვეყნის შეიარაღებულ ძალებში გენდერული ბალანსის დაცვას.

დღესდღეობით, სამხედრო ქალბატონები მონაწილეობენ ესკორტის მისიებში ადენის ყურეში, მუშაობენ სასიგნალო, ტელეგრაფის, რადარის პოზიციებზე, ასევე წყალქვეშა ნავების მართვაზე, საბრძოლო რეაქტიული თვითმფრინავების პილოტებად.

ჩრდილოეთ კორეაში, ჯერ კიდევ ადრეული პერიოდიდანვე, კანონ-მდებლობა ხელს უწყობდა სამხედრო ძალებში ქალთა ჩართულობას. სამხრეთ კორეისგან განსხვავებით, სადაც კორეის ომის დროს ქალები ძირითადად სამედიცინო კორპუსებში მსახურობდნენ, ჩრდილოეთ კორეაში მათ განსხვავებული სამხედრო წოდებები ჰქონდათ და ბევრ სხვადასხვა ფუნქციებსაც ასრულებდნენ.

ჩრდილოეთ კორეაში ქალთა სამხედრო სტატუსთან დაკავშირებით რეალური ცვლილებების განხორციელება საბჭოთა კავშირის დაშლასთან ერთად დაიწყო. ქვეყანამ შექმნა მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე დიდი არმია, დაახლოებით 1,2 მილიონი მოქმედი სამხედრო პერსონალით.<sup>1</sup> აქ 2000 წლამდე ფაქტობრივად არ არსებობდა სავალდებულო სამხედრო გაწვევა. იმის გამო, რომ მცირე ბიზნესს უფრო მეტი შემოსავალი მოჰქონდა მამაკაცებისთვის, ქვეყანამ ვეღარ შეძლო საკმარისი რაოდენობის მამაკაცების რეკრუტირება. ამიტომ 2002 წელს კვლავ შემოღებულ იქნა სამხედრო არმიაში გაწვევის სისტემა. ჩრდილოეთ კორეის შეიარაღებულ ძალებში ქალთა ზუსტი რაოდენობის დასახელება რთულია, მაგრამ შესაძლებელია პროგნოზირება. 2002 წლის მონაცემებით 36 ქვედანაყოფიდან სულ მცირე 1/3 იყო ქალთა ქვედანაყოფი.<sup>2</sup> ქალები არმიაში მსახურობენ 7 წლის განმავლობაში.

სამხრეთ კორეაში ქალებს შეიარაღებულ ძალებში მუშაობის უფლება თავდაპირველად 1948 წელს მიეცათ. მათ ნება დართეს ემუშავათ საექთნო კორპუსის ქვედანაყოფში, 1950 წელს კი ოფიციალურად დაარსდა ქალთა არმიის კორპუსი. 1987 წელს, პირველი დემოკრატიული არჩევნების შემდეგ გაუქმდა ის რეგულაციები, რომლებიც ზღუდავდა ქალთა სამხედრო

<sup>1</sup> GAUSE, Ken E., *North Korean Civil-Military Trends : Military-First Politics to a Point*, Carlisle Barracks, PA, Strategic Studies Institute (Foreign Leadership Studies Program), US Army War College, 2006

<sup>2</sup> James Brooke, "As North Korean Men Turn to Business, Women Join the Army", *The New York Times*, August 17, 2003

ჩართულობას ასაკის, ოჯახური მდგომარეობის და დედობის გამო. 1990 წელს გენდერული თანასწორობის დაცვის მიზნით გაუქმდა ქალთა განცალკევებული ქვედანაყოფი და მათ მიეცათ სამხედრო სამსახურებში სრული ინტეგრაციის შესაძლებლობა. თავდაცვის საჰაერო ძალებმა ქალთა მიღება დაიწყო 1997 წელს, ხოლო, სახმელეთო ძალებმა 1998 - 1999 წლებში. თითოეულ მათგანს ქალებისათვის განკუთვნილი ჰქონდა ადგილების 10 %. 2001 წლისთვის, უკვე პირველი ოფიცერი და სერჟანტი ქალბატონები მუშაობდნენ როგორც საჰაერო, ასევე საზღვაო ძალებში. დღეისათვის ქალები მსახურობენ სამხედროს ყველა მიმართულებაში, საზღვაო ქვეითებისა და კომანდოს ქვედანაყოფების გარდა.

სამხრეთ კორეის შეიარაღებულ ძალებში სხვა დემოკრატიულ ქვეყნებთან შედარებით ქალთა რაოდენობა დღეისათვის მაინც ძალიან დაბალია. გენდერული საკითხები ამ სფეროში მნიშვნელოვნად კონტროლდება მთავრობის მიერ. 2015 წლის იანვრის მონაცემებით 630 000 მოქმედი პირადი შემადგენლობიდან მხოლოდ 10 000 იყო ქალბატონი. 2020 წლისთვის, ნავარაუდევია ამ ციფრის გაზრდა 11 606-მდე, რაც მთლიანი შეიარაღებული ძალების 5,6-ს% შეადგენს. ქალთა რაოდენობრივად მონაწილეობის პრობლემის გარდა, ხშირია მათი დისკრიმინაცია და სექსუალური შევიწროება, რაც გენდერული იერარქიისა და მამაკაცური თვისებების კონფუციური კულტურის დასაბუთების "საშუალებას" წარმოადგენს სამხედრო ინსტიტუციებში.

სამხრეთ კორეის კულტურის შესაბამისად, მამაკაცის ქვეყნისადმი ერთგულება, მისი მოქალაქეობრიობა და ეკონომიკური მომავალიც კი, მჭიდრო კავშირშია სამხედრო სამსახურთან. ქალების მიმართ კი სამხედროებს აქვთ მხოლოდ მომხმარებლური დამოკიდებულება, რაც გამოიხატება არაკუმანურ მოპყრობაში, დამცირებასა და ქვეყნისათვის მსხვერპლად შეწირვაში.

კორეის მსგავსად, იაპონიაშიც ძალზედ მცირე მასალები თუ მოიპოვება ქალთა სამხედრო საქმეში ან ომში ჩართულობის თაობაზე.

ომის შემდგომ, ქალებს პირველად დართეს ნება შეიარაღებულ ძალებში ემსახურათ ექთნებად. 1967 წლიდან მათ შეეძლოთ ემსახურათ სახმელეთო ძალების სამხედრო ოფისებში, ხოლო, 1974 წლიდან -საჰაერო და საზღვაო თავდაცვის ძალებში. კერძო სექტორში უამრავმა ეკონომიკურმა შესაძლებლობებმა შეამცირა თავდაცვის ძალებში შესვლის სურვილის მქონე იაპონელ მამაკაცთა რაოდენობა. პრემიერ მინისტრ ტანაკა კაკუეიმ მიიღო კანონმდებლობა, რომლის თანახმადაც, საბრძოლო ოპერაციების გარდა, ქალთათვის სხვა პოზიციებიც უნდა გახსნილიყო. თუმცა ქვეყანაში სამხედრო სფერო, როგორც ინსტიტუცია, დისკრედიტირებული იყო. ჯარისკაცებს ზიზღით და უნდობლობით ეპყრობოდნენ. სამოქალაქო საზოგადოებრივმა

აქტივისტებმა, რომელშიც ქალთა მოძრაობებიც იღებდნენ მონაწილეობას, ვერ შეძლეს ქალთა სამხედრო ინტეგრაცია .

თავდაცვის ძალების მიერ ქალებთან დაკავშირებით ახალი პოლიტიკის წამოწყება განპირობებული იყო გაეროს კონვენციის რატიფიკაციით, რომელიც ითვალისწინებდა ქალთა მიმართ ყველა სახის დისკრიმინაციის აღმოფხვრას. 1986 წელს მიღებულ იქნა კანონი დასაქმების თანაბარი შესაძლებლობების შესახებ. ამ კანონის მიღებამდე, იაპონური საზოგადოება ხასიათდებოდა გენდერული უთანასწორობის მაღალი მაჩვენებლით, რაც მნიშვნელოვანწილად გამოწვეული იყო კონფუციური სწავლებებითა და გენდერთან დაკავშირებული შეხედულებებით, რომელთა მიხედვითაც ქალების ადგილი არის სახლში, ხოლო მამაკაცები არიან მთავარი შემომტანები ოჯახში და ასევე ძალაუფლებასთან დაკავშირებულ პოზიციებთან შესაფერისნიც. 1986 წელს მიღებული კანონის შემდეგ, გენდერული ურთიერთობები და ტრადიციები შეიცვალა და იაპონიის პოლიტიკასა და ეკონომიკაში ქალთა სტატუსი ამაღლდა. ჩართულობის პროცენტული რაოდენობა გაიზარდა. ამ კანონმა თავდაცვის ძალები აიძულა, კარი გაეღო ქალთა ჩართულობისთვის.

თავდაცვის სამინისტროს გადაწყვეტილების თანახმად, 2008 წლიდან ქალები დაშვებულნი არიან ყველა პოზიციაზე, თუმცა გამონაკლისები კვლავაც არსებობს და მათი რიცხვი საკმაოდ შთამბეჭდავია. მათ კვლავ ეზღუდებოდათ მსახურება სხვადასხვა მიმართულებით: ქვეითების, ჯავსანსატანკო, საიჟინრო, ანტი-სატანკო ავიაციის სექტორებში, ქიმიური დაცვის ქვედანაყოფებში, წყალქვეშა ნავეზზე, სპეციალური დაცვის ქვედანაყოფებში და სხვ.

მიუხედავად იმისა, რომ იაპონიის თავდაცვის ძალების 259 800 პირადი შემადგენლობიდან 14 000 ანუ 5,4% ქალია, მათი როლები მაინც საკმაოდ შეზღუდული რჩება. მათ ხშირად მოიხსენიებენ ეპითეტით ”ქალური სილამაზე სამხედრო ფორმაში“.

ამრიგად, მიუხედავად იმისა, რომ შეიარაღებულ ძალებში ქალთა სამხედრო ჩართულობა მნიშვნელოვნად გაიზარდა ბოლო პერიოდში, ხშირ შემთხვევაში მაინც აქვს ადგილი სხვადასხვა სახის დისკრიმინაციას. სამსახურებში დამკვიდრებულია ჰეგემონური მასკულინური გარემო, სადაც ქალთა სუბორდინაცია ნორმად მიიჩნევა. რიგ შემთხვევებში კულტურაც გარკვეულწილად წარმოადგენს დამაბრკოლებელ ფაქტორს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Obradovic, Lana, Comparative Analysis of Women's Military Participation in East Asia, <http://resmilitaris.net/ressources/10217/89> (ბოლო ვიზიტის თარიღი 25.02.2020)
2. "North Korean Forces Increasingly Manned by Women Soldiers", World Tribune, January 24, 2007 : [http://www.worldtribune.com/worldtribune/WTARC/2007/ea\\_nkorea\\_01\\_25.html](http://www.worldtribune.com/worldtribune/WTARC/2007/ea_nkorea_01_25.html), (ბოლო ვიზიტის თარიღი 25.02.2020)
3. Li, Xiaolin, "Chinese Women in the People's Liberation Army : Professionals or Quasi-Professionals ?", *Armed Forces & Society*, vol.20, n°1, October 1993, pp.69-83
4. Choi, Jung-min, "Women Activists in South Korea's Peace Movement", pp.116-120 in Ellen Elster & Majken Jul Sørensen, eds., *Women Conscientious Objectors : An Anthology*, London, War Resisters International, 2010
5. Ryang, Sonia, "Gender in Oblivion : Women in the Democratic People's Republic of Korea (North Korea)", *Journal of Asian & African Studies*, vol.35, n°3, 2000, pp.323-349.
6. Gause, Ken E., *North Korean Civil-Military Trends : Military-First Politics to a Point*, Carlisle Barracks, PA, Strategic Studies Institute (Foreign Leadership Studies Program), US Army War College, 2006
7. Brooke, James, "As North Korean Men Turn to Business, Women Join the Army", *The New York Times*, August 17, 2003
8. Li ,Xiaolin, Doctor of Philosophy ,Women in the Chinese Military,1995

## **Examples of Women's Military Participation in East Asian Countries (China, Japan, North and South Korea)**

*Elene Gratiashvili, PhD student  
Georgian Technical University*

### **Summary**

The number of women serving in the Armed Forces has been increasing in almost every country. Nowadays, very little analysis has been devoted to East Asia, which is the only region where the Cold War is still raging and where citizenship in both democratic and non-democratic regimes is often defined in militarized and gendered terms.

In China and North Korea, where women are more economically active, their military participation is higher. On the other hand, in South Korea and Japan, where the levels of female economic activities are low, women's military participation still remains restricted.

Despite the fact, that today a lot of attention is paid to women's military integration, they often experience different types of discrimination and sometimes cultural values create barriers for them.

## კონფლიქტის არსი, კლასიფიკაცია, ოჯახური კონფლიქტის გავლენა მოზარდებზე

*ფიქრია დიდბაშვილი, ასოცირებული პროფესორი,  
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

*მარიამ ხეთაგაშვილი, დოქტორანტი  
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

### რეზიუმე

კონფლიქტი ადამიანის ყოველდღიური ცხოვრების განუყოფელი ნაწილია. თუ ადრინდელ კვლევებში კონფლიქტს მეცნიერები განიხილავდნენ როგორც უარყოფით მოვლენას, რომელიც აუცილებლად უნდა გადაჭრილიყო. დროთა განმავლობაში კონფლიქტისადმი მიდგომა შეიცვალა. თანამედროვე სამყაროში კონფლიქტის განხილვისას ყურადღება ექცევა მის კონსტრუქციულ, პოზიტიურ ფუნქციებს. იგი ადამიანის სოციალიზაციისათვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია.

კონფლიქტი დიდ როლს ასრულებს პიროვნების ფორმირების პროცესში, სძენს ადამიანს გამოცდილებას, ეხმარება იმ უნარ-ჩვევების გამომუშავებაში, რაც აუცილებელია ჯგუფში ადაპტაციისათვის. ადამიანები სწორედ კონფლიქტის დროს იხსნებიან, აჩვენებენ თავიანთ ნამდვილ სახეს. კონფლიქტი ეხმარება ადამიანს თვითრეალიზაციაში, უღვივებს საკუთარი თავის რწმენას. მიუხედავად დადებითისა, რა თქმა უნდა, კონფლიქტს ახასიათებს დესტრუქციული მოვლენებიც მაგალითად, კონფლიქტის გადაჭრის დროს შეიძლება მოჰყვეს მსხვერპლი, მატერიალური ზარალი, შესაძლებელია კონფლიქტმა შეაჩეროს საზოგადოების განვითარება, გამოიწვიოს საზოგადოებაში პესიმისტური განწყობები და ასე შემდეგ. ამიტომაც ადამიანს უნდა შეეძლოს კონფლიქტური სიტუაციების მართვა და მისი გადაჭრის გზების მოძიება, რასაც ემსახურებაკიდევ კონფლიქტის ზოგადი თეორიის შესწავლა.

სტატიაში განხილულია კონფლიქტის არსი, კლასიფიკაცია. კონფლიქტით გამომწვევი პოზიტიური და ნეგატიური გავლენა ადამიანის განვითარებაზე. გაანალიზებულია კონფლიქტთან დაკავშირებული თეორიები, ოჯახური კონფლიქტის გავლენა მოზარდებზე.

საკვანძო სიტყვები: კონფლიქტი, ოჯახური კონფლიქტი, სუბიექტი, კონფლიქტის მონაწილე, ობიექტი, ანტაგონისტური კონფლიქტები, კომპრომისული კონფლიქტები, სოციალური კონფლიქტები, საორგანიზაციო კონფლიქტები

### **შესავალი**

ბოლო წლებში ოჯახური კონფლიქტით დაინტერესება სხვადასხვა მეცნიერებების წარმომადგენელთა მხრიდან გაიზარდა, რადგან ოჯახური კონფლიქტი უშუალო კავშირშია და დიდ გავლენას ახდენს პიროვნების ჩამოყალიბებასა და მის ემოციურ განვითარებაზე. შესაბამისად ოჯახურ კონფლიქტს და მის შედეგებს მთლიანად საზოგადოებაზე აქვს გავლენა.

კონფლიქტი ადამიანის ცხოვრების განუყოფელი ნაწილია. თუ ადრინდელ კვლევებში კონფლიქტს მეცნიერები განიხილავენ მხოლოდ და მხოლოდ ნეგატიურ მოვლენად, რომელიც აუცილებლად უნდა გადაჭრილიყო, თანამედროვე სამყაროში დროთა განმავლობაში ეს მიდგომა შეიცვალა. მრავალმა კვლევამ ცხადყო, რომ კონფლიქტს პოზიტიური ფუნქციები აქვს:

- კონფლიქტი - პრობლემებისა და წაინააღმდეგობების აღმოცენებისა და დაფიქსირების საშუალებაა
- კონფლიქტი - დაპირისპირების გადაჭრის ფორმაა. ის სოციალური ორგანიზაციის იმ ნაკლოვანებათა მოსპობის შესაძლებლობას იძლევა, რომლებმაც მიიყვანეს კონფლიქტამდე.
- კონფლიქტი - სოციალური დამაბულობის მოხსნას და სტრესული სიტუაციის ლიკვიდაციას უწყობს ხელს.
- კონფლიქტი ასტიმულირებს და ინტენსიურს ხდის ჯგუფურ და ინდივიდუალურ შემოქმედებს. ახდენს ენერჯის მობილიზებას.
- კონფლიქტის გადაჭრის გზების ძიებისას ხდება ახალი იდეების, მიდგომების, ინოვაციური ტექნოლოგიების შემუშავება.

იგი ადამიანის სოციალიზაციისათვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია. კონფლიქტი დიდ როლს ასრულებს პიროვნების ფორმირების პროცესში, სძენს ადამიანს გამოცდილებას, ეხმარება იმ უნარ-ჩვევების გამომუშავებაში რაც აუცილებელია ჯგუფში ადაპტაციისათვის. ადამიანები სწორედ კონფლიქტის დროს იხსნიან, აჩვენებენ თავიანთ ნამდვილ სახეს. ამის შემდეგ ისინი ხდებიან ჯგუფის წევრები ან პირიქით. კონფლიქტი ეხმარება ადამიანს თვითრეალიზაციაში, უღვივებს საკუთარი თავის რწმენას. მიუხედავად დადებითისა, რა თქმა უნდა, კონფლიქტს ახასიათებს დესტრუქციული მოვლენებიც მაგალითად, კონფლიქტის გადაჭრის დროს შეიძლება მოჰყვეს მსხვერპლი, მატერიალური ზარალი, შესაძლებელია კონფლიქტმა შეაჩეროს საზოგადოების განვითარება, გამოიწვიოს საზოგადოებაში პესიმისტური განწყობები და ასე შემდეგ.

### **ძირითადი ნაწილი**

კონფლიქტი ადამიანის ყოველდღიური ცხოვრების განუყოფელი ნაწილია. საქმიანი თუ პირადი ურთიერთობების დროს ჩვენს ცხოვრებაში



ხშირად ადგილი აქვს კონფლიქტურ სიტუაციებს. ადამიანთა უმრავლესობაში კონფლიქტი აღიქმება ნეგატიურ მოვლენად, მაგრამ მრავალი კვლევა აჩვენებს, რომ კონფლიქტს როგორც დადებითი ისე ნეგატიური ეფექტი აქვს.

იმისთვის რომ განვსაზღვროთ კონფლიქტის არსი აუცილებელია გავიგოთ რა არის კონფლიქტი?

მერიემ ვებსტერის ლექსიკონში, კონფლიქტი განმარტებულია, როგორც ჩხუბი, შერკინება. ასევე მერიემ ვებსტერის ლექსიკონში შევხვდებით კონფლიქტის მეორე განმარტებას, სადაც აღნიშნულია, რომ კონფლიქტი არის ადამიანების იდეებს, სურვილებს, საჭიროებების შორის შეუსაბამობა.<sup>1</sup>

კონფლიქტი არის ორი ან მეტი პიროვნების ან ჯგუფის დაპირისპირება. კონფლიქტში მონაწილე პირებს გააჩნიათ ან ჰგონიათ რომ გააჩნიათ განსხვავებული ინტერესები, საჭიროებები და ღირებულებები.

ნინო ქაჯაიას მიხედვით, კონფლიქტი არის „ადამიანთა შორის შეუსაბამობა, კონსენსუსის მიუღწევლობა“ [ქაჯაია, ნ. გვ 5].

Prinz-მა კონფლიქტის 8 განსხვავებული განმარტება წარმოგვიდგინა:

- კონფლიქტი, როგორც წინააღმდეგობა
- შეუთანხმებლობა
- დამაბულობა
- შფოთვითი და ემოციური დამაბულობა
- ანტაგონიზმი
- ნეგატიური ინტერპერსონალური ურთიერთობა
- წინააღმდეგობა ვერბალურ და არავერბალურ შეტყობინებებს შორის<sup>2</sup>

ყველაზე სრულყოფილი განმარტების თანახმად, „კონფლიქტი არის ადამიანთა შორის ურთიერთობების ფორმა, რომელსაც ახასიათებს ერთმანეთთან შეუთავსებელი მიზნები, მოთხოვნები, დამოკიდებულებები და წინააღმდეგობა“ .[ 5]

ბუნებრივია ყველა კონფლიქტს კავშირი აქვს ერთმანეთთან და ხშირად ერთმანეთშიც გადადის. კრიტერიუმები, რისი საშვალეობითან განსაზღვრავენ კონფლიქტს და ახდენენ მათ კლასიფიკაციას ძალზედ ბევრია და ძირითადად იმის მიხედვით გამოყოფენ, თუ რა თეორიული საფუძველი უდევს კონფლიქტების შესწავლას.

კონფლიქტს ხშირად აიგივებენ ძალადობასთან. ძალადობა მოიცავს ისეთ ქმედებას, რომელსაც მოაქვს ადამიანისთვის ფიზიკური, ფსიქოლოგიური, სოციალური ზიანი.<sup>3</sup>

1 ქაჯაია ნ ., კონფლიქტის ფსიქოლოგია, თბ., 2011

<https://www.merriamwebster.com/dictionary/conflict?src=search-dict-box>

2 ბერიძე რ., კონფლიქტის გადაჭრის სტრატეგიები განსხვავებულ სოციალურ ჯგუფებში (ასაკობრივსა და გენდერულში), თბ.,2009

3 იქვე

ჩვენთვის ყველაზე გავრცელებული კონფლიქტი ყვირილია, კონკურენცია, რომლის დროსაც კონპლიქტში მონაწილე ყველა მხარე ცდილობს გამარჯვებას.<sup>1</sup>

თანამედროვე მეცნიერების უმრავლესობა კონფლიქტებს კონფლიქტში მონაწილე პირებისთვის პოზიტიურად განიხილავს. მათი აზრით, კონფლიქტები წარმოშობენ ახალ და შემოქმედებით იდეებს. „კონფლიქტი ხასიათდება, როგორც „ჯანმრთელი“, ნორმალური მოვლენა“.<sup>2</sup>

კონფლიქტის გამომწვევ მიზეზებს სწავლობს მეცნიერების ისეთი დარგი როგორცაა კონფლიქტოლოგია.

კონფლიქტოლოგიის მიზანია ღრმად შეისწავლოს კონფლიქტური სიტუაცია, რათა მოახდინოს კონფლიქტის პროგნოზირება და პრობლემის გადაჭრის გზების დასახვა.

ცნებები „სუბიექტი“, „კონფლიქტის მონაწილე“, „ობიექტი“ კონფლიქტოლოგიაში საკმაოდ ხშირად გვხვდება.

„სუბიექტი“ ქმნის კონფლიქტურ სიტუაციას. გავლენას ახდენს კონფლიქტის მიმდინარეობაზე.

„კონფლიქტის მონაწილე“ შემთხვევით ან შეგნებულად ებმება კონფლიქტურ სიტუაციაში. ერთმანეთისგან განასხვავებენ კონფლიქტის პირდაპირ და ირიბ მონაწილეებს. ირიბი მონაწილეები (ზოგჯერ მათ კონფლიქტის მესამე მხარეებსაც უწოდებენ) წარმოადგენს ისეთ ძალას, რომელიც სხვის კონფლიქტში საკუთარი ინტერესებისთვის იბრძვის.

კონფლიქტის ირიბი მონაწილეები შეიძლება სხვადასხვა მიმართულებით მოქმედებდნენ: ახდენენ კონფლიქტის პროვოცირებას და გამწვავებას, ან პირიქით კონფლიქტის ჩახშობას.

კონფლიქტის არის განსაზღვრისათვის მნიშვნელოვანია განვიხილოთ კონფლიქტის არსისადმი სხვადასხვა მეცნიერთა მოსაზრებები:

- „კონფლიქტისადმი მიდრეკილება და ტენდენცია არის ადამიანური ბუნების ძირითადი ელემენტი. (Machiavelli, 1531/1948, 1532/1948; და Hobbes , 1651/1947)
- კონფლიქტები და დაპირისპირება განსაზღვრავს ინდივიდის სოციალურ არსებობას იმის მტკიცებით, რომ მხოლოდ ყველაზე ძლიერ სახეობას შეუძლია გადარჩეს. (Darwin, 1859/1958; Malthus, 1789/1894).
- კონფლიქტი არის ბუნებრივი პროცესი, რომელიც ხელს უწყობს სოციალურ ევოლუციას. (Herbert Spencer, 1898 )
- კონკურენციამ გადარჩენისათვის, განაპირობა პოზიტიური სოციალუ-

1 ბერიძე. რ., კონფლიქტის გადაჭრის სტრატეგიები განსხვავებულ სოციალურ ჯგუფებში (ასაკობრივსა და გენდერულში), თბ.,2009

2 იქვე.

რი განვითარება (William Graham Sumner, 1883).<sup>1</sup> [შანავა.ი,2016]

მარქსისტული თეორიის (1844) თანახმად, კონფლიქტი საზოგადოების მთავარ სტრუქტურულ პირობას და პიროვნებათშორის ურთიერთობებში კი - მის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს. ამავე თეორიის მიხედვით, ინდივიდის ფიქრები და ქცევები დიალექტურ პროცესებში ვლინდება.

ფროიდის ფსიქოანალიტიკური თეორიის თანახმად, კერძო ინტერესები (პირადი ინტერესები) ადამიანის მთავარი მახასიათებელია, რომელსაც მართავს ცნობიერება და არსებობს აგრესიული არაცნობიერი ძალები, რომლებიც ეძებენ გამოხატვის გზებს.

ფარინგტონისა და ქეიჩის მიხედვით, კონფლიქტი ხელს უწყობს პიროვნების განვითარებას. საზოგადოებაში კონფლიქტი უზრუნველყოფს პიროვნების მობილიზებას და მის სრულყოფილ განვითარებას. ოჯახში კონფლიქტი, რომელიც დესტრუქციულად აღიქვამენ ხოლმე ხელს უწყობს ოჯახის წევრებს შორის შეთანხმების მიღწევას და პრობლემების მოგვარებას.<sup>2</sup>

კონფლიქტის კლასიფიკაციის დროს მკვლევართა აზრი განხვავებულია. ისინი კონფლიქტის კლასიფიკაციის განხილვისას ითვალისწინებენ სხვადასხვა ფაქტორებს: კონფლიქტის გადაჭრის საშუალებებს, კონფლიქტის აღმოცენების ბუნებას, კონფლიქტის შედეგის მნიშვნელობას, კონფლიქტის გამოხატვის ხარისხს, კონფლიქტში მონაწილეთა რაოდენობას და სხვა.

ამ ფაქტორთა გათვალისწინებით განასხვავებენ კონფლიქტის შემდეგ ტიპებს:

- ანტაგონისტური კონფლიქტები
- კომპრომისული კონფლიქტები
- სოციალური კონფლიქტები
- საორგანიზაციო კონფლიქტები

**ანტაგონისტური კონფლიქტები** - ასეთი კონფლიქტის დროს კონფლიქტის მონაწილენი ცდილობენ მაქსიმალური გამარჯვების მოპოვებას.

**კომპრომისული კონფლიქტები** - კონფლიქტში მონაწილე ყველა პირი იღებს სარგებელს რაღაც დათმობის ხარჯზე.

**სოციალური კონფლიქტები** - დაპირისპირება პიროვნებებს, სოციალურ ჯგუფებსა და ინსტიტუტებს შორის. ასეთ კონფლიქტებს დიდი მამტაბები აქვს და დიდი ცვლილებებიც მოაქვს საზოგადოებისთვის.

**საორგანიზაციო კონფლიქტები** - ხდება საქმიანი ურთიერთობების დროს. იგი გამოწვეულია შიგაპიროვნებისეული და პიროვნებათშორისი მიზეზებით. შიგაპიროვნებისეული მიზეზები შეიძლება იყოს მაგალითად

<sup>1</sup> შანავა ი., ადაპტაციისა და შეჭიდულობის ფაქტორების როლი ცოლ-ქმრულ კონფლიქტებში, თბ.2016

<sup>2</sup> იქვე.

ნათესაური კავშირებითა და პიროვნებებს შორის სიმპატიებით გამოწვეული, ხოლო პიროვნებათაშორის კი თანამდებობის გამო ან თანამშრომლებს შორის სხვადასხვა წახალისების ან პრემიის გამო და სხვა.

კონფლიქტის კლასიფიკაცია შეიძლება მოვახდინოთ ჰორიზონტალურად, ვერტიკალურად და შერეულად.

ჰორიზონტალური ეს არის რიგით თანამშრომლებს შორის კონფლიქტი, რომლებიც არ იმყოფებიან ერთმანეთთან დაქვემდებარებაში. ვერტიკალურად კი ნიშნავს კონფლიქტს, სადაც კონფლიქტის მონაწილენი იმყოფებიან ერთმანეთის დაქვემდებარებაში. შერეული მოიცავს ორივეს.

პიროვნების შიდა კონფლიქტები - ეს არის ყველაზე რთული მოვლენა ადამიანის ცხოვრებაში. ამ დროს ადამიანის ცნობიერებაში უპირისპირდება ორი საწყისი. შიდა კონფლიქტების ადგილი აქვს მაშინ როდესაც:

- ადამიანმა არჩევანი უნდა გააკეთოს ორ დადებით, ერთმანეთის გამომრიცხავ ალტერნატივას შორის.
- ორ უარყოფით ალტერნატივას შორის უნდა აირჩოს მათგან ნაკლებად არა სასიამოვნო.
- როცა ერთი და იგივე გადაწყვეტილება თანაბრად დადებითიც არის და უარყოფითიც.

ფსიქოლოგების აზრით პიროვნებებს შორის კონფლიქტი ზუსტ კლასიფიკაციას არ ექვემდებარება, რადგან ყოველ ადამიანს თავისი ინდივიდუალური შინაგანი სამყარო აქვს.

პიროვნებათაშორის კონფლიქტებად განიხილება ოჯახური კონფლიქტები. ოჯახური კონფლიქტების ორი სახეობა არსებობს; ესაა კონფლიქტები მეუღლეთა შორის და კონფლიქტები მშობლებსა და შვილებს შორის. ჩვენი საკვლევი თემიდან გამომდინარე განვიხილოთ ოჯახური კონფლიქტის პირველი სახე და მისი გავლენა მოზარდთა განვითარებაზე.

აღბათ არ არსებობს ოჯახი რომლისთვისაც უცხო ხილია კონფლიქტი, მაგარამ ისინი განსხვავდებიან კონფლიქტის სიხშირის, სიღრმის, სიმწვავის და გადაჭრის გზების მიხედვით. მეუღლეთა შორის კონფლიქტების გამომწვევი ფაქტორებია: კრიზისული პერიოდები ოჯახის განვითარებაში, მატერიალური მდგომარეობის გაუარესება, სოციალური პრობლემები, როგორცაა საბინაო, ზღვასა თუ სკოლასთან დაკავშირებული პრობლემები, გადატვირთულობა სამსახურში, უმუშევრობა, მამაკაცისა და ქალის ტრადიციული როლების ცვალებადობა ოჯახში, მორალური ღირებულებების სხვადასხვაობა, შეუთავსებლობა ხასიათსა თუ სექსუალურ ცხოვრებაში და ა. შ.

ოჯახი უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს ბავშვის განვითარების პროცესში. ეს როლი კიდევ უფრო მნიშვნელოვანია მანამ, სანამ ისინი შეძლებენ თავიანთი ფიზიკური და სოციალური გარემოს მართვას. აქვე უნდა

აღნიშნოს ისიც, რომ მართალია ადამიანის სოციალური ორგანიზების ყველა სფეროს აქვს შემდგომ გავლენა ამ პროცესზე, მაგრამ შეუცვლელია ოჯახის როლი და დანიშნულება. ყოველ ბავშვს სჭირდება მხარდაჭერით სავსე ოჯახური ცხოვრება.

ლორა ბერკი აღნიშნავს რომ: „ოჯახს ზეგავლენის სიძლიერითა და მასშტაბით ვერაფერი შეედრება. ის მიჯაჭვულობა, რომელიც ბავშვებს უყალიბდებათ მშობლებისა და და-ძმის მიმართ, ჩვეულებრივ, მთელი ცხოვრება გრძელდება და ისინი საურთიერთობო მოდელად გამოიყენებიან უბანსა და სკოლაში. პირველი სოციალური კონფლიქტი ბავშვებს საკუთარ ოჯახში მოსდით. მშობლების მიერ შემოღებული დისციპლინა, კამათი და-ძმასთან, დათმობის, თანამშრომლობის და სხვების ქცევაზე ზეგავლენის მოხდენის კარგი გაკვეთილია. დაბოლოს, ოჯახში ბავშვი სწავლობს ლაპარაკს, იძენს უნარ-ჩვევებს და ეზიარება საკუთარი კულტურის სოციალურ და ზნეობრივ ფასეულობებს.“ (16; 741-742)

რაც უფრო მეტს კამათობენ მშობლები და იძაბება მათ შორის ურთიერთობა, მეტად ვითარდება კონფლიქტი, მით უფრო ვერ ახერხებენ მშობლები ბავშვების სითბოთი, ყურადღებითა და მუდმივი ხელმძღვანელობით უზრუნველყოფას და შესაბამისად მით უფრო უჭირთ ბავშვებს შეგუება ამ პროცესთან. სკოლამდელთა და უმცროსკლასელების მოუმწიფებელი კოგნიცია ართულებს მათ მიერ მშობლების განქორწინების მიზეზის გაგებას. პატარა ბავშვები ხშირად საკუთარ თავს ადანაშაულებენ და მშობლების განქორწინებას იღებენ, როგორც ნიშანს, რომ ორივე მშობელმა შეიძლება მიატოვოს ისინი, რაც უდიდეს სტრესს იწვევს ამ ასაკის ბავშვებში და ავითარებს შფოთს, ხოლო უფრო მოზრდილებს ძალზე ხშირად აქვთ დაბალი თვითშეფასება საკუთარი თავისა და შესაძლებლობების, თავს გრძნობენ მიტოვებულად და შესაბამისად ხშირად აქვთ დაბალი აკადემიური მოსწრება, ავლენენ აგრესიას ან პირიქით არიან გულჩათხრომილები, გაუბედავები, ვერ ახერხებენ საკუთარი შესაძლებლობების გამოვლენას, შეიმჩნევა ემოციური და ქცევითი პრობლემები.

კონფლიქტი, კონფლიქტის გადაჭრის გზები ოჯახში დიდ გავლენას ახდენს მოზარდთა განვითარებაზე.

კონსტრუქციული ოჯახური კონფლიქტის მოწმე ბავშვებში შეინიშნება ნაკლები ფსიქოლოგიური პობლემები; ისინი ავლენენ კონფლიქტის კონსტრუქციულად მოგვარების უნარებს. კონსტრუქციული ოჯახური კონფლიქტი ხელს უწყობს ბავშვთა პროსოციალური ქცევის განვითარებას.

ბავშვები, რომლებიც ხდებიან განმეორებადი დესტრუქციული ოჯახური კონფლიქტის მაგალითების მომსწრენი, ავლენენ გაზრდილ ფიზიოლოგიურ აღზნებას და ემოციურ დისტრესს, რომელსაც შიშის, ბრაზის და სევდის ფორმით გამოხატავენ.

### **დასკვნა**

ამგვარდ შეგვიძლია დასკვნის სახით ავლნიშნოთ, რომ კონფლიქტი ადამიანის ყოველდღიური ცხოვრების განუყოფელი ნაწილია. დროთა განმავლობაში კონფლიქტისადმი მიდგომა შეიცვალა. თანამედროვე სამყაროში კონფლიქტის განხილვისას ყურადღება ექცევა მის კონსტრუქციულ, პოზიტიურ ფუნქციებს. იგი ადამიანის სოციალიზაციისათვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია.

კონფლიქტის გადაჭრის გზები ოჯახში დიდ გავლენას ახდენს მოზარდთა ემოციურ თავისებურებებზე.

### **გამოყენებული ლიტერატურა:**

1. ბერიძე რ., კონფლიქტის გადაჭრის სტრატეგიები განსხვავებულ სოციალურ ჯგუფებში (ასაკობრივსა და გენდერულში), თბ., 2009
2. ბერკი ლ., ბავშვის განვითარება, თბ., 2010
3. გოგიჩაიშვილი თ., განვითარების ფსიქოლოგია: (სასკოლო ასაკი), თბ., 2005
4. ობოლაძე თ., ოჯახის ფაქტორი და ბავშვთა ემოციური პრობლემები, თბ. 2009
5. ქაჯაია ნ., კონფლიქტის ფსიქოლოგია, თბ., 2011
6. შანავა ი., ადაპტაციისა და შეჭიდულობის ფაქტორების როლი ცოლ-ქმრულ კონფლიქტებში, თბ. 2016
7. ჭკუასელი, ქ. ჭკუასელი, ი. პედაგოგიკის ზოგადი საფუძვლები, თბილისი, 2012, ინტელექტი, 256
8. Pagelow, M.D. – Marital rape. In V.B. Van Hasself R. Morrison A.S. Ballack&
9. M.Hersen (Eds). Handbook of family violence. New York. Plenum Press. 1988;
10. Крайг Г. Психология развития. ПИТЕР. Санкт-Петербург. Москва. Харьков.
11. Минск. 2002;
12. იმედაძე, ი., ფსიქოლოგიის საფუძვლები, თბ., 2007
13. იმედაძე ნ. ქსოვრელაშვილი. ლ., ქართველი მოზარდების სტრესის დაძლევის უნარი, როგორც მათი ფსიქოლოგიური კეთილდღეობის მაჩვენებელი. დიმიტრი უზნაძის ფსიქოლოგიის ინსტიტუტის შრომები. ტომი XX. თბ., 2004
14. მარწყვიშვილი, ხ. ემოციური ინტელექტის, დაძლევის სტრატეგიების და პოსტტრავმული სტრესის ურთიერთმიმართება, დისერტაცია, თსუ. თბ., 2010
15. რიჩარდ, გ. ზიმბარდო, ფ. ფსიქოლოგია და ცხოვრება, თბ., 2009
16. ბერკი ლ. „ბავშვის განვითარება“, თბ., 2010

**The essence of conflict, classification of conflict, The effects if family conflicts on children's condition and behavior**

*Piqria Didebashvili, Associated Professor  
Georgian Technical Universit*

*Mariami Khetagashvili - PhD student  
Georgian Technical University.*

**Summary**

Conflict is an integral part of a person's daily life. According to early studies the conflict was considered by scientists as a negative event that would inevitably have to be resolved. Over time, the approach to conflict has changed. In the modern world, scientists think that conflict has constructive, positive functions. Conflict is one of the most important factors for human socialization.

Conflict plays a big role in the formation of personality, gives a person experience, helps to develop the skills necessary to adapt to the group. Conflict helps a person to realize himself, stimulates self-confidence. Despite the positives, of course, the conflict is characterized by destructive events, for example, the resolution of the conflict can lead to casualties, material damage, it is possible for the conflict to stop the development of society, lead to pessimistic attitudes in society and so on. Therefore, a person should be able to manage conflict situations and find ways to solve them, which also serves to study the general theory of conflict.

The article discusses the essence of the conflict, the classification. The positive and the negative effects of conflict on human development. Conflict-related theories are analyzed, the impact of family conflict on adults.

Keywords: Conflict, Family Conflict, Subject, Conflict Participant, Object, Antagonistic Conflicts, Compromise Conflicts, Social Conflicts, Organizational Conflicts.

# სოციოლოგია

## SOCIOLOGY

### კონსენსუსის მიღწევის პროცესში ჯგუფური დინამიკის წარმოჩენის ვიზუალური ხერხი

*კატერინე გვერდწითელი-გოგსაძე, დოქტორანტი  
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

#### რეზიუმე

სადოქტორო ნაშრომზე მუშაობის პროცესში (კონსენსუსი და მისი მიღწევის გზები) ჯგუფში წარმოშობილი დინამიკის წარმოსაჩენად, საჭირო გახდა ისეთი მონაცემთა ვიზუალური წარმოდგენის ხერხის გამოყენება, სადაც თვალნათლივ გამოჩნდებოდა ჯგუფური აზრის მოძრაობის მიმართულება (გასაშუალოება, პოლარიზაცია, გადაწევა).

ამ მიზნით ჩვენ შევიმუშავეთ მონაცემთა ვიზუალური წარმოდგენის ხერხი, კერძოდ ე.წ. „წრფივი გრაფიკი“.

წრფივი გრაფიკი დაგვეხმარა დაგვენახა, თუ ჯგუფის მუშაობის პროცესში თითოეულ საკითხისზე შეთანხმებისას რა დინამიკა მივიღეთ: ჯგუფის პოლარიზაცია, ნორმალიზაცია თუ გადაწევა. აღნიშნული ინსტრუმენტი კონსენსუსის მიღწევის დროს აღმოცენებული ჯგუფური დინამიკის გაზომვისას დიდ დახმარებას გაუწევს ამ საკითხით დაინტერესებულ მკვლევარებს.

საკვანძოს სიტყვები: კონსენსუსი, ჯგუფური დინამიკა, მონაცემთა ვიზუალური წარმოდგენის ხერხი, პოლარიზაცია, ნორმალიზაცია, გადაწევა, „წრფივი გრაფიკი“, ჯგუფის მოდა, ჯგუფის საშუალო.

#### შესავალი

სადოქტორო ნაშრომზე მუშაობის პროცესში (კონსენსუსი და მისი მიღწევის გზები) ჯგუფში წარმოშობილი დინამიკის წარმოსაჩენად, საჭირო



გახდა ისეთი მონაცემთა ვიზუალური წარმოდგენის ხერხის გამოყენება, სადაც თვალნათლივ გამოჩნდებოდა ჯგუფური აზრის მოძრაობის მიმართულება (გასაშუალოება, პოლარიზაცია, გადაწევა).

ამ მიზნით ჩვენ შევიმუშავეთ მონაცემთა ვიზუალური წარმოდგენის ხერხი, კერძოდ ე.წ. „წრფივი გრაფიკი“.

### ძირითადი ტექსტი

კონსენსუსის შესახებ არსებულ თეორიებში ნათქვამია, რომ კონსენსუსის საშუალებით გადაწყვეტილების მიღებისას, ჯგუფში გამოიკვეთება სამი სახის დინამიკა: 1. ხდება ამ პროცესში მონაწილეთა ინდივიდუალური მოსაზრებების გასაშუალება, იგივე ნორმალიზაცია. 2. ჯგუფური აზრის პრედომინანტული მოსაზრებისაკენ გადახრა ანუ პოლარიზაცია და 3. ჯგუფური აზრის, გადაწევა იგივე ექსტრემიზმი, ჯგუფური მსჯელობის შედეგად საშუალო პოზიციიდან მკვეთრად გადახრილი მოსაზრების გამარჯვება.

ამდენად, საკვლევი საკითხის სპეციფიკიდან გამომდინარე, საჭირო გახდა კვლევის შედეგად მიღებული მონაცემების ისე დამუშავება, რომ ნათელი გამხდარიყო, ჯგუფმა, არსებულ საკითხებზე მსჯელობის შედეგად, მიაღწია რა კონსენსუსს, ამ პროცესში რა დინამიკა გამოიკვეთა: ნორმალიზაცია პოლარიზაცია თუ გადაწევა.

კვლევის პროცესში ჩვენს მიერ დაკომპლექტდა მცირე ზომის დისკუსიური ჯგუფები (ხუთიდან ათ მონაწილემდე). მათ ეძლეოდათ სამუშაო ფურცლები, მაგ. ე.წ. „15 თემიანი დავალება,..“ ჯგუფის მონაწილეებს უნდა მოეხდინათ სამუშაო ფურცლებზე მოცემული დებულებების რანჟირება, ჯერ ინდივიდუალურად, ხოლო შემდეგ კი ჯგუფურად. დისკუსიური ჯგუფის მონაწილეები რანჟირებისას პირველ ადგილზე წერდნენ იმ თემას, რომელიც ყველაზე მნიშვნელოვანი იყო მათთვის, ხოლო მე-15-ზე კი ყველაზე ნაკლებ მნიშვნელოვანი, შესაბამისად მერვე ადგილზე მოხვედრილი თემა ამ შემთხვევაში გამოდიოდა ყველაზე ნეიტრალური, ამიტომ, იგი ჩავთვალეთ პირობით ნოლად. ეს მონაცემები წარმოვადგინეთ, განვალაგეთ წრფეზე (სკალაზე). 8-დან 15-მდე მნიშვნელობები განვალაგეთ მინუსისკენ, ხოლო 8-დან 1-მდე პლიუსისკენ. რანჟირების შედეგად 1-დან 5-მდე მონაკვეთზე განლაგებული თემები ჩავთვალეთ ძლიერ, 6-დან 10-დე საშუალო, ხოლო 11-დან 15-მდე მცირე უპირატესობა მინიჭებულ თემებად. წრფეზე მოვათავსეთ როგორც ჯგუფის საერთო და ინდივიდუალური მაჩვენებლები, ასევე ჯგუფის წევრთა ინდივიდუალურ პასუხებზე დაყრდნობით გამოთვლილი საშუალო და მოდა. ამგვარად, ჯგუფის წევრთა ინდივიდუალური და საერთო, საშუალო და ჯგუფის მოდის შედარებით ჩვენ შევძელით თვალსაჩინოდ დაგვენახა, თუ ჯგუფში მსჯელობის შედეგად

რა სახის დინამიკა გამოიკვეთებოდა – გაძლიერდებოდა მონაწილეთა თავდაპირველი ტენდენციები (მოხდებოდა ჯგუფის პოლარიზაცია) მოხდებოდა აზრის გასაშუალოება (ნორმალიზაცია) თუ ადგილი ექნებოდა გადაწევას (ექსტრემიზმს).

სკალას შემდეგი სახე მიეცით:

– 15—14—13—12—11—10—9—8—7—6—5—4—3—2—1 +

მონაცემთა ვიზუალური წარმოდგენისათვის განსაზღვრეთ შემდეგი პირობითი აღმნიშვნელები:

- ✚ - ინდივიდუალური მონაცემი
- ✚ - ჯგუფის საერთო მონაცემი
- ✚ - ჯგუფის მონაცემთა საშუალო მნიშვნელობა
- ✚ - ჯგუფის მონაცემთა მოდა

A1, B1 და ა.შ. - კონკრეტული ჯგუფის მონაწილის პირობითი აღმნიშვნელი.

ჯგუფის საშუალო და საერთო მონაცემთა შედარება წარმოდგენას შეგვიქმნის იმაზე, თუ რამდენად მოხდა ჯგუფური მსჯელობის შედეგად ჯგუფური გადაწყვეტილების გასაშუალოება, ანუ ნორმალიზაცია, ხოლო ჯგუფის მოდასა და საერთო მაჩვენებლის შედარების შედეგად შეგვეძლება დავასკვნათ, ადგილი ჰქონდა თუ არა ჯგუფში პოლარიზაციის ფენომენს. მოდა ესაა მნიშვნელობა, რომელიც ყველაზე ხშირად გვხვდება მონაცემებში, პოლარიზაცია კი ჯგუფის წევრთა თავდაპირველი შეხედულებების გაძლიერებაა. თუ მოდა დაემთხვევა საერთო პასუხს, მაშინ შეგვეძლება ვივარაუდოთ, რომ კონსენსუსი მიღწეულ იქნა პოლარიზაციის საშუალებით, ანუ თავდაპირველი მოსაზრებების გაძლიერების შედეგად. პოლარიზაციას გადაწევისაგან (ექსტრემიზმისაგან) პრედომინანტული პასუხების რაოდენობა განასხვავებს. ნორმალიზაციის დროს საერთო პასუხი, როგორც წესი, სადღაც ინდივიდუალურ პასუხთა შორის ხვდება, ხოლო გადაწევისას წრფეზე აშკარად ჩანს მოძრაობა გაძლიერების ან შესუსტებისკენ (პლიუსის ან მინუსისკენ). იმ შემთხვევაში, როდესაც საჭოჭმანოა, შედეგი ნორმალიზაციაა თუ გადახრა (ანუ საერთო მონაცემი თან არც ისე ახლოა საშუალო მონაცემთან, რომ აშკარად ვთქვათ, რომ მოხდა ჯგუფური აზრის გასაშუალოება და არც ისე გადაწეული ინდივიდუალური მონაცემებისგან, რომ ვთქვათ რომ მოხდა გადახრა გვეხმარება მონაცემთა სამ ზონად (ძლიერ უპირატესობა მინიჭებული ზონა 1-5, საშუალო 6-10 და სუსტი 11-15) დაყოფის პრინციპი. ასე, მაგალითად თუ

საშუალო და საერთო მონაცემები ერთ ზონაში ხვდება ვვარაუდობთ, რომ მოხდა უფრო მაინც ნორმალიზაცია. ხოლო საშუალო მონაცემი თუ სხვა ზონაში ხვდება, მაშინ ადგილი აქვს ჯგუფური აზრის გადახრის (შესუსტებისა ან გაძლიერებისკენ).

მაგალითისთვის განვიხილოთ ნიმუში 3. მასზე წარმოდგენილია ჯგუფის “15 თემიანი” დავალების მეოთხე თემზე მიღებული ინდივიდუალური და საერთო რანჟირების შედეგები.


**თემა 4**

საერთო – 2

საშუალო – 3

მოდა – 2

პოლარიზაცია



ნიმუში 3

ნიმუშიდან ჩანს, რომ ჯგუფის წევრების ინდივიდუალური პასუხები თავიდანვე ძლიერ უპირატესობის მქონე დიაპაზონში განლაგდა. შემდეგ ჯგუფის წევრებმა მიაღწიეს თანხმობას და საერთო გადაწყვეტილების საფუძველზე ეს თემა განალაგეს მეორე პოზიციაზე. ჩვენ თუ შედეგებზე მხოლოდ მინიჭებული რანგით ვიმსჯელებთ (მაგალითად შევხედავთ საერთო და საშუალო მონაცემებს შორის კორელაციის დონეს) ვივარაუდებთ, რომ მოხდა ჯგუფური აზრის გასაშუალოება, მაგრამ ვერ დავინახავთ, რომ სინამდვილეში ეს იყო პოლარიზაცია, ვინაიდან ამ შემთხვევაში მოხდა ჯგუფის წევრთა საწყისი პოზიციების გაძლიერება (სამ წევრს ხუთიდან იგივე პოზიცია ჰქონდა მინიჭებული ამ თემისთვის, რაც შემდეგ საერთო მსჯელობის შედეგად დაასახელეს).

**დასკვნა**

წრფივი გრაფიკი დაგვეხმარა დაგვეჩვენა, თუ ჯგუფის მუშაობის პროცესში თითოეულ საკითხისზე შეთანხმებისას რა შედეგი მივიღეთ: ჯგუფის პოლარიზაცია, ნორმალიზაცია თუ გადაწევა. ჩვენი აზრით, აღნიშნული ინსტრუმენტი კონსენსუსის მიღწევის პროცესში აღმოცენებული ჯგუფური დინამიკის გაზომვისას დიდ დახმარებას გაუწევს ამ საკითხით დაინტერესებულ მკვლევარს.

**გამოყენებული ლიტერატურა**

1. გაფრინდაშვილი რ., ბანძელაძე მ. სოციალური ფსიქოლოგია. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი. 2003 წ.
2. წულაძე ლ. რაოდენობრივი კვლევის მეთოდები სოციალურ მეცნიერებებში. სოციალურ მეცნიერებათა სერია. 2008 წ.
3. Питер Гелдерлоос "Консенсус: принятие решений в свободном обществе"
4. Moscovici S. Doise W. conflict and consensus. (1994) SAGE Publications
5. Tim Hartnett Consensus Oriented Decision Making. 2011

**A visual way of presenting group dynamics in the process of reaching  
consensus**

*Ekaterine Gverdtseteli-Gogsadze, PhD student  
Georgian Technical University*

**Summary**

While working at our PhD theme, it became necessary to create the so-called "line graph" that is an adequate reflection of the current dynamics in the group and which helps us to see what happens to group's opinion during discussion and what we get as a result, group polarization, normalization or deviation.

## მართვის სოციოლოგიისა და სოციალური ჯგუფების ურთიერთმიმართების საკითხი

*ფიქრია დიდუბაშვილი, ასოცირებული პროფესორი  
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

*გრიგოლ კიკალიშვილი, დოქტორანტი  
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

### რეზიუმე

მართვის სოციოლოგიისა და სოციალური ჯგუფების ურთიერთ-მიმართების საკითხი განვიხილვისას გავანალიზეთ, რომ მართვის სოციოლოგიაზე სოციოლოგიური კონცეფციების გავლენა მრავალმხრივია და იგი უპირველეს ყოვლისა გამოიხატება ჯგუფებისა და ორგანიზაციების შესახებ თეორიებში. მართვის საჭიროება დგება იქ, სადაც არსებობს სოციალური ჯგუფი, ეს იქნება პირველადი თუ მეორადი, დიდი თუ მცირე, ფორმალური თუ არაფორმალური, გუნდი თუ სხვა ტიპის ადამიანთა ერთობა. განვიხილეთ მართვის მიმართულების ძირითადი სკოლები. ავლნიშნეთ რომ მ. ვებერმა ჩამოაყალიბა „იდეალურია“ მართვის ორგანიზაცია. მასში მოცემულია მართვის საქმიანობის რეგულირება, მისი ფორმალიზაცია, იერარქიული სტრუქტურა, მართვის პრინციპები, კლასიკური მართვის თეორიების მოდიფიცირება მრავალფაქტორივი ანალიზის საფუძველზე. აღსანიშნავია ისიც, რომ კლასიკური ან ადმინისტრაციული სკოლის წარმომადგენელმა, ჩასტერ ბერნარდმა კვლევის პროცესში ყურადღება მიაქცია ფორმალური ორგანიზაციის შიგნით არსებულ არაფორმალურ ორგანიზაციას. მას მიაჩნდა, რომ არაფორმალური ჯგუფს სწორი მართვის პირობებში ორგანიზაციისათვის მნიშვნელოვანი წარმატების მოტანა შეეძლო. ადმინისტრაციული (კლასიკური) მართვის სკოლის წარმომადგენლების ყურადღება გადატანილი იყო ორგანიზაციულ მოწყობაზე, ხოლო ადამიანური ფაქტორი მართვის პროცესში მათ მიერ უგულვებელყოფილი იყო, თუმცა მათ მიერ ჩატარებული კვლევებისა და რეკომენდაციების საფუძველზე გაუმჯობესდა ურთიერთობები მმართველებსა და ხელქვეითებს შორის, რაც სოციალური თვალსაზრისით შესაძლოა ამ სკოლის დიდ დამსახურებად ჩაითვალოს. ადამიანურ ურთიერთობათა სკოლის წარმომადგენლები ფიქრობდნენ, რომ ეფექტური მართვის სისტემაზე გავლენას ახდენენ ორგანიზაციაში დასაქმებული პირები და არა მართვის მკაცრად განსაზღვრული ავტორიტარული და ბიუროკრატიული სისტემები, თუმცა მცირე სოციალური ჯგუფების საწარმოო მიზნებისათვის წარმატებულად გამოყენების იდეა განხილული არ იყო. მართვის პროცესისადმი ასეთმა მიდგომამ დადებითი როლი

ითამაშა მართვის პროცესის ევოლუციაში. საწარმოო პროცესში ადამიანის ღირებულების აღიარებამ, არაფორმალური სოციალური ჯგუფებისადმი პოზიტიურმა დამოკიდებულებამ შესაძლებლობა მისცა დასაქმებულებს თავი ეგრძნოთ ორგანიზაციული კულტურის ღირებულ ნაწილად.

საკვანძო სიტყვები: მართვის სოციოლოგია, მენეჯმენტი, სოციოლოგია, მართვის ძირითადი სკოლები, ორგანიზაციული მართვის კონცეფცია, რაციონალიზაცია, ფორმალური, არაფორმალური ორგანიზაცია, ბიჰევიორისტული მიდგომა, მოტივაციის თეორია.

### **შესავალი**

მართვის სოციოლოგია - სოციოლოგიური მეცნიერების ნაწილია, რომელიც სწავლობს მსხვილი და მცირე სოციალური სისტემების სოციალური მართვის პროცესების მექანიზმებს. მართვის სოციოლოგია წარმოიშვა ორი დამოუკიდებელი მეცნიერების მენეჯმენტისა და სოციოლოგიის მიჯნაზე. სოციოლოგია შეისწავლის საზოგადოების განვითარებისა და ფუნქციონირების ზოგადი კანონების გამოვლენის სხვადასხვა ფორმას, მათ შორის მცირე ჯგუფების და ცალკეული პიროვნებების ქცევას. ისტორიული განვითარების საფუძველზე, მოსახლეობის საქმიანობის ცვალებადობის კვალდაკვალ მრავალი პროფესია წარმოიშვა და ერთიანი წარმოების პროცესში სხვადასხვა მონაწილე ორგანიზაციების, სოციალური ჯგუფების მართვის მოთხოვნილება გაჩნდა. სწორედ ამ ცვლილებების საფუძველზე მენეჯმენტი გარდაიქმნა და მასში აისახა მმართველობითი საქმიანობის სხვადასხვა ასპექტები. (6; 9)

### **ძირითადი ნაწილი**

მართვის სოციოლოგიაში სუბიექტ-ობიექტის ურთიერთმიმართების შესწავლის სოციოლოგიური პერსპექტივები განისაზღვრება, ერთი მხრივ, მართვის ინსტიტუტების შესწავლით (პერსონალის შერჩევა და სწავლება; როლებისა და ფუნქციების განცალკევება, სპეციალიზაცია; სტატუსის, პოზიციების იერარქიული სისტემა, პერსონალის ქცევის მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმები და ა.შ.) მეორე მხრივ კი ესაა მართვის გადაწყვეტილებების სოციალური შედეგები. (8) მენეჯმენტი მიზნად ისახავს ჩამოაყალიბოს და პრაქტიკაში დანერგოს მართვის ზოგადი პრინციპები, რომლებიც გამოსადეგი იქნება ნებისმიერი საზოგადოებისათვის.

მართვის სოციოლოგიას საფუძველი XIX ს-ის ბოლოსა და XX ს-ის დასაწყისში ჩაეყარა. მის ფუძემდებლად ითვლებიან ამერიკელი ინჟინრები ფ. ტეილორი, ს. ტომპსონი, გ. ემერსონი და სხვ. ისინი ძირითადად ყურადღებას უშრომისნაყოფიერების ამაღლებისა და სოციალური ურთიერთობების

რეგულირების საკითხებზე ამახვილებდნენ. თანამედროვე მენეჯმენტისა და მართვის სოციოლოგიის თეორიას საფუძველი ჩაუყარეს მასლოუმ, მეიომ, დრაკერმა, მაკრეგორმა, ჰერცბერგმა და ლაიკერტმა. მათ დაამუშავეს „შრომის გამდიდრებისა“ და „ჰუმანიზაციის“ კონცეფცია. (1)

მართვის სოციოლოგიის, ანუ გამოყენებითი სოციოლოგიის პრაქტიკული მნიშვნელობა მხედველობიდან არ გამორჩენიათ სოციოლოგებს, ფილოსოფოსებს, ფსიქოლოგებსა და ამ სფეროთი დაინტერესებულ სხვა მეცნიერებს. ამის დასტურად შესაძლოა ის ფაქტიც მოვიყვანოთ, რომ მაინის ფრანკფურტში გოეთეს სახელობის უნივერსიტეტში 1922 წელს „სოციალური კვლევის ინტიტუტის“ ბაზაზე ჩამოყალიბდა „ფრანკფურტის სკოლის“ სახელით ცნობილი მკვლევა ჯგუფი. მის დამფუძნებლებს, ხელმძღვანელებსა და მეცნიერებს აინტერესებდათ ფილოსოფიის და სოციალური მეცნიერების თანამედროვე მდგომარეობის ანალიზი. (2; 125).

მართვის სოციოლოგიაზე სოციოლოგიური კონცეფციების გავლენა მრავალმხრივია. „იგი უპირველეს ყოვლისა, გამოიხატება ჯგუფებისა და ორგანიზაციების შესახებ თეორიებში. მიუხედავად იმისა, რომ ეს თეორიები მთლიანად არის მოქცეული სოციოლოგიის ჩარჩოებში, ჯგუფებისა და ორგანიზაციების შესახებ სოციოლოგია, ანუ ორგანიზაციული სოციოლოგია, პირდაპირაა დაკავშირებული პერსონალის მართვასთან. იგი გვეხმარება ჯგუფური საქმიანობის კანონზომიერებათა ახსნაში. ( 5; 7)

მართვის, როგორც მეცნიერებისათვის საინტერესო დარგის წარმოშობა დაიწყო მე-19 საუკუნის ბოლოს ა.შ.შ-ში. იგი განაპირობა ამ ქვეყანაში შექმნილმა ეკონომიკურმა და სოციალურმა პირობებმა. საბაზრო ეკონომიკისა და მძაფრი კონკურენციის პირობებში იმარჯვებდა ის, ვისაც უკეთესი მართვის უნარი და ცოდნა გააჩნდა. საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლამ განაპირობა მბრძანებლური მართვის სტილის შეცვლა დემოკრატიულ პრინციპებზე დაფუძნებული მმართველობით. ეს ცვლილება კი მხედველობიდან არ გამორჩენიათ მეცნიერებს და მათ დიდი წვლილი მიუძღვით თანამედროვე მართვის თეორიების ჩამოყალიბებაში.

მართვის სოციოლოგიით ჩვენი დაინტერესება გამოწვეულია იმით, რომ, თვით მართვის პროცესი შეუძლებელია განყენებულად განვიხილოთ. მართვის საჭიროება დგება იქ, სადაც არსებობს სოციალური ჯგუფი, ეს იქნება პირველადი თუ მეორადი, დიდი თუ მცირე, გუნდი თუ სხვა ტიპის ადამიანთა ერთობა. ადამიანთა ერთობას (ორგანიზაციას) ჯგუფი ან გუნდი რომ ვუწოდოთ უნდა არსებობდეს მინიმუმ ორი ადამიანი, რომლებიც ამ ერთობის წევრებად გრძნობენ თავს, აქვთ საერთო მიზანი და მუშაობენ ამ მიზნის მისაღწევად. მართვის პროცესში სოციალური ურთიერთობები მრავალმხრივია, სოციალური ურთიერთქმედება მოიცავს არამხოლოდ

ეკონოკურ და სხვა საზოგადოებრივ ურთიერთობებს, არამედ პირად, სენსიტიურ შეგრძნებებსაც.

მართვის სოცილოგიის საკითხით დაინტერესებული მეცნიერები ამ სფეროს შესწავლისათვის იყენებენ სოცილოგიურ გამოკვლევებს და მოდელირებას, ამდენად ეფექტური მართვისათვის მნიშვნელოვანია სოცილოგიის როლი, რომლის შესწავლის საგანი სწორედ ადამიანთა ურთიერთობებია. ადამიანთა ერთობას კი საკუთარი კონტროლის სისტემა და იერარქია გააჩნია. ორგანიზაციის მთავარი მამოძრავებელი ძალა ინდივიდებია, მათი სწორად მართვა კი მოითხოვს მეცნიერულ მიდგომას, ვინაიდან თოთოეული ადამიანი განსაკუთრებულია თავისი ქცევის წესებით, გააჩნია თავისი ღირებულებათა სისტემა და ინდივიდუალურია მისი შრომითი მოტივაცია.

როდესაც საუბარია მართვაზე და მართვის მეცნიერულ მეთოდებზე, აქ ბუნებრივია იხადება კითხვები: ვის ან რას სჭირდება მართვა, რატომ არის საჭირო მეცნიერული მიღწევების მართვაში გამოყენება და რა მოხდება თუკი არ იარსებებს კონტროლის სისტემა?

მართვის სფეროში მეცნიერული მეთოდებისა და მიღწევების დანერგვის აუცილებლობა ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის ბოლოსა და მე-20 საუკუნის დასაწყისში გახდა აქტუალური, მას შემდეგ რაც ამერიკასა და ევროპაში შეიქმნა დიდი კორპორაციები, რომელთა მმართველებიც უწინდებურად ამ ორგანიზაციების მფლობელები კი არ იყვნენ, არამედ მათ მიერ დაქირავებული ადამიანები, რომლებიც ეწეოდნენ მმართველობით საქმიანობას, რისთვისაც მეპატრონეები მათ გასამრჯელოს უხდიდნენ. სწორედ ამ პერიოდში ჩამოყალიბდა ა.შ.შ.-ში მართვის მიმართულების ძირითადი სკოლები: 1) მეცნიერული მართვის სკოლა, 2)ადმინისტრაციული (კლასიკური) მართვის სკოლა, 3)ადამიანურ ურთიერთობათა სკოლა.

თუკი განვიხილავთ თითოეული მათგანის ჩამოყალიბებისა და განვითარების საფუძვლებს, მათი მიღწევების შედეგებს, ნათელი გახდება რაოდენ დიდი წვლილი შეიტანეს სოცილოგიური კვლევებითა და მოდელირებით მეცნიერებმა მართვის თეორიის განვითარებისა და სრულყოფის საქმეში.

მეცნიერული მართვის სკოლის ფუძემდებლად ამერიკელი ინჟინერი ფ. ტეილორი ითვლება. იგი იკვლევდა ორგანიზაციაში დაბალი ეფექტიანობის მიზეზებს, რის შედეგადაც იმ დასკვნემდე მივიდა, რომ არაეფექტური მართვის მთავარი მიზეზები მკაცრად განსაზღვრული პრინციპების უქონლობა იყო. მან თავის წიგნში „მეცნიერული მართვის პრინციპები“ ჩამოაყალიბა მართვის პროცესისათვის აუცილებელი რეკომენდაციები, რაც მეცნიერული მეთოდების მართვაში გამოყენებას გულისხმობდა. ამ რეკომენდაციების გატა-



რებამ გაზარდა შრომისმწარმოებლურობა, ხოლო ამან კადრების გადინების შემცირებას შეუწყო ხელი, თუმცა ამ თეორიის ავტორებს მხედველობიდან გამორჩათ მართვის მეცნიერების მნიშვნელოვანი მხარე, ადამიანური ასპექტი. დასაქმებულთა სოციალური მოთხოვნილებები მეცნიერული მართვის სკოლის წარმომადგენელთა მიერ არ იყო გამოკვლეული და არ იყო ინდივიდისა და სოციალური ჯგუფის დადებითი როლი სათანადადოდ შეფასებული. სწორედ ამიტომ თვლიან მის ნაკლოვან მხარედ ამ თეორიის კრიტიკოსები სოციალური ასპექტების გაუთვალისწინებლობას. (3;18)

ადმინისტრაციული (კლასიკური) მართვის სკოლა 1920 წლიდან წარმოიშვა, რომლის წარმომადგენლებმაც შეიმუშავეს ორგანიზაციული მართვის კონცეფცია. ამ კონცეფციის ავტორი იყო მაქს ვებერი. ამ თეორიის თანახმად ეფექტური მართვა მხოლოდ შრომის რაციონალიზაციის გზით იყო შესაძლებელი. მაქს ვებერს მართვის ორგანიზაციულ ფორმად ბიუროკრატია მიაჩნდა. თუ მ. ვებერის თეორიას შევაფასებთ, შეგვიძლია ვთქვათ, რომ იდეალურია მართვის ორგანიზაცია მის კონცეფციაში. მასში მოცემულია მართვის საქმიანობის რეგულირება, მისი ფორმალიზაცია, იერარქიული სტრუქტურა, მართვის პრინციპები, კლასიკური მართვის თეორიების მოდიფიცირება მრავალფაქტობრივი ანალიზის საფუძველზე.

კლასიკური ან ადმინისტრაციული სკოლის წარმომადგენლები არიან ასევე: ა. ფაიოლი, ლ. ურვიკი, დ. მუნი. მათ გააანალიზეს უნივერსალური მართვის პრინციპები, მართვის ძირითადი მახასიათებლები, ფუნქციები, ორგანიზაციული მართვის სისტემური მიდგომა, სოციოლოგიური განათლების საჭიროება. (9)

ამ სკოლის წარმომადგენელმა ჩასტერ ბერნარდმა კვლევის პროცესში ყურადღება მიაქცია ფორმალური ორგანიზაციის შიგნით არსებულ არაფორმალურ ორგანიზაციას. მას მიაჩნდა, რომ არაფორმალურ ჯგუფს სწორი მართვის პირობებში ორგანიზაციისათვის მნიშვნელოვანი წარმატების მოტანა შეეძლო.

ადმინისტრაციული (კლასიკური) მართვის სკოლის წარმომადგენლების ყურადღება გადატანილი იყო ორგანიზაციულ მოწყობაზე, ხოლო ადამიანური ფაქტორი მართვის პროცესში უგულველყოფილი იყო, თუმცა მათ მიერ ჩატარებული კვლევებისა და რეკომენდაციების საფუძველზე გაუმჯობესდა ურთიერთობები მმართველებსა და ხელქვეითებს შორის, რაც სოციალური თვალსაზრისით შესაძლოა ამ სკოლის დიდ დამსახურებად ჩაითვალოს. (3 ;19)

ადამიანურ ურთიერთობათა სკოლის წარმომადგენლები ფიქრობდნენ, რომ ეფექტური მართვის სისტემაზე გავლენას ახდენენ ორგანიზაციაში დასაქმებული პირები და არა მართვის მკაცრად განსაზღვრული ავტორიტარული და ბიუროკრატიული სისტემები, თუმცა მცირე სოციალური

ჯგუფების საწარმოო მიზნებისათვის წარმატებულად გამოყენების იდეა განხილული არ იყო. მათ მიერ ჩატარებული კვლევებითა და ექსპერიმენტებით დადასტურდა, რომ ხელმძღვანელი პირების მუშებისადმი დადებითმა განწყობამ და მათი სოციალური და ფიზიოლოგიური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისათვის ზრუნვამ გაზარდა შრომისმწარმოებლურობა. ადამიანი იქცა მთავარ სუბიექტად და ღირებულებად ორგანიზაციულ სისიტემაში. ადამიანურ ურთიერთობათა სკოლის წარმომადგენლები აბრაამ მასლოუ და დუგლას მაკგრეგორი ადამიანებზე დაკვირების შედეგად მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ ინდივიდთა შესაძლებლობების სათანადოდ შეფასებისა და გამოყენებით შესაძლებელია მათი კეთილგანწყობის მოპოვება და ორგანიზაციის საკეთილდღეოდ გამოყენება.

ადამიანურ ურთიერთობათა სკოლის ერთ-ერთი მიმართულებაა მართვის პროცესისადმი ბიჰევიორისტული მიდგომა, რაც გულისხმობს მეცნიერული მეთოდების გამოყენებას ინდივიდთა ქცევის შესასწავლად. ამ მიდგომის მიზანი იყო დასაქმებულთა ქცევითი მოტივებისა და სხვა ადამიანებთან დამოკიდებულების განმსაზღვრელი ფაქტორების შესწავლა.

მართვის პროცესისადმი ასეთმა მიდგომამ დადებითი როლი ითამაშა მართვის პროცესის ევოლუციაში. გამოვლინდა შიდა ორგანიზაციული პროცესების რეგულირებისა და ადამიანურ ურთიერთობათა წინა პლანზე წამოწევის აუცილებლობა. საწარმოო პროცესში ადამიანის ღირებულების აღიარებამ, არაფორმალური სოციალური ჯგუფებისადმი პოზიტიურმა დამოკიდებულებამ შესაძლებლობა მისცა დასაქმებულებს თავი ეგრძნოთ ორგანიზაციული კულტურის ღირებულ ნაწილად, ადამიანებს შორის ინტერპერსონალური ურთიერთობები გახდა უფრო მჭიდრო და მოქნილი, რამაც შედეგად მოგვცა დასაქმებულთა ინტელექტუალური და შრომითი პოტენციალის თითქმის სრულად ათვისების შესაძლებლობა ორგანიზაციის განვითარებისა და წარმატებისათვის.(3; 21-23)

ფილოსოფოსი ფოლექტი თავის ნაშრომებში ამტკიცებდა, რომ მოსამსახურეები თავიანთ პოტენციალს გამოავლენენ მხოლოდ, როგორც ჯგუფის წევრები, რაც მან ორგანიზაციის საფუძვლად მიიჩნია. მენეჯერები და მოსამსახურეები არიან ერთი ჯგუფის წევრები და საქმის წარმატება ერთნაირად აინტერესებთ.(4)

ნიუ-ჯერსის „ბელის“ სატელეფონო კომპანიის პრეზიდენტ ბერნარდს ორგანიზაცია ესმოდა, როგორც „ორი ან მეტი პირის გაცნობიერებული ურთიერთშეთანხმებული მოქმედებებისა და ძალისხმევის სისტემა“. ორგანიზაციის მიზნების მისაღწევად შრომის პროცესში ადამიანებს საკუთარი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების საშუალება უნდა ჰქონდეთ ორგანიზაციის ეფექტურობისა და მომგებიანობის ზრდასთან ერთად,

მენეჯერის ძირითადი ზრუნვის საგანიც სწორედ ეს არის.

უნდა ითქვას, რომ ადამიანურ ურთიერთობათა სკოლაში ყველაზე ნაყოფიერი წვლილი შეიტანა ჰარვარდის უნივერსიტეტის ფსიქოლოგმა ელტონ მაიომ (Elton Mayo, 1880-1949). 1927-დან 1932წ.-მდე მაიო და ფრიც ჯ. როეთლისბერგერი (Fritz J. Roethlisberger, 1898-1974) სათავეში ედგნენ ჰარვარდის კვლევით ჯგუფს ილინოისში „უესტერნ ელექტრიკ ჰოლთორნის“ ქარხანაში. კვლევის საგანი იყო მოსამსახურეთა შრომისეფექტურობის ზრდის გზები პროდუქტიულობაზე გავლენის მქონე ფაქტორების დადგენით. კვლევის შედეგებმა სამენეჯმენტო აზროვნებისა და პრაქტიკის კურსი შეცვალა. „ჰოლთორნის ეფექტის“ მიხედვით პროდუქტიულობა მოსალოდნელია გაიზარდოს, თუ მენეჯერები მომსახურეებს განსაკუთრებულ ყურადღებას დაუთმობენ, შრომის პირობების გაუარესების მიუხედავად.

ადამიანთა ურთიერთობების სკოლის წარმომადგენლება: მ. ფოლეთიმ, ე. მაიომ, კ. ლევინმა ორგანიზაცია, განიხილეს, როგორც სოციალური სისტემა. ყურადღება გაამახვილეს მართვის სოციალურ ფუნქციებზე. ადამიანის ფაქტორისა და მცირე ჯგუფების როლზე. შეისწავლეს ინტერპერსონალური ურთიერთობები, მათი გავლენა სამუშაო კმაყოფილებაზე, წარმოების ზრდაზე.(9) ადამიანურ ურთიერთობის სკოლის დამსახურებაა ინდივიდთა მოთხოვნილებებისა და მომსახურე პერსონალის მოტივაციაში (წახალისებაში) მათი როლის ახლებური ხედვა.

მოტივაციის პოზიტიური (წახალისების) თეორიის ჩამოყალიბების მცდელობისას ფსიქოლოგი აბრამ მასლოუ ამტკიცებდა, რომ ადამიანებს აქვთ ბაზისური (ძირითადი) მოთხოვნილებები, რომელთაგან თითოეული არის მოტივატორი. [3;16].

აქვე უნდა განვიხილოთ დ. მაკგრეგორის: „X“ და „Y“ თეორიები. დუგლას მაკგრეგორმა ყურადღება ადამიანის ბუნებას მიაპყრო და აღნიშნა მისი მოქმედება მენეჯერების მოტივაციურ მეთოდზე. თეორია „X“-ში ორგანიზაციის ცენტრალური პრინციპი არის მართვა და კონტროლი ძალაუფლების გამოყენებით, რასაც მან „სკალური პრინციპი“ უწოდა. თეორია „Y“-ში კი - გაერთიანების პრინციპი: ისეთი პირობების შექმნა, რომ ორგანიზაციის წევრების პირადი მიზნების მიღწევა შესაძლებელი იყოს საქმის წარმატებისათვის ძალისხმევის გზით, მომსახურეებს შეუძლიათ პასუხისმგებლობის აღება და ორგანიზაციული მიზნების შესაბამისად საკუთარი თავის მართვა გარეშე კონტროლისა და დასჯის მუქარის გარეშე.

## დასკვნა

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას: არ არსებობს საზოგადოებრივი ცხოვრების არც ერთი სფერო, სადაც ემპირიულ-სოციოლოგიური და კონკრე-

ტულ-სოციოლოგიური კვლევის გარეშე შესაძლებელი იყო ნებისმიერი სფეროს სწორი მართვა და განვითარება.

სოციოლოგიისა და სოციოლოგიური კვლევების როლი შეუცვლელია მართვისა და სტრატეგიული განვითარების სფეროში მოღვაწე ადამიანებისა და ორგანიზაციებისათვის. ამიტომაც შეიძლება ითქვას, რომ სოციოლოგია არის არათუ თანამედროვე მეცნიერება, რომელსაც საზოგადოებრივი განვითარების პულსზე უდევს ხელი, არამედ არის მომავლის მეცნიერებაც, რადგან სწორად ჩატარებული სოციოლოგიური კვლევა და მოდელირება თითქმის 100% გარანტიას იძლევა დასახული მიზნებისა და ინოვაციური პროექტების წარმატებულად დასრულების საქმეში.

### **გამოყენებული ლიტერატურა**

1. 1. ე.ჯგერენაია <http://dictionary.css.ge/content/management-industrial-sociology>
2. 2. ფ. დიდებაშვილი „ფრანკფურტის სკოლის სოციალური ფილოსოფია“, ჟურნალი „საისტორიო ვერტიკალები“, №35-36, თბ., 2016
3. 3. გ. შუბლაძე. ბ. მღებრიშვილი, ფ. წოწკოლაური მენეჯმენტის საფუძვლები, თბ., 2008
4. 4. ელექტრონული მედიის მენეჯმენტი <http://www.nplg.gov.ge/gsd/cgi-bin/library.exe?e=d-00000-00---off-0civil2--00-1----0-10-0---0---0prompt-10---4-----0-0l-10-ka-50---20-help---00-3-1-00-0-0-01-1-0utfZz-8-00>
5. 5. ი. კალანდია პერსონალის მართვის ფსიქო-სოციალური ასპექტები, თბ., 2017
6. 6. Т.П.ГАЛКИНА, СОЦИОЛОГИЯ УПРАВЛЕНИЯ: от группы к команде, М; 2003
7. 7. ფენენკო ი. ვ. მართვის(მმართველობითი) სოციოლოგია თბ., 2012
8. 8. [https://ru.wikipedia.org/wiki/%D0%A1%D0%BE%D1%86%D0%B8%D0%BE%D0%BB%D0%BE%D0%B3%D0%B8%D1%8F\\_%D1%83%D0%BF%D1%80%D0%B0%D0%B2%D0%BB%D0%B5%D0%BD%D0%B8%D1%8F](https://ru.wikipedia.org/wiki/%D0%A1%D0%BE%D1%86%D0%B8%D0%BE%D0%BB%D0%BE%D0%B3%D0%B8%D1%8F_%D1%83%D0%BF%D1%80%D0%B0%D0%B2%D0%BB%D0%B5%D0%BD%D0%B8%D1%8F)
9. 9. <https://www.rsuh.ru/education/sf/study/sociology-of-management.php>

## The Relationship between Sociology of Management and Social Groups

*Piqria Didebashvili, Associated Professor  
Georgian Technical University*

*Grigol kikalishvili, PhD student  
Georgian Technical University*

### Summary

While discussing relationship between sociology of management and social groups we have analyzed that the impact of sociological concepts upon the sociology of management is multidimensional and primarily it appears in the theories of groups and organizations. When the social group exists, the necessity of management arises, being it primary or secondary, large or small, formal or informal, team or any other type of social unity. We have analyzed major schools of management. We have underlined that M. Weber has founded ``idea`` type of management of organization. We present regulations of management, its formalization, hierarchical structures, and principles of management and modification of classic theories of management based on multifactorial analysis. The representative of classic administrative school Chaster Bernard emphasized the existence of informal organizations inside the formal ones. He believed that informal group if managed correctly could bring significant success to formal organization. The focus of administrative (classic) school was mostly on organizational structure, while the importance of human factor for the management was ignored. Though based on the studies and recommendations undertaken by them the relationship between managers and their subordinates has improved. This is the important achievement of this school. Representatives of the school, which focused on the importance of human factor, believed that the efficacy of management is shaped by the individuals working within the organization rather than by authoritarian and bureaucratic systems, though they did not discuss the idea of using small social groups for the success of the organization. This approach has played positive role for the evolution of the process of management. Acknowledging the value of human factor and the positive approach towards informal social groups gave the employees opportunity to feel themselves as valuable members of organizational culture.

Key Words: Sociology of Management, Management, Sociology, Major Schools of Management, Concept of Organizational Management, Rationalization, Formal, Informal Organization, Behavioral Approach, Theory of Motivation.

---

# ფილოსოფია-ფსიქოლოგია

## PHILOSOPHY-PSYCHOLOGY

---

სპორტსმენის ფსიქოლოგიური და ფიზიკური  
თვისებებისა და შესაძლებლობების ერთობლიობა

*გიორგი მძინარაშვილი, ასისტენტ-პროფესორი  
გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი*

### რეზიუმე

სასწავლო-საწვრთნელ პროცესში დიდი მნიშვნელობა და როლი ენიჭება სპორტსმენის ფსიქოლოგიურ მომზადებას და მის მჭიდრო კავშირს მომზადების სხვა მხარეებთან.

საყოველთაოდ ცნობილია, რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს ხანგრძლივი და შრომატევადი სასწავლო-საწვრთნო პროცესის მიმდინარეობისას და შეჯიბრში მონაწილეობის რთულ და ყოველმხრივ დაძაბულ პირობებში სპორტსმენის მაქსიმალური და ოპტიმალური შესაძლებლობების გამოვლინება - როგორც ფიზიკური შესაძლებლობების ასევე მისი ტექნიკისა და ტაქტიკის.

ამ პროცესის მართვაში დიდი ადგილი და როლი ენიჭება სპორტსმენის ფსიქოლოგიურ მომზადებას, მის ფსიქოლოგიურ შთაგონებისა და განწყობის ფაქტორს. ფსიქოლოგიური მომზადება მჭიდრო კავშირში უნდა იყოს ფიზიკურ მომზადებასთან და პირიქით. ეს შესაძლებელია რაციონალური სასწავლო-საწვრთნო პროცესის დაგეგმვით სადაც დაცული იქნება მისი ყველა ეფექტური საშუალებები და მეთოდები.

**საკვანძო სიტყვები:** ფსიქოლოგიური, ფიზიკური, ტექნიკური, ტაქტიკური, ინტელექტუალური, სპორტსმენი.

### **შესავალი**

თანამედროვე მწვრთნელი განაწყობს სპორტსმენს (გუნდს) გამარჯვებისკენ, რომელმაც უნდა შეძლოს სულიერი და ფიზიკური ძალების გაერთიანება და ჰარმონიული დაკავშირება გამარჯვების მოსაპოვებლად. თანამედროვე სპორტსმენმა უნდა შეძლოს მომენტალურად გამოიცნოს და გააანალიზოს წარმოქმნილი, სწრაფად ცვალებადი დინამიური სიტუაცია, განსაკუთრებით შეიძლება აღვნიშნოთ მსგავსი სიტუაციები ორთაბრძოლებში და სათამაშო სპორტის სახეობებში, უპასუხოს შექმნილ სიტუაციას რაციონალური - ეფექტური სვლით (ხერხით).

ოპტიმალური მზადყოფნის მდგომარეობაში სპორტსმენის ყველა გრძნობები და აზრი მიმართულია და კონცენტრირებული შეჯიბრში გამარჯვებაზე, რაც არის დამატებითი დახმარება მისი ფიზიკური შესაძლებლობებისათვის. ეს რა თქმა უნდა იმას არ ნიშნავს, რომ სპორტსმენი აუცილებლად მიაღწევს ამ შეჯიბრში გამარჯვებას და მოიპოვებს მედალს, მაგრამ ის შეძლებს იმ მაქსიმუმის ჩვენებას და ეს თავის მხრივ უკვე წარმატებაა. მსგავსი განწყობა და მიდგომა ხელს უწყობს სპორტსმენს არა მარტო დიდი სპორტული შედეგის მიღწევაში, არამედ ზოგადად სპორტის განვითარებას - მის ემოციურობასა და სანახაობრიობას. სპორტსმენი უნდა ცდილობდეს და მიისწრაფოდეს სამართლიანი და პატიოსანი ბრძოლით თვითსრულყოფილებსკენ.

### **ძირითადი ნაწილი**

დღევანდელი არსებული რეალობიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ ბევრი მწვრთნელი და სპორტსმენი არ ცდილობს გააერთიანოს და დააკავშიროს ფსიქოლოგიური და ფიზიკური შესაძლებლობები. კონკრეტულ მომენტში ძალების იდეალური ინტეგრაცია საგანგებოდ იშვიათი მოვლენაა მაღალი დონის (კლასის) სპორტსმენთათვისაც. არსებობს ამ შემთხვევის არაერთი მაგალითი. ხშირ სიტუაციაში კი სპორტსმენი წარმატებას და გამარჯვებას აღწევს ერთ-ერთი კომპონენტის მაღალი განვითარებისა და მდგომარეობის ხარჯზე. ან ფსიქოლოგიურის და ან ფიზიკურის, ამავე დროს მეორე კომპონენტზე არანაკლებ კარგ მდგომარეობაში უნდა იყოს. ხშირად ეს აიხსნება სპორტსმენის ასაკით: ახალგაზრდა სპორტსმენი აქცენტს აკეთებს ფიზიკურ ძალაზე, ვეტერანი კი თავის გამოცდილებაზე, მისშესაძლებლობაზე და უნარზე ობიექტურად გააანალიზოს საშეჯიბრო სიტუაცია და რაციონალურად დახარჯოს ენერჯია. ყველა ჩვენთაგანის უმრავლესობას წარმოუდგენია, რომ ფსიქოლოგიური და ფიზიკური ფუნქციების შეგნებული ინტეგრაცია მიეკუთვნება სპორტში ხელოვნების მწვერვალს. მაგრამ ზუსტად ამ დადებითი კომპლექსური სიტუაციის მიღწევის იშვიათობა განაპირობებს

იმას, რომ შეჯიბრზე ასპარეზობისას ჩვენ ნახევრად ვიყენებთ პოტენციალურ შესაძლებლობებს. ზუსტად ის მომენტები, რომელიც თქვენ გამოვივლიათ ვარჯიშის დროს ან შეჯიბრის პროცესში, როდესაც ყველაფერი გამოგდიოდათ ბრწყინვალედ, არის ახლოს და თანხვედრაში სპორტსმენის იდეალური საბრძოლო განწყობისა და მდგომარეობისა.

ბევრ ჩვენთაგანს შეუძლია მოიყვანოს ფსიქოლოგიური და ფიზიკური შეუთავსებლობის მაგალითები. საჭიროა იმის გაგება, რომ დადებით ფსიქოლოგიურ პროცესებს შეუძლია სპორტსმენის ფიზიკური პოტენციალისა და შესაძლებლობების ამაღლება.

სასწავლო-საწვრთნო პროცესის მიმდინარეობისას და ასევე შეჯიბრზე სპორტსმენმა უნდა შეძლოს ინტელექტუალური და ფიზიკური ფაქტორების ჰარმონიული დაკავშირება, აირჩიოს სპორტული წვრთნისა და მომზადების რაციონალური ვარიანტი მისი შესაძლებლობებისა და ჯანმრთელობის მდგომარეობის გათვალისწინებით. ხშირად ფიზიკური ტრავმები არის სპორტსმენის სპორტული შედეგების კლების მიზეზი. სამწუხაროდ ყოველთვის არ შეგვიძლია ზუსტად იმის დადგენა ფიზიკური ტრავმა არის სპორტული მოღვაწეობის ეფექტურობის დაცემის მიზეზი თუ ეს შემთხვევა არის განპირობებული სპორტული ფორმიდან ამოვარდნით. იმ შემთხვევაშიც, როდესაც სპორტსმენის ფუნქციონალური დონე ნორმალურია და არ აქვს ფსიქოლოგიური რწმენა მას არ შეუძლია თავისი პოტენციალური შესაძლებლობების მაქსიმუმამდე რეალიზება. როდესაც მისი აზრები არ იქნება დიდად კონცენტრირებული ფაქტებზე, რომლებიც არის მისი განცდისა და დამაბულობის მიზეზი, მაგრამ არსებობს უმნიშვნელო განცდა - ესეც შეიძლება იყოს საკმარისი, რომ სპორტსმენმა ვერ შეძლოს თავისი ორგანიზმის ფიზიკური და ფსიქოლოგიური შესაძლებლობების ეფექტური რეალიზაცია. შეიძლება ითქვას, რომ ეს არის ერთ-ერთი ლოგიკური მიზეზი, როდესაც გამოჩენილ სპორტსმენებსაც არ შეუძლიათ მოახდინონ თავისი ფსიქოლოგიური და ფიზიკური პროცესების ინტეგრაცია, რაც არის წარუმატებელი, როგორც საწვრთნო პროცესის მიმდინარეობისას, ასევე შეჯიბრის დროს.

თეორიული მომზადების მიმდინარეობისას სასწავლო-საწვრთნო პროცესში სპორტსმენები არ ღებულობენ საკმარის რეკომენდაციებს იმის შესახებ თუ, როგორ შეიძლება გავაკეთოთ ფიზიკური და სულიერი ძალების ურთიერთმოქმედების დაკავშირება. ვარჯიშზე და სასწავლო-საწვრთნო შეკრებებზე მწვრთნელის ყურადღება და აქცენტი გადატანილია ძირითადად სპორტსმენების ფიზიკურ და ტექნიკურ მომზადებაზე. მათ აძლევენ ინდივიდუალურ დავალებებს, ხდება შეცდომების განხილვა და გაანალიზება. რაც შეეხება სუფთა სულიერ და ფსიქოლოგიურ მომზადებას მასზე ყურადღება ნაკლებად არის მიპყრობილი.



### **დასკვნა**

შეჯიბრზე ნაჩვენები დაბალი შედეგი ხშირად სპორტსმენთა მოუმზადებლობის შედეგია. ფსიქოლოგიურმა მომზადებამ ხელი უნდა შეუწყოს სპორტსმენებს, რაც შეიძლება მაქსიმალურად გამოავლინონ თავიანთი ფიზიკური შესაძლებლობები, ტექნიკური და ტაქტიკური უნარ-ჩვევები. ფსიქოლოგიური მომზადება მიზნად უნდა ისახავდეს სპორტსმენების ფსიქოლოგიური პოტენციალის ზრდას. ამ მომზადებაში დამყარებული უნდა იყოს მჭიდრო კავშირი სულიერ და ინტელექტუალურ მომზადებასთან. ფსიქოლოგიური მომზადება ყოველთვის უნდა იყოს აქტიური თემა ყოველდღიურ ვარჯიშებში. სპორტსმენის ფსიქოლოგიური მომზადების ძირითადი შინაარსია შეჯიბრებისათვის მზადებისა და მონაწილეობის პროცესში წარმოქმნილი სპეციფიკური ფსიქოლოგიური სირთულეების დაძლევის უნარის განვითარება და საკუთარი ფსიქიკურ - ემოციური სირთულეების დაძლევის განვითარება და ფსიქიკური მდგომარეობის მართვა. ეს შესაძლებელია სპორტის თეორიასა და პრაქტიკაში ეფექტური და რაციონალური მეთოდების გამოყენების საფუძველზე.

ჩვენი აზრით, სასწავლო -საწვრთნო და საწვრთნო პროცესი ამით უნდა იწყებოდეს და მის შუალედში და დასკვნით ნაწილში მეტი დრო უნდა დავუთმოთ.

### **გამოყენებული ლიტერატურა:**

1. გ.კახიძე ფიზიკური აღზრდის თეორია და მეთოდთა, თბილისი 2013წ.
2. გზამკვლევი კრებული, სპორტის სახეობებში ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის (VII-XII კლასები) თბილისი, 2010წ.
3. ფიზიკური აღზრდისა და სპორტის თეორიისა და მეთოდთა საფუძვლები (მესამე ნაწილი), სპორტის თეორია, თბილისი 2007წ.
4. ფიზიკური აღზრდისა და მეთოდთა საფუძვლები (პირველი ნაწილი), თბილისი 2002წ.
5. Найдиффер Р.М. Психология соревнующегося спортсмена. М., Физкультура и спорт, 1979г.

## **The unity of physical characteristics capabilities of the sportsman**

*Giorgi Mdzinarashvili, Assistant-Professor  
Gori State Teaching University*

### **Summary**

in the training-learning process the great role and meaning is given to psychological preparation of sportsman and his tight connection to the other sides of his preparation.

it is commonly known, what a great meaning has in the process of ongoing and labor intensive activities and in the strengthened and all-sided conditions of competition, the manifesting of maximal and optimal capabilities of the sportsman also his tactics and techniques.

in the operating of this process, the great role and place is given to the psychological preparation of the sportsman, his psychological inspiration and factor of disposition. the psychological preparation must be tight connection with physical preparation and opposite. this is possible in the boundaries of the planning of rational training-learning process, where will be protected all its effective methods and facilities.

the key words:

psychological, physical, technical, tactical, intellectual, sportsman.

## ლოკუს კონტროლი

*მარიამ გვილავა, დოქტორანტი  
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

### რეზიუმე

ლოკუს კონტროლი ერთერთი ბაზისური პიროვნული მახასიათებელია, რომელიც გავლენას ახდენს თუ ვის თვლის ადამიანი პასუხისმგებლად, მის გარშემო მიმდინარე კარგი თუ ცუდი მოვლენების მიმართ.

ადამიანის მიერ საკუთარი შესაძლებლობების შეფასება შეიძლება არაზუსტი იყოს. არსებობს კონტროლის შეცდომით წარმართვის რამდენიმე მიზეზი. კონტროლისკენ სწრაფვა შეიძლება განხილულ იქნას, როგორც ერთ-ერთი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი - საკუთარი ცხოვრების მართვის უნარი, რომელიც უზრუნველყოფს სოციალური და ბიოლოგიური რეალობისაგან ინდივიდის დამოუკიდებლობის დონეს. ხანდახან კონტროლის შეგრძნების შესანარჩუნებლად საკმარისია ინდივიდმა გააცნობიეროს მოვლენების წინასწარ განჭვრეტის უნარი, რაც პრინციპში უკვე არ შეიძლება განიხილებოდეს როგორც მასზე კონტროლი. მცდარია კონტროლის აღქმა, როგორც შესაძლო საშიშროების წინასწარგანჭვრეტის უნარის, და ასევე, საშიშროების მომეტებული მოლოდინის ფორმირება საკუთარი ქმედებების ეფექტურობასთან დაკავშირებით. შედეგად, ადამიანი აღმოჩნდება სტრესული სიტუაციისთვის მოუმზადებელი ან განიცდის საკუთარი შესაძლებლობებთან მიმართ ღრმა იმედგაცრუებას. საკუთარი პასუხისმგებლობის გაცნობიერება მნიშვნელოვანია იმ შემთხვევაში, როდესაც სასურველი შედეგი შეიძლება მიღწეულ იქნეს აქტიური ქმედებების ხარჯზე, მნიშვნელოვანი ქმედებების ხარჯზე. იმ შემთხვევებში, სადაც შედეგი არ განისაზღვრება ადამიანის მოქცევით, აღქმადი კონტროლი არასასურველია.

საკვანძო სიტყვები: ლოკუს - კონტროლი; ინტერნალი; ექსტერნალი.

### შესავალი

ლოკუს-კონტროლი თვითცნობიერების ერთ-ერთი ინტეგრალური მახასიათებელია, რომელიც აკავშირებს პასუხისმგებლობის გრძნობას, აქტიურობის მზაობასა და მეს განცდას. ჯ.როტერის თანახმად, რომელმაც ეს ცნება შემოიტანა, ადამიანები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან მათთვის მნიშვნელოვან მოვლენებზე კონტროლის ლოკალიზაციის მიხედვით. არსებობს ასეთი ლოკალიზაციის ორი პოლუსი – ინტერნალური და ექსტერნალური. პირველ შემთხვევაში ადამიანს მიაჩნია, რომ ის, რაც მის ცხოვრებაში ხდება, დამოკიდებული მის პიროვნულ თვისებებზე – კომპეტენტურობაზე,

მიზანდასახულობაზე, შესაძლებლობებზე და მისი საკუთარი საქმიანობის კანონმზომიერი შედეგია (შიდა კონტროლი). მეორე შემთხვევაში ადამიანი დარწმუნებულია, რომ მისი წარმატება თუ წარუმატებლობა გარე ძალების – იღბალი, შემთხვევითობა, სხვა ადამიანები და ა.შ. – შედეგია (გარე კონტროლი). ნებისმიერი ინდივიდი გარკვეულ პოზიციას იკავებს ლოკუს-კონტროლის ამ ორი პოლუსით შექმნილ კონტინუუმზე.

### **ძირითადი ტექსტი**

ჯ. როტერი განიხილავდა ლოკუს-კონტროლს, როგორც განზოგადოებული მოლოდინის განსაკუთრებულ და ფუნდამენტურ ტიპს, როგორც ადამიანის მიერ საკუთარ ქცევასა და სასურველის მიღწევას შორის მიზეზობრივი კავშირის გააზრების დონეს. ადამიანი ცდილობს დასახული მიზნების მიღწევას იმიტომ, რომ აქვს განზოგადოებული მოლოდინი იმისა, რომ ასეთი მცდელობა წარმატებული იქნება. იმ ადამიანის ქცევა, რომელსაც სჯერა, რომ ძალუმს საკუთარი ბედის კონტროლი, განსხვავდება ექსტერნალური ლოკუს-კონტროლის მქონე ადამიანის ქცევისაგან, რომელსაც მიაჩნია, რომ მისი ბედი დამოკიდებულია იღბალზე, შემთხვევითობაზე, სხვა ადამიანებზე.

ფსიქოლოგიაში ამ ცნების შემოტანას უამრავი კვლევა მოჰყვა. ამ კვლევათა მიმოხილვა ცხადყოფს, რომ ინტერნალებისათვის ნიშნულია უფრო მაღალი პასუხისმგებლობა და სოციალური აქტიურობა, აგრეთვე უფრო მაღალი კოგნიტური აქტიურობა. ინტერნალი უფრო თანამიმდევრული და პროდუქტიულია გადაწყვეტილების მიღებისას, რისკთან დაკავშირებულ სიტუაციაში. ექსტერნალისაგან განსხვავებით, ინტერნალი დარწმუნებულია, რომ ბეჯით შრომას მაღალი პროდუქტულობა მოჰყვება, ხოლო მაღალი პროდუქტულობა ხელს უწყობს უფრო მაღალი “ანაზღაურების” მიღებას. ინტერნალის დროის პერსპექტივა მოიცავს გაცილებით უფრო შორეულ ზონას – როგორც მომავლისა, ასე წარსულისა. ინტერნალებთან შედარებით ექსტერნალებისათვის უფრო ნიშნულია ეჭვიანობა, შფოთვა, დეპრესიულობა, აგრესიულობა, კონფორმულობა, უპრინციპობა, ცინიზმი.

კალიფორნიული ტესტის თანახმად, ექსტერნალურად განწყობილი სუბიექტისაგან განსხვავებით, ინტერნალს უფრო მაღალი ქულები აქვს დომინანტურობის, ტოლერანტულობის, სოციაბელურობის, გონებრივი მომზადების, პასუხისმგებლობის, თვითკონტროლის დონის მიხედვით. ზედსართავი სახელების ნუსხის მიხედვით ინტერნალი აღწერს საკუთარ თავს, როგორც ადაპტირებულს, თანამიმდევრულს, საკუთარ თავში დარწმუნებულს, დაცულს. კეტელის 16-ფაქტორიანი ტესტის მიხედვით ინტერნალისათვის დამახასიათებელია ემოციური სტაბილურობა, მორა-

ლური ნორმატიულობა, წარმოსახვა, გულისხმიერება, დახვეწილობა, კომუნიკაბელურობა და მაღალი ნებისყოფა.

დღეს არსებობს რამდენიმე მიდგომა, რომელიც განიხილავს, უპირატესად, ლოკუს-კონტროლის ფენომენს ატრიბუციის თეორიის ფარგლებში. მაგალითად, იმ კვლევათა უმრავლესობა, რომელიც ეძღვნება ინდივიდის მოტივაციასა და საქმიანობის ეფექტურობაზე ატრიბუციური ფაქტორების გავლენის შესწავლას, ტარდება ბ. ვაინერის მოდელის საფუძველზე. ამ მოდელის თანახმად, ნებისმიერი მიზანმიმართული საქმიანობის შედეგი პოტენციურად განპირობებულია ოთხი კაუზალური ფაქტორით: სუბიექტის შესაძლებლობებითა და ძალისხმევით, ილბალითა და ამოცანის სიძნელით. ეს ოთხი ფაქტორი ლოკალიზებულია ორგანოზომილებიან სისტემაში: სტაბილურობა და ლოკუს-კონტროლი.

უნდა ითქვას, რომ ჯ. როტერი აღნიშნავდა, რომ შიდა და გარე კონტროლის კონცეფცია ყოველთვის სწორად გაგებული არ არის. ის მიუთითებდა ლოკუს-კონტროლის ინტერპრეტაციისას დაშვებულ ოთხ ტიპობრივ შეცდომაზე, სახელდობრ:

კონტროლის დონე თითქოსდა განსაზღვრავს ქცევას. სინამდვილეში სკალის მეშვეობით მიღებული კონტროლის დონე არ უნდა იქნეს განხილული, როგორც ადამიანის ქცევის მიზეზი; კონტროლის ეს დონე ადამიანის განზოგადოებული მოლოდინის ინდიკატორია. ამრიგად, ქცევითი პოტენციალის განსაზღვრისას სკალის მაჩვენებელი გამოყენებულ უნდა იქნეს განმტკიცების მნიშვნელობასთან ერთად.

ლოკუს-კონტროლის მეშვეობით თითქოსდა შესაძლებელია ადამიანის ქცევის წინასწარმეტყველება კონკრეტულ სიტუაციაში. ჯ. როტერი ისევ ხაზგასმით აღნიშნავს, რომ შიდა და გარე კონტროლის კონცეფცია ეხება მხოლოდ განზოგადოებულ მოლოდინს და აჩვენებს იმას, თუ რამდენად მიაჩნია ადამიანს, რომ მას ძალუძს საკუთარი ცხოვრების მართვა.

შიდა და გარე კონტროლის სკალის მონაცემები თითქოსდა გამოყოფს ადამიანთა ორ მკეთრად განხვავებულ ტიპს. ჯ. როტერი კატეგორიულად უარყოფს ამ აზრს და ამბობს, რომ განზოგადოებული მოლოდინი მიუთითებს განზოგადების მიმართულებაზე; კონკრეტულ სიტუაციაში შიდა კონტროლის მაღალი განცდის დონის მქონე ადამიანსაც პასუხისმგებლობა საკუთარი ქმედებისათვის შეიძლება დააკისროს შემთხვევითობას ან ხელისუფლებას.

შიდა კონტროლის მაღალი დონე თითქოსდა მიუთითებს სოციალურად სასურველ თვისებებზე, ხოლო გარე კონტროლის მაღალი დონე – სოციალურად არასასურველ მახასიათებლებზე. სინამდვილეში ორივე პოლუსთან მიახლოებული მნიშვნელობა ერთნაირად არასასურველია. გარე კონ-

ტროლის ძალიან მაღალი დონე შეიძლება მიუთითებდეს აპათიასა და სასოწარკვეთილებაზე, როცა ადამიანს მიაჩნია, რომ საკუთარ ცხოვრებაზე კონტროლი დაკარგული აქვს. შიდა კონტროლის ძალიან მაღალი დონე შეიძლება ნიშნავდეს, რომ ადამიანი საკუთარ თავზე იღებს პასუხისმგებლობას ყველაფერზე, რაც მის ცხოვრებაში ხდება, მათ შორის უბედურ შემთხვევაზე, საკუთარი შვილის ცელქობაზე და ა.შ. როტერის აზრით, ოპტიმალურია ორ პოლუსს შორის შუა პოზიცია, უფრო გადახრილი შიდა კონტროლისაკენ.

ჯ. როტერი აღნიშნავდა, რომ ადამიანს ცხოვრების სხვადასხვა სფეროში შეიძლება განსხვავებული ლოკუს-კონტროლი ჰქონდეს. მართლაც, შემდგომ წლებში როტერის სკალიდან მკვლევარებმა სუბსკალების გამოყოფა შეძლეს. მირელსმა ორი ფაქტორი გამოყო: საკუთარი ცხოვრების კონტროლი და სოციალურ-პოლიტიკური ინსტიტუტების კონტროლი. ანალოგიური შედეგი მიიღო პ. გურინმა, რომელმაც კონტროლის ორი დამოუკიდებელი ფორმა გამოყო: “იდეოლოგიური” – ადამიანს სჯერა, რომ ადამიანთა უმრავლესობას ძალუძს საზოგადოებაზე აქტიური ზემოქმედება და “პირადი” – ადამიანს მიაჩნია, რომ მას შეუძლია მხოლოდ საკუთარი ცხოვრების მოვლენათა კონტროლი. ზოგიერთ ნაშრომში გამოყოფილია ორზე მეტი (ოთხი) ფაქტორიც. ასეთი შედეგი კანონზომიერია, ვინაიდან დადგენილია ისიც, რომ კონტროლის ლოკალიზაცია იცვლება იმისდა მიხედვით, თუ როგორ აღიქვამს ადამიანი სიტუაციას – როგორც რთულს თუ მარტივს, სასიამოვნოს თუ სტრესულს და ა.შ.

ლოკუს-კონტროლის შესწავლის თითქმის 50-წლიან პერიოდში ამ ცვლადის გასაზომად შემუშავდა მეთოდუკების მთელი რიგი; მათ შორის ყველაზე ცნობილია როტერის სკალა.

### **დასკვნა**

ამრიგად, სუბიექტური კონტროლის ლოკუსი დაკავშირებულია ადამიანის მიერ საკუთარი ძალის, ღირსების, მომხდარის მიმართ პასუხისმგებლობის განცდასთან, თავდაჯერებულობასთან, სოციალურ სიმწიფესთან და პიროვნების დამოუკიდებლობასთან.

აღსანიშნავია, რომ ის ბავშვები, რომლთა მშობლებიც ხელ უწყობდნენ მათ დამოუკიდებლობას და ეხმარებოდნენ კავშირის დადგენაში ქმედებასა და შედეგს შორის, მიდრეკილნი არიან უფრო კარგად განვითარებული შინაგანი ლოკუს კონტროლისკენ.

საკუთარი კონტროლის ლოკუსის დადგენა და დამოკიდებულებების გაანალიზება იმაზე რაც ჩვენს ირგვლივ ხდება, არის ძლიერი ინსტრუმენტი თვითგანვითარებისთვის.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. რევაზ ქვარცხავა - სოციალური ფსიქოლოგია, 2000 წ.
2. Richard B. joelson DSW,LCSW – locus of control 2017 წ.
3. Бодалев А.А., Пантилеев С.Р., Столин В.В.- Лocus контроля и конформность.
4. <https://4brain.ru/blog/%D0%BB%D0%BE%D0%BA%D1%83%D1%81-%D0%BA%D0%BE%D0%BD%D1%82%D1%80%D0%BE%D0%B%D1%8F-%D0%B8-%D1%81%D0%B0%D0%BC%D0%BE%D1%80%D0%B0%D0%B7%D0%B2%D0%B8%D1%82%D0%B8%D0%B5/>

**Locus of control**

*Mariam Gvilava, PhD student  
Georgian Technical University*

**Summary**

Locus of control is one of the basic personal characteristics that influences whom holds a person accountable for the good or bad things happening around him.

Assessing one’s own abilities may be inaccurate. There are several reasons for mismanagement of control. Pursuit to control may be seen as one of the most important – ability to control one’s own life, ensuring the level of individual independence from social and biological reality. Sometimes, in order to maintain a sense of control, individual should realize the ability of foreseeing the events, which, in principle, can no longer be considered as a control. The perception of control is incorrect, as is the ability to foresee possible danger, as well as the increased expectation of danger for the effectiveness of one’s actions. As a result, people find themselves unprepared for the stressful situation, or experience a deep disappointment regarding one’s own abilities. It is important to understand one’s own responsibility when the desired outcome can be achieved through active, important actions. In case, where an outcome is not determined by human behavior, perceptual control is undesirable.

Keywords: Locus of control; internal; external.

## პოლიტიკა და ფსიქოლოგია

რამაზ ჩიჩუა, დოქტორანტი  
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

### რეზიუმე

ნაშრომში შევეხეთ მასობრივ პოლიტიკურ აქტიურობის საშიშროებას, თუ რამდენად საფრთხეს უქმნის ადამიანის ინდივიდუალურობას. აგრეთვე საუბარი არის პოლიტიკური ფსიქოლოგიის მთავარ მიმდინარეობაზე.

აგრეთვე გამოვკვეთეთ პოლიტიკური პროცესების ძირითადი კრიტერიუმები და ინსტრუმენტები. ავლნიშნეთ, რომ პოლიტიკურ-ფსიქოლოგიურ ცნობიერებასა და გამოყენებით საქმიანობაში ბოლო წლების მანძილზე სულ უფრო იმკვიდრებს ადგილს პოლიტიკური ტოლერანტობა, რომელიც ლიბერალური დემოკრატიის ფსიქოლოგიური განწყობიდან გამომდინარეობს.

ნაშრომში აღნიშნულია, რომ პოლიტიკური ქმედების ფსიქოლოგიურ ილეთებს პირველ რიგში მიეკუთვნება პოლიტიკური ინტრიგა. მისი მეშვეობით პოლიტიკური მოვლენები და პროცესები ქმნიან პოლიტიკური სიტუაციის ახალ, მალული პოლიტიკური პერსონაჟისთვის საჭირო მიმართულებას.

საკვანძო სიტყვები: პოლიტიკა, ფსიქოლოგია, პოლიტიკური ტოლერანტობა, ლიბერალური დემოკრატია, პოლიტიკური ინტრიგა.

### შესავალი

მასობრივი პოლიტიკური აქტიურობა საშიშროებას უქმნის ადამიანის ინდივიდუალობას, ბრბოს მიერ არაორგანიზებული აქტივობა სპონტანურ ხასიათს იღებს, ის საშიში ხდება, იძენს აგრესიულობას, ისტერიულობას, უპასუხისმგებლობას და ანარქიაში გადადის.

პოლიტიკური ფსიქოლოგიის მთავარი მიმდინარეობაა ფსიქონალიზი, რომლის მამამთავარი ზიგმუნდ ფროიდი (1856-1939) ფსიქიკის განვითარების ერთ-ერთ თავის ცნობილ მოდელში განიხილავდა ჯოგებად მცხოვრებ ისეთ არსებებს, რომლებიც ჯერ არც მაიმუნები იყვნენ და არც პიროვნებები. ჰყავდათ უფროსი მამრი და მის გარდა არცერთ წევრს არ აქვს სექსუალური ურთიერთობის დამყარების უფლება.

ბიჭები კლავენ მამას, თუმცა სინანულის გრძნობა ეუფლებათ. ეს პირველყოფილი არსებები იწყებენ შეთანხმებას სექსუალური კავშირების და ნადავლის განაწილებაზე. ამ შეთანხმებით საფუძელი ეყრება პირველ საზოგადოებრივ კანონებს და პოლიტიკის აღმოცენებას, ხოლო მამის მიმართ დანაშაულის გრძნობა ტრანსფორმირდება რელიგიაში.



ისტორიის არსის ამგვარი ხედვა ყველასათვის არ არის მისაღები, მაგრამ ისტორიის მეცნიერული არსი მანამდეც არსებობდა და ის მარტივი ჟამთააღწერის, განგების განცდის და მითებში რჩებოდა.

### **ძირითადი ნაწილი**

ცნობილი ფსიქოლოგი (ჰ. ლასველი) თავის ცნობილ წიგნში „ფსიქოპათოლოგია და პოლიტიკა“ შენიშნავს, რომ პოლიტიკური პროცესის ანალიზი შეუძლებელია მისი შემოქმედების ფსიქოლოგიური პორტრეტის აღწერის გარეშე, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პოლიტიკურ მოღვაწეთა ქცევის ფარული გაუცნობიერებელი მოტივები, რომელთა წარმოშობა საბავშვო ასაკს უკავშირდება, იმ კომპლექსებს, რომლებმაც მომავალი პოლიტიკოსის სულში ფსიქოლოგიური ტრავმები დატოვა (სტალინი, ჰიტლერი, გამსახურდია, სააკაშვილი).

ჩვენ ახლა ვიმყოფებით ინფორმაციული ცივილიზაციის გარდამავალ პერიოდში. ცნობილი ჩინური გამონათქვამი - „გარდაქმნების ეპოქაში გეცხოვროთ“ ასეთ ვითარებას წყევლად მიიჩნევს, თუმცა ზოგიერთისთვის უფრო მისაღებია საპირისპირო ემოციური განწყობა - „ნგრევას, ო, ნგრევას, დაუნდობელ ნგრევას, ნგრევას ძველისას“ (გალაკტიონი).

ამ კონტექსტში საინტერესოა, რომ არცერთ ეპოქაში ახალსა და ძველს შორის ბრძოლა ასე დამაბული და ცვლილებების ტემპი ასეთი სწრაფი არასოდეს ყოფილა.

ახალი მსოფლიოს ლოგიკა რადიკალურად განსხვავდება სულ რაღაც ათეული წლის წინ გაბატონებული რაციონალიზმისაგან, ადამიანისა და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში და ყველა დონეზე იმატებს გაურკვევლობა და რისკის საშიშროება, მაგრამ ასევე იმატებს განვითარების ახალი შესაძლებლობები და ნათელი პერსპექტივები. ამასთან დაკავშირებით არსებითად რთულდება მმართველი ელიტების მიერ ოპტიმალური პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღებაც. ეს - ჩვენი დროის საერთო ნიშანი.

რეალური პოლიტიკა უნდა წარმოაგდენდეს ერის საკრალური და რაციონალური თვითმყოფადობის და თვითიდენტიფიკაციების პრაქტიკულ განხორციელებას.

ადამიანთა ანტაგონიზმი არ არის ყველაფერის თავი და ბოლო, რომ პოლიტიკური დიალოგი აგრესიულად განწყობილ მოწინააღმდეგეებს შორისაცაა არა მარტო შესაძლებელი, არამედ სასურველიც. თუ ემეყარება სწორად გაგებულ ეროვნულ ინტერესებს, წარიმართება რაციონალური აზროვნების პრინციპებით და საღი, ნევროზული და იმპულსური გადაწყვეტილებებისაგან თავისუფალი პოლიტიკური განსჯით. ეს იმასაც ნიშნავს, რომ ერთაშორისი ურთიერთობების მონაწილე მხარეები არ დაეყრდნო-

ბიან უპირატესად ემოციების კარნახს, ბრბოს ინსტინქტებს, იდეოლოგიურ შტამპებს ან ეროვნულ მითოლოგიებს.

ყოველ, თუნდაც ისტერიულ, პროტესტში არ შეიძლება დავინახოთ გონივრული განსჯის შეგნებაც. თუმცა გარკვეულ იდეა ეროვნული ან სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური მაკონტროლებელი ძალის გარეშე შეიძლება სოციუმმა დამანგრეველ ან წამგებიან გზად იქცეს.

სხვა მხრივ, პოლიტიკური ელიტები მოვალენი არიან შეეწინააღმდეგონ ე.წ. პარანოიდალურ იდეებს, რომლებიც ბევრ შემთხვევაში ხელისუფლების წიაღში წარმოიშობა და პერსპექტივაში ხელს უშლის თვითმყოფად სახელმწიფოებრიობის განვითარებას.

გავრცელებული წარმოდგენით პოლიტიკა სოციუმის ელიტის საქმეა, და საკმაოდ მოშორებულია ადამიანის ყოველდღიურ ინტერესებს, მას „ბინძურ საქმედ“ მიიჩნევენ, თუმცა თუ პოლიტიკურ რეალობას ჩავწვდებით, დავრწმუნდებით, რომ პოლიტიკა ხალხის პოლიტიკური კულტურის და პოლიტიკური ფსიქოლოგიის პირდაპირი შედეგია. ამდენად, ხალხს ისეთი ხელისუფლება ჰყავს, როგორსაც იმსახურებს.

როდესაც ხელისუფლება კარგავს ლეგიტიმურობას, ადამიანებში სადგურებს ამბოხის ჟინი. თუმცა ასეთი განწყობა ეწინააღმდეგება ბიბლიურ ჭკმმარიტებას - „ყოველი სული დამურჩილოს უმაღლეს ხელმწიფებას, ვინა-იდან არ არსებობს ხელმწიფება, თუ არა ღვთისაგან, ხოლო არსებულნი ღვთის მიერ არიან დადგენილნი“.

ძალაუფლების ბოროტად გამოყენება, მეტ-ნაკლებად ყველა ხელისუფლებას ახასიათებს, ხელისუფლებას ხალხის მიმართ არ აქვს არანაირი უპირობო და მარადიული პრიორიტეტი ძალის გამოყენებაში. ისევე როგორც „შაბათია ადამიანისთვის და არა ადამიანი შაბათისთვის“ - ხელისუფლებას ადამიანისთვის და არა ადამიანი - ხელისუფლებისათვის.

ხელისუფლებისადმი მორჩილება, კანონის უზენაესობა და ქაოსის წინააღმდეგ ბრძოლაა. თუმცა ხალხის მასობრივი დაუმორჩილებლობა ბოროტების მომრავლებას და გაძლიერებას გამოიწვევდა, მაგრამ თუ ხელისუფლების ბოროტი ქმედება აღემატება ქაოსის შესაძლო ზიანს, თუ მას გადაბიჯებული აქვს ლეგიტიმურობის საზღვრებს, მაშინ ხალხს და ოპოზიციაში მყოფ ხალხის ლიდერობის პრეტენდენტებს აქვთ უფლება დაიკმაყოფილონ მართებული ხელისუფლება, უმაღლეს, ქაოსით გამოწვეული მძიმე სოციალური დანაკარგების მინიმუმაციის პირობებში, ამოქმედონ ახალი ხელისუფლება, რომლისაც ხალხს სჯერა.

საზოგადოებრივი პროცესების დაჩქარებას და ახალ მოვლენებს პოლიტიკური ლიდერები წარმოაჩენენ, თუმცა ზოგჯერ ხალხი მოითხოვს, რომ გარდაიქმნას მართვის მეთოდები ან მიმართულებები და ის უსწრებს ხელი-

სუფლების სათანადო უნარს, ან როცა ასეთი უნარი მათ უკვე საერთოდ აღარ გააჩნიათ.

ასეთ შემთხვევაში აქტიურდებიან სხვადასხვა ფსიქოლოგიური დროის მატარებელი პოლიტიკოსები - რეფორმატორები და კონსერვატორები, ექსტრემისტული ან რეაქციული ძალები, რომლებიც ყველა საზოგადოებაში და ყოველთვის არსებობენ და ხან ერთი მოდის ხელისუფლებაში და ხან - მეორე.

ეროვნებათშორისი და სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობები დიდწილად სივრცობრივი ხასიათის მატარებელია. მაგალითად, კარგადაა ცნობილი ნაციზმი და მისი იდეოლოგიური საფუძველი „სასიცოცხლო სივრცის“ გაფართოების დოქტრინა, რომელმაც მთელი ერი მძლავრსა და დამანგრეველ ფსიქოლოგიურ ველში მოაქცია.

პოლიტიკური პროცესების ძირითადი კრიტერიუმი და ინსტრუმენტი ხელისუფლების წარმომადგენლების არჩევნებია. მაგრამ პოლიტიკურ კონკურენციას და ელიტების როტაციას მიუჩვეველი ქვეყნები ხშირად ატარებენ ფორმალურ არჩევნებს - ერთი მხრივ, თავს აწონებენ დასავლეთს და, მეორე მხრივ, ინარჩუნებენ სასურველ მართვის სისტემას და პოლიტიკური ელიტების პერსონალურ შემადგენლობას.

ნაციონალიზმი იდეოლოგია და პოლიტიკური მიმართულებაა, სადაც ნაცია პოლიტიკის ფასეულობათა სისტემის წამყვანი კომპონენტი და სახელმწიფოებრიობის მთავარი საყრდენია. ნაციის იდეა ეფუძნება საერთო ისტორიულ გრძნობას, თაობიდან თაობაზე გარდამავალ ტრადიციებს, პატრიოტიზმს, ენას და სარწმუნოებას.

ნაციის იდეამ შეძლო ერთიანი პოლიტიკური მიზნების მობილიზირება ფეოდალიზმიდან კაპიტალისტურ ეკონომიკაზე გადასვლის პერიოდში და ასეთივე ფუნქციის მატარებელი უნდა გახდეს ამჟამად მიმდინარე გლობალურ ინფორმაციულ საზოგადოებაზე გადასვლის დროს.

ნაციონალისტური იდეოლოგია სრულიადაც არ ნიშნავს ეთნიკურ, კულტურულ და რელიგიურ შეურიგებლობას. თუმცა რადიკალური ნაციონალიზმის ფსიქოლოგიური გამოვლინებების შოვინიზმი, ქსენოფობია, ნაციზმი და სეპარატიზმი (ეროვნულ-ფსიქოლოგიური მოთხოვნით სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის დარღვევის პოლიტიკა).

პოლიტიკურ-ფსიქოლოგიურ ცნობიერებასა და გამოყენებით საქმიანობაში ბოლო წლების მანძილზე სულ უფრო იმკვიდრებს ადგილს პოლიტიკური ტოლერანტობა, რომელიც ლიბერალურ დემოკრატიის ფსიქოლოგიური განწყობიდან გამომდინარეობს, თუმცა მას ბევრი მიიჩნევს ბოროტებისა და ცოდვების მომთმენლობად წაყრუებამდე, თვალის დახუჭვას სქესობრივ აღვირახსნილობაზე და გათახსირებაზე, ეროვნული ფასეულობების მოშლისკენ სწრაფვას - უცხო რელიგიების შემოსევის საშიშროებას.

თუმცა, ბევრი გახსნილობას და „ღია კარის“ პოლიტიკას უჭერს მხარს (1995 წლიდან აღინიშნება ტოლერანტობის საერთაშორისო დღე).

პოლიტიკაში ძალადობასა და აგრესიას სწავლობს ბიოპოლიტიკა. ერთის აზრით, აგრესიულობა ბუნებრივი მოვლენაა, მეორენი აგრესიულობაში ძირითადად აღზრდის შედეგს ხედავენ, მაგ., შეშფოთებული არიან კინოსა და ტელევიზიაში ძალადობრივი სცენების წამქეზებლური ზეგავლენით.

ასევე საინტერესოა რევოლუციური სიტუაციის, როგორც უკიდურესად აგრესიული ფსიქოლოგიური მუხტის, ეკონომიკური და პოლიტიკური წანამძღვრების ანალიზი. აქ შეიძლება შევადაროთ ორი ალტერნატიული ვერსია (ვ. მარქსი და ალექსის დე ტოკვილის):

რევოლუცია ხდება ხალხის გაუსაძლისი გადატაკების გამო (მარქსი)

რევოლუციას, როგორც წესი, წინ უძღვის ეკონომიკური ზრდა და ხალხის პოლიტიკური თავისუფლების ამალგება, რასაც სოციალური ვალდებულებები უფრო დიდი მოლოდინი ემატება.

სწორედ ამ მოლოდინის დაუკმაყოფილებლობას მოჰყვება საზოგადოებრივი მდგომარეობის მეტისმეტი დამაბზვა, მაგრამ როგორც პოლიტიკური პრაქტიკიდან ჩანს, ერთი პოზიცია მეორეს არ გამოორიცხავს. პოლიტიკური ფსიქოლოგიის უშუალო საქმეა დაადგინოს, თუ რომელი ვარიანტი მიესადაგება კონკრეტულ რევოლუციურ წინა სიტუაციას.

პოლიტიკაში არის განწყობის ისეთი ფორმა, როგორცაა კონფორმიზმი - ანუ მორჩილების განწყობა, პასიურობა, არაკრიტიკული მიღება წესების, ნორმების, ფასეულობების, კანონების, ეგუება მართვის ავტორიტარულ სტილს, რომელიც ხელს უწყობს პოლიტიკური კონფორმიზმის გავრცელებას.

ნონკონფორმისტი - უპირისპირდება ჯგუფურ წნებს, მომთმენია და მოვალეობის გრძნობა აქვს, თვითდაჯერებულია და სტრესისადმი მდგრადია, ყველაზე ხშირად სწორედ ასეთ პიროვნებებზე დაყრდნობით ხორციელდება ნოვატორული გარდაქმნები საზოგადოებასა და პოლიტიკაში.

ასეთი ფსიქოლოგიური დილემა კარგად აღწერა კურტ ვონეგუტმა - ამერიკელმა მწერალმა თავის ცნობილ ლოცვაში: „უფალო, მომეცი სულიერი სიმშვიდე, რათა უყოყმანოდ მივიღო ის, რისი შეცვლაც არ შემიძლია, სიმამაცე, რათა შეევცვალო ის, რაც შემიძლია და სიბრძნე, რათა ყოველთვის განვასხვავო ერთი მეორისაგან“.

პოლიტიკაში მონაწილეები ზოგჯერ არასწორად აღიქვამენ ერთმანეთს. არაადეკვატური შეფასებების მიზეზი მრავალნაირია - „მტრის ხატი“. უნდობლობა, ეჭვიანობა, პოლიტიკური მარკეტინგის ბინძური ილეთების ფსიქოლოგიური ტვირთი და ა.შ.

აქ გასახსენებელია ტალეირანის ცნობილი აფორიზმი: „ადამიანს ენა იმისთვის აქვს, რომ დაფაროს თავისი აზრები“.

პოლიტიკური ქმედების ფსიქოლოგიურ ილეთებს პირველ რიგში მიეკუთვნება პოლიტიკური ინტრიგა. მისი მეშვეობით პოლიტიკური მოვლენები და პროცესები ქმნიან პოლიტიკური სიტუაციის ახალ, ვიღაც მაღალი პოლიტიკური პერსონაჟისთვის საჭირო მიმართულებას.

არსებობს მოკლე და გრძელვადიანი ინტრიგები მიზნების მიხედვით - პერსონალური და სოციალურ-პოლიტიკური მიმართულების. ის შეიძლება ისახავდეს პოლიტიკოსის ფიზიკურ ლიკვიდირებას, ხელისუფლებისაგან მოშორებას, პოლიტიკურ დისკრედიტირებასა და ზნეობრივ კომპრომენტირებას.

პოლიტიკაზე ფსიქოლოგიური ზეგავლენის გავრცელებულ საშუალებას წარმოადგენს პოლიტიკური მიმიკრია - წამბაძველობა. საკუთარი მიზნების მისაღწევად სოციალურ-პოლიტიკური გარემოსადმი უპრინციპო მორგება, გამარჯვებულ პოლიტიკურ ძალებთან თანამშრომლობა, წარსული საქმიანობის საგულდაგულოდ შენიღბვა - პირველ რიგში ახასიათებს პოლარიზებულ, კონფროტაციულ გაცხარებული პოლიტიკური ბრძოლის პირობებში მცხოვრებ საზოგადოებას.

პოლიტიკური ფსიქოლოგია დიდ ყურადღებას აქცევს ბლეფის გამოყენებას, რომლის დიდოსტატები არიან მასობრივი ინფორმაციის საშუალებების ხელისუფლები.

პოლიტიკურ ბლეფს ხშირად იყენებენ ანგაჟირებული საინფორმაციო საშუალებები.

ფსიქოლოგიური ზემოქმედების ერთ-ერთი გავრცელებული მეთოდია შერჩევითი ემოციური განწყობის გავრცელება. ტელევიზიით თუ პრესით გრძელდება ნეგატიური ინფორმაცია, მაგრამ უშუალოდ ტექსტში ვერცერთი სასამართლო ვერ აღმოაჩენს სარჩელის კონკრეტულ საფუძველს. მაგალითად, ვრცელდება ჭორი, „ამბობენ, რომ...“

პოლიტიკური ბლეფის არსენალში გამოიყენება შენიღბული პოლიტიკური რეკლამის (ანტირეკლამის) დროს (შემთხვევითი გამვლელის აზრი, ხელოვნურად ორგანიზებული სკანდალი, საგანგებოდ შერჩეული, ან სულაც პირდაპირ შეთხზული მკითხველთა წერილების ანალიზი და სხვ. ბლეფის ყველაზე მიმზიდველი ფორმაა „კონტექსტიდან ამოგლეჯა“. ნებისმიერი ტექსტის ციტირება ისეთნაირად შეიძლება, რაც თავდაყირა აყენებს მასში გატარებულ აზრს.

ხშირია დაკვეთილი სოციოლოგიური გამოკვლევების განხილვა, სადაც მკვლევარების აფიშირება ხდება, როგორც სახელოვანი სპეციალისტების, სინამდვილეში კი ისინი მხოლოდ ფალსიფიცირებული სპეციალისტები არიან.

პოლიტიკოსები ზოგჯერ ახდენენ სიტუაციის განგებ დრამატიზირებას, როცა შექმნილი ემოციური დისკომფორტის პირობებში, გაცილებით სუს-

ტდება მსმენელის მიერ სიტუაციის რაციონალური შეფასების უნარი. ასეთ მომზადებულ ნიადაგზე ეფექტურად მოქმედებს ბლეფის კიდევ ერთი ნაირსახეობა - პოლიტიკური დემაგოგია.

ფსიქოანალიზს გამოკვლეული აქვს დემაგოგიურობის დამდგენი ნიშნები - ცრუ პათოსი, მჭევრმეტყველება, მსჯელობის სამიზნე უფრო ქვეცნობიერზეა გადატანილი, ვიდრე ცნობიერზე. დემაგოგი ეგზალტირებული, ძნელად დასაშოშმინებელი და აფორიაქებულია, ვინაიდან ყველაზე მეტად საკუთარი თავი აწუხებს.

სიტყვით გამოსვლის დროს, დემაგოგის პირადი ფსიქოლოგიური პრობლემები უფრო გამოიკვეთება, ვიდრე ქვეყნის პოლიტიკური პრობლემები.

მნიშვნელოვანი ფსიქოლოგიური მუხტის მატარებელია ასევე პოლიტიკური შეთქმულება. ის მაქსიმალურად კონსპირაციული და დესტრუქციულია. წარმატებული საიდუმლო შეთქმულებები აუცილებლად მცირერიცხოვანია და სწორედ ამიტომ, მრავალი მათგანი დღემდე იდუმალებით მოსილი რჩება. მისი სამიზნე ყოველთვის ინდივიდია და არა იდეა. „არ არის ადამიანი - არ არის პრობლემა“.

დეკაბრისტების შეთქმულება 10825 წელს სწორედ იმიტომ დამარცხდა, რომ ის მიმართული იყო არა ნიკოლოზ პირველი პიროვნების, არამედ თვითმპყრობელობის წინააღმდეგ.

შეთქმულება დიდ როლს ასრულებს ავტორიტარულ და ტოტალიტარულ პოლიტიკური სისტემებში, სადაც ძალაუფლების და მართვის საკითხები კონცენტრირებულია პოლიტიკური ელიტის ვიწრო წრეში და მათი გადაჭრა ხდება პიროვნებათაშორის ურთიერთობებზე დაყრდნობით და არა ინსტიტუციური და სამართლებრივი მექანიზმებით.

ასეთ პოლიტიკურ სისტემებში ხელისუფლების შეცვლა ხშირად ხდება „სასახლის გადატრიალებების“ და ტერორისტული აქტების მეშვეობით. შეთქმულებების საშიშროება მცირდება სამოქალაქო საზოგადოების განვითარებისა და ხელისუფლების დამოუკიდებელ განშტოებებად გადანაწილების შედეგად.

შეთქმულების შედარებით ვიწრო შესაძლებლობებისაგან განსხვავებით, პოლიტიკურ-ფსიქოლოგიური პროცესის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფორმაა ფსიქოლოგიური ომი. ის შეიძლება იყოს სამოქალაქო და საგარეოც. მისი მიზანია პოლიტოპონენტების მასობრივი სოციალური საყრდენის, იდეების მართლზომიერებისა და განხორციელების იმედის ნგრევა. ასეთ ომს ეწევა რუსეთი საქართველოს წინააღმდეგ და ცდილობს დააკნინოს საქართველოს მხარდამჭერი ძალების ფსიქოლოგიური მდგრადობა. ზნეობრივი სიმტკიცე და პოლიტიკური აქტივობა. შემოაბრუნოს მასობრივი ცნობიერება უკმაყოფილებასა და დესტრუქციული მოქმედებებისაკენ ხელისუფლების ან ოპოზიციის წინააღმდეგ.

ფსიქოლოგიური ომი, როგორც ყოველი საგარეო ომის და შეიარაღებული კონფლიქტის აუცილებელი კომპონენტი, სპეციალური პროპაგანდისტული მეთოდების მეშვეობით მოწინააღმდეგის სამხედრო ჯარის და მშვიდობიანი მოსახლეობის დამუშავებით ხორციელდება.

ფსიქოლოგიური წნეხის გასაზრდელად გერმანიის მთავარი იდეოლოგი იოზეფ ჰებელსი იყენებდა მას ფართომასშტაბიან, გამუდმებულ პროპაგანდისტულ ტყუილს.

დღეს სტაბილურობის ნაცვლად საუბრობენ „მართვადი ქაოსის“ ორგანიზაციულ და ფსიქოლოგიურ პარამეტრებზე. მსოფლიო, გლობალიზაციის პირობებში ნაციონალური სუვერენიტეტის პრინციპების არსებითი გადასინჯვისკენ მოძრაობს, რაც თავისთავად ობიექტურად წარმოშობს ქაოსის პირობებს.

საუკუნეების მანძილზე სუვერენიტეტი იყო საერთაშორისო ურთიერთობების სისტემის საფუძველი. ამჟამად, საერთაშორისო ურთიერთობები თვითონ გახდა სუვერენიტეტის ტრანსფორმირების მამოძრავებელი ძალა.

თვითონ სიტყვა „საერთაშორისო“ ხშირ შემთხვევაში უკვე აღარ ჩანს კორექტული და იცვლება „გლობალურით“, რომელიც აღარ არის უკვე უპირატესად ერებს შორის ურთიერთობა. ამ პროცესების აქტიური მონაწილეები არიან ტრანსნაციონალური კორპორაციები, რომელთა ფინანსური აქტივები ზოგჯერ რომელიმე ქვეყნის ბიუჯეტზე მეტია. შესაბამისად, იცვლება მათი ამბიციებიც.

სუვერენიტეტს ავიწროვებს რეგიონალიზაციის პროცესი. მთელ მსოფლიოში მოქმედი ადგილობრივი თვითმმართველობის შიგასახელმწიფოებრივი როლის და საზღვარგარეთთან უშუალო კონტაქტების და უფლებების უპრეცედენტო ამალღების ტენდენცია მათი საქმიანობაც, შესაბამისად, სულ უფრო „ბიზნესის მსგავსი“ ხდება.

იცვლება ადამიანის სოციალურ-პოლიტიკური სტატუსიც. ის ჯერ მონა იყო, შემდეგ ქვეშევდრომი ფეოდალურ სახელმწიფოში, მოქალაქე კაპიტალისტურში. რა სახელი ერქმევა და რა შინაარსის მატარებელი იქნება მისი ქსელური პრინციპით ორგანიზებული გლობალურ ინფორმაციულ საზოგადოებაში ან რა მოუვა მის მოქალაქეობრივ ფსიქოლოგიას - არავინ იცის, მაგრამ ეროვნული სუვერენიტეტის პრინციპს ადამიანის ახალი მდგომარეობაც რომ თავისებურად შელახავს, ეჭვს არ იწვევს.

## **დასკვნა**

პოლიტიკაზე ფსიქოლოგიური ზეგავლენის გავრცელებულ საშუალებას წარმოადგენს პოლიტიკური წამზადებელობა. საკუთარი მიზნების მისაღწევად

სოციალურ-პოლიტიკური გარემოსადმი უპრინციპო მორგება, გამარჯვებულ პოლიტიკურ ძალებთან თანამშრომლობა, წარსული საქმიანობის საგულდაგულოდ შენიღბვა - პირველ რიგში ახასიათებს პოლარიზებულ, კონფროტაციულ გაცხარებული პოლიტიკური ბრძოლის პირობებში მცხოვრებ საზოგადოებას.

პოლიტიკური ფსიქოლოგია დიდ ყურადღებას აქცევს ბლეფის გამოყენებას, რომლის დიდოსტატები არიან მასობრივი ინფორმაციის საშუალებების ხელისუფალნი.

ზოგადად, პოლიტიკური მტკიცებულებები და დასკვნები ე.წ. „არალოგიკური ლოგიკის“ სფეროს უფრო მიეკუთვნება. დამაჯერებლობა ამ შემთხვევაში - ინფორმაციული ურთიერთობების უფრო რთული, ფორმალური ლოგიკისათვის მიუღწეველი დონეა. ასეთ დროს „მტკნარი სიცრუის“ ნაცვლად უფრო ეფექტურია ტყუილნარევი სიმართლე, ან სიმართლენარევი ტყუილი. ეს ისეთი „ლოგიკური ვირუსია“, რომელიც შეუძლებელს ხდის ტყუილისა და სიმართლის განცალკევებას.

#### **ლიტერატურა:**

1. კუპრაშვილი ჰ. საინფორმაციო ომის ცნება და წარმოშობის პერიპეტეები. ჟურნ. „საისტორიო ვერტიკალები“. თბ. 2017
2. კუპრაშვილი ჰ. საინფორმაციო ომის ორი შემადგენელი: საინფორმაციო-ფსიქოლოგიური ომი და კიბერომი. ჟურნ. „საისტორიო ვერტიკალები“. თბ. 2017.
3. „საინფორმაციო ომი საქართველოს წინააღმდეგ“ ჟურნალი „ექსპერტის აზრი“ საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდი.. თბ. 2014 <https://www.gfss.org/ge/library/view-opinion-paper/32>
4. ეკონომიკური ნატო. ანალიტიკური დოკუმენტი #1. ჰიბრიდული ომი და ევროატლანტიკური სივრცის უსაფრთხოების ლანდშაფტის ცვლილება. მაგალობლიშვილი გ. , ქუთელია ბ. , გურული ი. , ევგენიძე ნ. ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი. თბილისი 2016 [http://eprc.ge/admin/editor/uploads/files/Hybrid%20warfare%20report%20GEO\\_WEB.pdf](http://eprc.ge/admin/editor/uploads/files/Hybrid%20warfare%20report%20GEO_WEB.pdf)



## Politics and Psychology

*Ramaz Chichua, PhD student  
Georgian Technical University*

### Summary

The paper discusses the existing danger of mass political activism, how much it threatens the individuality of man. Here we have considered the major trend in political psychology.

We have also outlined the main criteria of political processes. We have mentioned that in political-psychological consciousness and applied activities, the political tolerance has been gaining ground in recent years. It comes out of the psychological disposition of liberal democracy.

The paper notes that the psychological tricks of political action are primarily attributed to political intrigue. The political events and processes through it create the direction needed for a new, hidden political character in the political situation.

Keywords: Politics, Psychology, Political Tolerance, Liberal Democracy, Political Intrigue.

# ს ა რ ქ ე ო ლ ო გ ი ა

# ARCHAEOLOGY

## ამიერკავკასიის უძველესი სავაჭრო-სატრანზიტო გზების შესწავლისათვის

*ირაკლი შიხიაშვილი, დოქტორანტი  
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

### რეზიუმე

ნაშრომი ეძღვნება პრეისტორიული და ისტორიული ხანის ამიერკავკასიის სავაჭრო სატრანზიტო გზების გაჩენისა და განვითარების ისტორიული მოვლენების შესწავლას. არქეოლოგიურ-ისტორიულ ჭრილში განხილულია უძველეს ცივილიზაციებთან ამიერკავკასიისა და კერძოდ საქართველოს ურთიერთობები, რომლებიც უნდა ასახავდეს და ასახავს კიდევაც საკვლევ ეპოქაში რეალურად არსებულ უძველესს და ძველ სავაჭრო გზებს, მათი განვითარებისა და სახელცვლილებების თავისებურებებს იმდროინდელ სამყაროსთან. საქართველოს, როგორც დასავლეთისა და აღმოსავლეთისა ხიდს. თანამედროვე ე.წ. განახლებული „აბრეშუმის გზის“ მნიშვნელობას საქართველოს ეკონომიკური და კულტურულ განვითარებაში.

საკვანძო სიტყვები: პრეისტორია; აბრეშუმის გზა; ქვედა პალეოლითი; აშელი; ოლდუვასის კულტურა; მტკვარ-არაქსი; ელინური; აქემენიდური

### შესავალი

ბრინჯაოს ხანა ამიერკავკასიის, ზოგადად კავკასიის უძველესი ეპოქის სამიათასწლოვანი ისტორიაა. ქრონოლოგიურად ეს ეპოქა ძვ.წ. IV ათასწლეულის მეორე ნახევრიდან მოყოლებული ძვ.წ. I ათასწლეულის პირველ ნახევარს მოიცავს. ამ დროს მნიშვნელოვანი ძვრები ხდება. წინაურდება ექსტენსიური მიწათმოქმედება, მესაქონლეობა, ეკონომიურად

და სოციალურად ვითარდება საზოგადოება. კიდევ უფრო იხვეწება სახლთმშენებლობის ტრადიციები. სრულდება „ქართველური ტომების ეთნიკური ერთობის ფორმირება“ [ჯაფარიძე ო., 2003, გვ.95], შედარებით გვიან ერთობა იშლება და ყალიბდება ჯერ სვანური, შემდგომ მეგრულ-ჭანური და ქართული ეთნიკური ჯგუფები. როგორც ცნობილია ადრე, შუა და გვიანბრინჯაოს ხანაში საქართველოს დასავლეთი და აღმოსავლეთი ნაწილი მატერიალური კულტურით განსხვავდებიან. დასავლეთ საქართველოს ბრინჯაოს ხანის კულტურა ტრადიციულად ადრეული ეპოქებიდან იკვებება, ამიტომ ბრინჯაოს ადრე და შუა საფეხურებზე ადგილობრივი კულტურა თანმიმდევრულად ვითარდება. იქ მკვეთრი ცვლილებები გვიანბრინჯაოს ხანიდან დაიწყო.

### **ძირითადი ნაწილი**

აღმოსავლეთ საქართველოში ადრებრინჯაოს ხანის მტკვარ-არაქსული კულტურაც აგრძელებს ადგილობრივ ტრადიციებს მაგრამ მკვეთრი ძვრები უკვე სახეზეა. შუაბრინჯაოს ხანაში ნამოსახლარები აღარ ჩანს, ძველი კი მიტოვებულია. ჩნდება სიახლეები, დაკრძალვის ახალი წესი, გორა-სამარხები. მაღალ საფეხურზე ადის ხელოსნობა, შემდგომ მეთუნეობა, ოქრომჭედლობა. განსაკუთრებით ეს ვლინდება მარტყოფის, ბედენისა [ორჯონიკიძე ა., 2014, გვ. 205-210] და თრიალეთის კულტურის ძეგლებში. ბრინჯაოს ფინალური ეტაპი – გვიანბრინჯაოს ხანა ხასიათდება მეტალურგიის, მეთუნეობის მკვეთრი განვითარებით, კალიანი ბრინჯაოს სამეურნეო და საბრძოლო იარაღის მრავალფეროვნებითა და სიმრავლით, ინტენსიური მიწათმოქმედებით, გორანამოსახლარების გაჩენით, ტერასული დასახლებებით, წყვილადი ოჯახისთვის განკუთვნილი წაგრძელებული ოთხკუთხედის ფორმის საცხოვრებლით, მრავალრიცხოვანი სამაროვნებითა და სხვ. [ფიცხელაური კ., 1973, გვ.14-122]; როგორც ზემოთ აღინიშნა ბრინჯაოს ხანის საწყისი ეტაპი მტკვარ-არაქსული კულტურა კავკასიასა და ახლო აღმოსავლეთში გავრცელდა. მან მნიშვნელოვანი როლი შეასრულა „ჩრდილოეთ კავკასიასთან, ანატოლიის, ირანის, ხმელთაშუაზღვისპირეთის ხალხებთან კონტაქტების დამყარების თვალსაზრისით“ [შანშაშვილი ნ. და სხვ., 2016, გვ.6].

აკად. ბ.კუფტინმა, რომელმაც მტკვარ-არაქსის ადრე ბრინჯაოს ხანის კულტურა გამოყო და კავკასიის ძეგლებს შორის ქრონოლოგიური ადგილი მიუჩინა, გამოთქვა მოსაზრება მცირე აზიისა და ხმელთაშუაზღვისპირეთის ენეოლით-ბრინჯაოს ხანის ცივილიზაციებთან მისი მჭიდრო კავშირურთიერთობის შესახებ [Куптин Б., 1948, стр.18]. მეტიც ცალკეული მკვლევარები ირანული და მესოპოტამიური კულტურების მნიშვნელოვან ზემოქმედებასაც არ გამორიცხავენ [გოგაძე ე., 1972, გვ.81]. ზოგიერთი

მკვლევარი უფრო შორს მიდის და ფიქრობს, რომ ეს კულტურა ენეოლითური და სინქრონული ანატოლიური იმპულსების შერწყმის შედეგად ჩამოყალიბდა [ჯაფარიძე ო., 1976, გვ.72-84; შანშაშვილი ნ. და სხვ. 2016, გვ.6]. ეს ზეგავლენები არცაა გამოსარიცხი, რადგან ამ ეპოქაში უკვე მოქმედებდა ანატოლია - სამხრეთ კავკასია - ჩრდილო კავკასიის დამაკავშირებელი ე.წ. ტრანსკავკასიური მაგისტრალი [ფიცხელაური კ., 2012, გვ.68], ხოლო მტკვარ-არაქსის კულტურაში გარკვეულ პროგრესულ ძვრებს უცხო ეთნიკური ტალღის შემოჭრით ხსნის [Чубинишвили Т., 1971, გვ.161-165; Джавахишвили А., 1973, გვ. 364-372]. შედარებით გვიან (ძვ.წ. III ათასწლეულის ბოლო საუკუნეები) ამ კულტურის ფუნქციონირების შეწყვეტას ბედენური ეტაპის თუ კულტურის მატარებელი ტომების შემოსვლას უკავშირებენ [მახარაძე ზ., 1994, გვ.74-75]. ო.ჯაფარიძე შუა ბრინჯაოს ხანაში კულტურის მკვეთრ განვითარებას წინააზიურ სამყაროსთან მჭიდრო კავშირებით ხსნის [ჯაფარიძე ო., 1991, გვ.164-165]. სრულიად შესაძლებელია, რომ მკვეთრი განვითარების პროცესში მნიშვნელოვანი როლი სავაჭრო-ეკონომიკურმა ურთიერთობებმაც ითამაშეს [შანშაშვილი ნ. და სხვ., 2016, გვ.7], დავამატებდით, იმდროინდელმა ტრადიციულად გაკვალებულმა სავაჭრო-სატრანზიტო გზებმაც.

ძვ.წ. IV-III ათასწლეულებში მტკვარ-არაქსის კულტურაში დადასტურებული ინოვაციური ელემენტები, სამხრეთ კავკასიისა და ახლო აღმოსავლეთის უძველეს ცივილიზაციებს ძირითადად ჩრდილომესოპოტამიურ და სირიულ კულტურებს შორის არსებული სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობის შედეგია [შანშაშვილი და სხვ., 2016, გვ.7]. თუმცა ჩვენის აზრით არ უნდა გამოირიცხოს მტკვარ-არაქსელთა მიგრაცია წინა აზიაში. ყოველ შემთხვევაში ფაქტია, რომ მტკვარ-არაქსული თიხის ნაწარმი, „შავპრილა კერამიკა“, ძვ.წ. III ათასწლეულის პირველ ნახევარში ჩრდილო სირიის ძეგლებში ადგილობრივთან თანაარსებობს. ამრიგად, როგორც ჩანს „სამხრეთკავკასიურმა ტომებმა მტკვარ-არაქსის კულტურის ელემენტები ერთის მხრივ გაავრცელეს ანატოლიასა და სირია-პალესტინაში, მეორე მხრივ კი ეზიარნენ რა წინააზიური კულტურების ელემენტებს შემოიტანეს ისინი სამხრეთ კავკასიაში“. ძვ.წ. III ათასწლეულის მეორე ნახევრიდან ამავე რეგიონში ჩნდება მარტყოფ-ბედენის, თრიალეთის, კარმირ-ბერდისა და სევან-უზერლიკის შუაბრინჯაოს ხანის არქეოლოგიური კულტურები [ჯაფარიძე ო., 2003, გვ.გვ.136-183, 193-218], მათგან თრიალეთის კულტურა (ძვ.წ. III ათასწლეულის ბოლო-ძვ.წ. II ათასწლეულის დასაწყისი), რომლის ცალკეული ელემენტები შეიცავენ მესოპოტამიურ, ირანულ, ეგეოსურ და ეგვიპტურ ინოვაციებს.

თრიალეთის დროინდელ მახლობელ აღმოსავლეთში ახალი-სახელმწიფოების ჩამოყალიბების პროცესში ძველი ე.წ. საქარავნო გზები მოიშალა,

ხოლო ასირიელების სავაჭრო კოლონიები განადგურდა. მიუხედავად ამისა ძვ.წ. XV-XIVსს. ადრე გაკვალული გზებით, პალესტინასთან და ზოგადად ახლო აღმოსავლეთთან კონტაქტები მითანის ზედამხედველობით ხორციელდებოდა.

ძვ.წ. XIVსაუკუნის მეორე ნახევარში ხეთების სამეფოს, ეგვიპტისა და ასურეთის სამხედრო კავშირი მითანის სამეფოს წინააღმდეგ გამოდის. ჯერ ხეთებმა (ძვ.წ. 1340-1325წწ.) დაამარცხეს მითანის სამეფო, ხოლო შედარებით გვიან ასურეთმა (XIIIს. შუა ხანები) დაიპყრო მისი მნიშვნელოვანი ნაწილი. ფაქტიურად ეს ტერიტორიები ნაირის ქვეყნების გაერთიანების ხელში ხვდება, ხოლო შედარებით გვიან (ძვ.წ. IXს.) იქ ურარტუს ქვეყანა ბატონდება. ბუნებრივია აღმოსავლეთ ამიერკავკასია ურარტუს ზეგავლენის ქვეშ ექცევა [ჯაფარიძე ო., 2003, გვ.246]. ზემოაღნიშნულს ემატება თრაკო-კიმერიული და სკვითურ-სარმატული ტომების შემოჭრა (ძვ.წ. VIII-VIIსს.) კავკასიასა და წინა აზიაში, ხოლო შემდგომ უკან დაბრუნება. არსებობს მოსაზრება, რომ მათი ნაწილი აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში დარჩა და აბორიგენ მოსახლეობაში აითქვიფა. არქეოლოგიური არტეფაქტების საფუძველზე ჩანს, რომ მომხდურებთან ურთიერთობა არ იყო ყოველთვის მშვიდობიანი. მათი თავდასხმების შედეგია (ძვ.წ. VII-VIსს.) ნგრევის კვალი აღმოსავლეთ საქართველოს იმდროინდელ ნამოსახლარებზე (მოჭრილი გორა, ცისკარაანთ გორა, მელაანის სამლოცველო, ხოვლეს II ჰორიზონტი და სხვ.). ასევე სამარხები, რომლებშიაც სკვითური ინვენტარია (აკინაკი, ცული, სკვითური ისრისპირები) აღმოჩენილი სკვითების ამ ტალღებმა კავკასიონის გავლით დარუბანდის, დარიალის, მამისონისა და სხვა უღელტეხილები გადასასვლელების მეშვეობით გადალახეს და ისე გაიჭრნენ წინა აზიაში. ო. ჯაფარიძის მოსაზრებით ეს უღელტეხილები დამარცხებულმა სკვითების მნიშვნელოვანმა ნაწილმა სამშობლოში დასაბრუნებლად ხელმეორედ გამოიყენა. (ჯაფარიძე ო., 2003, გვ.247). სწორედ ეს უღელტეხილებია, რომლებსაც ადრე და შედარებით გვიან ანტიკურ და შუასაუკუნეებში ჩვენი წინაპარი სავაჭრო-სატრანზიტო მიმოსვლისთვის იყენებდა.

აღსანიშნავია, ის რომ შიდა ქართლის ძვ.წ. VIII-VII და ძვ.წ. V-IV საუკუნეების ზოგიერთ ძეგლზე დაკრძალვის წესი და სახლთმშენებლობის ტრადიციები ცვლილებებს არ განიცდიან. არა და ძვ.წ. VI-IV სს. აქემენიდური ზეგავლენები უკვე სახეუბა. მიუხედავად ამისა ადგილობრივი ტრადიციები მყარადაა შენარჩუნებული და როგორც უკვე ითქვა მოსახლეობის სახე არ შეცვლილა [ლიჩელიძე., 2015, გვ.7]. ზემოაღნიშნული იმპულსური ზეგავლენები ვლინდება აქემენიდური ტიპის კერამიკულ ნაწარმის, ამიერკავკასიაში მიკვლეული ირანული ე.წ. სასახლეების ნაშთების (გუმბათი, საბათლო-საქართველო, სარი-თეფე-ყარაჯამირლი-აზერბაიჯანი, ბენიამინისა და ერე-ბუნის-სომხეთი) მაგალითზე.

**დასკვნა.**

სტატია ბრინჯაო-ადრერკინის ხანის კულტურების შესწავლისა და კავშირურთიერთობების ანალიზს ეძღვნება. ფაქტობრივი არქეოლოგიური არტეფაქტების საფუძველზე მტკვარ-არაქსის, მარტყოფ-ბედენისა და თრიალეთის კულტურების განვითარებას თვალი ედევნება. მათი კვლევით შესაძლებელი ხდება, მეტნაკლები სისრულით, ამ კულტურების ძველი სამყაროს ცივილიზაციებთან კავშირ-ურთიერთობების წარმოჩენა.

**ლიტერატურა**

1. ლიჩელი ვ., გრაკლიანის კულტურა, თბ., 2015
2. მახარაძე ზ., ციხიაგორის მტკვარ-არაქსული ნამოსახლარი, თბ., 1994
3. ორჯონიკიძე ა., მტკვარ-არაქსისა და ბედენის კულტურათა შეხვედრის ზოგიერთი მომენტი სამხრეთ კავკასიაში, კავკასიის და ანატოლიის ადრელითონების ხანის არქეოლოგიის პრობლემები (საერთაშორისო კონფერენციის მასალები), თბ., 2014
4. ფიცხელაური კ., აღმოსავლეთ საქართველოს ტომთა ისტორიის ძირითადი პრობლემები, თბ., 1973
5. ფიცხელაური კ., სამხრეთ კავკასია, წინა აზია, ჩრდილო შავიზღვისპირეთი და ევროპა ენეოლით-ბრინჯაოს ხანაში – არქეოლოგიურ კულტურათა დინამიკა, საქართველოსა და კავკასიის ისტორიისა და არქეოლოგიის საკითხები, თბ., 2012
6. შანშაშვილი ნ., ნარიმანიშვილი გ., ნარიმანიშვილი გ., ვაჭრობა და სავაჭრო გზები სამხრეთ კავკასიასა და ახლო აღმოსავლეთს შორის (ძვ.წ. III-II ათასწლეულები), თბ., 2016
7. ჯაფარიძე ო., ქართველ ტომთა ეთნიკური ისტორიის საკითხისათვის, თბ., 1976
8. ჯაფარიძე ო., საქართველოს არქეოლოგია, თბ., 1991
9. ჯაფარიძე ო., საქართველოს ისტორიის სათავეებთან, თბ., 2003
10. Джавахишвили А., Строительное дело и архитектура поселений Южного Кавказа, V-IV тыс. до н.э., Тб., 1973
11. Куфтин Б., Археологические раскопки 1947 года в Цалкинском районе, Тб., 1948
12. Чубинишвили Т., К древней истории Южного Кавказа, I. Тб., 1971

**The study of the ancient trade and transit routes of the  
Transcaucasia**

*Irakli Shikhiashvili, PhD student  
Georgian Technical University*

**Summary**

The present thesis is dedicated to the study of the historical events and development of the Trans-Caucasian trade transit routes of prehistoric and historical periods. In the archeological-historical framework, the present thesis discusses connections between ancient civilization and Transcaucasia, in particular relations of Georgia, which reflects ancient trade routes truly existed in the study period, the peculiarities of their development and changes with the modern world. Georgia is presented as a bridge connecting west and east. This thesis illustrates the importance of the Modern, so called the renewed Silk Road in the economic and cultural development of Georgia.

# ეკონომიკა

## ECONOMICS

### მომსახურების მარკეტინგის მეცნიერული ასპექტები

*ელისაბედ ხახუტაშვილი, ასოც. პროფესორი  
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

#### რეზიუმე

სტატიაში განხილულია მომსახურების მარკეტინგის ზოგიერთი მეცნიერული ასპექტები: მარკეტინგ-მიქსის სტრუქტურა და მისი მნიშვნელობა მომსახურების კომპანიების პროგრამული ინფორმაციის უზრუნველყოფისათვის (CRM).

მოცემულია სერვისული კომპანიების მართვის მარკეტინგული მოდელი ერთიანი საინფორმაციო სისტემით სტატისტიკურ მონაცემთა მიღება-ანალიზზე დაყრდნობით, რაც დაკავშირებულია სამიზნე აუდიტორიასთან ურთიერთობით და მოტივაციის ცვლილება სარეკლამო კომპანიის საშუალებით.

განხილულია სერვისული კომპანიების მარკეტინგული საქმიანობა მიზნობრივი ბაზრის მოთხოვნის და საჭიროების განსაზღვრით, კონკურენტებთან კონკურენციული უპირატესობის მიღწევა, ასევე მომსახურების მარკეტინგის საერთო მიზნები, ამოცანები და ფუნქციები ხელს უწყობს სარეკლამო კომპანიის ეფექტურ მუშაობას.

საკვანძო სიტყვები: მომსახურების მარკეტინგი, სერვისული კომპანიები, სარეკლამო, მიზნობრივი ბაზარი.

#### შესავალი

„მომსახურება არის ყველაფერი ის, რასაც შეუძლია მოთხოვნილებისა და საჭიროების დაკმაყოფილება და რაც მიეწოდება ბაზარს ყურადღების მიპყრობის, შეძენის, გამოყენების მიზნით.“ [1].



მომსახურება ეს არის ნებისმიერი სახის საქმიანობა ან სარგებელი, რომელსაც ერთი მხარე სთავაზობს მეორეს. მომსახურების მარკეტინგში მარკეტინგი არის ბაზრის ანალიზის ინსტრუმენტთა კომპლექსი. იგი გამოიყენება მოთხოვნისა და მოთხოვნილების ანალიზისთვის, მეცნიერული მიდგომის შემუშავებისათვის [2,3].

მომსახურების სფეროში მნიშვნელოვანია მართვის მარკეტინგული პრინციპების რეალიზაცია მარკეტინგ-მიქსის საშუალებით, სერვისული კომპანიების მართვის პროგრამული უზრუნველყოფით.

სერვისულ კომპანიებში მარკეტინგული საქმიანობის წარმატებულ საფუძველს წარმოადგენს მართვის მარკეტინგული პრინციპები, ანუ მარკეტინგული სისტემის დანერგვა ე.ი. ორგანიზაციის მართვის გადასვლა მარტკეტინგულ მოდელზე.

წარმატებული მომსახურების სფერო დამოკიდებულია აგრეთვე საერთო მიზნებზე, ამოცანებზე და ფუნქციებზე, რაც ხელს უწყობს სარეკლამო კომპანიის ეფექტურ მუშაობას.

### ძირითადი ნაწილი

მომსახურების სფეროში მნიშვნელოვანია ყურადღება მიექცეს მარკეტინგ-მიქსს. უპირველესად საჭიროა სერვისული კომპანიების მართვის პროგრამული უზრუნველყოფა. CRM-ის კლიენტის მომსახურების სრული უზრუნველყოფის კონცეფცია, რომელიც იძლევა ინფორმაციას კლიენტის შესახებ, ახდენს მოცემული ინფორმაციის სისტემატიზაციას, რის საფუძველზე ახდენს ანალიზს.

CRM სისტემა მოიცავს პროგრამულ უზრუნველყოფას გაყიდვების ციკლის მართვისთვის. ინტერნეტის მეშვეობით მასში ჩართულია ინტერნეტ-მაღაზიები.

მარკეტინგული ანალიზის საშუალებით ხდება საინფორმაციო-ანალიტიკური სამუშაოები, განსაკუთრებით აღსანიშნავია მარკეტინგული სამსახურის ორგანიზაციული მართვა.

ჩატარებული სერვისული კომპანიების საქმიანობის ანალიზის საფუძველზე მუშავდება რეკომენდაციები, რომლებიც საჭიროა სერვისული კომპანიის მართვის მოდელის შესაქმნელად.

კომპანიის მარკეტინგული სისტემის არსი და მისი მიქსი ეფუძნება მოდელს, რომლის საფუძველზეც ხორციელდება მომხმარებელზე პროდუქციის მორგება. მათ შორის შედარებით უფრო გავრცელებულია:

1. 4P (პროდუქტი  $P_1$ +ფასი  $P_2$ +ადგილი  $P_3$ +პრომოუშენი წინსვლა  $P_4$ );
2. ბევრად უფრო თანამედროვე და სრულყოფილი კონცეფციაა (7P), რომელშიც წინა კომპონენტებს ემატება ხალხი  $P_5$ + პროცესი  $P_6$ +ფიზიკური მახასიათებლები-მოგება  $P_7$ );

3. 4c-განვითარებულია მომხმარებელთა ორიენტაციის მიმართულებებში (მომხმარებელთა საჭიროებები და პრეტენზიები  $C_1+$  მომხმარებელთა და-ნახარჯები  $C_2+$  მომხმარებელთა ხელმისაწვდომობა  $C_3+$  კომუნიკაცია  $C_4$ ).

აღნიშნულ მოდელებს შორის ყველაზე უფრო „ძველი“ კონცეფციაა 4p და ხშირად ხდება კამათის ობიექტი, ხოლო 7P მოდელში დამატებით ჩართულია უხილავი მომსახურების კიდევ 3 კომპონენტი, რომელიც ასახავს მომსახურების თავისებურებებს, რომელიც შეიძლება იქცეს გაფართოებული მარკეტინგ-მიქსის საფუძვლად. 7P-ის კონცეფციის მეშვეობით შესაძლებელია შეფასდეს გაწეული უნივერსალური მომსახურება.

სერვისული კომპანიების მარკეტინგული საქმიანობას საფუძველს ასევე წარმოადგენს მართვის მარკეტინგულ პრინციპები. კომპანიის მიზნის მიღწევა შესაძლებელია მიზნობრივი ბაზრის მოთხოვნის და საჭიროების განსაზღვრით, კონკურენტებთან კონკურენციული უპირატესობის მიღწევით.

მართვის მარკეტინგული პრინციპების რეალიზაცია საშუალებას იძლევა შემდეგს:

1. მიღებული უნდა იქნას აუცილებელი ინფორმაცია, კლიენტისთვის რა სასურველი სახის მომსახურებაა საჭირო და რატომ;
2. უნდა დადგინდეს არის თუ არა მზად კლიენტი ანაზღაუროს მისთვის გაწეული მომსახურება;
3. უნდა განისაზღვროს შეთავაზებულ მომსახურებაზე ბევრად უფრო მომგებიანი მოთხოვნა, რომ მოხდეს კომპანიის ორგანიზაციული სტრუქტურის ოპტიმიზაცია;
4. მიღწეული იქნეს გაწეულ მომსახურებაზე ბევრად უფრო მაღალი ხარისხი;
5. მიღებული იქნეს უფრო დიდი შემოსავლები;
6. პროგნოზირებული იქნეს ბაზარზე კომპანიის მიერ შემოთავაზებული მომსახურება და ა.შ.

**ფილიპ კოტლერის თანახმად**, მარკეტინგული სისტემის დანერგვა ნიშნავს ორგანიზაციის მართვის გადასვლას მარკეტინგულ მოდელზე. **მომსახურების** სფეროში ორგანიზაციული სტრუქტურის მარკეტინგული ურთიერთზემოქმედება განსაზღვრავს პერსონალის ცოდნას, ხელსაყრელ ურთიერთობას სერვისულ კომპანიებში, მარკეტინგის ელემენტების ურთიერთზეგავლენას. მნიშვნელოვანია საკუთარი სტრუქტურების ერთობლივი მუშაობა (კონტროლი, აუდიტი, ფსიქოლოგიური კონსულტაცია, გაყიდვების ტრენინგი და ა.შ.).

მარკეტინგულ სისტემაში მნიშვნელოვანია საინფორმაციო სისტემა (სს), რომლის საფუძველს შეადგენს შიდა და საგარეო კომუნიკაცია.

შიდა კომუნიკაცია – არის მართვის ადგილობრივი დონე, თანამშრომ-

ლებსა და ქვედანაყოფებს შორის ინფორმაციის გაცვლით, რეაგირებით შიდა ცვლილებებზე.

**საგარეო კომუნიკაცია** – ინფორმაციის მიღება გარე გარემოდან, მომგებიანი კავშირის დამყარებით.

მომსახურების სფეროს შეფასება დამოკიდებულია საერთო **მიზნებზე, ამოცანებზე და ფუნქციებზე**, და რაც მთავარია შეფასების მეთოდოლოგიაზე.

თავდაპირველად უნდა შეფასდეს ღონისძიებათა ეფექტიანობის **მიზნები და ამოცანები**, უნდა ჩატარდეს შემდეგი სამუშაოები:

1. კომპანიის ერთიანი საინფორმაციო სისტემიდან სტატისტიკურ მონაცემთა მიღება და ანალიზი, რაც დაკავშირებულია ანალიზის მეთოდების დამუშავებასთან, უზრუნველყოფასა და რეალიზაციასთან;
2. კონსოლიდირებულ მონაცემთა მიხედვით სამიზნე აუდიტორიის ურთიერთობის და მოტივაციის ცვლილება;
3. შიდა არხების უკუკავშირთა კონტურების ორგანიზება, რათა მოემსახუროს სარეკლამო კომპანიის საყოველთაო მიზნის მიღწევის გამოვლენისთვის.

**რეკლამის კომერციული ეფექტიანობა მჭიდროდაა დაკავშირებული მის წარმოებაზე, სარეკლამო ღონისძიებებზე და მიზნებთან.**

სწორია გამოყენებული იქნეს **დოკუმენტის სახით გაფორმებული მეთოდოლოგია**, რომლის საშუალებით შესაძლებელია შესრულდეს შემდეგი **ამოცანები**:

1. **სარეკლამო კომპანიისა და მომსახურების წინსვლა** სხვა ღონისძიებათა ეფექტიანობის კომპლექსური შეფასება.
2. წინსვლაზე გაწეული ინვესტიციების ოპტიმალურობის შეფასება;
3. ბიუჯეტის რაციონალურად გამოყენების კონტროლი;
4. სარეკლამო კამპანიის ფორმირებისა და სამომავლო პერიოდში წინსვლის ღონისძიებათა ანალიტიკური საფუძვლების შექმნა;
5. მიწოდების შემუშავება მიმდინარე სარეკლამო კამპანიაში რეკომენდაციების და წინადადებების შემუშავება;
6. სამომხმარებლო ბაზრის სტრუქტურის შეფასება;
7. მოთხოვნის პარამეტრთა დადგენა და ა.შ.

სარეკლამო კამპანიის ეფექტიანობის შეფასების პროცესის ფუნქციები შედგება შემდეგი ეტაპებისაგან;

I ეტაპი – საანალიზო სარეკლამო კამპანიის შესახებ საწყის მონაცემთა შეგროვება;

II ეტაპი – სარეკლამო კამპანიის აღრიცხვის მონაცემები (ფაქტიური ცნობები ყველა ცვლილების შესახებ);

III ეტაპი – კომპანიის საინფორმაციო ბაზიდან სტატისტიკური მონაცემთა მიღება;

IV ეტაპი – ცალკეულ ღონისძიებათა მიხედვით კომპანიის საინფორმაციო ბაზიდან სტატისტიკურ მონაცემთა მიღება; V ეტაპი – მარკეტინგულ-ანალიტიკურ სამსახურთა საკუთარი სტატისტიკური და მეორადი მონაცემების დამუშავება.

მომსახურების მარკეტინგული სამსახურის საერთო **მიზნები, ამოცანები და ფუნქციები**, წარმოადგენენ კომპანიის მარკეტინგის საერთო მიზნის ლოგიკურ შემადგენელ ნაწილს. ამ შემთხვევაში მიზნები შეიძლება ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

1. მოთხოვნილების დაკმაყოფილება;
2. კონკურენტებთან უპირატესობის მიღწევა;
3. ბაზრის წილის ზრდა;
4. მომსახურების გაყიდვის ზრდა.

მარკეტინგული სამსახური ამ მიზნების წარმატებით რეალიზაციისათვის, უნდა ფლობდეს შემდეგ ფუნქციებს:

1. **ანალიზის** (საბაზრო სიტუაცია, მყიდველები, კონკურენტები, პროდუქტები, სერვისი, შიდა გარემო) და კონტროლი, ბაზარი, მყიდველები, კონკურენტები, პროდუქტები, სერვისი);

2. **დაგეგმარების** (ბაზრის არჩევა, პროდუქტის არჩევა, ბაზრის პროგნოზირება);

3. **მარკეტინგული** გადაწყვეტილების მიღება: პროდუქტის, სერვისის, მოთხოვნის, გასაღების სტიმულირების და სხვ.

წარმატებული საქმიანობის ძირითადი **ინსტრუმენტებია**: ინფორმაციული სისტემა, მართვისა და კომუნიკაციის სისტემა.

**მარკეტინგული ფუნქციები** ხორციელდება კომპანიაში ორგანიზაციული სტრუქტურების მეშვეობით, რომელთაც გააჩნიათ გასაღებითი, სერვისული და მარკეტინგული სპეციფიკა.

**სერვისული ორგანიზაციების მარკეტინგული სამსახურის ტრადიციულ ამოცანებს განეკუთვნება:**

1. იმ ფაქტორთა გამოკვლევა, რომელიც განსაზღვრავს ორგანიზაციის მომსახურებაზე ბაზრის სამომხმარებლო მოთხოვნებს;
2. კომპანიის ნავარაუდები მომსახურებაზე მოთხოვნების შესწავლას;
3. პროგნოზირების შემუშავება პოზიციების მიხედვით;
4. კლიენტის მიერ შემოთავაზებული მოთხოვნის და მომსახურების გამოკვლევა;
5. გასაღების სტიმულირების და რეკლამის ორგანიზაცია;
6. ბრენდის და ქვებრენდების (თუ ისინი არსებობენ) მართვა;
7. კომპანიისთვის დადებითი PR-ინფორმაციის ველის შექმნა;
8. ორგანიზაციის საქმიანობის ინფორმაციული უზრუნველყოფა;

9. საქმიანობის მარკეტინგული აუდიტი.

**მსხვილ სერვისულ კომპანიის ორგანიზაციულ სტრუქტურაში შედის მარკეტინგის დეპარტამენტი, რომელიც შედგება: მარკეტინგის სამსახურისგან (დეპარტამენტი); მომსახურების წინსვლის (რეკლამის) განყოფილებისგან სერვისის განყოფილების და PR-ჯგუფისაგან.**

აღსანიშნავია სერვისული განყოფილების ამოცანები, რომელიც ძირითადად მიმართულია ღონისძიებათა კომპლექსის შემუშავებაზე; ხოლო სერვისული განყოფილების ფუნქციები ემყარება, როგორც კორპორატიული კლიენტების და სადაზღვევო პარტნიორ-კომპანიებთან მუშაობა, ასევე ფინანსური დოკუმენტების და აღრიცხვის მომზადებისაგან.

### **დასკვნა**

ამრიგად, მომსახურების მარკეტინგის ზოგიერთი, მეცნიერული ასპექტები ეფუძნება მარკეტინგ-მიქსის სტრუქტურას და მის უზრუნველყოფას პროგრამული ინფორმაციით, ასევე მართვის მარკეტინგულ პრინციპებს, შიდა და საგარეო კომუნიკაციებით; საერთო მიზნებს, ამოცანებს და ფუნქციებს, შეფასების საერთო მოდელის შექმნით. ყველაფერი ეს საწინდარია მომსახურების მარკეტინგის წარმატებისა.

### **გამოყენებული ლიტერატურა:**

1. Котлер Филип, Амстронг гари. Основы маркетинга. Профессиональное издание. 12-е изд., Пер. с англ., М.000 „И.Д. Вильямс“, 2009, стр. 355.
2. ჯაში ჩ. სოციალური მარკეტინგის თეორიული და პრაქტიკული ასპექტები. გამომც. „უნივერსალი“, თბ. 2009 გვ. 75-77.
3. ქათამაძე გ., ქათამაძე დ. მომსახურების მარკეტინგი. გამომცემლობა „უნივერსალი“ თბ. 2013. გვ. 544.

## Scientific Aspects of Service Marketing

*Elisabed Khakhutashvili, Associate Professor  
Georgian Technical University*

### Summary

Some scientific aspects of service marketing are discussed in the article: the structure of marketing-mix and its importance in providing software information to service companies (CRM).

In the article is given a marketing model for the management of service companies with a unified information system for statistical data analysis, by target audience interaction and motivational change through advertising company.

There is discussed the marketing activities of the service companies to determine the demand and need for a target market, to achieve competitive advantage over competitors. The overall goals, objectives and functions of service marketing also contribute to the effective work of the advertising company.

These are some of the scientific aspects of service marketing.

Keywords: Service Marketing, Service Company, Advertising, Target Market.

## შრომითი მოტივაცია და ადამიანური ფაქტორები

*ქეთევან გაფრინდაშვილი, ასისტენტ პროფესორი  
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

### რეზიუმე

ადამიანის მოტივირება ნიშნავს შეეხო მის მნიშვნელოვან ინტერესებს, მისცე მას შრომითი საქმიანობის პროცესში საკუთარი თავის რელიზების შანსი.

ადამიანის საქციელი ყოველთვის მოტივირებული უნდა იყოს, რადგან მას შეუძლია აღფრთოვანებით მუშაობა, თუმცა შეუძლია, თავი აარიდოს სამუშაოს. ზოგადად, ადამიანის მოტივაცია საქმიანობისადმი უნდა გვესმოდეს, როგორც მამოძრავებელი ძალების ერთობლიობა, რომელიც ადამიანს სურვილს გაუჩენს, განახორციელოს განსაზღვრული ქმედებები. ეს ძალები იმყოფება როგორც მის შიგნით, ისე გარეთ და აიძულებს მას შეგნებულად ან შეუგნებლად ჩაიდინოს გარკვეული საქციელი.

საკვანძო სიტყვები: ეგზისტენციური, ეგო, ცენზორი, ნარცისიზმი

### შესავალი

მინდა ვისაუბრო შეუმცნებელის მომწუსხავ ხიბლზე და მისთვის ჩვენს მზადყოფნაზე, რაც ყველაზე ფუნდამენტურად საზღვრავს ადამიანური არსებობის სპეციფიკურ ფორმას, განცხვავებით ყველა ცოცხალი არსებებისგან. ინდივიდებს შორის ურთიერთქმედებას საფუძვლად უდევს მოთხოვნილებების რეალიზაცია, მოთხოვნილება - არის ადამიანის მიერ რაიმეს უკმარისობის განცდა, რომელიც კონკრეტული საჭიროებებიდან არის გამომდინარე.

ადამიანებს დროის ყველა მონაკვეთში და საარსებო სიტუაციაში განუწყვეტილად გვაქვს ნაკლულობის განცდა, რომლის ამოვსებაც ჩვენი ეგზისტენციური დინამიკის მთავარი მოტივაციაა, ანუ უკლებლივ ყველას გვამოძრავებს სრულყოფილი სისავსის წარმოდგენითი სურვილი. ასეთი კმაყოფილების გამოცხადება განუწყვეტილად აგვიანებს და ჩვენში მუდამ გადადებულია, ჩვენს ცხოვრებაში იდეალურ სისავსეს არასდროს ჰქონია ადგილი, მის იდეალს მხოლოდ წარმოსახვით ვახორციელებთ: ვფიქრობთ, ვსაუბრობთ - ემოციურად, ნებით მენტალურად და ფილოსოფიურად.

### ძირითადი ნაწილი

ვადიაროთ, რომ ამ ბოლო საუკუნეში ადამიანი ენერგეტიკით ძალიან გაუცხოვდა ბუნებისგან, გაუქრა ბუნების ინტუიციურად განცდის უნარი. ეს

ინტელექტის ენერჯიას (ჭკუას, გონებას, ეგოს) ემუქრება, არადა ეს ინტელექტის ენერჯია ადამიანს სრულიად სხვა ამალღებული მიზნისთვის აქვს, არათუ მატერიალისტური ცივილიზაციის ეგოისტურად დაგემოვნებისთვის.

დაგვავიწყდა, როგორ შევისწავლოთ საკუთარი შინაგანი სამყარო, გარესამყარომ ისე გაგვიტაცა, რომ ზედაპირულები გავხდით, არც გვჯერა, რომ ჩვენში რაღაც არის,...რომ არსებობას შინაგანი განზომილება აქვს. შინაგანში ჩახედვა გვჭირდება, რადგან გარეგანი ვერასოდეს განხორციელდება შინაგანის გარეშე და პირიქით, შინაგანი გარეგანისგან დამოუკიდებლად.

ჭეშმარიტ კომუნიკაბელურ ადამიანს, სიკეთისქმედება და სხვათა თანადგომის სურვილი ამომრავებს, არავითარი მიკერძოებულობა არ ახასიათებს, არასდროს აღიარებს, რომ საკუთარი ან განსხვავებული აზრი, ერთადერთი და შეუვალი ჭეშმარიტებაა. აზრს, მომწიფება სჭირდება, ამიტომ მრავალგზის უნდა გაიცხრილოს, ვითარებამ განსაჯოს და შემდგომ შეფასდეს. ნებისმიერი ჩვენგანის ნააზრევი, დრო- ჟამის ცვლილების გამო, შესანიშნავად ვერ განხორციელდება. ნებისმიერი სიახლე საჭიროებს ახალი იდეების შორსმჭვრეტელურ კომუნიკაციას. არაკეთილშობილური მიზნით განხორციელებული სხვადასხვა სახის კავშირურთიერთობები გვაშორებენ ზნეკეთილობას. ნუ დავუთმობთ ადგილს ჩვენთან კაცთმოძულეობას. ასეთი ტენდენცია საზოგადოებისთვის ხიფათის შემცველია, ტვინის შემოქმედებითი უჯრედების დამშლელია.

საზრიანობა და გონივრულობა მოწესრიგებული ურთიერთობის საფუძველია, ვინც ტრადიციული მორალის და ზოგადად შეფასებების კლიშეებიდან ვერ გამოდის და ამ კლიშეების ცერბერი ხდება, ისინი ნარცისიზმით შეპყრობილი ხალხია, რომელთაც ინფორმაცია პირდაპირ, ჯიქურ ესმით და ასევე პირდაპირ გადააზრების გარეშე აქუჩებენ ტვინში. ასეთებს თავმოყვარეობა გამახვილებულ ადამიანებად ანუ ერუდიტებად მოიხსენიებენ. „ერუდიტი“ ცოდნას არ წარმოადგენს იგი ნააზრევის და გააზრებულის სასაფლაოა. რაც უფრო დიდია ერუდიტული ტერიტორია მით მეტი საფლავია ზედ განლაგებული, მენტორულ- დამრიგებლური ტონი მათზე ცუდად მოქმედებს, თავს შეურაცხყოფილად გრძნობენ. მათი ფსიქიკა ბლოკავს მიღებულ ინფორმაციის აზრის გაგებას, მათთვის ხუმრობით მიწოდებული ინფორმაცია უმტკივნეულოა შესაძლოა ვერც მიხვდნენ რა დიდაქტიკაა ჩადებული ამ ხუმრობაში. არასასურველია, როდესაც ინდივიდი საზოგადოების სხვადასხვა შრეებში მხოლოდ საკუთარი ემოციების, შეხედულებების ექოს ეყრდნობა.

უფრო მიმზიდველია „განსხვავებულობასთან“ ჩაღრმავება, გაანალიზება, რის შედეგად იზადება ახალი შეხედულებები, მიდგომები, სიტყვა. სიტყვა თავისი უნიკალური ბუნებით, მრავალფეროვან შესაძლებლობებს



გვთავაზობს. მას შეუძლია ნაბიჯ-ნაბიჯ მიგვიყვანოს გარკვეულ მიზნამდე, მაგრამ იგივე სიტყვას შეუძლია სულისშემძვრელი ემოციების გამოწვევაც, შესაშური სიტყვებითაა ახსნილი სიტყვის ძალა პროფესორ ივანე და თემურ ჯაგოდნიშვილების, მამუკა შელეგიას სახელმძღვანელოში „წერთი და ზეპირი კომუნიკაციები“: „სიტყვა სამყაროს შემეცნებისა და გამოხატვის უმთავრესი კომუნიკაციური ელემენტია, სიტყვა ობიექტური სინამდვილის და ამ სინამდვილის მიერ ადამიანის აღქმა- შემეცნებაში აღბეჭდილი შთაბეჭდილების ენობრივი გაფორმებაა. გარესამყაროსა და შინასამყაროს შინაარსი ადამიანის გონებას სიტყვით მიეცა და მისი გაცნობიერების შედეგი მანაც სიტყვით გამოხატა“ [1;29].

სიტყვით შესაძლებელია კონსესუსის მიღწევა, როდესაც ადამიანთა შორის უხეში ძალების დემონსტრირება ერთგვარ პიკს აღწევს. სიტყვით გადაეცემა თაობებს წარსული, როგორც ერის ისტორიული მეხსიერება; აწმყოს იმპულსის შეფასება, რადგან აწმყო მუდმივად ცვალებადია, შეფასებაც ანუ მასზე დამოკიდებულება, როგორც წარსულისადმი, ასევე მომავლისადმი, ნაირფეროვანია. ჩვენ ამ პროცესებს ღირებულებათა ცვალებადობას ვუწოდებთ, რაც არც თუ ისე იშვიათად- პარადოქსულია. რა თქმა უნდა, ურთიერთობა უპირველესად ღვთიური ნების გამოვლინებაა. სამყაროში ყველა და ყველაფერი ურთიერთკავშირშია, ჩვენი კარმა და ქმედებები დედამიწის კარმას ქმნის და ყოველი ჩვენგანი ერთმანეთზე ვმოქმედებთ, ან ვბლოკავთ ან ვეხმარებით ერთმანეთის სიცოცხლეს.

ვინ არ ვიცნობთ დაუფიქრებლად გადადგმული ნაბიჯით უკმაყოფილო ადამიანს და მათ ტრაგიკულ ბედს. მათი მაგალითი დაფიქრებისკენ, გონივრულობისკენ და სიდინჯისკენ მოგვიწოდებს. გავიხსენოთ ორ უკიდურესობას შორის არსებული სწორი არჩევანი, რომელიც ანტიკურ ფილოსოფიაში „ოქროს შუაგულის“ ცნებით არის გამოხატული. „ზომიერება ნაკლოვანებებისგან საიმედო დამცველია“ (ლეონარდო და ვინჩი) მისი ცოდნა შემოქმედებითი პროცესია და შეუძლებელია ის წიგნებში ამოიკითხო, ვინმეს რჩევით გააკეთო. არჩევანს ბევრი რამ განსაზღვრავს, რის გათვალისწინება, წინასწარ თითქმის შეუძლებელია, ამიტომ შეცდომები მრავალი ინფორმაციის მქონე ადამიანებსაც მოსდით ზომიერება კი დიდი განძია, რასაც მხოლოდ ბრძენი ფლობს.

სიბრძნის ფაქტორს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ადამიანისთვის მიუღებელ და ცნობიერებიდან არაცნობიერში განდევნილ, კულტურის მიერ ტაბუდადებულ ლტოლვებს. მათი დარაჯი სუპერ ეგოა, შინაგანი „ცენზორი“ ეთიკურად რომ ვთქვათ „სინდისი“, რომელიც ადამიანს ბოჭავს გააცნობიეროს ის პროცესი, რაც მის არაცნობიერ ლტოლვებს და შინაგან „ზე-მეს“ შორის ფარულად მიმდინარეობს. თვითკონტროლის უნარის ინტენსივობა

ადამიანის შეგნებულობის ხარისხზე დამოკიდებული, მის გაცნობიერება-განვითარებაში მათ საეკლესიო, ღვთიური სწავლებანი ეხმარება. ადამიანმა თავის თავში უნდა შეძლოს „პატარა ღმერთის“ არსებობა, რაც ყველა წამალზე უფრო საუკეთესო საშუალებაა ჯანმრთელობისთვისაც და ერთმანეთთან ურთიერთობისთვისაც. ადამიანმა შეიძლება დაივიწყოს ჩადენილი ცუდი საქციელი, ბოროტება, მაგრამ ის მუდამ ახსოვს „პატარა ღმერთს“-სინდისს. ცოდვილს მის მიერ ჩადენილი დანაშაული დიდია თუ მცირე მეტ- ნაკლებად აწუხებს.

თანამედროვეობამ, სამწუხაროდ, განზე გასწია ადამიანში ადამიანურობის მთავარი მსაზღვრელი- სულიერება, სიკეთისქმედება, სიყვარული, კაცთა მოდგმის გადამრჩენ საიმედოობაზე აღმოცენებული. ამ ჰორმონის არსებობას ის ინსტიქტები განსაზღვრავს, რაც სიცოცხლის შენარჩუნება- გაგრძელების მექანიზმის სახით კაცობრიობას შემოქმედმა უანდერძა. როცა ადამიანს სოციალური გარემო უზღუდავს, ბუნებრივად გამოავლინოს ინსტიქტი, ის იძულებულია თავი შეიკავოს. თავშეკავება ამ დროს გაღიზიანებას იწვევს, ქმნის აღქმის დამახინჯებულ საფრთხეს, მას ეჩვენება, რომ უსამართლოდ ეპყრობიან, რაშიც სხვებს (მთავრობას, ახლობლებს და ა. შ.) ადანაშაულებს და წარმოდგენა არა აქვს რა ხდება, რადგან ნამდვილი მიზეზი არაცნობიერია, რასაც მეტწილად სხვაში პოულობს და კონფლიქტის მიზეზიც სახეზეა. აქედან გამომდინარე, მახსენდება წინაპართა მიერ დასმული კითხვა: „შარო საიდან მოდიხარო“. თავშეკავება იმ ენერჯის წყაროა, რომელიც ადამიანს აქტივობისთვის სჭირდება, ესაა ბუნებრივი მოთხოვნილებების მართვა. თუ არის შეზღუდვები, ესე იგი არის აქტივობის მოთხოვნილებებიც რისი დახარჯვაც შექმნა-შენებაში ან ნგრევა-განადგურებაშია შესაძლებელი. მხოლოდ ჰუმანიზმი, ადამიანისთვის ამ ენერჯის კონსტრუქციულად დახარჯვის პირობების შექმნას-დასაქმებას გულისხმობს. ანუ ადამიანს უნდა ჰქონდეს საქმე, რაშიც ის ფიზიკურ ენერჯიასაც გამოიყენებს და სასარგებლო პროდუქტს შექმნის. ხელოვნების ნებისმიერი დარგი, საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომა, მატერიალური და სულიერი საზრდოს შექმნაშიც დაეხმარება და აგრესიისგანაც გაათავისუფლებს. ამასვე ადასტურებს ბრძნული გამონათქვამი-„ნაკლოვანებები შრომით დაიძლევა“(სენეკა). ჯანსაღმა ურთიერთობამ ადამიანს ღვთისნიერი ბუნება უნდა განუმტკიცოს. იგი მთლიანად სიკეთესა და კეთილთან კავშირს უნდა ემსახურებოდეს და არა ეპიზოდურ გულწრფელობას. ისეთი ადამიანური თვისება, როგორიცაა მიტევება და პატიება აუცილებელი საკომუნიკაციო აქსესუარი უნდა იყოს ადამიანური ბუნებისათვის.

ადამიანის საქციელი ყოველთვის მოტივირებული უნდა იყოს, რადგან მას შეუძლია აღფრთოვანებით მუშაობა, თუმცა შეუძლია, თავი აარიდოს

სამუშაოს. ზოგადად, ადამიანის მოტივაცია საქმიანობისადმი უნდა გვესმოდეს, როგორც მამოძრავებელი ძალების ერთობლიობა, რომელიც ადამიანს სურვილს გაუჩენს, განახორციელოს განსაზღვრული ქმედებები. ეს ძალები იმყოფება როგორც მის შიგნით, ისე გარეთ და აიძულებს მას შეგნებულად ან შეუგნებლად ჩაიდინოს გარკვეული საქციელი.

მოტივაციისადმი ტრადიციული მიდგომა ეფუძნება ადამიანისადმი მხოლოდ როგორც რესურსისადმი მიდგომას, რომელიც მოითხოვს ეფექტურ მუშაობას. ტექნოლოგიურმა პროგრესმა რადიკალურად შეცვალა შრომისა და ყოფისადმი დამოკიდებულება, რის შედეგად ხელმძღვანელობა ყოველდღიურად აწყდება თანამშრომელთა საქმიანობაში მოტივაციის პრობლემებს ანუ იმ პრობლემას, თუ როგორ მიმართოს მათი ენერჯია შეთავაზებულ სამუშაოზე, ინტერესი იმისა, თუ როგორ გახდეს ხელქვეითი პარტნიორი, საჭიროა მისი პირადი თავისუფლების გაფართოება, რათა რაც უფრო თავისუფალია ადამიანი, მით მნიშვნელოვანია იმის შეგნება, თუ რა ამოძრავებს მას, რით შეუძლია მეტი სარგებელის მოტანას. [2;165]

### დასკვნა

ადამიანი, რომელმაც სწავლებისა და საწარმოო გამოცდილების პროცესში მიიღო ცოდნა, ჩვევები და სურს გამოიყენოს თავისი ცოდნა შრომაში, რაც უფრო მეტად შეძლებს ის ამას, მით მაღალია მისი დაკმაყოფილების ხარისხი, და შესაბამისად, მოტივების გამოვლენის ხარისხიც. აქედან გამომდინარე, ადამიანის მოტივირება ნიშნავს შეეხო მის მნიშვნელოვან ინტერესებს, მისცე მას შრომითი საქმიანობის პროცესში საკუთარი თავის რეალიზების შანსი. მოტივაცია გარე ფაქტორების ზემოქმედებითაც ფორმირდება, ისეთების, როგორცაა შრომის ანაზღაურების პირობები, სოციალური გარანტიები, სამსახურში წინსვლის შესაძლებლობა, ხელმძღვანელის მიერ შექება ან დასჯა და ა. შ. მათ ძლიერი გავლენა აქვთ, მაგრამ არახანგრძლივი.

ორგანიზაციაში, საგანმანათლებლო დაწესებულებასა თუ სხვა ინსტიტუტებში მშრომელის წვლილის ობიექტური შეფასება მისთვის მძლავრი სტიმულია შრომის ნაყოფიერების ასამაღლებლად. ადამიანი, რომელიც ეთანხმება ორგანიზაციის იდეებს და ფასეულობებს, მუშაობაში დებს მთელ თავის ენერჯიას, მისთვის შინაგანი ბუნებითაა დამახასიათებელი პასუხისმგებლობა სამუშაოზე, ასეთი მიდგომა მაღალი შედეგების მიღწევის საშუალებას იძლევა. ორგანიზაცია ის სისტემაა, რომელიც მოქმედებს გარემოებაზე, ამ გარემოს ძირითად ელემენტს წარმოადგენს საზოგადოება და სახელმწიფო. სახელმწიფოს როლია, შექმნას კანონები, რომლებიც აუცილებლად უნდა შეასრულონ საწარმოებმა და მშრომელებმა. მაგრამ კანონები უნდა ასახავდნენ საზოგადოების ინტერესებს და უზრუნ-

ველყოფდნენ მშრომელთა უფლებების დაცვას, გაჭირვებულთა ფენების სოციალურ დაცვას. [2;196]

**ლიტერატურა:**

1. თემურ ჯაგოდნიშვილი, ივანე ჯაგოდნიშვილი, მამუკა შელეგია. წერით და ზეპირი კომუნიკაციები. თბ. 2017.
2. ირმა მახარაშვილი, ევგენი ბარათაშვილი, ბადრი გეჩბაია, მათა ჩეჩელაშვილი, ოთარ კიკვაძე. მენეჯმენტის ინტეგრირებული სისტემები. თბ. 2018

**Labor motivation and human factors**

*Ketevan Gaprindashvili, assistant professor  
Georgian Technical University*

**Summary**

Motivating a person means echoing his or her important interests, giving him a chance to release himself in the process of labor.

Human behaviour must always be motivated, as it can work with excitement, but it can avoid work. In general, human motivation for activities must be understood as a set of driving forces that make a person want to perform certain actions. These forces are present both inside and outside, forcing him to act consciously or unconsciously.

Keywords: existential, ego, censor, narcissism

**საბუნებისმეტყველო  
მეცნიერებანი**

**NATURAL SCIENCES**

**ტყესაკაფი სამუშაოს პროცესების კომპლექსური მექანიზაციის  
№ 11 ტექნოლოგიური სქემის დამუშავება**

*თინათინ გოგიშვილი, ასოცირებული პროფესორი  
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

*გიორგი კვარაცხელია, დოქტორანტი,  
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

*ზაურ ბალაშვარაშვილი, პროფესორი  
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

**რეზიუმე**

მთაგორიანი ტყესაკაფების ათვისება შრომატევად ტექნოლოგიურ პროცესებთან და ოპერაციებთან არის დაკავშირებული, რაც განპირობებულია რთული რელიეფური პირობებით. განსაკუთრებით რთულია IV ჯგუფის ტყესაკაფების ათვისება, რომლებსაც მიეკუთვნება ერთმანეთზე მიბმული ორი განსხვავებული დახრილობის ტყესაკაფისაგან შემდგარი ტყესაკაფი – პირველი, ქვემოთ ავტოტყესაზიდ გზასთან მიბმული, რომლის დახრილობა 20<sup>0</sup>-ზე მეტია და მეორე – პირველის გაგრძელებაზე, მაღლა პლატოზე განლაგებული ტყესაკაფი, რომლის დახრილობა 10<sup>0</sup>-დან 15<sup>0</sup>-მდე იცვლება. აღნიშნული IV ჯგუფის ტყესაკაფებისათვის დამუშავებულია მორთრევის სამუშაო პროცესის № 11 ტექნოლოგიური სქემა. ზედა ტყესაკაფის ათვისება ტარდება მორსათრევი თვითმტვირთავი აგრეგატით მთლიანადდატვირთულ მდგომარეობაში საბაგირო დანადგარის ბაქნამდე, შემდგომ ზედა საწყობზე ჩამოშვებით; ხოლო ქვედა 20<sup>0</sup>-ზე მეტი დახრილობის ტყესაკაფების ათვისება წარმოებს განივგადასატანი ორმხრივი საბაგირო დანადგარით შოლტების გვერდებიდან ნახევრადდაკიდებულ მდგომარეობაში მორთრევით და ზედა

საწყობზე ჩამომვებით მთლიანად დაკიდებულ მდგომარეობაში. აღსანიშნავია, რომ მორსათრევი თვითმტვირთავი აგრეგატი და განივგადასატანი საბაგრო მორსათრევი დანადგარი დამუშავებული და შექმნილია სტუ-ის სატყეო ტექნიკურ დეპარტამენტში, რომლებითაც ხე-ტყის მორთრევა ორივე ტყესაკაფიდან ხორციელდება პარალელურ რეჟიმში, მთლიანად მექანიზებული წესით, რაც წარმოადგენს მორთრევის ტექნოლოგიური პროცესის ოპტიმალურ ვარიანტს.

საკვანძო სიტყვები: ტყესაკაფი, მორსათრევი თვითმტვირთავი აგრეგატი, მორსათრევი საბაგრო დანადგარი, ტექნოლოგიური სქემა.

### **შესავალი**

საქართველოს მთავორიანი ტყესაკაფების ასათვისებლად, კერძოდ IV ჯგუფის რთული ტყესაკაფებისათვის დამუშავებულია ახალი ტყესაკაფი სამუშაო პროცესების კომპლექსური მექანიზაციის № 11 ტექნოლოგიური სქემა. ამ შემთხვევაში, ტყესაკაფი წარმოადგენს ორი ერთმანეთზე მიბმული ტყესაკაფების ერთობლიობას, რომელთაგან პირველი 36<sup>0</sup>-მდე დახრილობისაა და მიბმულია ავტოტყესაზიდ გზასთან, ხოლო მეორე, პირველის გაგრძელებაზე მაღლა პლატოზეა განლაგებული და საშუალოდ 12<sup>0</sup>-მდე დახრილობისა.


### **ძირითადი ნაწილი**

საქართველოს მთავორიანი პირობებისათვის წარმოდგენილია ტყესაკაფი სამუშაო პროცესების კომპლექსური მექანიზაციის ექვსი ძირითადი და ოთხი დამატებითი ტექნოლოგიური სქემები.

აღნიშნულიდან გამომდინარე № 11 ტექნოლოგიური სქემა წარმოადგენს № 1 და № 7 ტექნოლოგიური სქემების შერწყმას.

№ 11 ტექნოლოგიური სქემის მიხედვით მორთრევის სამუშაო პროცესი ზედა ტყესაკაფზე მიმდინარეობს ძირითადად № 1 ტექნოლოგიური სქემის (ნახ. 2) მიხედვით – იმ განსხვავებით, რომ (ნახ. 1), ტყესაკაფი ებმის ავტოტყესაზიდ გზას, ხოლო ჩვენ შემთხვევაში ტყესაკაფი განლაგებულია მაღლა პლატოზე და მთაით მორთრევა წარმოებს ტყესაკაფის მთელ ფართობზე მორების გამოტანით მთლიანად დატვირთულ მდგომარეობაში საბაგრო დანადგარის ზედა ბაქნამდე, საიდანაც შემდგომ ხდება შეკრულების სახით მათი ჩამოშვება მთლიანად დაკიდებულ მდგომარეობაში.

№ 1 ტექნოლოგიური სქემის მიხედვით მორთრევის ტექნოლოგიური პროცესი მიმდინარეობს შემდეგი თანმიმდევრობით: მთა ჯერ მაგისტრალური საკაბდოთი და შემდეგ დამატებითი განივი საკაბდოთი გადაადგილდება მოჭრილი ხისაკენ. მოჭრილი ხის დამორვის შემდეგ ხდება მთაზე




№ 11 ტექნოლოგიური სქემა (ნახ. 1):

- 1 – მორსათრევი თვითმტვირთავი აგრეგატი; 2 – მაგისტრალური საკაბლო; 3 – ტყესაკაფი სათრევეები; 4 – მორი; 5 – ბაქანი; 6 – ჯალამბარი; 7 – ზედა საწყობი; 8 – ავტოტყესაზიდი გზა; 9 – მზიდი ბაგირი; 10 – დამზარე ურიკა; 11 – განივგადასატანი მზიდი ბაგირი; 12 – ძირითადი ურიკა; 13 – საწევი ბაგირი.

თვითდატვირთვა ან ნახევრადდატვირთულ ან მთლიანადდატვირთულ მდგომარეობაში, დაბმა მექანიზებული წესით და იგივე საკაბლოებით მთა მიეწოდება საბაგრო დანადგარის ბაქანთან. აქ ხდება მორების გადმოტვირთვა მექანიზებული წესით და მთა ბრუნდება ტყესაკაფზე, შემდეგ მოჭრილ ხესთან იგივე ოპერაციების გასამეორებლად.

ტყესაკაფზე მოსაჭრელი ხეების მთლიანად ბაქანზე ჩატანის შემდეგ საბაგრო დანადგარით წარმოებს მორების ან შეკრულების სახით მათი ჩამოშვება ზედა საწყობზე.

№ 11 ტექნოლოგიური სქემიდან (ნახ. 1) გამომდინარე, ქვედა 36<sup>0</sup>-მდე დახრილობის ტყესაკაფზე ტექნოლოგიური პროცესი წარმოებს № 7 ტექნოლოგიური სქემის (ნახ. 3) მიხედვით. № 7 ტექნოლოგიური სქემა ითვალისწინებს განივი მიმართულებით ორივე მხრიდან შოლტების და მორების მორთრევას ნახევრადდაკიდებულ მდგომარეობაში და მათ ჩამოშვებას




№ 1 ტექნოლოგიური სქემა (ნახ. 2):

1 – მაგისტრალური საკაბდო; 2 – ტყესაკაფი სათრევეები (განშტოებები); 3 – მორსათრევი თვითმტვირთავი აგრეგატი; 4 – შოლტი; 5 – ზედა საწყობი; 6 – ავტოტყესაზიდი გზა; I, II, III, IV – პირობითი ტყესაკაფი ზოლები

შეკრულების სახით ზედა საწყობზე მთლიანად დაკიდებულ მდგომარეობაში. ტყესაკაფის სიღრმე არის 1000 მ, სიგანე 600 მ. № 7 ტექნოლოგიური სქემის განხორციელება წარმოებს ორმხრივი განივგადასატანი საბაგრო მორსათრევი დანადგარით, რომელიც მოიცავს: 1 – ჯალამბარს; 2 – ძირითად მზიდ ბაგირს; 3 – ურიკას; 4 – საწევ ბაგირს; 5 – დამატებით გვერდით მზიდ ბაგირს; 6 – დამხმარე ურიკას. № 7 ტექნოლოგიურ სქემაში აგრეთვე შედის: 7 – ზედა საწყობი; 8 – ავტოტყესაზიდი გზა და I, II, III, IV, V – პირობითი ტყესაკაფი ზოლები.

№ 7 ტექნოლოგიური სქემის მიხედვით მორსათრევის ტექნოლოგიური პროცესი, № 11 ტექნოლოგიურ სქემასთან შეთანწყობით მიმდინარეობს შემდეგი თანმიმდევრობით; მორსათრევის პროცესის დასაწყისში დამატებით გვერდით მზიდ ბაგირებზე 5 დამონტაჟებული ერთ-ერთი დამხმარე ურიკა 6 განლაგებულია ძირითადი ტრასის მზიდ ბაგირზე დაკიდებული ურიკის 3 ქვეშ, ხოლო მეორე დამხმარე ურიკა გაყვანილია ტყესაკაფზე და ხდება მისი დატვირთვა ანუ მორის ჩაბმა კაკვიან საწევ ბაგირზე 4. მეჯალამბრეს ეძლევა





ნახ. 3. ტექნოლოგიური სქემა N 7

სიგნალი და ტყესაკაფზე განლაგებული ურიკა 6 იწყებს გადაადგილებას ძირითადი ტრასისაკენ, ხოლო ტრასის ქვეშ განლაგებული მეორე დამხმარე ურიკა გადაადგილდება განივი მიმართულებით ძირითადი ტრასის მეორე მხარეს ტყესაკაფის სიღრმეში მოჭრილ ხესთან. ძირითადი ტრასის ქვეშ ხდება დამხმარე კაკვიანი საწევი ბაგირიდან შოლტის ან მორის ჩახსნა. აქ შეიძლება, თუ ძირითადი ურიკა 3 თავისუფალია, მოხდეს ერთი მხრიდან მორთრეული მორის ან შეკრულას ძირითადი საწევი ბაგირის კაკვზე ჩაბმა, აწევა და ჩამოშვება ზედა საწყობზე, ან მეორე მხრიდან მორთრეულ მორთან ერთად შეკრულას ფორმირება და შემდეგ ორივე მხრიდან მორთრეული მორების ერთად, შეკრულას სახით ჩამოშვება ზედა საწყობზე.

რომელიმე პირობითი ზოლის მთლიანად ათვისების შემდეგ ხდება დამატებითი მზიდი ბაგირების დამონტაჟება ახალ პირობით ტყესაკაფ ზოლზე თავისი დამხმარე ურიკებით. ორივე ტყესაკაფზე ყველა პირობითი ზოლების ათვისების შემდეგ წარმოებს საბაგირო დანადგარის გადატანა და მონტაჟი ახალ მომზადებულ ტრასაზე.

ამრიგად, № 11 ტექნოლოგიური სქემის მიხედვით წარმოებს მე-IV ჯგუფის რთული ტყესაკაფის ათვისება № 1 და № 7 ტექნოლოგიური სქემების მიხედვით, ამასთან მორსათრევი თვითმტვირთავი აგრეგატები გამოიყენება მხოლოდ ზედა ტყესაკაფზე, ხოლო განივგადასატანი საბაგირო მორსათრევი დანადგარი გამოყენებულია ორივე ტყესაკაფისათვის პარალელურ რეჟიმში.

### დასკვნა

ნაშრომში დამუშავებულია მთავორიანი პირობებისათვის ტყესაკაფი

სამუშაო პროცესების კომპლექსური მექანიზაციის ახალი № 11 ტექნოლოგიური სქემა, რომელიც წარმოადგენს № 1 და № 7 ტექნოლოგიური სქემების შერწყმას. ახალი № 11 ტექნოლოგიურ სქემაში გათვალისწინებულია სხვადასხვა დახრილობის ტყესაკავების ათვისების სირთულეებთან დაკავშირებული თავისებურებები, შერჩეულია ბუნებრივი პირობების შესატყვისი მექანიკა-დანადგარები და გადაწყვეტილია მორთრევის ტექნოლოგიური პროცესის ოპერაციების რაოდენობა და დასაბუთებული თანმიმდევრობა, რაც თავის მხრივ წარმოადგენს მთლიანი სამუშაო პროცესის ოპტიმალური ვარიანტს.

### **გამოყენებული ლიტერატურა**

1. ზ. ბალამწარაშვილი, გ. კოკია, პ. დუნდუა, თ. მჭედლიშვილი, ზ. ჩიტძე. ტყეკავითი სამუშაოების მანქანები და ტექნოლოგია მთიან პირობებში. თბილისი. სმმესკ ინსტიტუტი. 2008. 252 გვ.
2. ზ. ბალამწარაშვილი, პ. დუნდუა, ზ. ჩიტძე, ვ. აბაიშვილი, ი. გელაშვილი. ხე-ტყის დამზადებისა და ტრანსპორტირების ტექნოლოგია. I ნაწილი. თბილისი. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი. 2013. 186 გვ.
3. ზ. ბალამწარაშვილი, პ. დუნდუა, ზ. ჩიტძე, ვ. აბაიშვილი, ი. გელაშვილი. ხე-ტყის დასამზადებელი მანქანები და მოწყობილობები. II ნაწილი. თბილისი. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი. 2013. 200 გვ.
4. ზ. ბალამწარაშვილი, ზ. ჩიტძე, დ. მოსულიშვილი, რ. ტყემალაძე. მორსათრევი თვითმტვირთავი აგრეგატების ძიება და კვლევა. თბილისი. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი. 2015. 275 გვ.
5. ზ. ბალამწარაშვილი, ზ. ჩიტძე, დ. მოსულიშვილი, რ. ტყემალაძე. ტყესაკავი სამუშაო პროცესების კომპლექსური მექანიზაციის ტექნოლოგია და მანქანები. III ნაწილი. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი. 2017. 280 გვ.
6. Матвенко А.П., Федоренчик А.С. Технология и машины лесосечных работ. – МН.: УП. Технопринт. 2002. 479 с.
7. Занегин Л.А., Воскобойников И.В., Еремеев Н.С. Машины и механизмы для канатной трелевки. Московский Государственный университет. леса. Москва. 2004. 445 с.

**Development of complex mechanization of wood cutting workelov processes № 11  
technology scheme**

*Tinatin Gogishvili, Associate Professor  
Georgian Technical University*

*Giorgi Kvaratskhelia, PhD Student  
Georgian Technical University*

*Zaur Balamtsarashvili, Professor  
Georgian Technical University*

**Summary**

The development of mountain wood-cutting areas is associated with labor consuming technological processes and operations due to it's complex terrain conditions. It is particularly complex the development of IV group wood cutting areas that includes two connected to each other different inclination wood-cutting areas: – the first, connected to lower skidway, with an inclination of more than 20°, and the second wood-cutting area a continuation of the first, located on above a plateau, with an inclination varies from 10° up to 15°. For the above mentioned IV group wood-cutting area, the skidding technological workflow process № 11 is developed. The development of the upper wood-cutting area shall be carried out in a fully loaded self-loaded skidding aggregate up to cableway installation platform, then by lowering it on upper storage area; and the development of lower more than 20° inclination wood-cutting areas is operated by a transversal double-sided cableway installation in the half-hinged position and lowered to the upper storage in a fully hinged position. It would be mentioned that skidding self-loaded aggregate and transversal cableway skidding installation is designed and developed by the Forestry Engineering Technical Department of GTU, in that timber skidding from both wood-cutting areas is carried out in a fully mechanized manner that represents an optimal option for the skidding technological process.

key words: cutting area, self-immersing skidder, skidding cable installation, technological scheme.

## „ფარისებრი ჯირკვლის $^{131}\text{I}$ იზოტოპით კვლევისას გამა კამერით რეგისტრაციის გაუმჯობესებული მეთოდი

*ვალერიან ხუციშვილი, დოქტორანტი  
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

*კახაბერ შამათავა, დოქტორანტი  
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

*ნუგზარ დოლიძე, პროფესორი  
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

### რეზიუმე

ნაშრომში წარმოდგენილია ფარისებრი ჯირკვლის პათოლოგიის, კერძოდ სიმსივნის დიაგნოსტიკისა და მკურნალობისას  $^{131}\text{I}$  იზოტოპის ორგანიზმში შეყვანილი პაციენტების გამა კამერით რეგისტრაციის გაუმჯობესებული მეთოდი. განხილულია გამა კამერა და მისი მუშაობის პრინციპები. პრობლემური პაციენტებისთვის, რომელთაც ორგანიზმში ფუნქციური დარღვევები აღენიშნებათ, შემუშავებულ იქნა სკანირების ახალი მეთოდი, რომელიც ექიმს საშუალებას აძლევს სკანირების მკაფიო სურათით გააკეთოს უფრო ზუსტი დასკვნები დროის მცირე მონაკვეთში. ახალი მეთოდი იძლევა კონტრასტულ, ინფრომატულ სურათს, რომლის საშაულებითაც ექიმი-ონკოლოგი დროულად აკეთებს დასკვნას და შემდგომი მკურნალობის დაგეგმვას.

საკვანძო სიტყვები: გამა კამერა, ფარისებრი ჯირკვალი, სკანირება, ნახევარდაშლის პერიოდი, ნახევარგამოყვანის პერიოდი

### შესავალი

ბირთვული და რადიაციული მედიცინა სამედიცინო რადიოლოგიის ერთ-ერთი მიმართულებაა XXI საუკუნის სამედიცინო პრაქტიკაში [1-5]. დღეისთვის ძნელად თუ მოიძებნება სამკურნალო დაწესებულება – საავადმყოფო თუ კლინიკა, სადაც არ ფუნქციონირებდეს აპარატურა დიაგნოსტიკისა და თერაპიისთვის, რომლის საფუძველს მაიონებელი გამოსხივება წარმოადგენს.

დიაგნოსტიკის ერთ-ერთ ამგვარ აპარატს წარმოადგენს გამა-კამერა. ბირთვულ მედიცინაში გამა-კამერა არის ვიზუალიზაციის მოწყობილობა, რომელიც გამოიყენება პრაქტიკაში, კერძოდ იმ სიმსივნით დაავადებული პაციენტების სადიაგნოსტიკოდ, რომელთაც უტარდებათ ინტრავენურად ან პერორალურად მიღებული რადიოიზოტოპებით მკურნალობა.

### ძირითადი ნაწილი


წარმოდგენილი ნაშრომი ეხება სამედიცინო ფიზიკის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან მიმართულებას - დიაგნოსტიკა და მკურნალობა. კერძოდ, მოცემულია გამა კამერით სკანირების მეთოდის გაუმჯობესება მაღალი ხარისხის ინფორმატიული სურათის მისაღებად. იგი საშუალებას გვაძლევს სკანირების პროცედურა შევამციროთ დროში, პაციენტის მაგიდის და თვითონ მოწყობილობის სიჩქარის მიზანმიმართული ცვლილებით. შედეგად, მიღებული სურათის საფუძველზე დასკვნის გაკეთება სწარმოებს დროის მცირე მონაკვეთში. უფრო დეტალური ანალიზი აჩვენებს, რომ მნიშვნელოვანია სწორად მოხდეს რადიოიზოტოპის დოზის და პაციენტის მაგიდის სიჩქარის შერჩევა კოლიმატორთან მიმართებაში. ახალი მეთოდის მოდელირება აჩვენებს რომ ინდივიდუალური პრობლემური პაციენტებისთვის გარჩევისუნარიანობა უფრო მაღალია ვიდრე არსებული, სტანდარტული მეთოდით სკანირებისას.

### კვლევის ობიექტი და მეთოდოლოგია

ბირთვულ მედიცინაში ვიზუალიზაციისთვის ყველაზე ხშირად გამოიყენება გამა და/ან სცინტილაციის კამერები, მას აგრეთვე „ენგერის კამერასაც“ უწოდებენ. გამა კამერის საშუალებით სწარმოებს სრული ველის ერთდროული დეტექტირება და შესაბამისად, შესაძლებელია პაციენტის სადიაგნოსტიკო არიდან ჩაიწეროს, როგორც დინამიკური, ისევე სტატიკური გამოსახულებები. ხელმისაწვდომია სხვადასხვა დიზაინის გამა კამერები, მაგრამ ყველაზე ხშირად გამოიყენება ენგერის ერთ კრისტალიანი კამერა. მიუხედავად იმისა, რომ გამა კამერები წლების განმავლობაში იხვეწება და უმჯობესდება, კამერის ძირითადი ოპერაციული პრინციპები უცვლელი დარჩა.

გამა კამერა ეს არის მოწყობილობა რომლის საშუალებითაც სწარმოებს პაციენტის ორგანიზმიდან გამოსხივებული გამა კვანტების დაფიქსირება კოლიმატორის საშუალებით და შემდეგ მისი გარდაქმნა ელექტრონულ სიგნალად კომპიუტერული სურათის მისაღებად. კოლიმატორის საშუალებით სწარმოებს პირველადი გამოსხივებული გამა კვანტის დაფიქსირება და გადატანა სცინტილატორის ველში (სურ.1). სცინტილატორში მოხვედრილი გამა სხივის შემდეგი ბარიერი არის ფოტოგამამრავლებელი მილი, სადაც გამა კვანტი გარდაიქმნება ელექტრონულ სიგნალად. გამა კამერის ეს ძირითადი ნაწილები საშუალებას გვაძლევს გამა კვანტები გარდავქმნათ ელექტრონულ სიგნალად და შემდეგ კომპიუტერის საშუალებით მოვახდინოთ ვიზუალიზაცია.

პაციენტი, რომელსაც რადიაქტიური იოდის გამოყენებით უტარდება



სურ. 1 . გამა კამერა და მისი ძირითადი ნაწილები

მკურნალობა თუ დიაგნოსტიკა, თავსდება სტაციონარში და პერორალური გზით იღებს რადიოაქტიური იოდ-131-ის წინასწარ შერჩეული დოზას. რადიოაქტიური იოდ-131-ის ნახევარდაშლის პერიოდი 8.0197 დღეა, მას აქვს  $\beta^-$  და  $\gamma$  გამოსხივება. აქედან გამომდინარე პაციენტის ორგანიზმში მოხვედრილი იზოტოპი გამოასხივებს გამა კვანტს რომელის ენერგია საკმარისია რათა ადამიანის სხეულიდან გამოიტყორცნოს და გარკვეული მანძილიც გაიაროს ჰაერში. კვანტის ენერგია 364 კეე-ს შეადგენს. პაციენტის ორგანიზმში ბიოლოგიური უჯრედები ჩაიჭერენ რადიოაქტიური იოდის ატომებს რომლებიც ინტენსიურად გამოასხივებს გამა კვანტებს.

იოდის მიღებიდან გარკვეული დროის გასვლის შემდეგ პაციენტი თავსდება გამა კამერის დასაწოლ მაგიდაზე (სურ.1). დაწოლის შემდეგ დეტექტორი მიუახლოვდება პაციენტის ორგანიზმის თავის არეს, რადგან სკანირება იწყება სხეულის ზედა ნაწილიდან და გაჩერდება სხეულიდან 5-10 სმ მანძილზე, რასაც არეგულირებს დეტექტორის გარე ნაწილში განთავსებული სენსორული სისტემა.

ორგანიზმიდან რადიაციული ნივთიერების გამოსვლის კრიტერიუმად გამოიყენება ე.წ. „ბიოლოგიური ნახევარგამოსვლის პერიოდი“. ბიოლოგიური ნახევარგამოსვლის პერიოდი არის დრო როდესაც პაციენტის მიერ მიღებული რადიოიზოტოპის გამოსხივების დოზა ნახევრდება. ეს დრო სხვადასხვა პაციენტისთვის ინდივიდუალურია და დამოკიდებულია სხვადასხვა ფაქტორებზე: ასაკობრივი შეზღუდვა, ორგანიზმიდან იზოტოპის ნახევარგამოსვლის სხვადასხვა პერიოდი, ფუნქციური დარღვევები და სხვა.

გარკვეულ დროში, როცა ორგანიზმი დაიცლება რადიოაქტიური ნარ-

ჩენებისგან და გამოსხივებული დოზა ერთ მეტრ მანძილზე გაუტოლდება 1 მკზვ/სთ-ს, მაშინ პაციენტი უსაფრთხოა, რადგან ეს დოზა დადგენილია საქართველოს მარეგულირებელი ორგანოს მიერ. კლინიკაში სამკურნალოდ მოსული პაციენტი 48 სთ-ის განმავლობაში იმყოფება იზოლირებულ პლატაში, რადგან მისთვის სამკურნალოდ გათვლილმა იზოტოპმა მოახდინოს განაწილება სამკურნალო კერებში. ასევე ყურადსაღებია ის გარემოებაც რომ საქართველოს კანონმდებლობიდან გამომდინარე [6], სამედიცინო დაწესებულებიდან ბირთვული პროცედურების ჩატარების შემდეგ შესაბამისი ინსტრუქციით გაწერილი პაციენტის ნარჩენი აქტივობა არ უნდა აღემატებოდეს 400 მკზვ-ს. (ეს აქტივობა 1 მ. მანძილზე პაციენტისაგან შექმნის 22 მკზვ/სთ დოზის სიმძლავრეს).

რადიაქტიური იოდის მიღების შემდეგ პაციენტებს უტარდება სკანირება დადგენილი წესით. სკანირების ჩატარებით დგინდება პაციენტის ორგანიზმში ფარისებრი ჯირკვლის სიმსივნის კერების არსებობა, რაც დაიმზირება ვიზუალურად. კვლევის ობიექტს გამოყოფს მიღებული სურათის კონტრასტულობა, რაც ხშირ შემთხვევაში დარღვეულია. კერძოდ, პრობლემურია პაციენტები, რომელთაც რადიოიზოტოპის მიღების შემდეგ ორგანიზმში დასაშვებზე მაღალი დოზა დაუგროვდათ და დროულად ვერ მოხდა მისი გამოყოფა. ასეთი პაციენტების სკანირებასას მიღებული სურათი არაინფორმატულია, რაც გამოწვეულია რადიაქტიური იოდის გადაჭარბებული დოზით ორგანიზმში. ასეთი პრობლემური პაციენტების სკანირება და დიაგნოზის დასმა გვიანდება დროში (2-4 დღე), რაც ექიმისთვის პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობის დადგენას უშლის ხელს. აღნიშნულმა ხარვეზებმა გამოიწვია სკანირების ახალი მეთოდის შემუშავება, რომელმაც ეს პრობლემა აღმოფხვრა.


### **სკანირების სტანდარტული მეთოდის აღწერა**

ზევით აღწერილი დანადგარი აღჭურვილია სტანდარტული სკანირების მეთოდით, MIE SCINTRON (Managed Integrity Evaluation) პროგრამით. ამ პროგრამის უზრუნველყოფით სწარმოებს ფოტოგამამრავლებელი მილიდან გამოსული ელექტრონული სიგნალის გადატანა კომპიუტერის ეკრანზე.

კლინიკაში შემოსულ პაციენტებს, რომელთაც აღნიშნება ფარისებრი ჯირკვლის პრობლემები, უტარდებათ დიაგნოსტიკა გამა კამერის საშუალებით და საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი თერაპია. რადიოიზოტოპის მიღებიდან გარკვეული დაყოვნების შემდეგ (სტანდარტით 48 სთ) პაციენტს უტარდება სკანირება. დაყოვნების დრო დამოკიდებულია ორგანიზმის უნარზე გაანაწილოს იზოტოპი მთელს ორგანიზმში თანაბრად. მაგრამ, როგორც ცნობილია, ფარისებრი ჯირკვალი გამოირჩევა იოდის დაგროვების

უპირატესობით. ვინაიდან ნებისმიერი სიმსივნე ნორმალურ ქსოვილთან შედარებით უჯრედების სიმრავლეს წარმოადგენს, მასში მოხდება იოდის ჭარბი დაგროვება და შესაბამისად გამა გამოსხივების ინტენსივობაც მეტი იქნება. ამ ეფექტის დაფიქსირება გამოსხივების ინტენსივობის მიხედვით, ექიმს საშუალებას აძლევს იმსჯელოს სიმსივნის ზომებზე, მდებარეობაზე, ფიქსირების სიღრმეზე და დაგეგმოს შემდგომი თერაპიის მსვლელობა.

კვლევის პროცესში აღმოჩნდა, რომ ზოგი პაციენტისთვის საკმარისი არ არის სტანდარტული 48 საათიანი დაყოვნება იმისთვის, რომ ჩაუტარდეს სკანირება. ამ პრობლემის გამომწვევი ფაქტორები მრავალნაირია: პირველ რიგში აღსანიშნავია პაციენტების ასაკი - 45 წლის ზევით, და ასევე ორგანიზმიდან იზოტოპის ნახევარგამოსვლის პერიოდის სხვადასხვა სიდიდე ფუნქციური დარღვევების გამო და სხვა. სტატისტიკურად გამოკვლეულ იქნა, რომ ასეთი პაციენტები ძნელად ექვემდებარება სტანდარტულ სკანირებას და მივაკუთვნეთ როგორც პრობლემური პაციენტები, ვინაიდან ვერ ვიღებთ სასურველ სურათს - მათი სკანირების ვიზუალური სურათი რთული წასაკითხია. სურ.2-ზე ნაჩვენებია, როგორც ნორმალური (ა), ასევე პრობლემური (ბ), პაციენტის სკანირების სურათი, რომლის ასაკი აღემატება 45 წელს და აქვს სხვადასხვა ბიოლოგიური ფუნქციური დარღვევები. როგორც სურათიდან ჩანს, პრობლემური პაციენტის სკანირების სურათი გამოუსადეგარია სადიაგნოსტიკოდ.



**სურ.2. სტანდარტული სკანირებით მიღებული სურათები: ა) ნორმალური პაციენტი, ბ) პრობლემური პაციენტი**



ეს სურათები მიღებულია გამა კამერის სტანდარტული პროგრამით. სურ.2(ბ). ექიმი-ონკოლოგისთვის არაფრის მომტანია, ვინაიდან მის საფუძველზე დასკვნის გაკეთება შეუძლებელია. ასეთ შემთხვევებში აუცილებელია გაიზარდოს პაციენტის კლინიკაში დაყოვნების დრო, რათა ორგანიზმიდან გამოვიდეს იზოტოპების „ჭარბი“ რაოდენობა და განმეორებით ჩატარდეს სკანირება. სიტყვა „ჭარბი“ ჩასმულია ბრჭყალებში, ვინაიდან იგულისხმება სტანდარტული სკანირებისთვის იზოტოპების ატომების მოჭარბებული რაოდენობა, ანუ რაც არასასურველი სურათის მიღების მთავარი მიზეზია.


### **სიახლე სკანირების მეთოდიკაში**

კვლევის პერიოდში სკანირება გაიარა 342-მა პაციენტმა. ყველა გამოკვლეულ პაციენტს ჩაუტარდა იოდოთერაპია და მიღებული იზოტოპის აქტივობა 50-150 მკი-ს შეადგენდა. 342 პაციენტიდან ამორჩეულ იქნა ისეთი პაციენტები რომელთა მიღებული საწყისი დოზა 100 მკი (მილიკიური) იყო. ასეთი პაციენტები აღმოჩნდა 108 ადამიანი. 100 მკი აქტივობის იზოტოპმიღებული პაციენტები არჩეულ იქნა იმიტომ, რომ ეს დოზა საშუალოა თერაპიისთვის და ყველაზე მეტ პაციენტს მოიცავს.

გამა კამერით სკანირების დროს შემჩნეულ იქნა ცდომილება, რომელიც გამოიკვეთა შემდეგში: პაციენტის მკურნალობის თუ დიაგნოსტიკის დროს მიღებული დოზა ზოგჯერ აჭარბებდა აპარატის შესაძლო რესურსს. ამ პრობლემის გადასაჭრალედ, როდესაც ორგანიზმიდან რადიოიზოტოპის ნახევარგამოსვლის პერიოდი დიდია, პაციენტების სკანირება სტანდარტული მეთოდით ტარდება კიდევ რამდენიმე დღის შემდეგ (2-4 დღე). ეს კი აგვიანებს პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესწავლას.

სიახლე სკანირების მეთოდიკაში მდგომარეობს შემდეგში. შესწავლილ იქნა გამა კამერის ტექნიკური და პროგრამული მახასიათებლები. სტატისტიკურად კვლევის პერიოდში 342 პაციენტიდან აღებული 108 ადამიანიდან ამორჩა 13, რომლებსაც ფიზიოლოგიური ფუნქციური შეზღუდვები ჰქონდა და სკანირების ახალი მეთოდიკით დაიწყო გამოკვლევა. განსხვავება სტანდარტულ და ახალ მეთოდს შორის არის ის რომ, სტანდარტულ მეთოდს აქვს პროგრამულად მითითებული შეზღუდვები გამოსხივებულ ენერგიასთან დამოკიდებულებაში, ხოლო გაუმჯობესებული მეთოდი საშუალებას იძლევა ეს დამოკიდებულება ვცვალოთ. სტანდარტული სკანირების მეთოდის დროს პაციენტი თავსდება სკანირებისთვის განკუთვნილ მაგიდაზე და ვიყენებთ ჩატვირთულ პროგრამას. ამ დროს პაციენტის საწოლი მაგიდა მოძრაობს კოლიმატორის საწიმალმდეგოდ გარკვეული სიჩქარით (15-20 სმ/წთ). აღმოჩნდა რომ ეს სიჩქარე მცირეა პაციენტის მდგომარეობიდან გამომდინარე. კოლიმატორი აფიქსირებს გამა კვანტებს და გარდაქმნის

ვიზუალურ გამოსახულებად, პრობლემური პაციენტების სკანირებისას მიღებული კვანტების ენერგია მაღალია, აღემატება 22 მკზვ/სთ-ს და სურათზე აღბეჭდვისას იმდენად მრავალრიცხოვანია რომ იწვევს სურათის გამუქებას. პრობლემას მივუდევით შემდეგნაირად პაციენტს რომელსაც ნახევარგამოსვლის პერიოდი გაზრდილი აქვს და ორგანიზმში დაგროვილი დოზა აღემატება ნორმით გათვალისწინებულს, ვაწვევთ სკანირების მაგიდაზე და ვიწყებთ სკანირებას. ამ დროს ვცვლით პროგრამულად სიჩქარეს (20-55 სმ/წთ), რომლის საშუალებაც სტანდარტულ შემთხვევაში არ გვაქვს. ვაჩქარებთ მანამდე, სანამ არ მოხდება ჩვენთვის სასურველი სიმსივნური ჩართვების დაფიქსირება. ვინაიდან საქმე გვაქვს სიმსივნური უჯრედების პათოლოგიურ დარღვევასთან, რის გამოც სიმსივნურ წარმონაქმნში უჯრედები პათოლოგიურად გამრავლებულია, და იზოტოპი სწორედ ამ პათოლოგიურ უჯრედების ატომებში ნაწილება, შესაბამისად ვხედავთ, რომ ჯანმრთელ ქსოვილში იზოტოპის განაწილება თანაბარია, ხოლო პათოლოგიურ უბნებში უჯრედების მოჭარბებული რაოდენობაა. ანუ ჯანმრთელი და პათოლოგიური უბნების გამოსხივება ერთანმეთისგან კონტრასტულად განხვავდება (სურ. 3).



**სურ.3. სკანირების გაუმჯობესებული მეთოდით მიღებული სურათები პრობლემური პაციენტებისთვის: ა) 55 წლის პაციენტი, ბ) 50 წლის პაციენტი**

სკანირების ეს სურათები ახალი მეთოდის შედეგია რომელზეც ექიმმა გააკეთე დასკვნა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ და დანიშნა შესაბამისი მკურნალობა. მე-3 სურათები სკანირების ახალი მეთოდის შედეგია და განსხვავება სტანდარტულისგან ცალსახად შესამჩნევია. მეთოდმა

საშუალება მოგვცა დროის მცირე მონაკვეთში მიგველო ინფორმატიული, კონტრასტული სურათი, რომელმაც დააჩქარა პაციენტის მდგომარეობის დადგენა და ექიმს მისცა მკურნალობის შემდეგი ეტაპის დაეგეგმვის საშუალება.

### **დასკვნა**

ამგვარად, შემუშავებული მეთოდით, კერძოდ, გამა კამერის მაგიდის სიჩქარის გაზრდით, შესაძლებელი გახდა ინფორმაციული სურათის მიღება, სადაც გამოიკვეთა საკვლევი ორგანოს გამოსახულება. ექიმს მიეცა დასკვნის უმოკლეს დროში გაკეთების საშუალება. აქედან გამომდინარე, ახალმა მეთოდმა შეამცირა პაციენტის კლინიკაში დაყოვნების და ორგანიზმის რადიაციით დატვირთვის დრო,

### **ლიტერატურა :**

1. PHYSICS in NUCLEAR MEDICINE. Cherry, Simon R. Physics in nuclear medicine / Simon R. Cherry, James A. Sorenson, Michael E. Phelps. —4th ed. —p. ; cm. Includes bibliographical references and index. ISBN 978-1-4160-5198-5 (hardback : alk. paper) 1. Medical physics. 2. Nuclear medicine. I. Sorenson, James A., 1938- II. Phelps, Michael E. III. Title. [DNLM: 1. Health Physics. 2. Nuclear Medicine. WN 110] R895.S58 2012 610.1'53—dc23
2. ნ.დოლიძე. რადიაციული უსაფრთხოების ფიზიკური საფუძვლები. // სახელმძღვანელო. საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“, 2010. – 126 გვ. სტუ-ს ბიბლიოთეკის კოდი 621.039 (02)/19.
3. ნ.დოლიძე, ქკოტეტიშვილი, გ.ჩიხლაძე. მაიონებელი გამოსხივება მედიცინაში. ნაწილი I. დიაგნოსტიკა. // სახელმძღვანელო. საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“, 2012 149 გვ. (სტუ-ს ბიბლიოთეკის ელექტრონული სახელმძღვანელო, CD 547).
4. ნ.დოლიძე, ქკოტეტიშვილი, გ.ჩიხლაძე. მაიონებელი გამოსხივება მედიცინაში. ნაწილი II. მკურნალობა. // სახელმძღვანელო. საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“, 2012. 171 გვ. (სტუ-ს ბიბლიოთეკის ელექტრონული სახელმძღვანელო, CD 548).
5. Cherry SR, Sorensen JA, Phelps ME. Physics in Nuclear Medicine. 3rd ed. Philadelphia: W.B. Saunders; 2003.
6. „მაიონებელი გამოსხივების წყაროებთან მოპყრობისადმი რადიაციული უსაფრთხოების ნორმები და ძირითადი მოთხოვნები“ (საქართველოს მთავრობის დადგენილება #450, 27.08.2015)

**A Gamma camera with a  $^{131}\text{I}$  isotope study of the thyroid gland  
Improved registration method**

*Valerian Khutsishvili, PhD student  
Georgian Technical University*

*Kakhaber Shamatava, PhD student  
Cukhumi State University*

*Nugzar Dolidze, professor  
Georgian Technical University*

**Summary**

This paper presents a new method for registration through Gamma Camera of patients having thyroid gland pathology, particularly, within the period of diagnostics and treatment of the patients, who have  $^{131}\text{I}$  isotope in their body. Gamma Camera and principles of its functioning are discussed here. For problematic patients with functional disorders, a new scan method has been developed that allows the physician to make more accurate conclusions in a shorter period of time with a clear image scan. The new method gives a contrasting, informative picture, which allows the oncologist to make timely findings and plan further treatment.

Keywords: Gamma camera, Thyroid gland, Scan, Half-life, Half-life period.

# სამკთაშოკისო უკოთიეკოთოგოგო

## INTERNATIONAL RELATIONS

ცხინვალის რეგიონი/სამხრეთ ოსეთში განვითარებული მოვლენები  
2008 წლის ომამდე

*გიორგი გოგიაშვილი, დოქტორანტი  
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

### რეზიუმე

ცხინვალის რეგიონი/სამხრეთ ოსეთში 1989-1992 წლებში განვითარებული მოვლენებმა განაპირობა საერთო სივრცეში მცხოვრები ხალხის დაპირისპირება, ოსებისა და ქართველების, ხოლო 2008 წლის ომმა ურთიერთობის სრული გაწყვეტა. კონფლიქტმა, პირველ საწყისიდან 2008 წლამდე გაიარა სხვადასხვა სახე: საწყისი, მიმდინარე, გაყინული და ტრანსფორმირებული. თითოეული პერიოდის დახასიათების შედეგად ვლინდება კონფლიქტის არსი და მასში მონაწილე მხარეთა ინტერსები, იკვეთება ოსთა არა მხოლოდ სეპარატისული მისწრაფებები, არამედ სეპარატისულ-ირიდენტული სურვილი, ჩრდილოეთ ოსეთთან შეერთების. ისტორიული ფაქტები, ნათელს ფენს რომ სამაჩაბლოში მაცხოვრებელი ოსი ხალხი საქართველოს, კერძოდ შიდა ქართლის ტერიტორიაზე ცხოვრობს.

გაეროს სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მიხედვით, ყველა ხალხს აქვს თვითგამორკვევის უფლება, მიუხედავად არსებული პაქტისა და გაეროს წესდებისა, არ არსებობს არცერთი საერთაშორისო ორგანიზაციის აღიარება და მხარდაჭერა ოსთა სეპარატისტულ-ირიდენტული მოძრაობის ქმედებათა გასამართლებლად, რომელიც მათ გადადგმულ ნაბიჯებს ლეგიტიმურად მიიჩნევდა.

ცხინვალის რეგიონი/სამხრეთ ოსეთში კონფლიქტი არ შეიძლება ეთნო-კონფლიქტად განვიხილოთ, რადგან უშუალოდ დაპირისპირებამდე არ არსე-

ბოზდა ურთიერთობის დამაბვის რაიმე მიზეზი, პირიქით საქართველოში ერთ-ერთ დიდ ეთნიკურ უმცირესობას წარმოადგენდნენ ოსები, რომელთა ეთნიკური ნიშნით გამორჩევა არ ხდებოდა. განვითარებული უთანხმოება მიანიშნებს პოლიტიკურ კონფლიქტზე, რომლის ინიცირებაც განხორციელდა გარეშე ძალების მიერ.

საკვანძო სიტყვები: 2008 წლის აგვისტოს ომი. სეპარატიზმი. ეთნიკური უმცირესობები, ეთნოკონფლიქტი.

### **შესავალი**

ეროვნულ უმცირესობათა სწრაფვა სახელმწიფოსაგან გამოყოფისა და გამოცალკევებისა, მწვავე ფორმით შეეხო მე-20 საუკუნეში საქართველოს დამოუკიდებელ რესპუბლიკას, შიდა ქართლის ტერიტორიაზე, ე.წ სამხრეთ ოსეთში. მცირე და დიდი ქვეყნების პრობლემად წარმოგვიდგება კონფლიქტური ზონები, რომლებიც თანამედროვეობაში სეპარატიზმის სახით გვევლინება, რიგ შემთხვევაში აგრესიული სეპარატიზმის სახითაც. საუკუნის მეოთხედს გადასცდა კონფლიქტის ისტორია, რომელიც მწვავე ფორმაშია შესული, და საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების იურსიდიქცია არ ვრცელდება კონფლიქტურ ზონაში.

### **ძირითადი ნაწილი**

სხვადასხვა დროს აღნიშნული ისტორიული ფაქტების გათვალისწინებით, ვიღებთ სარწმუნო ცნობებს იმის შესახებ, რომ ამჟამინდელი ე.წ სამხრეთ ოსეთის ტერიტორია წმინდა ქართულ საცხოვრის წარმოადგენდა.

მე-18 საუკუნის დიდი ქართველი ისტორიკოსის და გეოგრაფის ვახუშტი ბაგრატიონის რუკებზე შიდა ქართლში შედიან ხევი და დვალეთი, რომელიც განლაგებულნი არიან კავკასიონის ქედის ჩრდილოეთით. დვალეთი რომ უძველესი დროიდანვე შედიოდა ქართლის სამეფოში, ეს კარგად ჩანს „მოქცევაი ქართლისაი“-ს ცნობიდან, რომ „კარნი ოვსეთისნი“ და „ორნი დვალეთისა „ქართლის სამეფოს ტერიტორიაა, რომელიც VI საუკუნეში სპარსელებმა დაიპყრეს [1. 9-10].

ვახუშტი ბაგრატიონი მკაფიოდ მიუთითებდა, რომ შიდა ქართლის მთასა და დვალეთში მოსახლე ოსების ადგილას თავის დროზე ქართველები ცხოვრობდნენ, რომლებიც ერთობლივად ბარში გადასახლდნენ, რადგან მტერთა ხშირი შემოსევების გამო დაბლობში მოსახლეობა ფაქტობრივად გაწყდა. მთაში ჩაკეტილ ოსებს ჩრდილოეთ კავკასიის ველებში, საიდანაც ისინი იყვნენ შემოსული, გადასახლების საშუალება არ ჰქონდათ. სამაგიეროდ მათ გამოსასვლელი ნახეს საქართველოში. ოსთა მეკობრეობისგან შეწუხებული ერთ-ერთი ძველი ქართული ეთნოგრაფიული ჯგუფის წარმომადგენელი

დვალეები, საქართველოს სხვადასხვა მხარეში გაიფანტნენ. ადგილზე დარჩენილები კი, აქ XVI საუკუნიდან შემოსული ოსების ენობრივ-ეტნიკურ გარემოში, გაოსდნენ. დვალეები ისეთივე ქართველები იყვენ, როგორც ფხოველები, თუშები, გულდამაყრელები... ისინი საქართველოს მთელი ისტორიის მანძილზე აქტიურად მონაწილეობდნენ საერთო ქართული კულტურის შექმნაში. გვიან რუსეთის იმპერიის ხელშეწყობით, ოსური ეთნოსის წარმომადგენლებმა ქართველთა ისტორიული განსახლების მნიშვნელოვანი არეალი - შიდა ქართლის მთისწინა და მთის მონაკვეთიც მიითვისეს [2. 49].

XVII საუკუნიდან ოსთა კომპაქტური დასახლებანი ქართლის მთიან ნაწილში გვხვდება. ხოლო XVIII საუკუნიდან ოსები ქვემოთ ჩამოდიან და ქართველ მეფე-თავადთა მოწადინებით ქართულ მიწებზე სახლდებიან. რუსეთის მიერ საქართველოს მიერთების შემდეგ ოსები მეტი ინტენსივობით ფუძნდებიან შიდა ქართლის მთასა და ბარის სოფლებში. XIX საუკუნის მეორე ნახევარში მასობრივად გადმოდიან საცხოვრებლად საქართველოში. ოსთა კომპაქტური დასახლებები ჩნდება მტკვრის მარჯვენა ნაპირზე, ახლანდელი ქარელის რაიონში, ბორჯომის რაიონში და სხვა. საუკუნის დამლევს ოსური სოფლები კახეთშიც გვხვდება [3. 245].

XVIII საუკუნის დასასრულსა და XIX საუკუნის დასაწყისში ოსები იკავებენ პატარა ლიახვის ხეობის მთისწინეთის მნიშვნელოვან მონაკვეთს. ამ პერიოდში განსაკუთრებით XIX საუკუნის პირველ ათეულ წელს ხდება ოსთა გაჟონვითი ანუ ინდივიდუალური განთესვა შიდა ქართლის მთიანეთიდან შიდა ქართლის მთისწინეთისა და ბარის სოფლებში. ამ დროისთვის ოსთა ასეთი განსახლება განსაკუთრებით განხორციელდა პატარა ლიახვის ხეობის მთიანი მონაკვეთიდან (XIX საუკუნეში ოსთა მთიდან მთისწინეთსა და ბარში გადანაცვლების ფაქტები აღნუსხულია 1818, 1830, 1840, 1860, 1873, 1886 წლის მოსახლეობის კამერალური აღწერის დავთრებსა და საოჯახო სიებში, რომლებიც დაცულია საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივის 254 ფონდში) [2. 198].

ისტორია, როგორც წარსულის უტყუარი საბუთი, ერს ეხმარეა შეძლოს საკუთარი თავის თვითიდენტიფიკაცია, თუმცა სხვადასხვა საშუალებებით შესაძლებელია მისი დამახინჯებაც, ხოლო პოლიტიკა თავისი არსით სუბიექტის მოქმედების არეალს აფართოვებს და სხვადასხვა მექანიზმებით საშუალებას აძლევს მას, მისთვის სასურველ მიზანს მიადწიოს, მიუხედავად ისტორიული წარსულისა. სწორედ სასურველი პოლიტიკის გამოყენებით იწყებს სამხრეთ ოსეთის სახალხო ფრონტი-„ადამონ ნიხასი“ თავის ბრძოლას სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობისათვის.

1988 წლის ნოემბერში ცხინვალში ჩამოყალიბდა რადიკალური მოძრაობა „ადამონ-ნიხასი“, რომელმაც მიზნად დაისახა სამხრეთ და ჩრდილოეთ

ოსეთის გაერთიანება, რუსეთის საბჭოთა ფედერაციულ რესპუბლიკის შემადგენლობაში. 1989 წლის 15 აგვისტოს გამოიცა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილება ქართული ენის სახელმწიფო პროგრამის შესახებ. 1989 წლის ოქტომბერში, როდესაც ცხინვალში ოსების პირველი მიტინგი გაიმართა, ეს გახდა საბაზი იმისა, რომ ქალაქში შეიყვანეს ქართული მილიციის გაძლიერებული რაზმები.

ქართულ-ოსურმა დაპირისპირებამ მწვავე ხასიათი მიიღო მას შემდეგ, რაც „ადამონ-ნიხასის“ აქტიური ზემოქმედების შედეგად, 1989 წლის 10 ნოემბერს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მეოცე მოწვევის სახალხო დეპუტატთა საბჭომ მე-12 საგანგებო სესიაზე მიიღო გადაწყვეტილება, სამხრეთ ოსეთის სტატუსის ამაღლების შესახებ. ამ გადაწყვეტილებით, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი უნდა გარდაქმნილიყო სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკად [4. 93].

ცხინვალის რეგიონი/სამხრეთ ოსეთში განვითარებულ მოვლენების საწყისად „კანონთა ომი“ მიიჩნევა, რომელსაც დასაბამი დაუდო საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებამ ქართული ენის სახელმწიფო პროგრამის შესახებ. „კანონთა ომი“ ურთიერთობის გამწვავების წინაპირობად იქცა სხვა დამოკიდებულ გარემოებებთან ერთად. კანონთა ომის მონაწილენი გახლდნენ: საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის, შემდეგ საქართველოს დამოკიდებელი რესპუბლიკის მთავრობები და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მთავრობა, ხოლო სამშვიდობო როლში გვევლინება ჯერ კიდევ საბჭოთა სოციალისტური და შემდეგ რუსეთის ფედერაციის ხელისუფალნი. ომის ძირითად შინაარს წარმოადგენს სტატუსის განსაზღვრა ყოფილი სამხრეთ ოსეთის ოლქისათვის, რაც გადაიზარდა შეიარაღებულ კონფლიქტში. კანონთა ომი ეს იყო სამართლებრივი რეგულაციით უკეთესი მდგომარეობის მოპოვების საშუალება, რომელიც გამოწვეული იყო ეროვნულ-ნაციონალისტური განწყობით. 1989 წლის 10 ნოემბერში მიღებული გადაწყვეტილებით სამხრეთ ოსეთის სახალხო დეპუტატთა საბჭოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილება სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკად გარდაქმნის შესახებ იყო აშკარა გამოხატულება საქართველოს ერთიანობისა და ტერიტორიული მთლიანობის რღვევის.

ოსები საქართველოში ტრადიციულად ერთ-ერთ ყველაზე მრავალრიცხოვან ეთნიკურ ჯგუფს წარმოადგენდნენ, უკანასკნელი საბჭოთა აღწერის მიხედვით, რომელიც 1989 წელს ჩატარდა, ოსების რაოდენობა აღწევდა 164,055 ადამიანს, ხოლო ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის გარეთ კი 98,823 ადამიანს [5]. ფაქტი, რომ საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში, კონფლიქტამდე, ცხოვრობდა ასი ათასი ეთნიკური წარმომავლობით



ოსი, ხოლო ცხინვალის რეგიონში მხოლოდ სამოცდახუთი ათასი, ეს ფაქტი მიანიშნებს, რომ თანაცხოვრების პერიოდში შემზღვეველი და დამაპროვლებელი გარემოებები, ურთიერთობაში, თითქმის არ არსებობდა.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის 2014 წლის საყოველთაო აღწერით, საქართველოში მოსახლეობის 86.8%-ს – 3.22 მილიონი ადამიანი – ქართველები შეადგენენ; შემდეგ მოდიან აზერბაიჯანელები – 233 000 ადამიანი (6.3%); სომხები – 168 100 (4.5%); რუსები – 26 500 (0.7%); ოსები – 14 400 (0.4%). საქსტატის მონაცემებში, სადაც ეთნიკური კუთვნილების შესახებ არის ინფორმაცია, 12 200 ადამიანი ანუ მთლიანი მოსახლეობის 0.3% მოხსენიებულია როგორც იეზიდები; უკრაინელები – 6 000 (0.2%); ქისტები – 5 700 (0.2%); ბერძნები – 5 500 (0.1%) [6].

წარმოდგენილი რიცხვები და ეთნოსთა მრავალფეროვნება დასტურია იმისა, რომ საქართველოში ეთნიკური ნიშნით გამორჩევა არ ხდება, რაც მშვიდობიან გარემოზე მიუთითებს. საერთო სივრცეში თანაცხოვრება და შემხებლობის მაღალი პრცენტი, ვლინდება არაქართველი სტუდენტების რაოდენობის მატებაში, სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებში. ნაჩვენებია სტატისტიკა და წარმოდგენილი მაგალითი ამყარებს მოსაზრებას, რომ ცხინვალის რეგიონში კონფლიქტი არ იყო ეთნიკური, არამედ აზრთა სხვადასხვაობის მიზეზი, მაგრამ ე. წ. სამხრეთ ოსეთის მოსახლეობის დამოუკიდებლობისაკენ სწრაფვა გამოიხატებოდა რადიკალური ქმედებებით, რომელიც ასოცირდება წმინდა აგრესიულ სეპარატიზმთან, თავისი დამახასიათებელი თვისებებით.

სეპარატისტული მოძრაობა ილტვის მაქსიმალურ პოლიტიკური ავტონომიისათვის ან ფედერაციაში ცალკე სუბიექტის სტატუსის მოსაპოვებლად [7], მაგრამ განსახილველ თემას აუცილებლად უნდა დაერთოს ირედენტული მოძრაობა, რომელიც საშუალებას გვაძლევს მივიღოთ ნათელი სურათი. ცხინვალის რეგიონში ეთნიკურად ოს მოსახლეობის მიერ განხორციელებული ქმედებების შეფასება შეიძლება მხოლოდ სეპარატისტულ-ირედენტულ მისწრაფებად, რადგან „ადამონ ნიხასი“-ს ჩამოყალიბების მიზანთა შორის ერთ-ერთი იყო ჩრდილოეთ ოსეთთან შეერთება, მაგრამ ფაქტს ვერ გავუქცევით და უნდა აღინიშნოს, რომ ისტორიულ სამშობლოსთან შეერთება რასაც ირედენტოზმი გულისხმობს ამ შემთხვევაში ე.წ. სამხრეთ ოსეთში მაცხოვრებელ ოსებს მხოლოდ საქართველო შეიძლება განვიხილოთ ისტორიულ სამშობლოდ და არა ჩრდილოეთ ოსეთი, ტერიტორიული თვალსაზრისით. სეპარატისტულ-ირედენტული მოქმედებები განხორციელდა სეცესიის მეშვეობით, ყველაზე მეტად რელევანტურია, რომ საქართველოს რესპუბლიკიდან ე.წ. სამხრეთ ოსეთის გამოყოფას სეცესირება ვუწოდოთ, მიუხედავად ქვეყნის არც ფედერაციული/კონფედერაციული მოწყობისა.

სეცესია თავის თავში მოიცავს, სეპარატიზმის უკიდურეს ფორმას, რომელიც მიზნად ისახავს გარკვეული ტერიტორიის სრულ პოლიტიკურ გამოყოფას არსებული სახელმწიფოდან და ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნას [8].

სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი, მიღებული იქნა, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მიერ 1966 წლის 16 დეკემბერის რეზოლუციით. პაქტის I ნაწილის მე-1 მუხლში ნათქვამია:

1. ყველა ხალხს აქვს თვითგამორკვევის უფლება. ამ უფლების საფუძველზე ისინი თავისუფლად განსაზღვრავენ თავიანთ პოლიტიკურ სტატუსს და თავისუფლად ისწრაფვიან ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური განვითარებისკენ.

2. ყველა ხალხს შეუძლია საკუთარი მიზნებისთვის თავისუფლად განკარგოს თავისი ბუნებრივი სიმდიდრე და რესურსები ურთიერთ სარგებლიანობის პრინციპზე დაფუძნებული საერთაშორისო ეკონომიკური თანამშრომლობისა და საერთაშორისო სამართლიდან გამომდინარე ვალდებულებებისადმი ზიანის მიყენების გარეშე. არცერთ შემთხვევაში არ შეიძლება რომელიმე ხალხს ჩამოერთვას საარსებო საშუალებები.

3. წინამდებარე პაქტის მონაწილე სახელმწიფოებმა, მათ შორის, რომელთაც ეკისრებათ არათვითმმართველი და სამეურვეო ტერიტორიების მართვის პასუხისმგებლობა, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების დებულებების შესაბამისად, ხელი უნდა შეუწყონ თვითგამორკვევის უფლების განხორციელებას და პატივი უნდა სცენ ამ უფლებას [9].

მიუხედავად არსებული პაქტისა და გაეროს წესდებისა, არ არსებობს არცერთი საერთაშორისო ორგანიზაციის აღიარება და მხარდაჭერა სეპარატისტულ-ირიდენტული მოძრაობა „ადამონ ნიხასი“-ს ქმედებათა გასამართლებლად, რომელიც მათ გადადგმულ ნაბიჯებს ლეგიტიმურად მიიჩნევდა.

მიზანშეწონილია, ცხინვალის რეგიონი/სამხრეთ ოსეთში განვითარებული კონფლიქტის ანატომიის განსაზღვრა.

შეიარღვებული კონფლიქტის ძირითადი არსი, საგნის მიმართ დამოკიდებულებასა და აზრთა განსხვავებაში მდგომარეობს. კონფლიქტი შესაძლებელია იყოს კონსტრუქციული და დესტრუქციული. კონსტრუქციული კონფლიქტი დესტრუქციულთან შედარებით ნაკლები ზიანის მომტანია. პირველთან შედარებით მეორეს ახლავს არამიზანმიმართული ქმედებები, ფაქტიდან გამომდინარე სპონტანურობა, სიტუაციისდაშეუსაბამო მოქმედებები, შედეგის განუსაზღვრელობა. გამოხატულება სხვადასხვაგვარია: ზეწოლა, ზეგავლენა, ძალადობა, აგრესია, ა. შ. მნიშვნელობა ენიჭება კონფლიქტის მიზანს, რაც განმაპირობებელია ქმედითი ნაბიჯების, რომელთა

პოლიტიკური შეფასება უმეტესწილად სუბიექტურობასთან ასოცირდება. კონფლიქტი თავის თავში მოიცავს ორ ან მეტ მხარეს. დამდგარი შედეგი ხელს აძლევს კონფლიქტის რომელიმე მხარეს, ხოლო დაპირისპირების მეორე მხარეს მინიმუმ მოქმედების არეალი ეზღუდება, რაც აიძულებს სასურველი მიზნის მისაღწევად შეცვალოს სტრატეგია ან მიდგომა.

ცხინვალის რეგიონი/სამხრეთ ოსეთში კონფლიქტის ანატომია შემდეგნაირად ხასიათდება: საწყისი, მიმდინარე, გაყინული და ტრანსფორმირებული.

საწყის ეტაპზე ფაქტობრივი მოვლენების აღქმა კონფლიქტის მონაწილეთათვის ეგზალტირებულია და მძაფრად აღსაქმელი მოწინააღმდეგის ნებისმიერი ნაბიჯი. მისი ასპარეზი ფართომასშტაბს იძენს, რაც ესკალაციას უწყობს ხელს და პიკს აღწევს საწყისი ეტაპის გარკვეულ მომენტში, რისი დამადასტურებელიცაა, 1989 წლის 23 ნოემბერს, საქართველოს ეროვნულ-განმანთავისუფლებელ მოძრაობის ლიდერების თაოსნობით, დაახლოებით ოცი ათასამდე მშვიდობიანი მომიტინგეს თბილისიდან ცხინვალში ჩასვლა, რომელთაც სსრკ-ის შინაგანმა ჯარმა ქალაქში შესვლის უფლება არ მისცა. მიუხედავად ამისა, ოს ბოევიკებთან მომხდარი შეტაკებების შედეგად, სისხლი მაინც დაიღვარა [4. 95]. სუბიექტური აზროვნებით მიღებულ ობიექტურობასთან გაიგივებულ თვალთახედვას და არსებული მდგომარეობის გაუაზრებლობას მხარეები მიყვანა ფატალურ შედეგამდე.

მიმდინარე კონფლიქტი ნაკლებად მწვავეა საწყის ეტაპთან შედარებით. აღნიშნულ პერიოდში ღირებულებათა გადაფასება მოხდა შესაძლებლობიდან გამომდინარე. კონფლიქტი კონსტრუქციულ მდგომარეობაში გადადის, რომელიც დაიწყო 1991 წლის 23 მარტს რუსეთის უზენაეს საბჭოს თავმჯდომარეს ბორის ელცინსა და საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს თავმჯდომარეს ზვიად გამსახურდიას შორის დადებულ შეთანხმებაში, რომელიც ე.წ სამხრეთ ოსეთში ვითარების სტაბილიზაციის ხელისშემწყობი ფაქტორი უნდა გამხდარიყო [10]. მოცემულ მომენტში მიზნის არსმა განიცადა ფორმირება, რომელიც აისახა შერეული საკონტროლო კომისიის შექმნაში და მის საქმიანობაში [10]. დამდგარმა შედეგმა ძალუნებურად იმოქმედა პირვანდელ შეხედულებებზე და გარკვეულწილად, სიტუაციიდან გამომდინარე, ზეგავლენა მოახდინა შემდგომში სამოქმედო გეგმაზე.

გაყინული კონფლიქტი შემდეგი ეტაპია ცხინვალის რეგიონი/სამხრეთ ოსეთში, რომელიც მიმდინარე კონფლიქტის პროპორციულად განვითარდა. მისი დამახასიათებელი ძირითად თვისება აღმოჩნდა უძრაობა, მაგრამ არა უუნარობა. 1992 წლიდან დაიწყო ქართულ-ოსური კონფლიქტის მოწესრიგების შერეულმა საკონტროლო კომისიამ მუშაობა, დაპირისპირების მოგვარების გზების ძიებაზე, შეიქმნა ერთობლივი მეთვალყურეთა ჯგუფი, ასევე მრავალმხრივი გაშუქების პრეს-ცენტრი [10], რომელთა მუშაობის შედეგი

ურთიერთობის მოწესრიგების განმაპირობებელი უნდა ყოფილიყო. ძირითად შემთხვევაში დაპირისპირებული მხარეები შეეჩვივნენ არსებულ რეალობას, რამაც ეკონომიკური ურთიერთობა მეტნაკლებად აღადგინა, მაგრამ კონფლიქტის იურიდიული მხარე მაინც მოუგვარებელი დარჩა. პირდაპირ შეიძლება ითქვას, რომ გაყინული კონფლიქტების დროს ერგენტის ბაზრობა, გარკვეულწილად, წარმოადგენდა მშვიდობიანობის ანკლავს [11. 39].

ყოველდღიურობამ მისაღები და ლეგიტიმური გახადა კონფლიქტი, რომლის სამართლებრივმა მხარემ აბსტრაქტული ფორმა მიიღო და გაყინულ მდგომარეობაში აღმოჩნდა. კონფლიქტის მხარეების მიდგომა სიურიალისტურია და ინტერეს მოკლებული. აღსანიშნავია და გამოსაყოფი, რომ კონფლიქტის მხარეთა კონსერვატორული მიდგომა გადავიდა ფსევდო-კონსერვატორულ მიდგომაში, სიტყვა სიტყვისთვის, რაც უარყოფითად აისახება კონფლიქტის მოგვარების პერსპექტივებზე და შეამცირა შანსი დაპირისპირებულ მხარეთა საერთო პილიტიკურ სივრცეში ცხოვრების შესაძლებლობის.

გარკვეული თვალსაზრისით, მნიშვნელოვანი ადგილი უკავია კონფლიქტის მოგვარების ტრანსფორმირებას. ვარდების რევოლუციის შემდეგ, 2005 წლის ივლისში, ბათუმში ჩატარებულ კონფერენციაზე განხილული იქნა კონფლიქტის მოგვარების სტრატეგიული დოკუმენტი, სადაც ასახულია საქართველოს მთავრობასა და ე. წ. სამხრეთ ოსეთს შორის ურთიერთობის შესაძლო საერთო ინტერესები: უსაფრთხოების, ეკონომიკური რეაბილიტაციის, ნდობის აღდგენისა და პოლიტიკური მიმართულებებით [12]. ტრანსფორმაცია განისაზღვრა და კონფლიქტმა მოდერნიზებული სახე მიიღო, რადგან აღნიშნული პროცესი დროსა და სივრცეში მორგებული, ადეკვატური, ქმედითი ნაბიჯების კომპლექსურ ხასიათის შემცველია და ორიენტირებულია კონფლიქტის მოგვარების გზების ძიებაზე. კონსერვატორული მიდგომა შეიცვალა და გადავიდა ლიბერალურ მიდგომაში, რაც თავისთავად სიახლეების ძიებაზე აისახა. კონფლიქტის ტრანსფორმაციას წინ უძღვოდა საზოგადოებრივი ინტელექტის და მონაწილეთა ელიტის ცვალებადობა, რომელთა შეხედულებებსა და მიდგომში რეალური ასპექტების გათვალისწინება მოხდა.

### **დასკვნა**

ცხინვალის რეგიონი/სამხრეთ ოსეთში 1989-1992 წლებში განვითარებულმა მოვლენებმა 2004 წლამდე კონფლიქტის სამი ხასითი და ეტაპი გაიარა, საწყისი, მიმდინარე და გაყინული, ხოლო 2004 წლიდან დაიწყო კონფლიქტის მოგვარების ტრანსფორმირებული ფაზა, რომელმაც ფატალურ შედეგს 2008 წლის აგვისტოს ომში ჰპოვა ასახვა, მიუხედავად მცდელობათა მრავალფეროვნებისა.

**გამოყენებული ლიტერატურა:**

1. შიდა ქართლი და ოსური საითხები ჯ.გვასალია გამომცემლობა „მერიდიანი“ თბ., 1997.
2. საქართველოს ეთნოგრაფია/ეთნოლოგია, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბ., 2010.
3. კვესელავაი., საქართველოს ისტორიის ქრონიკები, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბ., 2004.
4. პიპინაშვილი დ., სამხრეთ კავკასიის კონფლიქტები და რეგიონული სტაბილურობის პრობლემები, თბ., 2009.
5. [https://www.files.ethz.ch/isn/106675/working\\_paper\\_45\\_geo.pdf](https://www.files.ethz.ch/isn/106675/working_paper_45_geo.pdf)
6. <https://sputnik-georgia.com/society/20160429/231399670.html>
7. <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=6&t=6649>
8. <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=6&t=6663>
9. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1398335?publication=0>
10. [http://rrc.ge/admn/url12subpirx.php?idstruc=67&idcat=6&lng\\_3=ge](http://rrc.ge/admn/url12subpirx.php?idstruc=67&idcat=6&lng_3=ge)
11. ავტორთა კოლექტივი. ძიებანი საქართველოს განდგომილი რეგიონების შემორიგებისათვის. თბ., 2017.
12. <http://www.parliament.ge/uploads/other/18/18511.pdf>

## **Developments in the Tskhinvali region /South Ossetia prior to the 2008 war**

*Giorgi Gogiashvili, PhD student  
Georgian Technical Univesity*

### **Summary**

Tskhinvali region / South Ossetia in 1989-1992 led to the development of the common space of the controversy, Ossetians and Georgians, but the 2008 war totally disconnect them. The conflict, from the initial beginning to 2008, passed through various forms: initial, current, frozen and transformed. The essence of the conflict and the interference of the parties involved in it is characterized by the characterization of each period, but not only the separatist aspirations of Ossetians, but the separatist desire to join North Ossetia. Historical facts are clear that Ossetian people living in Samachablo live in the territory of Georgia, namely Shida Kartli.

According to the International Covenant on Civil and Political Rights, all people have the right to self-determination, despite the existing Covenant and the United Nations Charter, there is no recognition and support of any international organization to justify the actions of the Ossetian separatist-contingent movement that considered their steps legitimate.

The conflict in Tskhinvali region / South Ossetia can not be regarded as ethno-conflict because there was no reason to strain relations before the confrontation, on the contrary, one of the largest ethnic minorities in Georgia was Ossetians, whose ethnicity was not distinguished. Developed disagreements indicate a political conflict that was initiated without the forces.

Keywords: War of 2008. Separatism. Ethnic minorities. Ethnoconflicts.

# მთის კრთბლქმაცთიკა

## MOUNTAIN PROBLEMS

თუშეთის მდგრადი განვითარების ტენდენციები და სახელმწიფოს  
პოლიტიკა „მთის კანონის“ ამოქმედების კვალდაკვალ

*ბაზო ბითარი ხუროშვილი, ბაკალავრიატის სტუდენტი  
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

*ელეონორა ჭანია, ბაკალავრიატის სტუდენტი  
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

### რეზიუმე

თანამედროვე სამყაროს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გამოწვევა მდგრადი განვითარებაა, რომელიც გულისხმობს სოციალური კეთილდღეობისათვის ეკონომიკურ განვითარებას გარემოს დაცვითი ასპექტების გათვალისწინებით. ნაშრომი მიმოიხილავს თუშეთის მხარის მდგრადი განვითარების ტენდენციებსა და სახელმწიფო პოლიტიკას "მთის კანონის" ამოქმედების კვალდაკვალ. 2015 წელს ქვეყნის პარლამენტმა დაამტკიცა საქართველოს კანონი "მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ", რომელიც ღირებულებითი თვალსაზრისით ეხმიანება მდგრადი განვითარების პრინციპებს. სახელმწიფოს მიერ მაღალმთიანი რეგიონების მიმართ განხორციელებული ქმედებები დეკლარირებული პოლიტიკის დონეზე უნდა წარმოადგენდეს რედისტრიბუციული პოლიტიკის მცდელობას, რომელიც თანაბარი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების უზრუნველყოფისაკენ უნდა მიილტვოდეს. ნაშრომში საუბარია თუ როგორ მუშაობს საქართველოს კანონი "მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ" თუშეთი რეალობის მდგრადი განვითარების კონტექსტში და გამოკვეთს რისკებს, რომელიც შესაძლოა შეიქმნას ამავე პროცესში. თუშეთი საქართველოს ერთ-ერთი მაღალმთიანი მხარეა, რომელიც კომპლექსურ შესწავლას საჭიროებს. ხელსაყრელმა თუ არახელსაყრელმა ბუნებრივმა ფაქტორებმა მისცა დასაბამი

თუშური ცივილიზაციის განვითარებასა და თვითმყოფადობას. იცვლება ეპოქა, იხვეწება ტექნოლოგია, ვითარდება ათვისების მექანიზმები, იცვლება ინტერესები და ყალიბდება სტრატეგიული განვითარების ტენდენციები. შესაბამისად კვლევის მთავარ კითხვას წარმოადგენს, თუ როგორია თუშეთის მდგრადი განვითარების ტენდენციები და სახელმწიფოს პოლიტიკა "მთის კანონის" ამოქმედების კვალდაკვალ და შეუწყო თუ არა მან ხელი თუშეთის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას? კვლევის შედეგად გამოიკვეთა შემდეგი გარემოებები, რომ "მთის კანონში" დეკლარირებული პოლიტიკის მიზნები შეუსაბამოა თუშურ რეალობასთან და მისი იმპლემენტაცია ვერ ხდება. ამავე კანონის სოციალური და საგადასახადო შეღავათების ნაწილი თუშური ყოფიდან გამომდინარე აბსოლიტურად არავალიდურ ელფერს იძენს. "ახმეტის მუნიციპალიტეტისა და თუშეთის სივრცითტერიტორიული დაგეგმვის პროექტისა" და "საქართველოს მაღალმთიანი დასახებების განვითარების სტრატეგიის" ანალიზის საფუძველზე მივიღეთ შედეგი, რომ თუშეთი ვითარდება მონიფუნქციურად და ის ორიენტირდება ტურიზმზე, რაც თრგუნავს ადგილობრივი, ტრადიციული მეურნეობის განვითარების შესაძლებლობას. ტურისტული სფეროს მაქსიმალური ათვისება გარემოზე ზემოქმედების მნიშვნელოვანი წყაროა, რაც განაპირობებს ადგილობრივი ბუნებრივი გარემოსა თუ კულტურული ძეგლების დაზიანებისა და მოსპობს ფაქტებს. გახშირებული ანთროპოგენული ჩარევის შედეგად კი, ნადგურება ჭალის ტყეები. ხშირია ბრაკონიერობის ფაქტებიც. ეს ყოველივე კი, უარყოფითად აისახება ბუნებრივ და სოციოკულტურულ გარემოზე .

საკვანძო სიტყვები: მდგრადი განვითარება, თუშური რეალობა, მთის კანონი, მთის პრობლემები, სახელმწიფოს პოლიტიკა

### **შესავალი**

თუშეთის მხარე არაერთი გამოწვევის წინაშე დგას, რომელიც აქტუალობასა და პრობლემატურობას არ კარგავს. აღნიშნულ ფაქტზე მიუთითებს სახელმწიფოს რედისტრიბუციული პოლიტიკა მაღალმთიანი რეგიონების განვითარებისა და სტიმულირების მიმართულებით, რის მაგალითადაც გვესახება საქართველოს "კანონი მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ". სახელმწიფომ მაღალმთიანი რეგიონების პოლიტიკა მკვეთრად განსაზღვრა და აღნიშნულ კანონში დეკლარირდა შემდეგი დებულება, "სახელმწიფოს მიერ მაღალმთიანი რეგიონების მიმართ განხორციელებული პოლიტიკა არის ქვეყნის რეგიონული განვითარების პოლიტიკის ნაწილი და მიმართულია საქართველოს მთელი ტერიტორიის თანაბარი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების უზრუნველყოფისაკენ და მაღალმთიან რეგიონებში მცხოვრებ პირთა სოციალური და ეკონომიკური პრობლემების გადაჭრისაკენ."



ყურადსაღებია, რა რომ ამ კანონის მიზანია საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებული მაღალმთიანი რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური პროგრესის სტიმულირებისათვის შეღავათების განსაზღვრა, რომლებიც უზრუნველყოფს მაღალმთიან რეგიონებში მცხოვრებ პირთა კეთილდღეობას, ცხოვრების დონის ამაღლებას, დასაქმების ხელშეწყობას, სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას.<sup>1</sup> როგორც ვხედავთ კანონის მიზნები საკმაოდ ამბიციურია, მისი მიღწევა კი ძალისხმევას მოითხოვს. აქვეა მდგრადი განვითარების კონცეფცია, რომელიც მოიცავს ეკონომიკურ, სოციალურ და ეკოლოგიურ ასპექტებს. იგი ეფუძნება სამ ძირითად პრინციპს, რომლის თანახმადაც განვითარება უნდა ითვალისწინებდეს ეკონომიკურ ხელსაყრელობას, გარემოსათვის დამზოგავობას და სოციალურ სამართლიანობას. სწორედ ის პასუხობს დღევანდელ მოთხოვნილებებს იმგვარად, რომ მომავალ თაობებს შეუნარჩუნოს მათი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების შესაძლებლობა. 2015 წლის 25 სექტემბერს გაეროს 193 წევრი ქვეყანა შეთანხმდა მდგრადი განვითარების დოკუმენტზე, სათაურით - „ჩვენი სამყაროს გარდაქმნა: 2030 წლის დღის წესრიგი მდგრადი განვითარებისათვის“. აღნიშნული დოკუმენტი მოიცავს 17 მიზანს და 169 ამოცანას. საქართველომ კი, ჩვიდმეტივე მიზანი პრორიტეტად გამოაცხადა.

### **ძირითადი ნაწილი**

**კვლევის მთავარი კითხვა** - როგორია თუშეთის მდგრადი განვითარების ტენდენციები და სახელმწიფოს პოლიტიკა „მთის კანონის“ ამოქმედების კვალდაკვალ და შეუწყო თუ არა მან ხელი თუშეთის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას?

**კვლევის მიზანი** - თუშეთის მდგრადი განვითარების ტენდენციების გამოკვეთა, თუშეთში არსებული სიტუაციის შესწავლა მდგრადი განვითარების სამივე ასპექტში

**გამოყენებული მეთოდი** - კვლევისას გამოყენებულია სოციალურ მეცნიერებათა კვლევის თვისებრივი მეთოდი, კერძოდ დოკუმენტების ანალიზი.

თუშეთთან მიმართებით მდგრადი განვითარების მიზნები განვიხილეთ სამ დონზე. სოციალური წარმოშობის მიზნები გაერთიანებულია მე-11 მიზნის ქუდ ქვეშ, რაც გულისხმობს მდგრადი ქალაქებისა და დასახლებებს, აქ გაერთიანებულია შვიდი გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი. ესენია: 1. არა სიღარიბეს; 2. არა შიმშილს; 3. ჯანმრთელობა და კეთილდღეობა; 4. ხარისხიანი განათლება; 5. გენდერული თანასწორობა; 7. ხელმისაწვდომი სუფთა ენერჯია; 16. მშვიდობა.სამართლიანი ძლიერი ინსტიტუტები; 17.

<sup>1</sup> საქართველოს კანონი “მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ”, შესავალი

გლობალური თანამშრომლობა.<sup>1</sup>

კვლევა ძირითადად სამ დოკუმენტს ეყრდნობა - “ახმეტის მუნიციპალიტეტისა და თუშეთის სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის პროექტი” ; საქართველოს კანონი “მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ” “და საქართველოს მაღალმთიანი დასახლებების განვითარების სტრატეგია 2019-2023”. სივრცითი მოწყობის დოკუმენტი (სმდ) არის სივრცითი პასუხი მუნიციპალიტეტის განვითარების კონტექსტზე, მის საჭიროებებსა და განვითარების ხედვაზე. ეს არის მიწის მართვის ხელსაწყო, რომელიც განსაზღვრავს სტრატეგიულ გადაწყვეტილებებსა და ინტერვენციებს მუნიციპალიტეტის სამომავლო მდგრადი განვითარებისთვის და უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს მუნიციპალიტეტის მართვაში მიწის გამოყენების, განვითარებისა და დაგეგმარების კუთხით. სივრცითი მოწყობის დოკუმენტის მიზანია, რეაგირება მდგრადი განვითარების მიზნებზე საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში, მაგრამ მასზე უდიდესი გავლენა აქვს მეთერთმეტე მიზანს: „ქალაქების და ადამიანთა დასახლებების ინკლუზიურობის, უსაფრთხოების, მოქნილობის და მდგრადობის უზრუნველყოფა“. „საქართველოს მაღალმთიანი დასახლებების განვითარების სტრატეგია 2019-2023“ მიზნად ისახავს, საქართველოს რეგიონების ინკლუზიური და მდგრადი განვითარების სტრატეგიული ხედვის ჩამოყალიბებას, მაღალმთიანი დასახლებების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობისა და არსებული პოტენციალის ანალიზის საფუძველზე. ხედვის მისაღწევად სტრატეგია ითვალისწინებს სამ მიზანს, ესაა: მაღალმთიანი დასახლებების მდგრადი განვითარება, იქ მცხოვრებთა სოციალური მხარდაჭერა და სერვისების ხელმისაწვდომობა<sup>2</sup>

საქართველოს კანონი “მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ” დეკლარირებს საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებული მაღალმთიანი რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური პროგრესის სტიმულირებისათვის შეღავათების განსაზღვრას, რომლებიც უზრუნველყოფს მაღალმთიან რეგიონებში მცხოვრებ პირთა კეთილდღეობას, ცხოვრების დონის ამაღლებას, დასაქმების ხელშეწყობას, სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას.<sup>3</sup> აღნიშნული 3 დოკუმენტის ანალიზის საფუძველზე კი გამოიკვეთა არაერთი მნიშვნელოვანი გარემოება, რომელიც წარდგენილია კვლევის შედეგებში. „საქართველოს მაღალმთიანი

<sup>1</sup> Costanza, R., Daly, L., Fioramonti, L., Giovannini, E., Kubiszewski, I., Mortensen, L. F., ... Wilkinson, R. (2016). Modelling and measuring sustainable wellbeing in connection with the UN Sustainable Development Goals.

<sup>2</sup> მთავრობის დადგენილება “საქართველოს მაღალმთიანი დასახლებების განვითარების სტრატეგია 2019-2023”.

<sup>3</sup> საქართველოს კანონი “მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ”, შესავალი

დასახლებების განვითარების სტრატეგია 2019-2023“-ისა და „ახმეტის მუნიციპალიტეტისა და თუშეთის სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის პროექტი“-ის ანალიზისა და საერთო კონტექსტით, კროსინგული კვლევისას გამოიკვეთა სხვადასხვა ტიპის სოციალური პრობლემები. თუშეთში არ არის სამედიცინო, საპატრულო, საგანგებო სიტუაციების მართვის დაწესებულებები. ზაფხულის სეზონზე თუშეთი მხოლოდ რამდენიმე ავტომანქანით ხვდება მსგავს შემთხვევებს. მხარეში არ ფუნქციონირებს საგანმანათლებლო დაწესებულებები და სპორტული ობიექტები. აქ კვალიფიციური კადრების ნაკლებობაა, განსაკუთრებით მომსახურეობის სფეროში. ასევე, საინჟინრო-ტექნიკური და სანაგვე ინფრასტრუქტურის ხარვეზების გაუმართაობა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი მთავარი პრობლემაა, სოფლების უმეტესობას არ აქვს საკანალიზაციო სისტემა და მხარე ჭეხილად სარგებლობს, რაც იწვევს ნიადაგს დაბინძურებს. საცხოვრებელი ობიექტების გამსხვილების შემთხვევაში ასეთი გადაწყვეტა მიუღებელია და საჭიროებს ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურის განვითარებას.<sup>1</sup>

თუშეთისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს ეკონომიკურ განვითარებას. ერთი მხრივ, განვითარებამ უნდა უზრუნველყოს ტრადიციული დარგების შენარჩუნება, რაც პირდაპირ კავშირშია თუშური დასახლებების, როგორც საცხოვრებელი არელების, შენარჩუნებასთან. ამასთანავე, ეს ეკონომიკური დარგები შერწყმული უნდა იყოს გეოგრაფიულ თავისებურებებთან. გაეროს მდგრადი განვითარების ეკონომიკურ სექტორში გავაერთიანეთ მიზნები : 8. დასაქმება და ეკონომიკური ზრდა; 9.ინდუსტრია, ინოვაცია, ინფრასტრუქტურა; 10. უთანასწორობის შემცირება; 12. მდგრადი მოხმარება და წარმოება.<sup>2</sup>

სამწუხაროდ, შეინიშნება თუშეთის დასახლებული სოფლების მონო-ფუნქციურად განვითარების ტენდენცია (ტურიზმზე ორიენტაცია), რაც უარყოფითად აისახება ბუნებრივ და სოციოკულტურულ გარემოზე და აჩენს ტრადიციული ყოფის გაქრობის საფრთხეს. სოფლის მეურნეობის მიმართულებით აღსანიშნავია ფერმერთა ნაკლები ინფორმირებულობა, სამოვრებისა და სამურნეო მიწის უთანაბრობა, ტექნიკური და ინფრასტრუქტურული პრობლემები. აქვე ყურადსაღებია, სოფლის მეურნეობის ინტენსივობით გამოწვეული ეროზიისა და ნიადაგის გადარეცხვის აქტიური პროცესებიც. სამწუხაროდ, სამოვრებზე დაწესებული მაღალი ფასის გამო ფერმერების არ უღირთ ცხვირს მოშენება, ამიტომაც მეცხვარეობა როგორც

<sup>1</sup> „ახმეტის მუნიციპალიტეტისა და თუშეთის სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის პროექტი“

<sup>2</sup> Costanza, R., Daly, L., Fioramonti, L., Giovannini, E., Kubiszewski, I., Mortensen, L. F., ... Wilkinson, R. (2016). Modelling and measuring sustainable wellbeing in connection with the UN Sustainable Development Goals.

ტრადიციული დარგი კვდება თუშეთში. ტურიზმის მიმართულებაც მრავალი გამოწვევის წინაშეა. აქ არ არსებობს უსაფრთხოების ზომები განთავსების ობიექტებში, დასაგეგმია რაციონალურად ტურისტული მარშრუტებიც. დილემურია სატრანსპორტო საკითხის მოგვარების შესაძლებლობაც. ერთი მხრივ ეს მნიშვნელოვანია მოსახლეობისათვის და ამასთანავე ის ტურიზმის განვითარებას უწყობს ხელს. მეორეს მხრივ, რთული რელიეფის გამო სატრანსპორტო სისტემის მაქსიმალური მობილიზება და გამართვა დააზიანებს გეოგრაფიულ გარემოს და კატასტროფულ პროცესებს გააღვივებს, როგორებიცაა მეწყერი, ღვარცოფი, მით უმეტეს რომ დღესაც აქტიურია ეს პროცესები.

გარემოს დაცვის მიმართულებით გავაერთიანეთ შემდეგი მიზნები: 6. სუფთა წყალი და ჰიგიენა; 13. კლიმატის ცვლილებების შედეგების დაძლევა; 14. წყალქვეშა სამყაროს შენარჩუნება; 15. სიცოცხლე ხმელეთზე.<sup>1</sup> პირველ რიგში, მნიშვნელოვანია იმის გაცნობიერება რომ გადაჭარბებული ტურისტული ნაკადი და ინფრასტრუქტურა ბუნების შეწუხების და ზემოქმედების სერიოზული წყაროა, ამასთანავე ხშირია ბრაკონიერობის ფაქტი და ბიომრავალფეროვნების რღვევა. თავისთავად ჭალის ტყეების ჭრა და მდინარეების ნაპირების რეცხვაც სერიოზულ საფრთხეს უქმნის თუშურ ეკოსისტემას.

ბოლო 4 წლის განმავლობაში თუშეთის განვითარებასთან დაკავშირებული კვლევები თუ პროექტები განიხილება მდგრადი განვითარების კონტექსტში. თუმცა დღეს გამოკვეთილი პრობლემატიკა და ვითარება საერთოდაც არ მიუთითებს მდგრადი განვითარების მიზნების აღსრულების ტენდენციაზე. ეს გარკვეულ წილად პარადოქსულიც არის, ვინაიდან თუშური თემის მსოფლმხედველობა ახლო თანხვედრაშია მდგრადი განვითარების ფილო-სოფიასთან. თუშებს განვითარების ეს საკვანძო აღქმა ოდითგანვე გამოხატული ჰქონდათ არქიტექტურაში, ადათებსა თუ თემის სამართალში.

საქართველოს კანონი მაღალმთიანი განვითარების შესახებ - სად გადის ზღვარი კანონსა და რეალობას შორის ?

ცნობილია რა, რომ აღნიშნული კანონის მთავარი მიზანი ეხება სოციალ-ეკონომიკურ სტიმულირებასა და მთაში მცხოვრები მოსახლეობის ყოფითი მდგომარეობის გაუმჯობესებას. ჩნდება კითხვა, თუ ვინ შეიძლება იყოს ამავე კანონის ბენეფიციარი, რაზეც პასუხს თავად კანონშივე მითითებული დებულებები გვაპასუხობს. ფიზიკურ პირს მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსი ენიჭება, თუ იგი აკმაყოფილებს შემდეგ კრიტერიუმებს:

<sup>1</sup> Costanza, R., Daly, L., Fioramonti, L., Giovannini, E., Kubiszewski, I., Mortensen, L. F., ... Wilkinson, R. (2016). Modelling and measuring sustainable wellbeing in connection with the UN Sustainable Development Goals.

ა) არის საქართველოს მოქალაქე;

ბ) რეგისტრირებულია მაღალმთიან დასახლებაში;

გ) ყოველი კალენდარული წლის განმავლობაში ჯამში 9 თვის ან 9 თვეზე მეტი ვადით ფაქტობრივად ცხოვრობს მაღალმთიან დასახლებაში.<sup>1</sup>

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ეს კანონი აქცენტს აკეთებს ორი მიმართულებით ესენია: სოციალური შეღავათები, რაზეც მოწმობს ამავე კანონის მუხლი 4 და საგადასახადო შეღავათები, რომელიც განიხილება მუხლი 5-ის საფუძველზე. ამავე კანონის სოციალური შეღავათების ნაწილი ანუ მუხლი 4 უზრუნველყოფს შემდეგ საკითხებს:

- ა) საპენსიო ასაკს მიღწეული მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირისათვის, რომელიც ყოველთვიურად იღებს სახელმწიფო პენსიას, სოციალური დახმარების სახით ითვალისწინებს ყოველთვიური დანამატის – სახელმწიფო პენსიის არანაკლებ 20 პროცენტის – მიცემას
- ბ) მაღალმთიან დასახლებაში მდებარე, სახელმწიფოს მონაწილეობით დაფუძნებულ და მის მართვაში არსებულ სამედიცინო დაწესებულებაში დასაქმებული სამედიცინო პერსონალისათვის, რომლის შრომა საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ანაზღაურდება, საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული წესით ყოველთვიური დანამატის მიცემას:
  - ბ.ა) ექიმისათვის – სახელმწიფო პენსიის ორმაგი ოდენობით;
  - ბ.ბ) ექთნისათვის – სახელმწიფო პენსიის ოდენობით;
- გ). დ) გათბობის უზრუნველყოფა - აბონენტის (საყოფაცხოვრებო მომხმარებლის) მიერ მაღალმთიან დასახლებაში მოხმარებული ელექტროენერჯის ყოველთვიური საფასურის 50 პროცენტის ანაზღაურებას, მაგრამ არაუმეტეს მოხმარებული 100 კვტ.სთ ელექტროენერჯის საფასურისა;
- ე) დემოგრაფიული ხელშეწყობა - ითვალისწინებს პირველი ორი შვილის შემთხვევაში 1 წლის განმავლობაში ყოველთვიური ფულადი დახმარების – არანაკლებ 100 ლარის – მიცემას, ხოლო მესამე ბავშვისა და ყოველი შემდგომი ბავშვისათვის – 2 წლის განმავლობაში ყოველთვიური ფულადი დახმარების – არანაკლებ 200 ლარის – მიცემას;
- ვ) თ) განათლების ხელშეწყობა- მასწავლებლის საბაზო თანამდებობრივი სარგოს არანაკლებ 35 პროცენტის – მიცემას; მაღალმთიან დასახლებაში მდებარე, სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მასწავლებლისათვის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ

<sup>1</sup> საქართველოს კანონი “მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ”, მუხლი 5.

დადგენილი წესის შესაბამისად დანამატის – შრომის ანაზღაურების არანაკლებ 35 პროცენტის – მიცემას.

- ზ) მაღალმთიან დასახლებაში მდებარე საჯარო სკოლის, მრავალსექტორიანი საჯარო სკოლის მოსწავლისათვის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტისათვის ვაუჩერის გაზრდილი ოდენობით მიცემას. აღნიშნული ვაუჩერის გაცემის წესი და პირობები განისაზღვრება საქართველოს მთავრობის დადგენილებით<sup>1</sup> მუხლი 5 კი მოიცავს შემდეგ საკითხებს:

მეწარმე სუბიექტი, რომელსაც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მინიჭებული აქვს მაღალმთიანი დასახლების საწარმოს სტატუსი, საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრული ვადითა და წესით თავისუფლდება გადასახადებისაგან.<sup>2</sup> ხოლო ამავე მუხლის მეოთხე ნაწილში ვკითხულობთ მეწარმე სუბიექტს მაღალმთიანი დასახლების საწარმოს სტატუსი არ მიენიჭება ან ეს სტატუსი შეიძლება შეუწყდეს, თუ იგი ახორციელებს:

ა) ლიცენზირებისადმი/ნებართვის გაცემისადმი დაქვემდებარებულ საქმიანობას;

ბ) მომსახურების (გარდა საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული მომსახურებისა) გაწევას;

გ) საქონლით ვაჭრობას, გარდა ამ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევებისა, აგრეთვე იმ შემთხვევისა, როდესაც ხორციელდება საქონლის გადამუშავება და მიწოდება.<sup>3</sup>

### **მიგნებების, ანალიზისა და ამბილევანტობის პრიზმა**

#### **სახელმწიფო პოლიტიკის დეკლარირებულ მიზნები და განხორციელება**

უპირველესყოვლისა აღსანიშნავია ის გარემოება, რომ 2018 წელს აქ ზამთარს შეხვდა 25 ადამიანი. კანონის მიხედვით, იმისათვის, რომ მოსახლეს მიენიჭოს აღნიშნული სტატუსი, ის წლის განმავლობაში კონკრეტულ ტერიტორიაზე უნდა ცხოვრობდეს არანაკლებ ექვსი თვის ვადით. შესაბამისად, ამ კანონის ბენეფიციარი გამოდის 25 ადამიანი. ეს ფაქტი ძალიან დიდ პრობლემას ქმნის. ვინაიდან და რადგანაც ოდითგანვე თუშეთში მხოლოდ სეზონურად ცხოვრობდნენ, როგორც წესი, ადრეული ივნისის პერიოდიდან გვიან ოქტომბრამდე. კანონის მიერ დაწესებული

<sup>1</sup> საქართველოს კანონი “მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ” მუხლი 4. სოციალური შეღავათები მაღალმთიან დასახლებაში.

<sup>2</sup> საქართველოს კანონი “მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ” მუხლი 5. საგადასახადო შეღავათები მაღალმთიან დასახლებაში, ნაწილი 2

<sup>3</sup> საქართველოს კანონი “მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ” მუხლი 5. საგადასახადო შეღავათები მაღალმთიან დასახლებაში, ნაწილი 4

ვადა იმის შესახებ თუ ვინ შეიძლება გახდეს ამავე კანონის ბენეფიციარი ხელის შემშლელი გამოდის თუშებისათვის მიიღონ ნახსენები სტატუსი. აქ პრობლემაა ისიც, რომ რეალური “მცხოვრები” და თუშეთის ტერიტორიაზე ეკონომიკური აქტივობის მქონე პირი ბევრად მეტია, ვიდრე ის კანონის საფუძველზეა აღწერილი.

აქვე ყურადსაღებია ის ფაქტი, რომ ამავე კანონის მუხლი 4. ფაქტობრივად არც კი ეხება თუშეთს, ვინაიდან და რადგანაც, თუშეთში არ არსებობს საავადმყოფო და არსებობს მხოლოდ 1 ექიმი, რომელზეც აღნიშნული რეგულაცია არ ვრცელდება, ის არ არის აფილირებული არც ერთ იურიდიულ პირთან (საავადმყოფოსთან) შესაბამისად თუნდაც 1 ექიმი კანონის საფუძველზე ვერანაირ ბენეფიტს ვერ მიიღებს. აქვე აღვნიშნავ იმასაც, რომ მეოთხე მუხლის გ) და დ) ქვეპუნქტები საერთოდ არაა კავშირში თუშეთთან, რადგან გათბობისთვის ტრადიციული გზით ელექტრო ენერჯის გამოყენება არ ხდება, ასე რომც იყოს 50%-იანი თანასუბსიდირება ხდება კანონის საფუძველზე, ამრიგად ბენეფიციარი სარგებელს ფაქტობრივად ვერ ნახულობს. აუცილებელია გამოვყოთ ამავე მუხლის ვ) თ) ზ) ნაწილები და გავიაზროთ ერთი ფაქტი, რომ თუშეთში არ არის არც ერთი ფორმის საგანმანათლებლო დაწესებულება, შესაბამისად ის სარგებელი, რომელსაც სახელმწიფო ამ მიმართულებით იძლევა შეუსაბამოა ამავე მხარესთან. რაც შეეხება მეხუთე მუხლს, აქაც ამბივალენტობა იკვეთება. ის თითქოს და მეწარმეებს ათავისუფლებს გადასახადებისაგან, თუმცა აქაც ჩნდება რიტორიკული კითხვა: ვინ თავისუფლდება? თუშეთი ეკონომიკური პოტენციალი ფაქტობრივად დგას ტურიზმზე. ამ კანონში არსებული რეგულაციის საფუძველზე კი სწორედაც, რომ მომსახურების სფერო იბეგრება, მაშასადამე გადასახადი ეხება ტურიზმის სფეროში საქმიანობის ფორმებსაც. ასევე იბეგრება საქონლით ვაჭრობა, რაც საკმაოდ მნიშვნელოვანი კომპონენტია თუშეთის განვითარებისათვის, ამ მხრივ კი ვასკვნით რომ ამავე კანონის მეხუთე მუხლიც შეუსაბამოა თუშურ რეალობასთან. საბოლოო დასკვნის სახით უნდა ითქვას, რომ საქართველოს კანონი “მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ” თუშეთთან მიმართებით აბსოლიტურად არავალიდური და არარელევანტურია, რომელიც ვერ უზრუნველყოფს თუშეთის საჭიროებებს და ვერ ეხმარება მას მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევაში.

**გამოყენებული ლიტერატურა:**

1. საქართველოს კანონი “მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ” 2015 .
2. “ახმეტის მუნიციპალიტეტისა და თუშეთის სივრცით ტერიტორიული დაგეგმვის პროექტი”
3. “მაღალმთიანი რეგიონების განვითარების სტრატეგია” 2019-2020 წ.წ. სამოქმედო გეგმა.
4. Costanza, R., Daly, L., Fioramonti, L., Giovannini, E., Kubiszewski, I., Mortensen, L. F., ... Wilkinson, R. (2016). Modelling and measuring sustainable wellbeing in connection with the UN Sustainable Development Goals. *Ecological Economics*, 130, 350–355.

**Tendencies of sustainable development of Tusheti Region and state policy following the implementation of "Mountain law"**

*Bacho Bitari Khuroshvili  
bachelor's students of  
Ivane Javakhishvili Tbilisi state university*

*Eleonora Tchania  
bachelor's students of  
Ivane Javakhishvili Tbilisi State University*

**Summary**

Sustainable development, one of the most important challenge of modern world, implies the economical development for social welfare while taking into account the aspects of environmental protection. This work reviews tendencies of sustainable development of Tusheti region following the implementation of “Mountain law”. In 2015 Georgian parliament passed the law on the development of high mountainous regions, which responses to principles of sustainable development. This regulation grants some privileges to the population of high mountainous regions, but the question is whether it’s conflicting the needs of different classes of the population or not. The law is a part of country’s policy on regional development which aims to ensure equal socioeconomic development on entire territory of the country and to solve the problems of high mountainous population. The work discusses the Georgian law on the development of high



mountainous regions in terms of Tushetian reality on sustainable development and underlines the potential risks. Tusheti is one of the Georgian high mountainous regions which needs to be thoroughly studied. Favorable or unfavorable climate factors gave the origin to development of Tushetian civilization. Times and interests change, technologies and mechanisms of coping develop and mechanisms of strategy development are being established. With the developmental tendencies the dilemma emerges regarding the need of dramatic anthropogenic intervention in the uniqueness of this region. Based on the data from population counting done by national statistics office of Georgia in 2014, Tusheti, like other high mountainous regions in Georgia, also experiences depopulation and other types of socioeconomic problems. Therefore the main question of the study is the tendencies of sustainable development of Tusheti region and whether or not it helped in terms of socioeconomic development of the region. Goal of the research is to underline the tendencies of sustainable development of Tusheti, to study Tushetian reality in terms of sustainable development in all 3 aspects, including social, economical and environmental aspects, which directly connected to “Mountain law” implemented in 2015. During the research we used qualitative methods of social research, specifically the analyses of documents and secondary sources. Keywords: Sustainable Development, Tushetian Reality, Mountain Law, Mountain Problems, State Policy

# ტელეკომუნიკაციას

## TELECOMMUNICATIONS

### სატელეკომუნიკაციო მომსახურების დანახარჯების კვლევის ძირითადი ასპექტები

*ქეთევან გუნიავა, დოქტორანტი  
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

#### რეზიუმე

ნაშრომში განხილულია ბაზარზე მოქმედი მსხვილი კომპანიების მიერ სატელეკომუნიკაციო სერვისებით სარგებლობისა და მათზე გაწეული ხარჯების მართვის წინაშე მდგომი პრობლემები და მათი გადაჭრის გზები. ამ მიზნით, შეფასებულია სატელეკომუნიკაციო ბაზრის დინამიური გარემო და მასზე დაგროვილი პრობლემები. დღეს ბიზნესი, სატელეკომუნიკაციო სერვისების გამოყენებისა და მათზე გაწეული ხარჯების მართვის წინაშე მდგომ მთელ რიგ პრობლემებს განიცდის. რაც, მიმწოდებელთა სიმრავლეს, ბაზარზე რთული ფასწარმოქმნის სისტემებს და განაკვეთების მუდმივ ცვალებადობას, აგრეთვე, რთული დიზაინის, მოცულობითი ანგარიშების დამუშავებისას წარმოქმნილ სიძნელებებს უკავშირდება. ამ პროცესს “ბილინგის შეცდომები” და ხელშეკრულების პირობების ქვეშ “დამალული ღირებულებები” დამატებით სირთულეს სძენს. პოტენციურად დიდი პრობლემა, საწარმოს შიგნით საკომუნიკაციო ინვენტარის არაეფექტურ გამოყენებას უკავშირდება. VoIP-ის შექმნამ გამოიწვია ცვლილებების ტალღა ტელეკომის სამყაროში. ტელეკომის დეპარტამენტის კონვერგენცია IT-დეპარტამენტთან, არის კიდევ ერთი გამოწვევა, რადგან ისინი მართავენ სრულიად განსხვავებულ სფეროებს. აღიარებულია, რომ ხარჯების მინიმიზებას სასარგებლო მოაქვს ნებისმიერი ორგანიზაციის ქვედა ხაზისათვის. ხარჯების მართვა კომპანიას ბაზარზე კონკურენტულ უპირატესობას უქმნის, ამდენად, მისი შესწავლა აქტუალურ პრობლემას წარმოადგენს.

ნაშრომის მიზანია, ტელეკომის ხარჯების ეფექტიანი მართვის მექანიზმის შემუშავება და ტელეკომის მენეჯერის აუცილებლობის დასაბუთება.

**საკვანძო სიტყვები:** სატელეკომუნიკაციო მომსახურება, ხარჯები, მართვა, მენეჯერი.

### **შესავალი**

დღეს, ბაზარზე მოქმედი ნებისმიერი კორპორაცია, უმცირესი სტარტ-აპიდან, მსხვილი კორპორაციის ჩათვლით, თავიანთ ყოველდღიურ საქმიანობაში, ელექტრონულ საკომუნიკაციო მომსახურებებს იყენებენ. ამ თვალსაზრისით, ისინი ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურებების მსხვილ მომხმარებლებს ე.წ. „კორპორატიული კლიენტებს“ წარმოადგენენ. გაუმჯობესებული ტექნოლოგიები მნიშვნელოვნად ამარტივებს კომუნიკაციას, ზრდის ბიზნესის ეფექტურობას და ამცირებს ორგანიზაციულ ხარჯებს, თუმცა, ტექნოლოგიური თავისებურებების, ბაზარზე მოქმედი შიდა თუ გარე ფაქტორების მოქმედების გამო, აღნიშნული ხარჯების მართვა საკმაოდ რთულია, ბიზნესი ჯერ კიდევ არ არის მართოს გაზრდილი საკომუნიკაციო ხარჯები.

### **ძირითადი ნაწილი**

სატელეკომუნიკაციო ხარჯების მართვის (TEM) გადაწყვეტა თავდაპირველად, ფიქსირებულ სახაზო-საკაბელო სატელეფონო ხაზებით სარგებლობასთან იყო დაკავშირებული და მათზე გაწეული ყოველთვიური ხარჯების კონტროლისთვის გამოიყენებოდა, პროცესი იყო მარტივი და მოითხოვდა გარკვეულ ქმედითი ნაბიჯების განხორციელებას სპეციალისტების მიერ. ტექნოლოგიების განვითარებამ ტელეკომის ხარჯების მართვას (TEM) უსადენო ტექნოლოგიებიც დაუქვემდებარა. ამ მომსახურების მზარდი მოხმარების შედეგად, ურიცხვ ანგარიშებთან გამკლავება სულ უფრო და უფრო რთული ხდებოდა. მობილური ტექნოლოგიების განვითარების შედეგად, ტელეკომის ხარჯების მართვამ საწარმოთა მობილობის მართვის საკითხებსაც გასცა პასუხი.

მეცნიერთა ნაწილი ფიქრობს, რომ ტელეკომის ხარჯების მართვაში ჩართულია ორივე ელემენტი, ტელეკომის და ტექნოლოგიის ხარჯების მართვა, დღევანდელი მდგომარეობით, საყოველთაო აღიარება პოვა აზრმა, რომ ბაზრის სიღრმისეული ანალიზი და სამართლებრივი ნორმების ცოდნა, არის ფასეული ცოდნა, რომელიც დარგის სპეციალისტებს საშუალებას აძლევს გაუმკლავდნენ ბაზარზე არსებული განაკვეთების მუდმივ ცვალებადობას და ხელშეკრულების პირობების ქვეშ დამალულ ღირებულებებს.

შესწავლილი ლიტერატურის განზოგადების შედეგად, გამოიყო ხარჯების დაზოგვის ძირითადი სფეროები:

- ანგარიშების დამტკიცება. ტელეკომის ხარჯების დიდი წილი ბილინგის შეცდომებზე მოდის. თუკი, ეს შეცდომები დროულად არ იქნება აღმოჩენილი, ისინი შეიძლება შეუსწორებელი დარჩეს წლების განმავლობაში. სწორედ ამიტომ, ბევრი კომპანიისათვის თანხების დაზოგვის პირველი ნაბიჯი, ტელეკომის ანგარიშში საფასურის აღმოჩენით და იმის ზუსტად გამოთვლით იწყება, რამდენად შეესაბამება ის კომპანიის რეალურ გამოყენებას და ხელშეკრულებით შეთანხმებულ განაკვეთს. ამ პროცესის წარმატებით წარმართვაში, საჭიროა ტელეკომის ანგარიშების გაგება.
- ხელშეკრულებების მართვა. დღეს, ბაზარი „კორპორატიულ კლიენტებს“ ფართო არჩევანს სთავაზობს, თუმცა, ამ შესაძლებლობებისა და უპირატესობების მიღმა იმალება საკმაოდ მკაცრი ვალდებულებები. მიმწოდებლებს მათ მიერ „რეგულირებელი“ სტატუსი აძლევთ ძლევამოსილ ბერკეტს მომხმარებლებთან მოსალაპარაკებლად. კონკურენციის პირობებმა, მათ უბიძგა მომსახურების განაკვეთებისა და ფასდაკლებების ინფორმაცია, ღრმად ჩაემარხათ სატარიფო, ფასდაკლების გეგმებსა და ხელშეკრულების პირობებში. ხელშეკრულების აუდიტი, გასაღები არის ხელშეკრულების პირობების ჩაშლა მართვად პირობებად, რომელთა მიმართ შესაძლებელია მოლაპარაკების მიღწევა და განახლება. ხელშეკრულების აუდიტი იძლევა ხარჯების დაზოგვის საშუალებას, როგორც ხელშეკრულების გაფორმების ეტაპზე აგრეთვე, ხელშეკრულების დადების შემდგომ.
- VoIP მომსახურების ხარჯების მართვა. დღევანდელ დღეს, რთულია სრულყოფილი ხედვის ჩამოყალიბება VoIP-ის სარგებლისა და არახელსაყრელობის შესახებ. ძირითადი მიზეზი, რაც იწვევს VoIP-ზე მიგრაციას, ეს არის ღირებულების დაზოგვა შორი მანძილის მომსახურებაზე. თუმცა, დადებითი ტენდენციების გვერდით, ჯერ კიდევ არსებობს მიზეზები შემფოთებისათვის, რომელიც მოიცავს: საერთო საიმედოობას - მისაღები ხმის ხარისხის არარსებობას; E-911 – PBX ზე დაფუძნებულ სისტემების თავისებურებებს; უსაფრთხოებისა და SPAM-ის საკითხებს; დასაქმებულთა შეზღუდული გამოცდილებას.
- ფასების მართვა. ტელეკომის ფასების მართვა საკმაოდ რთული ამოცანაა ნებისმიერი კომპანიისათვის, რაც დამოკიდებულია იმ შიდა და გარე მიზეზებზე, რომელშიც კომპანიას უწევს მუშაობა: ანგარიშებში ბილინგის შეცდომების სახეებზე, გამოუყენებელი მომსახურებებზე და მოწყობილობებზე რომლებზეც კომპანია იხდით და მასზედ, თუ როგორია მისი შესაძლებლობა მოიძიოს ბაზარზე საუკეთესო განაკვეთები.

- ქსელის ოპტიმიზაცია. ოპტიმიზაცია არის სატელეკომუნიკაციო ქსელის ანალიზის პროცესი, რომელიც მიზანია პროდუქტების და მომსახურების აღმოჩენა, რომლებიც შეესაბამება კომპანიის თვიურ დანახარჯებს და გაზრდის ქსელების ეფექტურობას. ბევრი ორგანიზაცია განიხილავს ინვოისის აუდიტს, როგორც ოპტიმიზაციის პროცესს, თუმცა, ეს არის მხოლოდ მარტივად შეცდომების გასწორება და ის არ ნიშნავს ოპტიმიზაციის საქმიანობას.
- უკბელო მობილობის მართვა. დღეს უმრავლესი კომპანია გადადის მობილური სამუშაო ძალის გამოყენებაზე და თანამშრომლების მობილური მოწყობილობების 30% არის კომპანიის საკუთრება, ასევე მოქმედებს “მოიტანე-შენი-მოწყობილობა” (BYOD) პოლიტიკა. მაგრამ ეს არ ათავისუფლებს ორგანიზაციას იმ ხარჯებისაგან, რომელიც დაკავშირებულია ადმინისტრირებისა და აპლიკაციების შექმნასთან, რომელიც დაკავშირებულია პერსონალური მობილური მოწყობილობების გამოყენებასთან.
- ფროდის წინააღმდეგ ბრძოლა. ჰაკერებს შეუძლიათ შეაღწიონ კომპანიის PBX-ში DESA (Direct Inward System Access) მეშვეობით, შორეული მხარდაჭერის პორტში და კომპანიის ხმოვანი მეილის სისტემის მეშვეობით. ისინი იყენებენ სხვადასხვა ხერხებს კომპანიის კონფიდენციალური ინფორმაციის მისაღებად. “სლემინგი” არის პრაქტიკა, რომელშიც მომხმარებლის ადგილობრივი ან შორი მანძილის მიმწოდებელი გადართულია მათი ნებართვის გარეშე.

ტელეკომის ხარჯების მართვის პროცესის სწორი მიმართულებით განვითარებისათვის, ეფექტიანად მიგვაჩნია ტელეკომის ხარჯების მართვაში გამოვიყენოთ სამი ძირითადი მიდგომა: ანგარიშის დამოწმება, ინფრასტრუქტურის და ხელშეკრულებების პირობების მართვა. ტელეკომის ხარჯების აუდიტის ჩატარება, ქსელის ოპტიმიზაცია და ღირებულების მართვის ინსტრუმენტები გამოიყენება სამივე ამ მიმართულებით.

ტელეკომის ანგარიშებში შეცდომებს ძირითადად განაპირობებს ტელეკომის ბაზარზე ანგარიშის ფორმების სიმრავლე და ფასის/მომხმარებლის გამჭვირვალობის ნაკლებობა. მიმწოდებლები ჩვეულებრივ იყენებენ მრავალ ბილინგის სისტემებს სხვადასხვა მომსახურებისთვის, იმ შემთხვევაშიც, თუ გადასახადები საბოლოოდ ერთი აბონენტისთვისაა განკუთვნილი. ეს სისტემები ხშირად ერთმანეთთან შეუთავსებელია და კლიენტს იღებს მრავალ გადასახადს მრავალ ფორმატებში. მომხმარებლებს უჭირთ ანგარიშის წარდგენისას არსებული დარიცხვის განაკვეთებისა და შეთავაზების მოკვლევა და მიმწოდებელთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში არსებულ პირობებთან მათი შედარება. მაშინაც, კი თუ აღნიშნული შედარებისა და

შეცდომების აღმოჩენის მძიმე სავარჯიშო განხორციელდა, რთულ ამოცანად მაინც რჩება ბილინგის შეცდომების შესახებ პრეტენზიების წარდგენის, ანაზღაურების დაბრუნების და უზრუნველყოფა იმისა, რომ, რომ მსგავსი შეცდომა აღარ განმეორდება.

გამოსავალი არის ის, რომ კომპანიამ უნდა გააცნობიეროს ხარჯების მართვის აუცილებლობა და იცოდეს, თუ რა გადასახადი, როდის წარმოიშვა და რამდენად შეესაბამება ის მისი კომპანიის რეალურ მოხმარებს. ეს ეხმარება რისკის შემცირებას, რომ არ მოხდეს გადახარჯვა და ის არის ეფექტური კომპონენტი კომპანიის ტელეკომის ხარჯების მენეჯმენტის სტრატეგიისათვის.

ბაზარზე მოქმედი ბიზნეს სუბიექტებისათვის სატელეკომუნიკაციო მომსახურების გამოყენების წინაშე დგას შემდეგი სახის პრობლემები. 1) ბიზნესის გეოგრაფიული გაბნევა/დისპერსია; 2) დინამიური ბაზარი, როგორც მომსახურების, ასევე ფასების შეთავაზების თვალსაზრისით; 3) გამოყენების პროგნოზირების სირთულე; 4) ახალი სერვისების ან მიმწოდებლის გაცვლის აღქმული რისკი.

საკითხის შესწავლის შედეგად გამოიყო სატელეკომუნიკაციო მომსახურების მიწოდების პროცესში დაფიქსირებული და ბაზარზე გავრცელებული ბილინგის შეცდომები: შემომავალი ზარები; მარტივი ადამიანის ან კომპიუტერული ანგარიშის შეცდომები; ანგარიშების დუბლირება; ტელეფონების დუბლირება; არასწორი სახელშეკრულებო განაკვეთები; ხელშეკრულების შეცვლა, რაც არ არის ასახული ანგარიშში; არასაჭირო ხარჯები; გაუთვალისწინებელი ანაზღაურება ან კრედიტი; უარყოფილი/მოხსნილი მოსაკრებელი ფაქტობრივად არ არის მოხსნილი; გამოტოვებული ტერმინაცია, წყვეტები; ბილინგის მიწოდება მომსახურების გაუქმების თარიღის შემდეგ; არასწორი ტარიფის მითითება; იმ მომსახურებებზე დარიცხვების განხორციელება, რომლებიც ბიზნესს არ მოუთხოვია. მესამე მხარისათვის გადახდა: “ქრემინგის“ და “სლემინგის“ გადასახადი და „მოდემის გატაცება. შესაბამისად, ჩვენს მიერ აღწერილია თითოეული ბილინგის შეცდომის ხასიათი და წარმოშობის წყარო, აგრეთვე როგორ არის შესაძლებელი მათი აღმოჩენა, დამტკიცება და მომსახურების მიმწოდებლისათვის წარდგენა.

იმისათვის, რომ დაგვედგინა ბილინგის შეცდომის სახეები, ასევე რამდენად დგას აღნიშნული პრობლემა ქართულ სამომხმარებლო ბაზარზე, ჩვენს მიერ განხორციელდა საქართველოს სატელეკომუნიკაციო ბაზრის ამსახველი სურათის შექმნა და ბაზარზე არსებული პრობლემების იდენტიფიცირება.

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიასთან დამოუკიდებლად მოქმედ მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის

სამსახურში 2018 წელს სულ 413 საჩივარი/განცხადება, რომელთაგან მხოლოდ, 44 ეხება საფასურის დარიცხვის სისწორეს. აღსანიშნავია, რომ ეს რიცხვი მნიშვნელოვნად ჩამორჩება, 2018 წლის იანვარში კომპანიების: მაგთიკომში, ცენტრალური კავშირგაბმულობის, სილქნეტისა და ჯეოსელის მომხმარებელთა პრეტენზიების/საჩივრების განმხილველ სამსახურში შესულ საჩივრებს, სადაც მიუღებელი მომსახურებისთვის თანხის დარიცხვასა და სააბონენტო ანგარიშიდან თანხის უსაფუძვლოდ ჩამოჭრასთან მიმართებით (კომპანიის მიზეზით): სულ 17, 925 საჩივარი, საიდანაც დაკმაყოფილდა 17,439; განუხილველი დარჩა 424; არ დაკმაყოფილდა 62 საჩივარი .

შპს “ვიონი საქართველო“ 2018 წლის თებერვალში ახალ ტექნოლოგიურ სისტემაზე გადავიდა მთლიან სისტემას შეეხო. რის გამოც, მომხმარებლებს მომსახურებები შეფერხებებით მიეწოდებოდათ: სამომხმარებლო პაკეტების გააქტიურების ხელშეშლა 1507; სატელეფონო ანგარიშზე თანხის დარიცხვის და ჩამოჭრის პრობლემები 497; ცალკეულ მომსახურებათა სარგებლობასთან დაკავშირებული პრობლემები 2937 . 2018 წლის თებერვლის თვეში შპს “ვიონი საქართველოს“ საჩივრების განმხილველ სამსახურში შევიდა სულ 9 საჩივარი; 2018 წლის დეკემბერში (1-5 რიცხვებში) მობილური სატელეფონო მომსახურების „ლაილას“ სააბონენტო ბაზისათვის ახალი საბილინგე სისტემის დანერგვასთან დაკავშირებით, ხარვეზები დაფიქსირდა “ჯეოსელის ქსელშიც“ .

პრობლემის არსებობის მიუხედავად, მომხმარებლები საჩივრით იშვიათად მიმართავენ კომპანიებს, მათი ცნობიერების ამაღლების მიზნით, ჯერ კიდევ უნდა გადაიდგას ნაბიჯები. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ ზემოხსენებული მონაცემები აღრიცხულია მომხმარებელთა საჩივრების საფუძველზე, და უცნობია სატელეკომუნიკაციო კომპანიების ქსელებში დაფიქსირებული ხარვეზების ზუსტი ოდენობა, რომლებმაც ზედმეტად დარიცხვა გამოიწვია.

სატელეკომუნიკაციო მომსახურების დანახარჯების მართვის გზების ძიებამ და ამ მიმართულებით ჩატარებულმა კვლევამ, მთლიანობაში საშუალება მოგვცა, გამოგვეტანა გარკვეული დასკვნები:

- დღეს, პროგრესულად მოაზროვნე ორგანიზაციები ახდენენ მათ მიერ გამოყენებული მომსახურების ღირებულებების სტრუქტურის გადახდვას, ეძებენ არასაჭირო ხარჯების აღმოფხვრის ან შემცირების ალტერნატივებს. ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევის შედეგად, თეორიული მიდგომა, რომ არ არსებობს “უმართავი ხარჯები”, პრაქტიკულად დამტკიცდა ტელეკომის ხარჯების მართვის მაგალითზე. სატელეკომუნიკაციო ტექნოლოგიების ცოდნისა და კარგი მენეჯერული უნარების გაერთიანება, ბაზრის მონაცემების დამუშავებისა და

სამართლებრივი მიდგომების გამოყენებასთან ერთად, ქმნის ერთგვარ ინტერდისციპლინურ მეთოდოლოგიას. კარგად ორგანიზებული ტელეკომის ხარჯების მართვის პროცესი, კომპანიას დაუზოგავს სახსრებს და მის საქმიანობას შესძენს ეფექტურობას, რაც კომპანიას გრძელვადიან პერსპექტივაში, ბაზარზე კონკურენტულობის მიღწევასა და მდგრადობის შენარჩუნებაში დაეხმარება;

- ტელეკომის ხარჯების სამართავად, ბიზნესს ესაჭიროება გზამკვლევი, რათა დაძლიოს სატელეკომუნიკაციო ანგარიშებში არსებული შეუსაბამობები და მოითხოვოს ანაზღაურება; მოიძიოს ბაზარზე არსებული საუკეთესო განაკვეთები და მიაღწიოს შეთანხმებას საუკეთესო პირობებზე; განახორციელოს საწარმოს ინფრასტრუქტურის ინვენტარიზაცია, შეუსაბამოს ბიზნესის მიმდინარე საჭიროებებს და დასახოს გზები ღირებულების ოპტიმიზაციისათვის;
- დანახარჯების აუდიტი უნდა იყოს მარტივი და მოქნილი, მან უნდა უზრუნველყოს: ხარჯების დაზოგვის საბოლოო შედეგის წარმატებით მიღწევა, ამასთან ფირმის ეფექტიანი და კონკურენტუნარიანი მუშაობა. კომპანიის ტელეკომის ხარჯების მართვის სწორი მიმართულებით განვითარებისათვის ეფექტიანად მიგვაჩნია, გამოვიყენოთ: სამი მიდგომა: ანგარიშის დამოწმება, ქსელის ოპტიმიზაცია და ხელშეკრულებების მართვა.
- თუ, აუდიტის რომელ ფორმას მიანიჭებენ კომპანიები უპირატესობას, ეს დამოკიდებულია თავად კომპანიის საქმიანობაზე და არჩეულ მომსახურებაზე, მასში გამოყენებულ ტექნოლოგიაზე, ბაზრის სპეციფიკაზე და ა.შ თუმცა, ერთ კომპანიას ერთდროულად სხვადასხვა აუდიტის ფორმის გამოყენებაც შეუძლია;
- ტელეკომის მართვა შეიძლება განხორციელდეს სრულ განაკვეთზე მომუშავე სპეციალისტის მიერ, რომელიც იქნება საკმარისად კომპეტენტური, გაუმკლავდეს ტელეკომის მართვის წინაშე მდგომ ფინანსურ, სამართლებრივ და ინვენტარის მართვის საკითხებს, მას უნდა გააჩნდეს ბაზრის მდგომარეობის ანალიზის და მოლაპარაკების კარგი უნარები, შეეძლოს მიმწოდებელთან მიღწეული ცვლილებების ბოლომდე მიდევნება და შედეგების დაცვა. მას უნდა გააჩნდეს ისეთი უნარების კომპლექსი, როგორცაა: დამოუკიდებლობა, ინდუსტრიის კარგი ცოდნა, საკითხის საფუძვლიანი შესწავლა და შედეგების ნათელი ფორმით ანგარიშგების უნარები.

### **დასკვნა**

ნაშრომი განკუთვნილია ბაზარზე მოქმედი მსხვილი კომპანიების,



ორგანიზაციებისა და სახელმწიფო დაწესებულებებისათვის, რომლებიც სატელეკომუნიკაციო მომსახურებების კორპორატიული მომხმარებლები არიან. აგრეთვე, აუდიტორების, ტელეკომის სფეროში დასაქმებული პირებისათვის, დაინტერესებული პირების ფართო წრისათვის, დიდწილად უმაღლესი სასწავლებლებისა და კოლეჯების სტუდენტებისთვის. სპეციალისტების სწავლება, მომზადება და გადამზადება ამ სფეროში წარმოადგენს პრიორიტეტულ მიმართულებას დღევანდელ სატელეკომუნიკაციო მომსახურებების გამოყენების წინაშე ამოცანებისა გადაწყვეტისათვის ტექნოლოგიების პერსპექტივების განვითარების მიზნით.

**გამოყენებული ლიტერატურა:**

1. Anders D. Mikkelsen “Principles of Telecom Expense Management: How Great Organizations Save 50% on Telecom and Increase Service Levels” Independently published 2017, 255 p.;
2. M. S. Mastel, Linda D. Williams “Telecom Audit” McGraw-Hill Professional Publishing, 2003, 432 p.;
3. Roger K Yang “What Great Telecom Managers Know” Simcoe Publishing, 2005, 160 p.;
4. Rui Canossa “Enterprise Wireless Mobility Management” Create Space Independent Publishing Platform, 2011, 64 p.;
5. ანგარიშები:
6. „საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2018 წლის ანგარიში“;
7. „საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიასთან მოქმედი მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის სამსახურის 2018 წლის ანგარიში“

**უცხოური კვლევები:**

1. “Marketsandmarkets“ (“Global Forecast to 2019”) - The report “Telecom Expense Management Market by Solutions (Sourcing Management, Reporting & Business Management, Dispute Management, Usage Management, Invoice Management, and Ordering & Provisioning Management) – [www.marketsandmarkets.com](http://www.marketsandmarkets.com)
2. Eric Edstrom (November 10, 2014) Identifying ubiquitous telecom billing errors will reduce expenses ([www.profitlinktelecom.com](http://www.profitlinktelecom.com)).

## Management and research of telecommunication services expenses

*Ketevan Guniava, PhD student  
Georgian Technical University*

### Summary

The Work discusses the challenges faced by the large companies operating on the market and dealing with telecommunications services, the costs they incur and the ways of solving the problems. To this end, the Work assesses the dynamic environment of the telecommunications market and the problems it causes. Today businesses face a number of challenges related to the use of telecommunications services and the management of their costs. This is due to the great number of suppliers, the complex pricing systems on the market and the constant rate fluctuations, as well as the complexities related to the complex design, processing volumetric accounts. This process is additionally aggravated by the “billing errors” and the “hidden values” under the terms of the agreement. A potentially big problem is the inefficient use of communications equipment within the enterprise. The creation of VoIP has caused a wave of changes in the telecom world. The convergence of the telecom department with the IT department is yet another challenge since they manage completely different fields.

It is recognized that minimizing costs brings benefits to the bottom line of any organization. Cost management provides a company with a competitive advantage in the market, so studying it represents a topical issue.

The purpose of the work is to develop an effective management mechanism of telecom and justify the necessity of telecom manager.

The scientific result of the work is the identification of the ways of developing and improving the interdisciplinary methodology for the cost management of telecommunication services. As a result of the research, the theoretical approach stating that there are no “unmanageable costs” was practically approved by the example of the telecom cost management.

Keywords: telecom, expenses, billing, manager.

**საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიისა და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ყოველკვარტალური რეფერირებადი და რეცენზირებადი სამეცნიერო ჟურნალ „განათლების“**

**ავტორთა საყურადღებოდ**

ჟურნალში გამოსაქვეყნებლად სტატიის მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს 5 ნაბეჭდ გვერდს, აწყობილი უნდა იყოს A4 ფორმატის ფურცლის ცალ გვერდზე, 1.5 ინტერვალით, შრიფტი 12. სამუშაო ქაღალდის ველის ზომები: ზედა – 20 მმ, ქვედა – 20 მმ, მარცხენა – 30 მმ, მარჯვენა – 20 მმ;

აუცილებელია ნაშრომის ფიზიკური ვერსიის წარდგენა, ელექტრონული ვერსია კი შეიძლება წარმოადგინოთ დისკით, ან გამოაგზავნოთ ჟურნალის ელექტრონულ მისამართზე.

პირველი გვერდის ზედა მარჯვენა კუთხეში აღინიშნება ავტორის სახელი (სრულად), გვარი, სამეცნიერო წოდება, თანამდებობა, სამუშაო ადგილი.

სამეცნიერო სტატია შეიძლება დაწერილი იქნას ქართულ და უცხოურ ენებზე. მას უნდა ახლდეს რეზიუმე (დაახლოებით 150 სიტყვა). რეზიუმეშიც სტატიის სათაური და ავტორის/ავტორთა მონაცემები უნდა იყოს ინგლისურ ენაზე.

**ნაშრომის სტრუქტურა:**

1. რეზიუმე ქართულ ენაზე;
2. საკვანძო სიტყვები;
3. შესავალი
4. ძირითადი ნაწილი
5. დასკვნა
6. ლიტერატურა
7. რეზიუმე უცხოურ ენაზე

**წარმოდგენილი ნაშრომი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:**

- ქართულ ენაზე შესრულებული ნაშრომი უნდა აიწყოს სილფაინის შრიფტით. უცხო ენებზე შესრულებული ნაშრომი – Times New Roman შრიფტით;
- სტატია გაფორმებული უნდა იყოს წიგნიერად, სწორმეტყველებისა და ტერმინოლოგიის დაცვით, სტილისტური და ტექნიკური შეცდომების გარეშე;
- ავტორი (ავტორები) პასუხს აგებენ ნაშრომის შინაარსსა და ხარისხზე;
- კრებულის ერთ ტომში დაშვებულია ერთი და იმავე ავტორის მხოლოდ ერთი სტატიის გამოქვეყნება.
- ერთი სტატიის ავტორთა რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ორს;
- მაგისტრანტების ნაშრომი ერთპიროვნულად უნდა იყოს შესრულებული;
- გამოსაქვეყნებელ ნაშრომს უნდა ახლდეს შესაბამისი დარგის მიმართულების ხელმძღვანელის ან პროფესორის მოკლე რეცენზია-რეკომენდაცია.

**დამატებითი ინფორმაციის მიღება შეიძლება საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ქართული ფილოლოგიისა და მედიატექნოლოგიების“ დეპარტამენტში (ოთახი 805<sup>ბ</sup>, კორპ. 6).**

ტელ.: 68-13 (შიდა); 599-557-993; 599-553-980; E-mail: ganatleba2018@gmail.com.